

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეონა მურდულია

განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918-1921 წლების

საქართველოში.

03.01-განათლების თეორია და ისტორია

დისერტაცია განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი იმერი ბასილაძე

ქუთაისი

2018

შინაარსი

შესავალი..... გვ. 3

თავი I

განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1901–1917 წლების

საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა)

- § 1. სასკოლო ქსელი, სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები..... გვ. 11
- § 2. ახალი პედაგოგიკური იდეების გავრცელება საქართველოში (თავისუფალი აღზრდის თეორია, შრომის სკოლის საკითხები, ექსპერიმენტული პედაგოგიკა)..... გვ. 30

თავი II

საგანმანათლებლო პოლიტიკა და პედაგოგიკური აზროვნება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

- § 1. განათლების რეფორმა და სასკოლო სისტემა 1918–1921 წლების საქართველოში. გვ. 38
- § 2. სასწავლო გეგმები, სასკოლო პროგრამები და სახელმძღვანელო წიგნები გვ. 82
- § 3. სასკოლო საქმის შინაარსი, ორგანიზაცია, სწავლების მეთოდები და დიდაქტიკური პრინციპები 1918–1921 წლების საქართველოში..... გვ. 107
- § 4. მასწავლებელთა შემადგენლობა, უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა და მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხი 1918–1921 წლების საქართველოში..... გვ. 118
- § 5. რელიგიის სწავლების საკითხისათვის 1918–1921 წლების საქართველოში გვ. 123

თავი III

პედაგოგიკური იდეები 1918–1921 წლების საქართველოში

- § 1. ზოგადპედაგოგიკური შეხედულებანი..... გვ. 128
- § 2. დიდაქტიკური იდეები..... გვ. 147
- ზოგადი დასკვნები..... გვ. 160
- გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები გვ. 161
- დანართები..... გვ. 168

შესავალი

თემის აქტუალურობა. პედაგოგიკის კვლევის სფერო დისციპლინათაშორის სივრცეს მოიცავს. იგი ორგანულად უკავშირდება პედაგოგიკის ისტორიის, აღზრდის, განათლებისა და სკოლათმცოდნეობის საკითხებს. მის თვალსაწიერშია მოქცეული როგორც თანამედროვე, ისე წარსულის გამოცდილება და მომავლის პერსპექტივები.

წარსულის პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლა იყო, არის და მუდამ იქნება კვლევის მნიშვნელოვანი ობიექტი, მითუმეტეს, რომ ამ კვლევების დროს პედაგოგიკური პროცესისადმი მეცნიერული მიდგომა არ იყო ერთგვარი. რეალობას ზოგჯერ საკითხისადმი იდეოლოგიური დამოკიდებულება ცვლიდა, განადგურდა ბევრი დოკუმენტი, განსაკუთრებით, 1918–1921 წლების მდგომარეობის ამსახველი, რის გამოც ბუნდოვანი შეხედულებები ჩამოყალიბდა ამ პერიოდის პედაგოგიკური თეორიისა და პრაქტიკის განვითარების პროცესებისადმი.

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებმა განათლების ისტორიის სპეციალისტების წინაშე დააყენა საკითხი, კომუნისტური მმართველობის პერიოდისაგან განსხვავებული პარტიული ინტერესების გარეშე, საფუძვლიანად შესწავლილიყო ეროვნული განათლების დაფუძნებისა და განვითარების ისტორია 1918-1921 წლების საქართველოში, რაც, პირველ რიგში, დაადგენდა ისტორიულ სიმართლეს აღზრდის, სწავლებისა და განათლების პროცესის განვითარებაში და საფუძველს მოამზადებდა, სრულყოფილად გაანალიზებულიყო სასკოლო პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მხოლოდ 3 წელი მართა ქვეყანა და ამ მოკლე პერიოდში შეძლო ერისათვის მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმების გატარება.

1918 წელს, საქართველოს პირველმა დამოუკიდებელმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებები სწავლების, განათლების და მეცნიერების გაეროვნულების, სწავლების მშობლიურ ენაზე წარმართვის, სწავლების ახალი მეთოდების, სკოლის მართვის, სასკოლო ქსელის გაფართოების, ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემის, პედაგოგიკური და დიდაქტიკური იდეების გავრცელება-განვითარების საქმეში.

ამ თვალსაზრისით ქართულ პედაგოგიკაში საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოსცეს ს. სიგუამ, ლ. ბოცვაძემ, დ. უზნაძემ, მ. ზანდუკელმა, ნ. სირბილაძემ, გრ. საქარისქედელმა, ტ. სარიშვილმა, ტ. ხუნდაძემ, ზ. კიკნაძემ, ი. ჭკუასელმა, ნ. ბერულავამ, გ. მჭედლიძემ, პ. ვაჭრიძემ, ა. გობრონიძემ, უ. ობოლაძემ, დ. გურგენიძემ, გ.

კიკნაძემ, ბ. კიზირიამ, ი. გენძეხაძემ, ლ. თავდგირიძემ, მ. ახვლედიანმა, ი. ბასილაძემ, მ. მალრაძემ, ა. ნიკოლეიშვილმა, ო. ნიშნიანიძემ, ნ. მოდებაძემ, ნ. სოხაძემ, ს. ფანჭულიძემ, დ. ჭუმბურიძემ, ლ. გაბუნია და სხვ. მათ ნაშრომებში საკითხები განხილულია საქართველოს მასშტაბით, რაც გვაძლევს ერთიანი ხედვის საშუალებას, რომ საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს ცალკეული საკითხი. მიუხედავად ამისა, ვთვლით, რომ დღემდე მთლიანობაში ცალკე გამოკვლევის საგნად არ გამხდარა 1918-1921 წლების საქართველოს პედაგოგიკური აზროვნების განვითარების ისტორია.

დისერტაციაში შესწავლილი და გაანალიზებულია 1918-1921 წლების განათლების შესახებ არსებული სამეცნიერო და საარქივო დოკუმენტური მასალა, რომელიც დაცულია საქართველოს საისტორიო და უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო და ქუთაისის სახელმწიფო არქივებში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ, ქუთაისის ცენტრალურ სამეცნიერო და ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ბიბლიოთეკებში.

თემის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ფონზე, დიდ მნიშვნელობას იძენს საგანმანათლებლო რეფორმა, რომელიც 1991 წლიდან იღებს სათავეს და დღემდე რამდენიმე ეტაპად ჩატარდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ სავსებით შედეგიანად. ალბათ, იგი შეიძლება შევაფასოთ, როგორც მხოლოდ გამოსვლა საბჭოთა საგანმანათლებლო იდეოლოგიური სივრციდან. ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შემუშავება, რომელიც ტრადიციულ ეროვნულ ნიადაგზე იქნება დაფუძნებული და ამავე დროს მსოფლიო საგანმანათლებლო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

1918-1921 წლების განათლების სამინისტროს მიერ გატარებული სასკოლო რეფორმისა და თანამედროვე ეტაპზე სასკოლო ქსელში მიმდინარე რეფორმის შეხების წერტილების გამოსავლენად, შედარება-შეპირისპირებისა და დასკვნების გაკეთების მიზნით ნაშრომში ჩავრთეთ ქუთაისის საჯარო სკოლებში ეტაპობრივად მიმდინარე რეფორმის შედეგებისა და 2017 წლიდან დაგეგმილი რეფორმის შესახებ მასწავლებელთა მოლოდინების კვლევა. კვლევის ანგარიში მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას განათლების მიმდინარე რეფორმის საკითხებზე სასკოლო სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, აქცენტს აკეთებს არსებულ საჭიროებებზე. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მიმდინარე ეტაპზე განათლების სფეროს ეფექტიანი დაგეგმვისა და რეფორმის წარმატებით განხორციელების მიზნით.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ სადისერტაციოდ შერჩეული თემა: „განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1918-1921 წლების საქართველოში“ აქტუალურია განათლების

თეორიისა და ისტორიისათვის და მისი გამოკვლევა, ჩვენი აზრით, დაეხმარება საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმას.

კვლევის მიზანს შეადგენს 1918-1921 წლების საქართველოში განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების კვლევა.

კვლევის საგანი. 1918-1921 წლების საქართველოში აღზრდისა და სწავლების ერთიანი პედაგოგიკური და დიდაქტიკური მიდგომების სპეციფიკის გამოკვლევა და თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისათვის შესატყვისი მიდგომების დადგენა.

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანაა 1918-1921 წლების საქართველოში განათლებასა და პედაგოგიურ აზროვნებასთან დაკავშირებული სკიოტების წინა პლანზე წამოწევა და პრობლემატური საკითხების კვლევა-ძიება, რათა აღნიშნულ საკითხებზე დადგინდეს სრული ობიექტური რეალობა, კერძოდ:

1. გამოვიკვლიოთ 1918–1921 წლების საქართველოში განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების არსებული მდგომარეობა, დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკა, განათლების რეფორმა და სასკოლო სისტემა, სკოლამდელი განათლება, უმაღლესი განათლება, მასწავლებელთა კადრების მომზადება, სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია, მეთოდები, სასწავლო გეგმები, სასწავლო პროგრამები, სასწავლებლების მატერიალურ ტექნიკური ბაზა და სახელმძღვანელოები, რაც უშუალოდუკავშირდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს და სასკოლო საქმისორგანიზაციას.

2. საარქივო და ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით დავადგინოთ რა როლი შეასრულა 1918–1921 წლებში არსებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და ამ სასწავლებლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა ქართული საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებაში;

3. გავაანალიზოთ სამეცნიერო ლიტერატურაზე, საარქივო, (მათ შორის გამოუქვეყნებელ) დოკუმენტებზე, საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციებზე დაყრდნობით 1918-1921 წლების საქართველოში განათლების მდგომარეობა, განვითარების ტენდენციები, მის რაოდენობრივი და თვისობრივი ზრდა, სწავლების ახალი მიდგომების დანერგვა, სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა-გამოცემა, სწავლების პროცესის ორგანიზაცია და შინაარსი;

4. წარმოვაჩინოთ ქართველ განმანათლებელთა და საზოგადო მოღვაწეთა როლი იმ საქმიანობაში, რომელსაც ისინი ეწეოდნენ განათლების ეროვნული სისტემის შექმნისათვის.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს:

1. 1918-1921 წლების საქართველოში არსებული სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი დაწყებითი, უმაღლესი, პედაგოგიური, პროფესიული და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები და განათლების კერები;
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის როლი სახალხო განათლების სისტემის რეფორმირებაში, სკოლის გაეროვნულებასა და ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებაში.

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს ფილოსოფიური და პედაგოგიური დებულებანი სასკოლო სისტემისა და პიროვნების ინტელექტუალურ შესაძლებლობათა განვითარების შესახებ.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა:

- მეცნიერულ კონცეფციაში გამოხატულია განათლება და პედაგოგიკური აზროვნება საქართველოში 1918-1921 წლებში, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციამდე.
- პედაგოგიკაში დღემდე სრულყოფილად არ იყო გამოკვეთილი და შესწავლილი 1918-1921 წლების ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა და განათლების ისტორია.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის პროცესში მიღებული შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ შესაბამისი თემატიკის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით, პედაგოგიკის ისტორიისა და განათლების სასწავლო კურსებში, ასევე, პედაგოგიკის სპეცკურსების შემუშავებაში, სამაგისტრო და სადიპლომო ნამუშევრების მომზადებაში, პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ საარქივო და პრესის მასალებზე დაყრდნობით ნაშრომში თავმოყრილი და შესწავლილია 1918-1921 წლების საქართველოში არსებული ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება და განათლების კერა, განხილულია ამ პერიოდის პედაგოგიკური აზროვნების საკითხები. დისერტაცია წარმოადგენს ამ საკითხების ერთ სისტემაში მოყვანისა და მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას და გარკვეულად ავსებს არსებულ ხარვეზს.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ სადისერტაციო ნაშრომს გარკვეული წვლილი შეაქვს პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის კვლევაში. კვლევის პროცესში მიღებული შედეგების შემოქმედებითად მიდგომა გამოადგება ყველა ტიპის ამჟამად არსებულ სასწავლებლს. მიღებული

შედეგების გამოყენება ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტებში პედაგოგიკის ისტორიის სპეცკურსებზე. შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება მომზადდეს 1918-1921 წლების საქართველოს განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის სალექციო კურსი, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტის პედაგოგიკური ფაკულტეტის სტუდენტებს, მასწავლებლებსა და განათლების ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ თუ საფუძვლიანად იქნება შესწავლილი 1918-1921 წლების განათლების წარსულის მემკვიდრეობა, თუ ობიექტური შეფასება და ანალიზი გაუკეთდება ამ წლებში არსებული სასკოლო სისტემის განვითარებას, სწავლა-განათლების შინაარსს, გამოვლინდება დადებითი და უარყოფითი მხარეები, ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება წარსული მემკვიდრეობის კულტურულ ათვისებაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ერის, როგორც კულტურული ფენომენის განვითარებისათვის, ხოლო სწავლებაში იმ პერიოდში არსებული დადებითი მომენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დღევანდელ პირობებში საქართველოში განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია. დისერტაციაში გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგია, კერძოდ ვისარგებლებთ ისტორიული, შედარებითი, აღწერილობითი, შეფასებითი და სისტემური ანალიზითი კვლევებით.

კვლევის ეტაპები:

- პედაგოგიკური ხასიათის ლიტერატურის პირველადი დამუშავება, ბიბლიოგრაფიის შედგენა, კვლევის ამოცანის და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება;
- საარქივო, სამუზეუმო და პრესის მასალების გაცნობა და დამუშავება;
- მეცნიერული ლიტერატურის, საარქივო და სამუზეუმო მასალების ანალიზური დამუშავება;
- კვლევის მეთოდების რეალიზაცია;
- კვლევის შედეგად დაგროვილი მასალის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური ანალიზი;
- დისერტაციის გაფორმება.

დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები:

- 1918-1921 წლების საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის ანალიზი;
- საქართველოში მოღვაწე ქართველ განმანათლებელთა და საზოგადო მოღვაწეთა ბრძოლა ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისათვის, სკოლის გაეროვნულებისათვის.
- საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ყველა ტიპის სასწავლო დაწესე-

ბულებების სასწავლო პროცესის პედაგოგიური ანალიზი;

- საკვლევ პერიოდში სასწავლო გეგმების, სასკოლო პროგრამებისა და სასწავლო სახელმძღვანელო წიგნების ანალიზი;
- სასკოლო საქმის შინაარსის, ორგანიზაციის, სწავლების მეთოდებისა და დიდაქტიკური პრინციპების გამოყენების ანალიზი;
- მასწავლებელთა შემადგენლობა, უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა და მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხი 1918–1921 წლების საქართველოში;
- რელიგიის სწავლების საკითხი 1918–1921 წლების საქართველოში;
- 1918-1921 წლებში მოღვაწე ქართველ განამანათლებელთა ზოგადპედაგოგიკური და დიდაქტიკური შეხედულებების როლი და მნიშვნელობა საკვლევ პერიოდისა და თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისათვის.

კვლევის პროცესში მიღებული შედეგები:

- კვლევების საფუძველზე გაკეთდა 1918-1921 წლების საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის ანალიზი და დადგინდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა რუსული საგანმანათლებლო სისტემისგან განსხვავებული ახალი ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებას.
- ჩვენ მიერ მოძიებულ, აქამდე უცნობ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით დაზუსტდა არაერთი საკითხი, რომელზეც განსხვავებული შეხედულებები გააჩნდა პედაგოგიკის სხვადასხვა მკვლევარს ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებასთან მიმართებით.
- კვლევების საფუძველზე ჩატარდა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებების, სასწავლო გეგმების, სასკოლო საქმის შინაარსის, სწავლების ორგანიზაციის, სასკოლო პროგრამების და სასწავლო სახელმძღვანელო წიგნების, სასწავლო პროცესის პედაგოგიური ანალიზი და დადგინდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა საქართველოში საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის.
- პედაგოგიური თვალსაზრისით გამოკვლეულია სწავლების ის მეთოდები და დიდაქტიკური პრინციპები, რომლებიც გამოიყენებოდა სწავლების პროცესში საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში და რომლებიც არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით იქნა აღიარებული;
- გამოიკვეთა 1918-1921 წლებში მოღვაწე ქართველ განმანათლებელთა

ზოგადპედაგოგიკური და დიდაქტიკური შეხედულებების როლი და მნიშვნელობა საკვლევო პერიოდისა და თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სისტემისათვის.

- ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ 1918-1921 წლების საქართველოს განათლების სისტემის შეფასება, (ტ.სარიშვილი, უ. ობოლაძე, დ. გურგენიძე, გ. კიკნაძე, ბ. კიზირია, ს. სიგუა და სხვა) გასაგებ მიზეზთა გამო, უახლოეს წარსულში დამკვიდრებული იდეოლოგიური სქემის ელფერს ატარებდა.
- 1918–1921 წლების განათლების სამინისტროს მიერ გატარებული სასკოლო რეფორმისა და თანამედროვე ეტაპზე სასკოლო ქსელში მიმდინარე რეფორმის შეხების წერტილების გამოვლენითა და შედარება–შეპირისპირებით საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა.

კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წარმოადგენს:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები-პედაგოგები, კლასის დამრიგებლები, სკოლის ადმინისტრაცია.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები-დოქტორანტები, მაგისტრები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:

- ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, საერთო დასკვნებს, გამოყენებულ ლიტერატურასა და დანართებს.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია. დისერტაციაში განხილულ საკითხებზე მოხსენებებით გამოვდიოდით საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციებზე, ვაქვეყნებდი სამეცნიერო სტატიებს. გამოკვლევის შედეგები სისტემატურად ეცნობოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, ხოლო დასრულებული ნაშრომი რეცენზირებული და შეფასებული იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის მიერ.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია სამეცნიერო შრომებში:

1. მურღულია თეონა: „პირველი ეროვნული სკოლის პედაგოგიკური სისტემის შუქ-ჩრდილები“; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (პედაგოგიური ფაკულტეტი) VI საერთაშორისო-სამეცნიერო მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. შრომები, ქუთაისი, 2015. ISSN: 2298-0539
2. მურღულია თეონა, „ქართული პრესა სასკოლო საქმის ორგანიზაციისა და სწავლების დიდაქტიკური პრინციპების შესახებ“ (1918–1921), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (პედაგოგიური ფაკულტეტი) VII საერთაშორისო-სამეცნიერო მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. შრომები, ქუთაისი, 2016. ISSN: 2298-0539
3. მურღულია თეონა, „აღზრდის იდეები და შეხედულებები 1918–1921 წლების საქართველოში“; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (პედაგოგიური ფაკულტეტი) VIII საერთაშორისო-სამეცნიერო მეთოდური კონფერენცია „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. შრომები, ქუთაისი, 2017 წ. ISSN: 2298-0539

განათლება და პედაგოგიკური აზროვნება 1901–1917 წლების

საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა)

§ 1. სასკოლო ქსელი, სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია

და მეთოდები

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველო გამოირჩევა განათლების კერებისა და სასწავლო დაწესებულებების სიმრავლით, ქართულ ენაზე სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემის, ზოგადსაგანმანათლებლო მიდგომების, დიდაქტიკური შეხედულებებისა და სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებით, რაშიც ღირსეული წვლილი შეიტანეს იმ პერიოდში საქართველოში მოქმედმა სასწავლო დაწესებულებებმა, სახალხო მასწავლებლებმა, ცნობილმა ქართველმა განმანათლებლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა.

ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის რეგიონების სასწავლო დაწესებულებებმა. ცხადია, ეს წვლილი თავისი შინაარსობრივი, ფუნქციური და მოცულობითი ნიშნით სხვადასხვა რეგიონისათვის სხვადასხვაა, მაგრამ მთლიანობაში თითოეულმა მათგანმა განუმეორებელი კვალი დაატყო ქართული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს.

ჩვენ მიერ პირველ თავში გაანალიზებულ საკვლევ მასალასთან დაკავშირებული საინტერესო ნაშრომები გამოსცეს ქართულ პედაგოგიკაში ს. სიგუამ, ლ. ბოცვაძემ, ტ. სარიშვილმა, ტ. ხუნდაძემ, ზ. კიკნაძემ, ი. ჭკუასელმა, უ. ობოლაძემ, ნ. ბერულავამ, გ. მჭედლიძემ, პ. ვაჭრიძემ ა. გობრონიძემ, ი. გენძეხაძემ, ლ. თავდგირიძემ, მ. ახვლედიანმა, ი. ბასილაძემ, ნ. სოხაძემ, მ. მადრაძემ, ო. ნიშნიანიძემ, ს. ფანჩულიძემ, დ. ჭუმბურიძემ, ა. ნიკოლეიშვილმა, ლ. გაბუნიაძემ, მ. კაპანაძემ და სხვ.

ნაშრომებში განხილული საკითხები მოიცავს საქართველოს მასშტაბს, რაც გვაძლევს ერთიანი ხედვის საშუალებას, თუ როგორ ვითარდებოდა 1901-1917 წლების საქართველოში საგანმანათლებლო ქსელი და ქართული პედაგოგიკური აზროვნება. მიუხედავად ამისა, საჭიროდ ჩავთვალეთ, მოკლედ მიმოგვეხილა ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა 1901-1917 წლების საქართველოს პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში.

დაწყებითი განათლება. რუსეთის მსგავსად, კავკასიისა და საქართველოს სოფლებში არსებობდა „პირველდაწყებითი სახალხო სკოლები სამწლიანი კურსით და საეკლესიო–სამრევლო სკოლები. 1901–1902 წელს თბილისის გუბერნიაში სულ 197 დაწყებითი სახალხო სკოლა ირიცხებოდა, ქუთაისის გუბერნიაში კი - 223. სულ ორივე

გუბერნიაში 420 დაწყებითი სასწავლებელი არსებობდა, მაშინ, როდესაც სასკოლო ასაკის ბავშვთა 67% სკოლის გარეთ იყო დარჩენილი.

„1905–1907 წწ. 2187 ათას მცხოვრებზე საქართველოში ძლივს 600 სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი მოდიოდა. 1907 წლის კავკასიის კალენდრის ცნობით, საქართველოში წერა–კითხვის მცოდნე მამაკაცი მათი საერთო რაოდენობის 37,8% – ს შეადგენდა, ხოლო ქალი კი – დედაკაცთა საერთო რაოდენობის 23,6%–ს. საქართველოს დანარჩენიმოსახლეობა უცოდინრობის სიბნელეში იმყოფებოდა“ [144, გვ. 26].

„დაწყებითი სკოლის ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენდა განათლების სამინისტროს და სასულიერო უწყების ერთკლასიანი სასწავლებლები. მათი რაოდენობა 1915 წელს იყო 1271; მათ შორის განათლების სამინისტროს სისტემის – 673, სასულიერო უწყების – 598. დაწყებითი სკოლის მეორე ძირითად ტიპს წარმოადგენდა ორკლასიანი სასწავლებლები, რომელთა რაოდენობა 1915 წელს 298 იყო (აქედან 204 განათლების სამინისტროს სისტემის და 94 სასულიერო უწყების სისტემის). ორკლასიანი სასწავლებლები არსებობდა დაბებში, ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში და ზოგიერთ დიდ სოფელში. სოფლებში და უმეტეს შემთხვევაში ქალაქებშიც, ჩვეულებრივად ერთკლასიანი სკოლა იხსნებოდა“ [145, გვ. 36].

ორკლასიანი სასწავლებელი ორი ტიპისა იყო – ნორმალური და ჩვეულებრივი. ასეთი სასწავლებლის პირველ კლასს სამი განყოფილება ჰქონდა, II კლასს–ორი. სწავლების ხანგრძლიობა იყო 5 წელი. უკანასკნელ პერიოდში დაიწყო ორკლასიანი სასწავლებლების ჩამოყალიბება ექვსწლიანი კურსით, მაგრამ ამ ღონისძიების გატარება ძალზე ძნელდებოდა სახსრების უქონლობის გამო.

გარდა ერთკლასიანი და ორკლასიანი სასწავლებლებისა, არსებობდა აგრეთვე უფრო მაღალი ტიპის დაბალ სასწავლებელთა ქსელიც. მასში შედიოდა საქალაქო სასწავლებლები, რომლებიც შემდეგში უმაღლეს–დაწყებით სასწავლებლებად გადაკეთდა. საქალაქო სასწავლებლები, ნაცვლად ე.წ. სამაზრო სასწავლებლებისა, პირველად 70–იან წლებში ჩამოყალიბდა. საქალაქო სასწავლებელი იყო დამოუკიდებელი ტიპის სასწავლო დაწესებულება, იძლეოდა ზოგად განათლებას.

„1912 წელს სახელმწიფო სათათბირომ მიიღო და ზემდგომმა ორგანოებმა შესწორების შემდეგ დაამტკიცეს „უმაღლეს–დაწყებითი სასწავლებლის დებულება“.

1915 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში არსებობდა 1689 დაწყებითი სკოლა და სხვა დაბალი ტიპის სასწავლო–საადმზრდელი დაწესებულება. ყველა ამ სასწავლო დაწესებულებაში, მეორეკლასიან სასწავლებელთა გამოკლებით, ირიცხებოდა 131 249 მოსწავლე [145, გვ. 36].

დაწყებითი და სხვა დაბალი ტიპის სასწავლებელთა ქსელში დიდი ადგილი ეჭირა საეკლესიო-სამრევლო სკოლებს. მათი რიცხვი სკოლების საერთო რაოდენობის 46% – ს შეადგენდა. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლობდა 46 025 მოსწავლე, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 36% – ს შეადგენდა.

დაწყებით და სხვა დაბალი ტიპის სასწავლებლებში სულ 39 705 ქალი სწავლობდა, ე.ი. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 30%. როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, სახალხო სკოლებში მოსწავლე ქალთა რაოდენობა გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ვაჟთა. ამასთან ერთად შეიმჩნევა ერთი დადებითი მომენტიც. მნიშვნელოვნად იზრდება ისეთი სკოლების რიცხვი, სადაც ქალები და ვაჟები ერთად სწავლობენ. 1915 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში არსებობდა განათლების სამინისტროს სისტემის ვაჟთა 33, ქალთა 17, ქალ-ვაჟთა 53 ორკლასიანი სასწავლებლები. ამავე დროს ქალთა 65 ერთკლასიანი და ქალ-ვაჟთა 548 ერთკლასიანი სასწავლებლები. გარდა ამისა, ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება მიმდინარეობდა 6 უმაღლეს-დაწყებით სასწავლებელში [151, გვ. 35].

1915 წლის 1 იანვრისათვის განათლების სამინისტროს 877 დაწყებით სკოლიდან საკუთარი შენობა ჰქონდა 535 სკოლას, დაქირავებულ შენობაში იყო მოთავსებული – 342; ბათუმის ოლქში საკუთარი შენობა ჰქონდა 19 სკოლას, დაქირავებულ შენობაში იყო მოთავსებული – 23. თბილისის გუბერნიაში არსებული სკოლების თითქმის ნახევარს დაქირავებული შენობა ეჭირა. საკუთარი შენობები არ ჰქონდა ქალაქ თბილისის დაწყებით სკოლებსაც. მათი უმეტესი ნაწილი სრულიად შეუფერებელ შენობებში იყო მოთავსებული [145, გვ. 36].

როგორც ვხედავთ, სახალხო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, თუმცა სახალხო განათლების ხარჯებისათვის დამატებითი თანხების გამოყოფის შედეგად გადაიდგა ნაბიჯები სასკოლო მშენებლობის განხორციელების მიმართულებით, მაგრამ არსებულ მძიმე მდგომარეობას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მაინც არ ემჩნეოდა.

ზოგადი განათლების საშუალო სკოლები. 1900–1915 წლებში საშუალო განათლების ძირითად კერას ვაჟთა გიმნაზია და რეალური სასწავლებელი წარმოადგენდა. არსებობდა, აგრეთვე, ქალთა გიმნაზიები და მათთან გათანაბრებული ქალთა სხვა სასწავლებლები, რომლებიც საშუალო განათლებას იძლეოდა. აქედან საშუალო სკოლის სრული უფლებით მხოლოდ ვაჟთა გიმნაზია სარგებლობდა. რეალური სასწავლებელი, თუმცა საშუალო სკოლად ითვლებოდა, მაგრამ კურსდამთავრებულთ არ ანიჭებდა ყველა იმ უფლებას, რასაც ვაჟთა გიმნაზია. ქალთა გიმნაზიებისა და ქალთა სხვა

საშუალო სასწავლებლების უფლებებიც შეზღუდული იყო. 1900–1901 სასწავლო წლის დასაწყისში კავკასიის სასწავლო ოლქში ოფიციალური ცნობებით არსებულ ვაჟთა 13 სასწავლებლიდან საქართველოში მოქმედებდა ვაჟთა 5 გიმნაზია-თბილისის ვაჟთა პირველი (დაარსებული 1830 წ.), მეორე (დაარსებული 1881 წ.) და მესამე (დაარსებული 1892 წ.), ქუთაისის (დაარსებული 1850 წ.) და ბათუმის (დაარსებული 1897 წ.) გიმნაზიები 3494 მოსწავლით. მოსწავლეთა ამ შემადგენლობაში იყო: თავადაზნაურობიდან – 1823, სასულიერო წოდებიდან – 118, ვაჭრებიდან და ე.წ. „საპატიო მოქალაქეებიდან“ – 135, ქალაქის სხვა შეძლებულ პირთა ოჯახებიდან – 1102, გლეხობიდან – 207, სხვადასხვა – 109. ეროვნების მიხედვით ზემოთაღნიშნულ სკოლებში სწავლობდა: რუსი – 947, ქართველი – 1134, სომეხი – 973, დანარჩენი კი – თათარი, ებრაელი და სხვ. [130 გვ. 20–21].

ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში უმთავრესად თავადაზნაურობისა და ჩინოვნიკების შვილები სწავლობდნენ. თავადაზნაურთა ქალიშვილების განათლებისათვის თბილისში არსებობდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი. საქართველოს ზოგიერთ საქალაქო ცენტრებში (თბილისში, ქუთაისში, თელავში, სიღნაღში და სხვ.) გახსნილი იყო წმინდანინოს ქალთა სასწავლებლები, ხოლო ამავე წოდების ვაჟებისათვის (თბილისსა და ქუთაისში) ვაჟთა სათავადაზნაურო გიმნაზიები.

„1908 წელს კავკასიის ვაჟთა 16 გიმნაზიიდან და პროგიმნაზიიდან საქართველოში არსებობდა: ქ. თბილისში – ვაჟთა 4 გიმნაზია და 1 ექვსკლასიანი პროგიმნაზია, ბათუმში – 1 გიმნაზია, ქუთაისში – 1, ფოთში – 1, გორში – 1 ოთხკლასიანი პროგიმნაზია, ხონში–1 ოთხკლასიანი პროგიმნაზია. ვაჟთა საშუალო სკოლების გახსნას მოითხოვდნენ აგრეთვე ახალციხის, სიღნაღის, თელავის, ზუგდიდის და სამტრედიის მცხოვრებნი, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნას მთავრობა არ აკმაყოფილებდა. ამავე პერიოდში საქართველოში არსებობდა ქალთა 9 სასწავლებელი, მათ შორის: თბილისის ქალთა პირველი, მეორე და მესამე გიმნაზიები, ბათუმის ქალთა გიმნაზია, თბილისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი, ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი, გორისა და სოხუმის ქალთა პროგიმნაზიები და თელავის წმ.ნინოს ქალთა სასწავლებელი [131, გვ. 21].

აღნიშნულ გიმნაზიებში სასწავლო წლის ბოლოს ოფიციალური ცნობებით ირიცხებოდა სულ 4.429 მოსწავლე, მათ შორის: თავადაზნაურობიდან 2372 მოსწავლე, სასულიერო წოდებიდან –174, ვაჭართა და ჩინოვნიკთა ოჯახებიდან –427, ქალაქის სხვა შეძლებული ფენებიდან – 1179, გლეხობიდან – 148, სხვადასხვა – 129. ეროვნებათა მიხედვით სწავლობდა: რუსი – 1494, ქართველი – 1307, სომეხი – 1150 და სხვა – 478 [132, გვ. 22].

1907–1916 წლებში საშუალო სკოლის რეფორმის მრავალი პროექტი დამუშავდა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონპროექტი საშუალო სკოლის რეფორმის შესახებ, რომელიც 1911 წელს სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი იქნა კანონპროექტი, შესწორებული და გადამუშავებული სახელმწიფო სათათბიროს სპეციალური კომისიის მიერ. იგი ითვალისწინებდა ერთიანი ტიპის საშუალო სკოლის შექმნას, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა დაწყებით და უმაღლეს სკოლასთან. ეს ერთიანი ტიპის საშუალო სკოლა ორი სახის უნდა ყოფილიყო.

პირველი – გიმნაზია, სადაც მოსწავლეები უნდა მიეღოთ დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ; მეორე – მეორე კონცენტრის გიმნაზია, სადაც მოსწავლეებს მიიღებდნენ უმაღლეს–დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. პროექტი მოითხოვდა სასწავლო გეგმისა და პროგრამების შედგენას შესასწავლი მასალის კონცენტრული პრინციპით განაწილების საფუძველზე, საბუნებისმეტყველო (ფიზიკა, ქიმია, მინერალოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, გეოლოგია, კოსმოგრაფია) და საზოგადოებათმცნირული (რუსული ენა და ლიტერატურა, ფსიქოლოგია, ისტორია, სოციოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, უფლებათმცოდნეობა) საგნების სწავლების გაძლიერებას, სასწავლო გეგმიდან ძველი ენების ამორიცხვას [139, გვ. 59].

გარდა ამისა, კანონპროექტი აუცილებლად თვლიდა მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისათვის ანგარიშის გაწევას, მეცადინეობის პროცესში ადგილობრივი პირობების მხედველობაში მიღებას, უფროსი კლასების მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციას, მშობელთა კომიტეტების უფლება-მოვალეობათა გაფართოებას და სხვ.

ჩვენი აზრით, საშუალო სკოლის რეფორმის ეს პროექტი, მიუხედავად იმისა, რომ ვერ უზრუნველყოფდა საშუალო სკოლის ყველა ნაკლოვანების აღმოფხვრას, უდაოდ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა. რადგან ეს იყო პირველი ცდა სახალხო განათლების ერთიანი სისტემის შექმნისა, საგანმანათლებლო პროცესებისადმი ერთიანი პედაგოგიკური მიდგომისა, რაც გარკვეულ საფუძველს უქმნიდა 1918 წელს სკოლების გაეროვნულების შემდეგ აღზრდისა და სწავლების დემოკრატიულ საწყისებზე მართვას.

საშუალო სკოლებში სწავლების მთელი სისტემა ემყარებოდა ე.წ. ფორმალური განათლების თეორიას. ამ თეორიის მიხედვით, სწავლების ამოცანას საშუალო სკოლაში ცოდნის დაუფლება კი არ წარმოადგენდა, არამედ გონებრივ ნიჭიერებათა განვითარება. ფორმალური განათლების თეორიის მომხრეთა აზრით, გონებრივ ნიჭიერებათა განვითარებისათვის საუკეთესო მასალას იძლევა გრამატიკა, მათ შორის,

პირველ რიგში, ძველი კლასიკური ენების გრამატიკა და მათემატიკა. აქედან გამომდინარე, სწავლების მთავარ საგნად გამოცხადდა ლათინური, ბერძნული ენები და მათი გრამატიკა.

მიუხედავად ამისა, საშუალო სკოლის სწავლების კურსმა მაინც განიცადა გარკვეული ცვლილება: შემოიღეს ახალი სასწავლო საგნები – ფილოსოფიური პროპედევტიკა და კანონთმცოდნეობა, გადიდდა საათები რუსულ და საეკლესიო სლავურ ენებში, გეოგრაფიაში, ისტორიასა და ახალ ენებში. ფიზიკა და ბუნებისმეტყველება შეტანილ იქნა სასწავლო გეგმაში, როგორც ცალკე სასწავლო საგნები. შემცირდა საათები ლათინურ ენაში და სხვა.

სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები. სახალხო განათლების განვითარების დონის ერთ-ერთი ძირითადი და არსებითი მაჩვენებელია სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხასიათი, შინაარსი და მიმართულება. ამიტომაც საჭიროა გაირკვეს, თუ რა შეიცვალა ამ მხრივ რეაქციის, რევოლუციის ახალი აღმავლობისა და მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში. რამდენად განიცადა სახალხო სკოლამ პროგრესი სწავლა-აღზრდის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების მხრივ.

საქართველოს დაწყებით სკოლებში, გარდა რუსული ენისა, მშობლიური ენაც ისწავლებოდა, საღვთო სჯულს ორჯერ მეტი დრო ეთმობოდა კვირაში, ვიდრე რუსეთში. ამრიგად, შეუძლებელი ხდებოდა ქართული ენისათვის უფრო მეტი საათების გამოყოფა და ისეთი საგნების სწავლების შემოღება, როგორცაა, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ხელგარჯილობა, ფიზკულტურა, ხატვა.

პროგრამული მოთხოვნები დაწყებითი სკოლის სასწავლო საგნებში შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: მოსწავლეს, რომელიც დაწყებით სკოლას ამთავრებდა, თავისუფლად უნდა სცოდნოდა წერა-კითხვა მშობლიურ და რუსულ ენებზე, საბავშვო სტატიების თარგმნა რუსულიდან ქართულად და პირიქით, წაკითხულის შინაარსის გადმოცემა წერით და ზეპირად ქართულ და რუსულ ენებზე.

არითმეტიკაში პროგრამა ითვალისწინებდა ნუმერაციას და ოთხ არითმეტიკულ მოქმედებას ნებისმიერ რიცხვებზე, სახელდებულ რიცხვებზე არითმეტიკულ მოქმედებათა შესრულების ცოდნას, ამოცანების გამოყვანას წერილობით და ზეპირად, მარტივ წილადებზე გამომანგარიშებათა წარმოებას.

ორკლასიან სასწავლებლებში გეოგრაფია, ისტორია და ბუნებისმეტყველებაც შედიოდა სწავლების კურსში, მაგრამ მათი სწავლება სრულიად მოწყვეტილი იყო ბავშვებისათვისშესაფერის პირობებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

სასწავლო პროგრამები გადატვირთული იყო. უმეტეს შემთხვევაში იგი იმდენად დიდ და რთულ მასალას შეიცავდა, რომ მისი დაძლევა მოსწავლის ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატებოდა.

ქუთაისის რეალური სასწავლებლის, სადაც გიმნაზიებთან შედარებით პროგრამები ნაკლებად იყო გადატვირთული, საგნობრივი კომისიის გამონაგარიშებით, სასწავლებლის მე-4 კლასის მოსწავლეს გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში უნდა შეესწავლა სახელმძღვანელოს ტექსტი 112 გვერდის მოცულობით, 329 წესი, განსაზღვრება და თეორემა, უნდა გამოეყვანა დაახლოებით 1300 ამოცანა და მაგალითი. ასეთივე მდგომარეობა იყო თითქმის ყველა კლასში.

გარდა აღნიშნული საგნებისა, ზოგიერთ სკოლაში, უმთავრესად ორკლასიან სასწავლებლებში, შემოდებული იქნა ხელგარჯილობის სწავლება კლასგარეშე მეცადინეობის სახით. მეცადინეობას უნდა დათმობოდა ყოველდღიურად ორი საათი. უნდა ჩატარებულიყოსაუბრები და ექსკურსიები, ხატვისა და ძერწვის გაკვეთილები, სოფლის მეურნეობაში პრაქტიკული მეცადინეობები.

რა თქმა უნდა, ეს კარგი წამოწყება იყო, მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელება შეუძლებელი შეიქნა. მასწავლებელს ამ ყოველდღიური ორსაათიანი დამატებითი მეცადინეობისათვის არავითარი გასამრჯელო არ ეძლეოდა. ხელგარჯილობა და, საერთოდ, კლასგარეშე მეცადინეობა არ შედიოდა სასწავლო გეგმაში და ამიტომაც სავალდებულო არ იყო. მასწავლებელთა დიდ ნაწილს არ ჰქონდა სათანადო მომზადება. ერთი სიტყვით, არ არსებობდახელსაყრელი პირობები იმისა, რომ შრომა და პრაქტიკული მეცადინეობა ფართოდ დანერგილიყო სკოლაში.

სასწავლო ადმინისტრაცია შრომისა და ხელგარჯილობის მასწავლებელთა მოსამზადებლად მოკლევადიან კურსებს აწყობდა. საოსტატო სემინარებში შრომამ და სხვა სახის პრაქტიკულმა მეცადინეობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, მაგრამ ამ ნაბიჯებს რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

სასწავლო ადმინისტრაციამ მხოლოდ ის შეძლო, რომ 1915 წლისათვის 75-მდე სახალხო სკოლაში დაენერგა შრომისა და პრაქტიკული მეცადინეობის სხვადასხვა სახეობა. შრომა და პრაქტიკული მეცადინეობა არ იყო დაკავშირებული სწავლებასთან. მეცადინეობის ეს ორი სახე სკოლაში პარალელურად და ერთი მეორისაგან

დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. არ ჩანს არავითარი ნიშანწყალი იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგში პრაქტიკულ მეცადინეობას კავშირი ჰქონოდა თეორიულ მომზადებასთან. ეს არც შეიძლებოდა, რადგანაც პროგრამით არ იყო გათვალისწინებული დაწყებით სასწავლებელში ბოტანიკისა და ზოოლოგიის სრულიად ელემენტარული კურსის შესწავლაცკი[108, გვ. 161].

სახალხო სკოლებში ძირითადი სახელმძღვანელოები იყო ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ (I და II ნაწილი), „ბუნების კარი“ და „რუსკოე სლოვო“. ეს სახელმძღვანელოები ნაწილობრივ მაინც ავსებდა ხარვეზებსა და ასწორებდა იმ ნაკლოვანებებს, რაც ოფიციალურ პროგრამებში არსებობდა. ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში შეტანილი იყო სამხარეთმცოდნეო მასალა, გეოგრაფიული და საბუნებისმეტყველო ხასიათის სტატიები, კარგად შერჩეული ცნობები საქართველოს ისტორიიდან და სხვ.

გარდაი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა, ქართულ ენაზე სხვა სახელმძღვანელოებიც არსებობდა. მათ შორის აღსანიშნავია ა. ჭიჭინაძისა და ს. იაშვილის გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, ლ. ჩიმაკაძის, ა. შუბლაძის, ე. ხრამელაშვილისა და ავტორთა ჯგუფის არითმეტიკის სახელმძღვანელოები, ს. ქვარიანის, ს. გორგაძის და დ. კარიჭაშვილის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები და სხვ.

სწავლების ორგანიზაციის ძირითად ფორმას რევოლუციამდე სახალხო სკოლებში გაკვეთილი წარმოადგენდა. მტკიცედ იყო დამკვიდრებული გაკვეთილის ორგანიზაციისა და ჩატარების ერთგვარი შაბლონური სქემა. მასწავლებლისათვის ძალიან ძნელი იყო ამ შაბლონიდან გადახვევა. იმის გამო, რომ მას, როგორც წესი, ერთდროულად სამ განყოფილებასთან უხდებოდა მეცადინეობა და ძალაუნებურად უკვე ერთხელ გაკვალული გზით უნდა ევლო. მასწავლებელს ცოტა დრო ჰქონდა უშუალოდ მოსწავლეებთან საურთიერთოდ. ის მოკლებული იყო საშუალებას ღრმად და საფუძვლიანად აეხსნა მოსწავლეთათვის შესასწავლი მასალა, ამიტომაც მასწავლებელი უმთავრესად დავალების მიცემით, გამოკითხვითა და დავალებათა შესრულების შემოწმებით კმაყოფილდებოდა. მოსწავლეები გაკვეთილზე უფრო მეტად დამოუკიდებლად მუშაობდნენ-ასრულებდნენ სავარჯიშოებს, წერდნენ, იყვანდნენ მაგალითებსა და ამოცანებს.

საკმაოდ ფართოდ იყო დანერგილი სწავლებაში თვალსაჩინოება. მასწავლებელი როგორც წესი, თავს ვალდებულად თვლიდა ეჩვენებინა ბავშვებისათვის ყველაფერი,

რისი ჩვენებაც კი შეიძლებოდა გაკვეთილზე. ამას, სხვათა შორის, „მუნჯური“ მეთოდის გავრცელებამაც შეუწყო ხელი.

ფართოდ იყო გავრცელებული სანიმუშო გაკვეთილების ჩატარებისა და გარჩევის პრაქტიკა. სანიმუშო გაკვეთილები ტარდებოდა მასწავლებელთა მოსამზადებელ მეთოდურ კურსებზე და აგრეთვე სკოლებშიც. გაკვეთილების ნიმუშები ოფიციალურ გამოცემებში ქვეყნდებოდა.

ამრიგად, 1901-1917 წლებში სახალხო სკოლას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. სკოლა არ იყო უზრუნველყოფილი სასწავლო-მატერიალური ბაზით; მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი იყო, მათ უმეტეს ნაწილს სათანადო ზოგადი და პედაგოგიური მომზადება არ ჰქონდა; სახალხო სკოლის სასწავლო გეგმები და პროგრამები პედაგოგიური თვალსაზრისით მიუღებელი და უვარგისი იყო, მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოებით სკოლის უზრუნველყოფის საკითხი კი-მოუგვარებელი. მასწავლებელს ერთდროულად სამ განყოფილებასთან უხდებოდა მუშაობა. ამიტომაც რევოლუციამდე ქართულ პრესაში ხშირად წერდნენ სახალხო სკოლების უნაყოფობის შესახებ. „ათავეს ბავშვი ორ კლასს, – წერდა „სახალხო გაზეთი“, – ხშირად 5, 6, 7 წელიწადსაც სწირავს მოწმობის მიღებას. სწავლების დასრულების დროს იცის რამდენიმე სახელმძღვანელო ზეპირად, მაგრამ ისე უსისტემოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უთავბოლოდ არის შეხობილებული ერთმანეთზე ეს ცოდნა, რომ ორი სამი წლის შემდეგ ამდენი ხნის ნაწვავ-ნადაგი სადღაც ჰქრება“ [143 გვ. 6].

მიუხედავად ამისა, საკვლევ პერიოდში, სახალხო სკოლა მაინც ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. მხოლოდ სკოლა იყო ცოდნისა და განათლების კერა. მართალია, მოსწავლეთა ერთი ნაწილი ივიწყებდა სკოლაში მიღებულ ცოდნას, მაგრამ ნაწილი მაინც ახერხებდა სწავლის გაგრძელებას უფრო მაღალი საფეხურის სკოლებში.

პროფესიული განათლება. პროფტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლების განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში იწყება. ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით არ შევჩერდებით, რადგან ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ შრომებში ფართოდ არის აღწერილი და გამოკვლეული მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების პრობლემები და პერსპექტივები.

1901-1917 წლებში კვლავ აგრძელებს თავის წარმატებულ საქმიანობას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებული წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო

სკოლა (1883 წელი).სკოლა ოთხი მოსამზადებელი განყოფილებისა და ორი სპეციალური კლასისაგან შედგებოდა. სპეციალურ კლასებში ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური საგნები ისწავლებოდა. წესდების მიხედვით სკოლაში იღებდნენ ყველა წოდების, სარწმუნოებისა და ეროვნების ბავშვებს. სკოლასთან არსებობდა პანსიონი, სადაც მოსწავლეებს უფასოდ ეძლეოდათ საჭმელ-სასმელი. სწავლება უფასო იყო. მოსამზადებელ განყოფილებაში ადგილობრივი მცხოვრებლები სწავლობდნენ, სპეციალურ კლასებში კი-საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდები. მოსამზადებელი განყოფილების სასწავლო გეგმაში, დაწყებითი სასწავლებლის კურსისაგან განსხვავებით, დამატებით შეტანილი იყო თვალსაჩინო სწავლება, გეოგრაფია, ისტორია, ხაზვა, ხატვა, გალობა და ფიზიკური შრომა. „სკოლის კურსდამთავრებულები, ჩვეულებრივად, სწავლას აგრძელებდნენ ყირიმში, ე.წ. ნიკიტის მევენახეობა-მეღვინეობის სკოლაში და აგრონომის კვალიფიკაციასაც იღებდნენ. ბევრი მათგანი ისევ უბრუნდებოდა წინამძღვარიანთკარის სკოლას და იქ აგრძელებდა მუშაობას. წინამძღვარიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, დღიდან დაარსებისა 1913 წლამდე 623 მოსწავლე სწავლობდა: მათ შორის, გლეხი – 400; აზნაური – 121; თავადი-50; სასულიერო წოდების – 39“ [149, გვ.109].ამ სკოლის შესახებ საარქივო მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის გაცნობა გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ წინამძღვარიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა რევოლუციამდელ საქართველოში ერთ-ერთი მაღალორგანიზებული სასწავლებელი იყო, რომელიც სპეციალობის (მებაღეობა, მებოსტნეობა, მიწათმოქმედება, მევენახეობა, მეღვინეობა, მესაქონლეობა და სხვ.) გარდა, საფუძვლიან ზოგად განათლებასაც აძლევდა ახალგაზრდებს.

პროფესიული სასწავლებლებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მიწისმზომელთა სასწავლებელი. ამ ტიპის სასწავლებელთა წარმოშობა დაკავშირებული იყო საგლეხო რეფორმასთან და, ამის შედეგად მიწის გამიჯვნის საჭიროებასთან.სასწავლებელში სწავლების ხანგრძლიობა 4 წელი იყო. სასწავლო გეგმა შედარებით კარგად იყო შედგენილი, ისწავლებოდა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო საგნები, ისე სპეციალური დისციპლინები.

გარდა აღნიშნული სასწავლებლებისა, 1901 წლისათვის საქართველოში არსებობდა აგრეთვე სანაოსნო სასწავლებელი ფოთში და 4 დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლა: თბილისის საბაღოსნო სკოლა,მებაღე მუშების სკოლა თბილისის ბოტანიკურ ბაღთან,საქარის სავარჯიშო სკოლა და ქუთაისის დაბალი სამეურნეო სკოლა. ეს სასწავლებლები სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებრივი ორგანიზაციების სისტემაში შედიოდა. გარდა ამისა,

არსებობდა აგრეთვე ქალთა სამი პროფესიული სასწავლებელი, რომლებშიც 118 მოსწავლე ირიცხებოდა [149, გვ.114].

პროფტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა ეს ქსელი იმდენად მცირე იყო, რომ მას ოდნავადაც არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა სასოფლო-სამეურნეო კადრებზე გაზრდილი მოთხოვნილებები. საჭირო შეიქნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძველი სისტემის გარდაქმნა და შეცვლა მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული ახალი სისტემით.

ამას ემატებოდა ის, რომ პროფტექნიკური სასწავლებლები არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო კვალიფიკაციის პედაგოგთა კადრებით, სახელმძღვანელოებით, კარგად შედგენილი პროგრამებით. პროფტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეების როლს ასრულებდნენ უმთავრესად პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებსაც საფუძვლიანი მომზადება არ ჰქონდათ მიღებული. ყველა ამ დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა შორის წესიერად მოწყობილ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებას მხოლოდ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა წარმოადგენდა.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა პროფტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლება საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ნ.თ. რუდოლფი, მეფის მთავრობის უფლებამოსილი პირი, მოველინა კავკასიას სასწავლო ოლქის ხელმძღვანელად. რუდოლფმა თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად „სამრეწველო განათლების“ განვითარება დაისახა. მისი გეგმით დაწყებით სკოლებში კლასგარეშე პრაქტიკული მეცადინეობისათვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ თვითონ მოსწავლეებს. პროფესიული განყოფილებები და კლასები იხსნებოდა ორკლასიან, საქალაქო და უმაღლეს-დაწყებით სასწავლებლებში. პროფესიული კლასებისა და განყოფილებათა შესანახი ხარჯების ერთი ნაწილი ადგილობრივი წყაროებით უნდა დაფარულიყო, ნაწილი კი სახელმწიფოს უნდა გაეღო [104, გვ.53].

ამრიგად, პროფესიული განათლება საერთოდ, პროფტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლება, განსაკუთრებით, სახალხო განათლების ყველაზე უფრო ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა.

პედაგოგიური განათლება. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სახალხო სკოლებისათვის მოსწავლეებს ამზადებდა თბილისის სასულიერო სემინარია, თბილისისა და ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლები და აგრეთვე, ნაწილობრივ, ვაჟთა გიმნაზიები, მაგრამ ეს არ იყო მათი ძირითადი დანიშნულება. მოსწავლეებელთა მომზადება სასულიერო სემინარიისა, ვაჟთა გიმნაზიებისა და ქალთა

სასწავლებლებისათვის მეორეხარისხოვანი საქმე იყო. ესეც არ იყოს, მათ არც ჰქონდათ სათანადო პირობები მასწავლებელთა მოსამზადებლად და არც იყო შემუშავებული პედაგოგთა კადრების მომზადების გარკვეული სისტემა. ცხოვრება, ახალი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება გადაჭრით მოითხოვდა სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნას, სკოლებში სწავლა-აღზრდის ახლებურად წარმართვას და ისეთ მასწავლებლებს, რომლებსაც ექნებოდათ დროის შესაფერისი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

მიუხედავად კონსერვატიული ძალების წინააღმდეგობისა, განათლებისადმი პროგრესულმა მიდგომამ მაინც თავისი გაიტანა და აუცილებელი შეიქნა სპეციალურ პედაგოგიურ სასწავლებელთა დაარსება, მასწავლებელთა მომზადების საქმის მოწესრიგება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები XIX საუკუნის 60-იან წლებში გადაიდგა.

საქართველოში პირველი სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელი 1866 წელს გაიხსნა. ეს იყო ქ. თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა. მალე ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა რეორგანიზებულ იქნა სამასწავლებლო ინსტიტუტად. სამასწავლებლო ინსტიტუტს დაეკისრა მასწავლებელთა მომზადება საქალაქო სასწავლებლებისათვის.

„თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტმა, რომელიც მთელ კავკასიას ემსახურებოდა, 1915 წლამდე 690 მასწავლებელი გამოუშვა (14 მასწავლებელი საშუალოდ წელიწადში). მათ შორის: რუსი – 471; ქართველი – 172; სომეხი – 68; აზერბაიჯანელი – 13; მთიელი – 14; სხვა ეროვნების – 80. რა თქმა უნდა, მასწავლებელთა ეს რაოდენობა სრულად ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. 1913–1915 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქში საჭირო იყო დაახლოებით 250 ახალი მასწავლებელი სამასწავლებლო ინსტიტუტის განათლებით“ [109, გვ. 98].

დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების საქმეს საქართველოში ემსახურებოდა გორისა და ხონის საოსტატო სემინარიები. „გორის საოსტატო სემინარია გაიხსნა 1876 წლის პირველ სექტემბერს. მას მასწავლებლები უნდა მოემზადებინა ამიერკავკასიის დაწყებითი სკოლებისათვის და ამიტომაც „ამიერკავკასიის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია“ ეწოდებოდა. მასჰქონდა ჰკურსი, სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. ცალკე საგნებად ისწავლებოდა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენები. სემინარიასთან არსებობდა ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული დაწყებითი სკოლები, სადაც სემინარისტები პედაგოგიურ პრაქტიკას გადიოდნენ. სემინარიას ჰქონდა ორი

საცხოვრებელი პანსიონი - ქრისტიანი და მუსულმანი მოსწავლეებისათვის. გორის საოსტატო სემინარიაში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ვაჟა-ფშაველა, ნიკო და თედო რაზიკაშვილები, ლადო აღნიაშვილი, ნიკო ჯანაშია და სხვები. სემინარია დაიხურა 1918 წელს.

ხონის საოსტატო სემინარია გაიხსნა 1881 წლის 15 ოქტომბერს. მას ოფიციალურად ქუთაისის საოსტატო სემინარია ეწოდებოდა. სასწავლებელში სწავლა-აღზრდის პროცესი უფრო გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც სემინარიის დირექტორად ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე დაინიშნა.

ა. ჭიჭინაძე 1905 წლის ზაფხულში შეუდგა ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორის მოვალეობის შესრულებას და მუშაობდა ამ თანამდებობაზე 1914 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ხონის საოსტატო სემინარია არსებითად შეიცვალა. მან მიიღო სანიმუშოდ ორგანიზებული, ნამდვილი პედაგოგიური სასწავლო დაწესებულების სახე. ა. ჭიჭინაძემ დაამკვიდრა სემინარიაში ახალგაზრდა მასწავლებელთა აღზრდის მწყობრი პედაგოგიური სისტემა, განამტკიცა დისციპლინა და წესრიგი, გარდაიქმნა სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობა, შეიქმნა ჯანსაღი ატმოსფერო და ნორმალური პირობები. სემინარია მხოლოდ სოფლის სკოლებით არ შემოიფარგლებოდა და ფართოდ ეხმარებოდა პედაგოგიკური მეცნიერების თეორიასა და პრაქტიკაში წამოჭრილ პრობლემებს. კავკასიის სასწავლო ოლქის დავალებით თუ საკუთარი ინიციატივით, სემინარიაში ხშირად ეწყობოდა მასწავლებელთა სხვადასხვა სახის შეკრებები და თეორიულ-პრაქტიკული კურსები, ახალი სახელმძღვანელოების განხილვა, მსჯელობა სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე.

ალ. ჭიჭინაძემ ჩაუყარა საფუძველი გამოცდილი, კვალიფიციური მასწავლებლის მიერ ახალ, დამწყები პედაგოგებისათვის საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკას, სემინარიასთან არსებულ დაწყებით სანიმუშო სკოლაში პასიურ პრაქტიკას გადიოდნენ ისინი, ვინც სოფლის მასწავლებლის წოდების მისაღებად ემზადებოდნენ, ხოლო ასეთ წოდებას სწორედ სემინარია ანიჭებდა საკმაოდ მკაცრი გამოცდების შემდეგ. გამოცდებს ატარებდა პედაგოგიური საბჭო სრული შემადგენლობით. სოფლის სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის წოდების მინიჭება ხდებოდა პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით. ასე, მაგალითად, 1909 წელს გამოცდაზე გავიდა ათი კურსდამთავრებული, მათგან მასწავლებლის წოდება მიენიჭა – რვას. ორს, სუსტი მომზადების გამო, უარი ეთქვა [199. ფურც.1].

1911 წელს ალ. ჭიჭინაძის ინიციატივით სემინარიასთან არსებული დაწყებითი სკოლებისათვის შედგენილ იქნა კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციის პროგრამა,

რომელიც სანიმუშო უნდა გამხდარიყო დაწყებითი სასწავლებლებისათვის. პროგრამა შეადგინა სპეციალურმა კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: ალ. ჭიჭინაძე (თავმჯდომარე), ფ. ს. იანოვიჩი, ლ. ა. ჩიმაკაძე და ა. ჯ. გოგუაძე.

მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვა ორ სახეობად იყოფოდა: 1) მასწავლებლის მიერ კითხვა კლასში (საკლასო კითხვა) და 2) მოსწავლეთა მიერ კითხვა სახლში (საშინაო კითხვა).

პროგრამაში დეტალურადაა მოცემული წასაკითხი მასალის დასახელება, მოცულობა, განრიგი და ა. შ. განხილულია კლასგარეშე კითხვის მეთოდის ძირითადი საკითხები [197, ფურც. 2–4].

კავკასიის სასწავლო ოლქმა ხონის სემინარიას დაავალა შეემუშავებინა სპეციალური პროგრამა და ხელმძღვანელობა გაეწია დაწყებითი სკოლის ხელით შრომის მასწავლებლების კურსებისათვის, რომელიც 1911 წლის ზაფხულში უნდა მოწყობილიყო ხონში.

1901 წლიდან 1915 წლამდე მოსწავლეთა რაოდენობა საოსტატო სემინარიებსა და სამასწავლებლო ინსტიტუტში გაიზარდა 238–დან 350–მდე. ამავე პერიოდში სოხუმში გაიხსნა ახალი საოსტატო სემინარია, რომელშიც 1915 წელს ირიცხებოდა 23 მოსწავლე. ამით ამოიწურა მთელი ის მუშაობა, რაც თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდში ჩატარდა საქართველოში პედაგოგიური სასწავლებლების ქსელის შექმნისა და გაფართოების მიმართულებით. ყველა ამ დაწესებულებას წლის განმავლობაში შეეძლო გამოემვა სულ დიდი 70–80 ახალგაზრდა მასწავლებელი, რაც, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გორის საოსტატო სემინარია და ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტი მარტო საქართველოსათვის კი არ ამზადებდა მასწავლებელთა კადრებს, არამედ მთელი ამიერკავკასიისათვის [200, ფურც. 1–3].

საოსტატო სემინარიებში ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა სიტყვიერების მოკლე კურსით, პედაგოგიკა, ადგილობრივი ენები, არითმეტიკა და გეომეტრია სწავლების მეთოდის მხრივ, რუსეთის ისტორია და მსოფლიო ისტორიის მოკლე კურსი, რუსეთისა და მსოფლიო გეოგრაფია სწავლების მეთოდის მხრივ, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, სუფრა წერა, სიმღერა, ხელგარჯილობა, ხატვა, ტანვარჯიში, პრაქტიკული მეცადინეობა.

პედაგოგიკის ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებულ სახელმძღვანელოს ძველად კ. სმირნოვის „პედაგოგიკის კურსი“ წარმოადგენდა. ეს კურსი მოწონებული და რეკომე-

ნდებულები იყო სინოდისა და განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტების მიერ სახელმძღვანელოდ ყველა იმ სასწავლებლისათვის, სადაც პედაგოგიკა ისწავლებოდა. თუმცა პედაგოგიკის ეს კურსი ვერ უზრუნველყოფდა მომავალი მასწავლებლების საფუძვლიან თეორიულ-პედაგოგიურ მომზადებას.

საოსტატო სემინარიების მუშაობის საერთო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პედაგოგიურ პრაქტიკას. სემინარიელთა პრაქტიკა იწყებოდა მეორე კურსზე და მთავრდებოდა მესამეზე. პედაგოგიურ პრაქტიკას სემინარიელები გადიოდნენ სემინარიასთან არსებულ დაწყებით სკოლაში. პრაქტიკის პროგრამაში შედიოდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მუშაობის შესწავლა, სანიმუშო გაკვეთილების მოსმენა, საცდელი და დამოუკიდებელი გაკვეთილების მომზადება და ჩატარება, სანიმუშო საცდელი და დამოუკიდებელი გაკვეთილების გარჩევაში მონაწილეობა, პედაგოგიური პრაქტიკის დოკუმენტების(გაკვეთილების გეგმა, კონსპექტის, გაკვეთილების გარჩევის ოქმი და სხვა) გაფორმება. გორის საოსტატო სემინარიაში, სემინარიელებს ევალებოდათაგრეთვე დაწყებითი სასწავლებლის სახელმძღვანელოების ანალიზი და გარჩევა [199, ფ.8–10].

საოსტატო სემინარიების სწავლების კურსში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფიზიკურ შრომას. ხონის საოსტატო სემინარიის მოსწავლეები პრაქტიკულად სწავლობდნენ ხის მასალის დამუშავებას, ძერწვას, მუყაოზე მუშაობას, მავთულისაგან ნაკეთობის დამზადებას, წვნას, ხეზე ამოწვასა და სხვ. აქედან მთავარი ყურადღება ექცეოდა ხის მასალაზე მუშაობას. მასში შედიოდა დურგლობა და ხარატობა. სემინარიელები აკეთებდნენ საოჯახო და სასკოლო მოხმარების საგნებს, ავეჯს, სასწავლო ხელსაწყოებს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს.

გარდა ამისა, ისინი მუშაობდნენ სემინარიის მიწის ნაკვეთზე, პრაქტიკულად სწავლობდნენ მებოსტნეობას, მებაღეობას, მევენახეობას, სამკურნალო მცენარეთა მოშენებას, მეფუტკრეობას. ამას, უდაოდ, ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა მომავალი მასწავლებლების უკეთ მომზადების თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში, სემინარიის მოსწავლეები იმდენ მომზადებას იღებდნენ პრაქტიკულ შრომა-საქმიანობაში, რომ მათ შეეძლოთ სათანადო ხელმძღვანელობა გაეწიათ ამ სახის სწავლებისათვის დაწყებით სასწავლებლებში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სახალხო განათლება. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინა პერიოდში საქართველოში 30-მდე კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება არსებობდა. ყველა ეს ორგანიზაცია, შესაბამისად თავისი ამოცანებისა,

გარკვეულ მუშაობას ეწეოდა და ამით ერთგვარი წვლილი შეჰქონდა ეროვნული კულტურის განვითარებასა და ხალხში განათლების გავრცელების საქმეში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ისახავდა სახალხო სკოლების გახსნას, არსებული სკოლებისათვის დახმარების გაწევას და, ამ გზით, ცოდნისა და განათლების გავრცელებას ხალხში. ამასთანავე, საზოგადოება თავიდანვე ცდილობდა მის მიერ დაარსებულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა აეგო ეროვნულნიაცადაგზე და წარემართამეცნიერულ საფუძველზე.

ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდ მუშაობას ეწეოდა ქართული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის დარგში. დღიდან დაარსებისა 1920 წლამდე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გამოუცია სულ 253 სახელწოდების წიგნი. გარდა ამისა, საზოგადოების ქუთაისის ფილიალის სტამბაში 1913 წლიდან 1920 წლამდე დაიბეჭდა 126 სახელწოდების წიგნი. მაშინდელი პირობების კვალობაზე გამოცემული წიგნების ეს რაოდენობა მცირე როდია [116, გვ. 43].

საზოგადოება „განათლება“. რევოლუციამდელ საქართველოში არსებულ კულტურულ – საგანმანათლებლო საზოგადოებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი საზოგადოება „განათლებას“ ეჭირა. ეს საზოგადოება ჩამოყალიბდა 1908 წელს და არსებობდა 1921 წლამდე.

პროფესორი ს. სიგუა თავის ნაშრომში, „ ნარკვევები სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ იდეათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში“, ყურადღებას ამახვილებს ამ საგანმანათლებლო კერის საქმიანობასა და მისი დამფუძნებლის, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის,დამსახურებაზე ახალი სკოლისათვის ბრძოლის საქმეში.

სწავლება საზოგადოება „განათლების“ ყაზბეგის სკოლაში ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რაცმაშინ აკრძალული იყო.

1908–1909 წელს სკოლა შედგებოდა 3 მოსამზადებელი განყოფილებისა და ერთი პროგიმნაზიული კლასისაგან. მოსწავლეთა რაოდენობა იყო სულ 85. აქედან პირველ პროგიმნაზიულ კლასში – 30.

1911-1912 სასწ. წელს ამ სკოლას ჰქონდა სამი მოსამზადებელი განყოფილება და ოთხი პროგიმნაზიული კლასი. ირიცხებოდა სულ 165 მოწაფე. აქედან პროგიმნაზიულ კლასებში – 102; IV კლასი ამ წელს დაამთავრა 13 მოსწავლემ. ამ წლის საანგარიშო

მოსხენებაში ვკითხულობთ: „...როგორც ყოველთვის უპირველესი ადგილი სასწავლებლის პროგრამაში უჭირავს ქართულ ენას, სამშობლოს გეოგრაფიასა და ისტორიას, აგრეთვე დიდი ყურადღება მიქცეული ბუნებისმეტყველებაზე, სწავლობენ ზოოლოგიას, ბოტანიკას, ანატომიას, მეოთხე კლასი გადისაგრეთვე ჰიგიენას“[147, გვ. 175].

1913 წლიდან საზოგადოება „განათლების“ სკოლაში გაიხსნა პროფესიული განყოფილება ანუ სკოლა, სადაც ლებულობდნენ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც პროგიმნაზია დაამთავრეს. პროფესიულ სკოლას ჰქონდა განყოფილებები: ტანსაცმლის, თეთრეულის, კალათების წვნის და წინდების ქსოვის. სკოლაში დამზადებული პროდუქციის გაყიდვით თითქმის იფარებოდა სკოლის (სახელოსნოს) ხარჯები.

„საზოგადოება „განათლების“ განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან შეძლო დაეარსებინა პირველი ქართული საოსტატო სემინარია. კერძო საოსტატო სემინარიის დაარსება მაშინდელ პირობებში იმდენად რთულიყო, რომ ამ საქმეს ხელი ვერ მოჰკიდა თვით ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამაც კი, რომელსაც გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ვიდრე „განათლებას“[150, გვ. 177].

ქართული საოსტატო სემინარიის დაარსებას იმ დროს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დაწყებითი სკოლების რიცხვი იზრდებოდა, მაგრამ მასწავლებლებს ამ სკოლებისათვის არსებითად არავინ ამზადებდა. ამას ყურადღება პირველად საზოგადოება „განათლებამ“ მიაქცია და პრაქტიკულად გადადგა კიდეც სათანადო ნაბიჯები. ყოველ შემთხვევაში, ისტორიული ფაქტია, რომ ქართული საოსტატო სემინარია შეიქმნა ანასტასია მიხეილის ასულ თუმანიშვილ–წერეთლის ინიციატივითა და ქართველ მოწინავე ქალთა მონაწილეობით.

საზოგადოება „სინათლე“. ეს საზოგადოება 1915 წელს ჩამოყალიბდა ქ. ქუთაისში. საზოგადოება „სინათლის“ გამგეობაში, რომელიც 1915 წლის 3 აგვისტოს იქნა არჩეული საზოგადოების წევრთა დამფუძნებელ კრებაზე, შედიოდნენ: კ. აბაშიძე (თავმჯდომარე), ი. ოცხელი (თავმჯდომარის ამხანაგი), ა. ლორთქიფანიძე, პ. ყიფიანი, ო. იოსელიანი, სპ. ლეკვეიშვილი, ნ. ს. ხუნდაძე. საზოგადოება ამოცანად ისახავდა ქართული ქალთა საშუალო სკოლის შექმნას. საზოგადოება „სინათლემ“ თავისი სკოლა ჩამოაყალიბა და გახსნა 1915 წლის სექტემბერში. სკოლაში პირველად შეიქმნა ორი მოსამზადებელი და ერთი პირველი პროგიმნაზიული კლასი. სკოლის გამგედ არჩეული იქნა ცნობილი ქართველი პედაგოგი, შემდეგში გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე.

საზოგადოება „სინათლეს“ თვითმპყრობელობის პერიოდში ცოტა ხანს მოუხდა მუშაობა და ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ის შეძლო, რომ დააარსა სკოლა და შეიმუშავა ამ სკოლის სასწავლო და სააღმზრდელო მუშაობის სისტემა. ამ სისტემის თეორიული საფუძვლები გაშუქებულია დ. უზნაძის მოხსენებაში სწავლების ორგანიზაციის შესახებ და მის მიერ შედგენილ საზოგადოება „სინათლის“ ქალთა სასწავლებლის 1915–1916 სასწავლო წლის ანგარიშში.

დ. უზნაძე ასაბუთებს მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობასა და მნიშვნელობას, იცავს ფართო ზოგადი განათლების პრინციპს, არკვევს პროფესიული და ზოგადი განათლების ურთიერთობის საკითხებს, მოითხოვს სკოლის მტკიცე კავშირს ცხოვრებასთან, თანადროულობასთან. მას აუცილებლად მიაჩნია ფსიქოლოგიის, ეთიკის, ელემენტარული ჰიგიენის, ფიზიკური ვარჯიშისა და ხელსაქმის შეტანა სწავლების კურსში. დ. უზნაძე აყენებს და იცავს შეგნებულობის, სისტემატურობისა და თანამიმდევრობის, მისაწვდომობის, თვალსაჩინოებისა და ცოდნის მტკიცედ შეთვისების დიდაქტიკურ პრინციპებს.

დ. უზნაძე აუცილებლად თვლიდა ქალთა შვიდკლასიან საშუალო სკოლაში ორი დამატებითი კლასის გახსნას. მისი გეგმით, ამ დამატებით კლასებში მოსწავლეები უნდა გაცნობოდნენ სოციალური და ოჯახური ცხოვრების საფუძვლებს. ამ მიზნით, დამატებით კლასებში უნდა ესწავლებინათ: პედაგოგიკა, ბავშვთა ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია (პედოლოგია), ოჯახური აღზრდის ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიური გეოგრაფია, კანონმდებლობა, მეოჯახეობა, ბუღალტერია, ჭრა–კერვა და სხვ.

სწავლა–აღზრდის სისტემა, რომელსაც დ. უზნაძე იცავდა და რომელიც საფუძვლად დაედო საზოგადოება „სინათლის“ სკოლის მუშაობას, უნაკლო არ არის. ეს გარემოება სამართლიანად აღნიშნა და გააანალიზა თავის დროზე ლ. ბოცვაძემ. მიუხედავად ამისა, საზოგადოება „სინათლის“ სკოლის მუშაობა პროგრესულ პედაგოგიურ საფუძველს ემყარებოდა და მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა ახალი სკოლისათვის ბრძოლის ისტორიაში.

სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება. თბილისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება დაარსდა 1907 წელს. საზოგადოება თავის ამოცანად ისახავდა სწავლა–განათლების გავრცელებას ხალხში. ამ მიზნით საზოგადოების წესდება ითვალისწინებდა სახალხო უნივერსიტეტის დაარსებას, ლექციების ჩატარებას, ზოგადი განათლებისა და პროფესიული კურსების გახსნას და სხვ. საზოგადოების გამგეობა არჩეულ იქნა 1907 წლის 11 თებერვალს. გამგეობასთან ჩამოყალიბდა ქართული,

რუსული, სომხური, თათრული და ოსური სექციები. თითოეულ სექციას თავისი გამგეობა ჰყავდა.

თბილისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ დააარსა ქართული, რუსული, სომხური, თათრული და ოსური ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს სკოლები მოზრდილთათვის. ქართული სკოლა 1907 წელს გაიხსნა გოგოლის ქუჩაზე. სკოლაში სწავლობდა 42 ვაჟი და 12 ქალი (მუშები, მოსამსახურეები, ნოქრები და ა.შ.). სკოლაში ისწავლებოდა მშობლიური ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, ევროპული ენები, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, ისტორია. მოწაფეები იხდიდნენ სასწავლო გადასახადს 30 კაპიკს თვეში. 1908 წელს ქართულ სკოლას სამი განყოფილება ჰქონდა. სკოლაში ირიცხებოდა 168 მოწაფე.

საზოგადოების შემოსავლის წყაროს შეადგენდა: საწევრო გადასახადი, ლექციების, კონცერტებისა და სხვა სანახაობათა შემოსავალი, შემოწირულობები და ქალაქის თვითმმართველობის სუბსიდია (300 მანეთი წელიწადში).

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება დაარსდა 1909 წელს. საზოგადოების გამგეობის პირველი თავმჯდომარე იყო მოსე ქიქოძე, მისი ამხანაგი – ა. გარსევანიშვილი, მდივანი – დ. უზნაძე. ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი გაიხსნა 1910 წლის 31 იანვარს.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებამ სოფ. მუხიანში დააარსა საკვირაო სკოლა და ქ. ქუთაისში საღამოს კურსები. მუხიანის საკვირაო სკოლაში მოხსენებები იკითხებოდა მეცნიერულ ცოდნათა სხვადასხვა დარგიდან. საღამოს კურსებზე კი ისწავლებოდა ქართული და რუსული ენები, ბუნებისმეტყველება, არითმეტიკა, გალობა და სხვა საგნები. სახალხო უნივერსიტეტები არსებობდა აგრეთვე გორსა და ჭიათურაში. თბილისისა და ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტები ატარებდნენ ლექციებსა და გამოდიოდნენ მოხსენებებით ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში.

ამრიგად, როგორც ზემოთაღნიშნულიდან ჩანს, საქართველოში სახალხო განათლების ქსელის განვითარების საერთო მაჩვენებლები 1900 წლიდან 1915 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა. რუსეთის პირველმა რევოლუციამ და იმ ფაქტმა, რომ ამ პროცესში სახალხო განათლების საკითხებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა, აიძულა მთავრობა დაესვა საკითხი საყოველთაო-დაწყებითი განათლების შესახებ, მნიშვნელოვნად გაედიდებინა დაწყებითი სკოლების რიცხვი, ყურადღება მიექცია უფრო მაღალი საფეხურის სკოლების ქსელის გაფართოებისათვის, პროფესიული განათლების, პედაგოგთა კადრების მომზადებისა და სწავლა-აღზრდის საქმის ახლებურად მოწყობისათვის.

§ 2. ახალი პედაგოგიკური იდეების გავრცელება საქართველოში (თავისუფალიაღზრდის თეორია, შრომის სკოლის საკითხები, ექსპერიმენტული პედაგოგიკა)

მეოცე საუკუნის დასაწყისში ფართოდ განვითარდა აზრი თვითმპყრობელო სკოლის უვარგისობისა და ახალი სკოლის, სწავლა-აღზრდის ახალი სისტემის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ამ დროის საზოგადო მოღვაწეთა ერთი ნაწილი ძირითადად მოითხოვდა არა სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის რადიკალურად შეცვლას, არამედ სასკოლო რეფორმის გატარებას, მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებას, როზგისა და პოლიციური დისციპლინის სკოლებიდან განდევნასა და პოლიტიკისაგან სკოლის ჩამოშორებას [136,გვ.154].

პროგრესულ-პედაგოგიურ შეხედულებათა განვითარებისა და გავრცელების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ქართველი ინტელიგენციის უდიდესმა წარმომადგენლებმა – მწერლებმა და პედაგოგებმა: ი. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, ნ. ცხვედაძემ, ი. ყიფშიძემ, ი. წინამძღვრიშვილმა, შ. ჩიტაძემ, ლ. ბოცვაძემ, ი. როსტომაშვილმა, ალ. ჭიჭინაძემ, ი. ოცხელმა, ი. ნაკაშიძემ, მეცნიერებმა: ივ. ჯავახიშვილმა, პ. მელიქიშვილმა, დ. უზნაძემ, სახალხო მასწავლებლებმა: იასონ კაპანაძემ, ივ. გომელაურმა, ილ. გოგიამ, ლ. ბზვანელმა, ვარლამ ბურჯანაძემ და სხვ.

იკვლევდნენ რა რუსეთის, ამერიკისა და ევროპული ქვეყნების უახლოეს მიმდინარეობებს სახალხო განათლების დარგში, ისინი პედაგოგიური დისკუსიების გამართვის, საჯარო ლექციების მოწყობის, პედაგოგიკურ იდეათა პროპაგანდის, თეორიულ-პედაგოგიკური და პრაქტიკული მუშაობის გაშლის მიზნით მასებისა და სახალხო განათლების მუშაკთა ყურადღებას ამახვილებდნენ სწავლა-აღზრდის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაზე.

ქართველი პედაგოგები გადაჭრით მოითხოვდნენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებას საშუალო სკოლის ფარგლებში (7– 17 წლამდე), ორივე სქესის ბავშვთათვის მშობლიურ ენაზე სწავლა-აღზრდის შემოღებას, ფიზიკური სასჯელის სკოლებიდან განდევნას და სხვ.რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მოითხოვდა: 1) ხალხის გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას, 2) ბავშვის სულისა და სხეულის ჰარმონიულ განვითარებას, 3) ქალ-ვაჟთა თანასწორ აღზრდას, 4) სკოლებიდან უსაქმურობისა და გარყვნილების უკუგდებას, 5) სარწმუნოებრივ-რელიგიური სწავლა-აღზრდის მოსპობას, 6) სკოლაზე დემოკრატიისა

და არა ბიუროკრატიის ხელმძღვანელობას და ა. შ. სკოლა უნდა ყოფილიყო საერო, საზოგადო განათლების მიმცემი ორივე სქესის ბავშვთათვის, აგებული რეალურ ნიადაგზე [106, გვ. 142–148].

1908 წელს ქუთაისის მაზრაში მოწვეული იქნა დაწყებითი სახალხო სკოლების მასწავლებელთა შეკრება, რომელმაც მთავრობის კატეგორიული აკრძალვის მიუხედავად გამოიტანა დადგენილება „ყველა საგნების ქართულ ენაზე სწავლების შემოღებისა“ და პროგრამის შეცვლის აუცილებლობის შესახებ“.

1909–1914 წწ. „ახალი სკოლის“ პედაგოგიურ შეხედულებათა განვითარებასთან ერთად, ქართული ინტელიგენციის ერთ ნაწილში საკმაოდ ვრცელდებოდა ე. წ. „მოქმედების სკოლის“ იდეა, რის მიხედვითაც სწავლების პროცესში განსაკუთრებული ადგილი ხატვა–ხაზვას, ძერწვას, სიმღერა–მუსიკას, დრამატიზაცია–ილუსტრაციასა და სხვა ანალოგიურ საქმიანობას უნდა დაეჭირა. ამგვარ შეხედულებათა გავლენით ქართულ პრესაში 1914–1916 წლებში ვხვდებით „აქტიურ მოქმედებათა“ იდეალიზაციის ტენდენციებს და ძველი სკოლების კრიტიკას „ახალი სკოლის“ სასარგებლოდ.

ასეთ ახალ სკოლად, პედაგოგთა ერთ ჯგუფს მიაჩნდა „მოქმედების სკოლა“, სადაც ბავშვები შორიდან კი არ შეხედავდნენ საგნებსა და მოვლენებს, არამედ გრძნობათა ორგანოების განვითარებისა და შთაბეჭდილებათა გამდიდრების მიზნით, თვით მიიღებდნენ სასკოლო შრომაში (ნაკვეთზე მუშაობა, შრომა, ხაზვა–ხატვა, ცეკვა–სიმღერა და სხვ.) აქტიურ მონაწილეობას.

XX საუკუნის დასაწყისში ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას განსაკუთრებით ემჩნევა ახალი სკოლის, შრომის სკოლის, პრაგმატისტული პედაგოგიკის, ექსპერიმენტალური პედაგოგიკისა და სხვა მიმდინარეობათა გავლენა.

ამ პერიოდის პედაგოგიკაში თანდათან მკვიდრდება „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის, შრომის სკოლისა და ექსპერიმენტული პედაგოგიკის პრინციპები.

„თავისუფალი აღზრდის“ თეორია ფართოდ გავრცელდა რუსეთში XX საუკუნის დასაწყისიდან. მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ კ. ნ. ვენტცელი (1857–1947) და ი. ი. გორბუნოვ–პოსადოვი (1864–1940). „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის მიმდევრებმა 1907 წელს დააარსეს თავიანთი ჟურნალი „სვობოდნოე ვოსპიტანიე“, გახსნეს მოსკოვში „თავისუფალი აღზრდის სახლი“. ტარდებოდა ყრილობები „თავისუფალი აღზრდის“ საკითხებზე, იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა წიგნები ამავე თემებზე.

„თავისუფალი აღზრდის“ თეორიის მომხრეთა და მიმდევართა შორის აღზრდის სისტემის პრინციპულ საკითხებში აზრთა მნიშვნელოვან განსხვავებასაც იყო. საქართველოში „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის პროპაგანდისტად ჟურნალი „განათლება“ და მისი რედაქტორ–გამომცემელი ლ. ბოცვაძე გამოდიოდა.

აღზრდის ძველი სისტემის ძირითადი პრინციპი, წერს ლ. ბოცვაძე, არის მოსწავლის მორჩილება ავტორიტეტისადმი. „ავტორიტეტის პრინციპს საფუძველი აქვს ბავშვის ბუნებრივ დამოკიდებულებაში უფროსებთან და აღმზრდელებთან... ავტორიტეტის პრინციპი ყურადღებას არ აქცევს ბავშვის ნებას, ის ისე ეპყრობა ბავშვს, როგორც უსულო საგანს [103, გვ.118–119].

ლ. ბოცვაძე, გამომდინარე „თავისუფალი აღზრდის თეორიიდან“, აღმზრდელის ავტორიტეტისადმი მორჩილების პრინციპს უპირისპირებს ბავშვის ყოველმხრივ თავისუფალ, ინდივიდუალურ განვითარებას. ამ პრინციპის არსი, ლ. ბოცვაძის აზრით, ბავშვის ბუნების, მისი ზოგადკაცობრიული და ინდივიდუალური თავისებურების პატივისცემაში მდგომარეობს. ბავშვს, მისი ბუნების თანახმად, ნებაყოფლობით უნდა ასწავლონ ისეთი საგნები, რომლებიც არ არის მოსაწყენი მისთვის. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის გრძნობათა ორგანოებისა და კუნთების, თვითმოქმედებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას. ბავშვს უნდა აღუძრათ მოთხოვნილება იმისათვის, რომ ყველაფერი საკუთარი თვალთ დაინახოს, არ დაკმაყოფილდეს სხვისი ცდით, მოძებნოს პასუხი ყოველ საკითხზე საკუთარი ღონისძიებით და ა. შ.

ბავშვთა შრომითი აღზრდის პედაგოგიკურ იდეას აყენებდნენ და იცავდნენ ჯერ კიდევ ჯონ ბელერსი, ჟან-ჟაკ რუსო, ჰენრიხ პესტალოცი და რობერტ ოუენი. ამათგან პესტალოცი და რ. ოუენი შრომით აღზრდას პრაქტიკულადაც ატარებდნენ ცხოვრებაში.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში შრომითი აღზრდის იდეამ ფართო გავრცელება ჰპოვა და საკმაოდ პოპულარული გახდა. შრომითი აღზრდის თეორეტიკოსებად უკანასკნელ პერიოდში გამოდიოდნენ გ. კერშენშტეინერი, ვ. ლაი, ჯ. დიუი, რ. ზეიდელი, გ. შარელმანი და სხვ.

შრომითი აღზრდა პროგრესული მოვლენა იყო, ემსახურებოდა სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის საღ პედაგოგიურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეს.

საქართველოში შრომითი აღზრდის იდეა გავრცელდა XX საუკუნის ათიანი წლების დასაწყისიდან. ამ თემას მიეძღვნა მრავალი წერილი და სტატია, გამოქვეყნებული მაშინდელ ჟურნალ–გაზეთებში. შრომითი აღზრდის იდეასა და სწავლებაში შრომის ელემენტების შეტანის აუცილებლობას იცავდნენ და ასაბუთებდნენ

ლ. ბოცვაძე, ა. ჭიჭინაძე, დ. უზნაძე დასხვები. ლ. ბოცვაძეს შრომის საზოგადოებრივი როლი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა შესანიშნავად აქვს დასაბუთებული წერილებში „შრომა და მისი მნიშვნელობა“, „მომავლის სკოლა შრომისა და მუშაობის სკოლა იქნება“, „სახალხო სკოლის პროგრამა“, „სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება“.

„შრომას უაღრესად დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. შრომის პროცესში ბავშვი ეცნობა გარემო სინამდვილეს, საზოგადოებრივ ცხოვრებას, შეგნებულად იძენს ათასნაირ ჩვევას. აქვე სწავლობენ ისინი ურთიერთდახმარებასა და თავისი და სხვისი სურვილების გაფრთხილებას, დაქანცულთა გამხნევებას, სულმოკლეთა და სასოწარკვეთილთა აღფრთოვანებას. ბავშვები თამაშობაშივე სწავლობენ შეერთებულად მისწრაფებას, ერთად თანხმობით შეკავშირებას და თავისუფალ მორჩილებას“ [107, გვ. 401].

გამოჩენილი ქართველი პედაგოგები ა. ჭიჭინაძე და დ. უზნაძე შრომის შეტანას სწავლების კურსში განიხილავდნენ, როგორც სწავლების უაღრესად მნიშვნელოვან მეთოდს.

ა. ჭიჭინაძის აზრით, რაც უდაოდ მართებულია, „...ყოველი საგნის სწავლება უნდა წარმოებდეს იმგვარად, რომ რასაც უხსნიან მოსწავლეს, რამდენადაც კი შესაძლებელია, განსახიერებელი, ნივთიერად გამოხატულ იქნეს მოწაფის შრომით. ამისათვის ფრიად საჭიროა დაარსებულ იქნეს სასწავლებელში ხელგარჯილობის კლასი... გამოსახვა ამა თუ იმ ნივთიერის, საგნის ან განხორციელება რომელიმე წარმოდგენისა აუცილებლად მოითხოვს მოფიქრებას, მოსაზრებას, რაც დაუკვირებლად, შეუდარებლად შეუძლებელია. ამ მოფიქრება–მოსაზრების დროს სულიერად ვითარდება მოწაფე. იგი იჩენს ყურადღებას საგნისადმი, ავარჯიშებს მეხსიერებას და სხვადასხვაგვარ გრძნობათა“ [203, გვ. 102].

დ. უზნაძეც ასეთივე თვალსაზრისით უდგება შრომის როლსა და მნიშვნელობის შეფასებას სწავლებასა და აღზრდაში. „იდეას, – წერდა დ. უზნაძე, – ხელმა უნდა მისცეს გამოხატულება. ბუნებისმეტყველების სფეროში ეს... უნდა ხდებოდეს ბაღში, ბოსტანში, სამზარეულოში, ხის მასალაზე და ლითონზეც, ხოლო ჰუმანიტარულ სფეროში ხატვის, ძერწვის და ჭრა–კერვის საშუალებით. სამზარეულომ და ბაღმა შეიძლება აქაც დახმარება გაგვიწიოს, აგრეთვე დურგლობამაც. ერთი სიტყვით, პრინციპი ერთია: რაც ბავშვს შეათვისებინე, ის უსათუოდ საქმეში გააკეთებინე. ამას სხვა მხრივაც მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უმთავრესად ასეთი ხელსაქმის მოწყობის აზრი ის არის, რომ ამით ადამიანის ნებისყოფა ვარჯიშობს და მცონარეობას ნიადაგი ეფიტება“ [75, გვ. 6].

ამრიგად, შრომითი აღზრდისა და შრომის სკოლის იდეა რევოლუციამდელი პერიოდის ქართველ პედაგოგთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. ფიზიკური შრომისათვის სათანადო ადგილის დათმობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საერთო სისტემაში მნიშვნელოვან პედაგოგიურ ღონისძიებად იყო მიჩნეული. შრომა აღიარებული იყო აღზრდის საუკეთესო საშუალებად და სწავლების ეფექტურ მეთოდად.

ექსპერიმენტული პედაგოგიკა.ექსპერიმენტული პედაგოგიკა, როგორც გარკვეული პედაგოგიური მიმდინარეობა, XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მისი წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია ცნობილი უცხოელი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ს. ხოლის, ა. ბინეს, ე. მოიმანის, ე. თორნდაიკისა და სხვათა სახელთან. ამ მიმდინარეობის მომხრეთა აზრით, მთელი აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში უნდა შეუფარდდეს და შეეგუოს ბავშვის ბუნებას, მის თავისებურებას.

ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ, მისი თეორეტიკოსების აზრით, უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენად ეფარდება აღზრდის შინაარსი, ფორმები და მეთოდები ბავშვის ბუნებას, მისი განვითარების კანონზომიერებას. ამასთანავე, გამოკვლევა უნდა შეეხოს, ერთი მხრივ, ბავშვის ფიზიოლოგიას, ფსიქოპათოლოგიას დამეორე მხრივ, იმ პედაგოგიკურ ღონისძიებებს, რომლებიც აღმზრდელობით მუშაობაში გამოიყენება.

გამოკვლევის ძირითად მეთოდს ექსპერიმენტი წარმოადგენს. უშუალო დაკვირვება ბავშვის ცხოვრებაზე, მისი შესწავლა სკოლაში და სკოლისგარეთ სწავლა-აღზრდის პროცესში აღმზრდელი-მასწავლებლის მიერ უარყოფილია.

საქართველოში ექსპერიმენტულ პედაგოგიკას დ. უზნაძემ ჩაუყარა საფუძველი. მან ჯერ კიდევ 1910-1912 წლებში გამოაქვეყნა მეცნიერული შრომები: „აღზრდის მიზნები“, „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“ და „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“ (1912). დ. უზნაძის ეს სამი მეცნიერული შრომა, დაწერილი პედაგოგიკურ თემებზე, უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარების ისტორიაში. დ. უზნაძემ ამ შრომებით პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის სისტემატურ კურსს.

ექსპერიმენტული პედაგოგიკის ზოგიერთი სხვა წარმომადგენლისაგან განსხვავებით, დ. უზნაძე უარყოფდა ექსპერიმენტის ფეტიშიზაციას და მოითხოვდა ბავშვის ბუნების შესწავლისათვის კვლევის ამ მეთოდის მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში გამოყენებას. მისი აზრით, თანამედროვე პედაგოგიკური მეცნიერება ყველგან და ყოველთვის არ წარმოადგენს უსათუოდ ექსპერიმენტალურ პედაგოგიკას.

უზნაძის აზრით, „...არც ექსპერიმენტალურ პედაგოგიკას შეუძლია აღზრდის პრობლემათა ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა“, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, მან მაინც ექსპერიმენტალური პედაგოგიკის ნერგი აირჩია „ჩვენი მეცნიერების ბაღში დასანერგად“ სწორედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი „...დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვის ბუნების ინდივიდუალურ თვისებასა და სურს მას აღმზრდელობითი მფარველობა გაუწიოს“ [180, გვ. 3–4]. ამით უზნაძე გმობდა ადამიანთა მექანიკური წვრთნის იმ „წესს“, რომელიც თვითმპყრობელური რუსეთისა და სხვა ბურჟუაზიული სახელმწიფოების სწავლა-აღზრდის სისტემისათვის იყო დამახასიათებელი.

პედაგოგიური მეცნიერების საგანი, პროფ. უზნაძის აზრით, ოთხი ძირითადი მომენტით იფარგლება: ა) ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ბუნების ცოდნით,, რომელიც პედაგოგიური ზეგავლენის საფუძველია; ბ) მოქმედების წესებისა და მეთოდების მომარჯვებით; გ) სასკოლო მუშაობის ორგანიზაციის საკითხებით და დ) აღზრდის მიზნებით.

დიმიტრი უზნაძის ექსპერიმენტალურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული საკითხები ვრცლად არის განხილული ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში. ამ მხრივ უნდა ავღნიშნოთ ნ. ბერულავას დ. უზნაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ს. ფანჩულიძის სადოქტორო დისერტაცია „დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური იდეები და თანამედროვეობა, ს. სიგუას „განათლება და პედაგოგიური აზროვნება 1900-1917 წლების საქართველოში, 2005 წელს გამოვიდა კრებული დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური თხზულებები და სხვა. აღნიშნულ ნაშრომებში განხილული და გაანალიზებულია: ექსპერიმენტალური პედაგოგიკის საკითხები, ფსიქოლოგიის როლი ბავშვთა და მოზარდთა შესწავლის საქმეში, აღზრდის მიზანი და მნიშვნელობა, გონებრივი აღზრდა, ფიზიკური აღზრდა, ზნეობრივი აღზრდა, მხატვრულ - ესთეტიკური აღზრდა, სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია, მეთოდები და შეფასების სისტემა, „სინათლის“ საზოგადოების ქართულ სკოლაში, სწავლა-აღზრდის საფუძველები, სწავლების დიდაქტიკური პრინციპები, მშობლიურ ენაზე სწავლება და ზოგადი განათლების ორგანიზაციის საკითხები, ფიზიკური აღზრდა, მეტყველების კულტურის განვითარება, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კავშირი, ჰიგიენის სწავლება, მოსწავლეთა თვით-მმართველობა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხები, შეგნებული დისციპლინისა და ნებისყოფის აღზრდა, უზნაძის მოღვაწეობა ქუთაისში და სხვა.

შეჯამების სახით შეიძლება დავასკვნათ, რომ უზნაძემ საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა სცადა სასწავლო დისციპლინების საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობის მეცნიერული დასაბუთება და სახალხო განათლების

ახალი სისტემისათვის შეუწელებელი ბრძოლით განუზომელი წვლილი შეიტანა მოწინავე საზოგადოების, ახალი სკოლის შექმნა-ჩამოყალიბების საქმეში.

მასწავლებელთა შემადგენლობა და უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა. სახალხო სკოლის განვითარების საქმეში დიდ როლს თამაშობდა მასწავლებლობა. მასწავლებელთა უანგარო და თავდადებული მუშაობით ბევრი კარგი და სახელმძღვანელო სახალხო სკოლა არსებობდა საქართველოში. ეს სკოლები დამსახურებულად სარგებლობდნენ საზოგადოებრივი დაფასებითა და პატივისცემით. წარმატება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ბევრად არის დამოკიდებული მასწავლებელთა შემადგენლობაზე, მათ მომზადებასა და კვალიფიკაციაზე, უფლებრივ-მატერიალურ მდგომარეობაზე. სახალხო სკოლის მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა კი რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში მეტად მძიმე იყო. ამასთანავე მასწავლებელთა უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა სათანადო ზოგადი მომზადება და პედაგოგიური კვალიფიკაცია.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში მასწავლებელთა პირადმა შემადგენლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში, სკოლები მაინც არ იყო დაკომპლექტებული სათანადო მომზადებისა და კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური კადრებით.

1914 წელს საქართველოში არსებულ განათლების სამინისტროს სისტემის დაწყებით სკოლებში 2679 მასწავლებელი მუშაობდა. ეს ცნობები, როგორც პროფ. ს. სიგუა აღნიშნავს, ამოკრეფილი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშიდან, არ იძლევა სრულ წარმოდგენას მასწავლებელთა პედაგოგიური ცენზისა და ზოგადი მომზადების შესახებ. გაურკვეველი რჩება საკითხი, თუ რამდენ მასწავლებელს ჰქონდა დამთავრებული საოსტატო სემინარია და რამდენს უფრო დაბალი ტიპის პედაგოგიური სასწავლებელი ან კლასი. არ ჩანს ისიც, თუ რამდენი მასწავლებელი იყო დაბალი განათლებით და სხვა. მიუხედავად ამისა, ერთი ცხადია, სახალხო სკოლის მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას საშუალო განათლება არ ჰქონდა. ამასთანავე, მათ უმეტეს ნაწილს არც პედაგოგიური განათლება და არც პედაგოგიური მომზადება არ მიუღია, ბევრ მათგანს მხოლოდ ორკლასიანი ან საქალაქო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. მასწავლებელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც სასულიერო უწყების ე.წ. მეორეკლასიან სასწავლებლებში მიიღეს მომზადება.

ლ.ბოცვაძე, რომელიც კარგად იცნობდა სახალხო მასწავლებელთა შემადგენლობას, მათ მომზადებასა და საქმისადმი დამოკიდებულებას, თავის წერილში „საუბარი სახალხო სკოლაზე“ – წერდა: „ჩვენთან ხშირად მასწავლებლად მოდიან ისეთები,

რომელთა სხვა სამსახურის ადგილი ვერსად უშოვნიათ, ასეთები არიან სასულიერო ან საქალაქო სასწავლებლებიდან გამოსულები, საქალაქო სკოლებთან არსებული „პედაგოგიური კურსების“ მსმენელები, ორკლასიანი სკოლის შეგირდები, ან ვისაც სპეციალური გამოცდით მასწავლებლის დიპლომი მიუღია, რისთვისაც საჭიროა სამრევლო სკოლის კურსის ცოდნა, ან რომელიმე საშუალო სასწავლებლიდან გამორიცხულობა. რომ კარგად დაუკვირდეთ ამისთანა მასწავლებელთა ცხოვრებას და მოქმედებას, ნათლად დავინახავთ, თუ რამდენი გარყვნილობა შეაქვს ცხოვრებაში, ასეთს თათარიხნად შეითიხნის და ნაძალადევ მასწავლებელს, რომელსაც არც ცოდნა და არც გამოცდილება არა აქვს“ [123, გვ. 345].

ოფიციალური ცნობების მიხედვით, საქართველოს დაწყებით სკოლებში 1914 წელს უხელფასოდ 10 მასწავლებელი მუშაობდა; 106 მასწავლებელი წელიწადში 50 მანეთზე ნაკლებ ხელფასს იღებდა; 442 მასწავლებელი 50–100 მანეთს, 100–150 მანეთს – 120; 150–200 მანეთს – 69; 200 მანეთზე მეტს – 1932. სახალხო მასწავლებლის მაქსიმალური ხელფასი წელიწადში 360 მანეთი იყო. ამაზე მეტი ხელფასი იშვიათ გამონაკლისს შეადგენდა [147, გვ. 39].

საქართველოს სახალხო მასწავლებელთა მოძრაობის გამოცოცხლება მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან იწყება. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა მასწავლებელთა პროფესიული კავშირისა და ურთიერთდამხმარე საზოგადოების ჩამოყალიბებაში. 1914 წელს დამტკიცებულ იქნა „დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის“ წესდება. კავშირის დამფუძნებელი კრება შედგა 1915 წლის დეკემბერში, რომელმაც აირჩია კავშირის გამგეობა. ჩამოყალიბდა აგრეთვე კავშირის ფილიალები მაზრებში. კავშირის გამგეობამ დააარსა თავისი პერიოდული ორგანო „სკოლა და ოჯახი“ (გამოვიდა 6 ნომერი). ჟურნალის რედაქტორი იყო ვ. ნაცვლიშვილი. კავშირმა ვერ შეძლო მუშაობის გაშლა, რადგანაც ამას ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ადმინისტრაციული ორგანოები, ამიტომაც არსებითად მასწავლებელთა ეს პირველი პროფესიული კავშირი საქართველოში მხოლოდ თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იწყებს მუშაობას და მოქმედებს 1920 წლამდე „დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის“ სახელწოდებით.

საქართველოს მოწინავე მასწავლებლობა ფართოდ იყენებდა მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებს, როგორც ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკისა და ახალი სკოლისათვის ბრძოლის საშუალებას. ასეთ კურსებზე მასწავლებლობა უმეტეს შემთხვევაში ერთსულოვნად გამოდიოდა სასწავლო–ადმინისტრაციის რეაქციულ ღონისძიებათა წინააღმდეგ, აყენებდა და იცავდა პროგრესულ პედაგოგიკურ იდეებსა და შეხედულებებს.

თავი მეორე

საგანმანათლებლო პოლიტიკა და პედაგოგიკური აზროვნება საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკაში

§ 1. განათლების რეფორმა და სასკოლო სისტემა 1918–1921 წლების
საქართველოში

1918 წლის 26 მაისს, თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიღებული იქნა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“. არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობამ შეძლო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება: დაადგინა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები, ქართული ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად, განახორციელა სასამართლო რეფორმა, გაატარა განათლების რეფორმა, ჩამოყალიბა ეროვნული გვარდია და რეგულარული არმია, შექმნა ადგილობრივი მართვის ორგანოები, პროფესიული კავშირები, მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ეროვნული ხასიათის გამომხატველი იყო ქართული განათლებისადამეცნიერებისადმი ისაქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მესვეურთა დამოკიდებულება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, თავისი ჩამოყალიბების პირველივე დღიდან, დაიწყო განათლების არსებული სისტემის ძირეული რეორგანიზაცია. განათლების პირველ მინისტრად დაინიშნა გ. ლასხიშვილი, ხოლო მის ამხანაგად ნ. ცინცაძე. მაღე, 1918 წლის 18 ივლისს, რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა N18 ბრძანება, რომლითაც გააუქმა კავკასიის სასწავლო ოლქი და შესაბამისად გაათავისუფლა ოლქის კომისრები ლ. იშკოვი, ლ. ნათაძე, ს. ტიგრანიანი და გ. შახტატინსკი. სასწავლო ოლქის ლიკვიდაციის ხელმძღვანელობა კი ლ. იშკოვს დაევალა [58, გვ. 3].

დაწყებითი და საშუალო განათლება. 1918 წლის 25–26 ივლისს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა **კანონპროექტი სახალხო განათლების შესახებ**. დოკუმენტი დარგის მთლიან რეორგანიზაციას ითვალისწინებდა. იმავე წლის აგვისტოში სახალხო განათლების მინისტრმა მთავრობის სხდომაზე გააკეთა ვრცელი მოხსენება განათლების რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ: „ყოველ სახელმწიფოს თავის პირობების შესაფერი სწავლა–აღზრდის სისტემა ესაჭიროება, საქართველოს დღესდღეობით ეს არა აქვს და ამიტომ ჩვენში გაბატონებული სწავლა–აღზრდის სისტემა ძირითადად უნდა შეიცვალოს. მაგრამ ამ მიზნის განხორციელება დროს მოითხოვს, მანამდე კი ზოგი რამ მაინც ეხლავე, პირველ რიგშივე, უნდა გადაწყდეს. ჩვენს სკოლებში სწავლების ენად ყველგან რუსული ენაა შემოდებული. ეს ძირითადი უკუღმართობაა და იგი ეხლავე ძირიანად უნდა აღმოიფხვრას“. მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში სწავლების ენად ყველგან მოწაფეთა მშობლიური ენა უნდა იყოს მიჩნეული, ამიტომ სასწრაფოდ გადასაწყვეტი იყო ორი რამ:

- ქართველ მოქალაქეთა შვილებისათვის სწავლების ენად ქართული უნდა ყოფილიყო დაუყოვნებლივ შემოდებული;
- ეროვნული უმცირესობის მოქალაქეთაც უნდა ჰქონოდათ საშუალება განათლება მიეღოთ საკუთარ ენაზე“ [30, 13].

ამ და სხვა გადაუდებელი საკითხის განხორციელებას სხვადასხვა დაბრკოლება ელოებოდა. ძირითად დაბრკოლებას კი არსებულ სასწავლებელთა ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე წარმოადგენდა, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა ქალაქ თბილისში. სამინისტროს მიაჩნდა, რომ გამოეყენებინა ერთადერთი რადიკალური საშუალება–ყველა სამთავრობო სასწავლებლის დახურვა და შემდგომში რესპუბლიკის სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთათვის საჭირო და შესაფერისი ოდენობის სასწავლებლების გახსნა.

„სამინისტროს ძალზე მცირე დრო რჩებოდა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. მართალია, 26 ივლისს გამოქვეყნდა გადაწყვეტილება, რომ ახალი, 1918–19 სასწავლო წელი 20 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს მაინც მცირე დრო იყო იმ ურთულეს სამუშაოთა შესასრულებლად, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მოსწრებულიყო“ [42, გვ. 5].

ამ საქმის მოგვარებას ისიც ართულებდა, რომ სახელმწიფო სასწავლებელთა გარდა, საქართველოში საკმაოდ მრავლად იყო კერძო სასწავლებლებიც, რომლებიც საჭიროებდნენ სახელმწიფოსაგან კონტროლსა და დახმარებას. იმავე 1918

წლის ზაფხულში, ე. ი. სასწავლო წლის დაწყებამდე, მოხერხდა გაეროვნულების გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმა, თუნდაც იმდენად, რომ სწავლა სექტემბერში დაბალ ჯგუფებში ქართულ ენაზე დაიწყო.

სახელმწიფო ცენტრალურ არქივში ჩვენ მიერ მოძიებული იქნა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დროინდელი განათლების მდგომარეობის ამსახველი ბევრი საინტერესო დოკუმენტი. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ 1918 წლის 1 ივლისით დათარიღებული (N 478) დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს განათლების მინისტრის, გ. ლასხიშვილის მიერ გაგზავნილ ანგარიშს მინისტრთა საბჭოსადმი. აღნიშნულ დოკუმენტში მინისტრი საუბრობს საქართველოში განათლების არსებულ მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებზე. მოხსენებაში სამი მთავარი საკითხია გამოკვეთილი:

- ყველა საფეხურისა და ხარისხის ქართულ სკოლებში მშობლიურ ენაზე განათლების მოწყობის აუცილებლობა;
- 150 000 მანეთის გადადება საშუალო სკოლების მასწავლებელთათვის კურსების მოსაწყობად;
- 200 000 მანეთის გამოყოფა ქართულ ენაზე სასკოლო სახელმძღვანელოებისა და საყმაწვილო ლიტერატურის გამოსაცემად.

მოვიყვანთ მცირე ნაწყვეტს ამ მოხსენებიდან, რომელიც, ჩვენი აზრით, კარგად ასახავს მაშინდელი მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკას:

„საქართველოში ამ უკანასკნელ დრომდე სწავლა–განათლების საქმე ისე იყო დაყენებული, რომ სკოლა სრულიადაც არ ემსახურებოდა პედაგოგიურ იდეების განხორციელებას, ის კი არ ზრდიდა და აყალიბებდა ადამიანებს, პირიქით, ანადგურებდა იმას, რასაც თვით ბუნება უზვად აძლევდა ქართველ მოზარდებს. ქართული ენა დევნილი იყო სახელმწიფოსაგან. იმის მაგიერ, რომ სკოლა აეღორძინებინათ, სკოლა საქართველოში პოლიტიკური ექსპერიმენტების წყაროდ გაიხადეს. რევოლუციამ, სხვა თავისუფლე-ბასთან ერთად, კულტურული თავისუფლებაც მიანიჭა ქართველ ერს და სწავლა–განათლების ერთი უმთავრესი პრობლემათაგანი – ეროვნული სკოლის შექმნა პრაქტიკულ ნიადაგზე დაამყარა. ერთი წელია, რაც ამ დიდად მნიშვნელოვანი საქმის განსახორციელებლად პირველი გაბედული ნაბიჯი გადაიდგა. დღეს უნდა გადავდგათ მეორე და უკანასკნელი ნაბიჯი – ყოველ მიზეზ გარეშე უნდა დავძლიოთ ყველა დაბრკოლება და უნდა მოვაწყოთ ეროვნული სკოლა ყველა საფეხურისა და ხარისხისა, როგორც საზოგადო განათლებისა, ისე საპროფესიო“ [155, ფურც. 5–7].

განათლების მინისტრის აზრით, მომავალი სასწავლო წლიდან სწავლება მშობლიურ ენაზე სავალდებულო უნდა გამხდარიყო არა მარტო სახალხო პირველდაწყებით სკოლებში, არამედ უმაღლეს პირველდაწყებით და საშუალო სკოლებშიაც. რეფორმის განხორციელებას ბევრი სერიოზული დაბრკოლება ელოდა:

- პირველ რიგში, დროის სიმცირე, რის გამოც იმ ეტაპისათვის, უარი ითქვა პედაგოგიური პროცესის სისტემატურობასა და თანამიმდევრობაზე;
- მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოებისა და, საერთოდ, წიგნების უქონლობა;
- ქართული ენის მხრივ მასწავლებლების მოუმზადებლობა.

გარდა ამისა, განათლების სამინისტრო სთხოვდა ეროვნულ საბჭოს, გადაედო ამ მიზნით საჭირო თანხა და დაეჩქარებინა არამარტო სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე, არამედ სკოლისათვის მშობლიურ ენაზე აუცილებელი საყმაწვილო ლიტერატურის შექმნა. თუმცა, ბოლო დროს არაერთი სახელმძღვანელო დაისტამბა და ბევრიც გამზადებული იყო დასაბეჭდად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლის ეროვნულ რელსებზე გადაყვანის საქმეში ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენდა მასწავლებელთა კადრები. ქართველი მასწავლებელი არ იყო პედაგოგიურად იმდენად დახელოვნებული, რომ სწავლება მშობლიურ ენაზე განეხორციელებინა. სამინისტროს აზრით, აღნიშნული წინააღმდეგობა ადვილად დაიძლეოდა. მათ აუცილებლად მიაჩნდათ მასწავლებლებისათვის ქართული ენის შემსწავლელი კურსების დაარსება, სადაც სათანადო ყურადღება დაეთმობოდა ქართულ ენაზე ვარჯიშს, კურსებზე ცნობილ სპეციალისტებს უნდაწაეკითხათ ლექციები. მინისტრის აზრით, ამ ლექციებს პრაქტიკული დანიშნულებაც ექნებოდა, კერძოდ:

- ქართულ ენაზე შემუშავდებოდა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგია;
- ქართულ ენაზე შეიქმნებოდა ახალი სასწავლო კურსები;
- მოეწყობოდა ქართულ ენაზე გამოცემულისა სახელმძღვანელოების განხილვა, გაკეთდებოდა მათი ანალიზი, რეცენზირება.

„სამინისტრომ შეიმუშავა და წარმოადგინა ქართული ენის შემსწავლელი კურსების სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა შემდეგ სასწავლო კურსებს შეიცავდა: ა) ფსიქოლოგია და ლოგიკა / 20 ს. /; ბ) პედაგოგიკა და პედაგოგიურ მოძღვრებათა ისტორია / 20 ს. /; გ) ენათმეცნიერების შესავალი / 20 ს. /; დ) ქართული ენის გრამატიკა / 15 ს. /; ე) ქართული ლიტერატურის და გრამატიკის მეთოდის კა / 15 ს. /; ვ) ქართული ლიტერატურა ძველი დროიდან მე-19 საუკუნემდე / 50 ს. /; ზ) მსოფლიო ლიტერატურის მოკლე ისტორია / 20 ს. /; თ) მე-19 საუკუნის რუსეთის ლიტერატურა / 10 ს. /; ი) მათემატიკა / 45 ს. /; კ)

ფიზიკა (მეთოდით) / 15 ს. /; ლ) ბუნებისმეტყველება: ბოტანიკა / 15 ს. /, ზოოლოგია / 15 ს. /, მინერალოგია და გეოლოგია / 15 ს. / და ქიმია / 15 ს. /; მ) საზოგადო გეოგრაფია / 20 ს. /; ნ) კავკასიის და საქართველოს გეოგრაფია / 20 ს. /; ო) საქართველოს ისტორია / 30 ს. /; პ) მსოფლიო ისტორია / 45 ს. /“.

სასწავლო კურსების ჩატარების დროდ განისაზღვრა - პირველი ივლისიდან მარიამობისთვის დამლევამდე, კურსები უნდა ჩატარებულიყო ქალაქ თბილისში და მისი ხარჯთაღრიცხვა სამინისტროს გაანგარიშებული ჰქონდა, დაახლოებით, 150 000 მანეთის ოდენობით“ [173, ფურც.6-7].

როგორც ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალებიდან ირკვევა, კავკასიის სამოსწავლო კომისარიატის ნაცვლად განათლების სამინისტროსთან მოგვიანებით შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ე.წ. „სამოსწავლო საბჭო“. კომიტეტი პირველად შეიკრიბა 1919 წლის 20 ივნისს. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: მ. ზანდუკელი, ს. კაკაბაძე, ალ. ჯავახიშვილი, ე. ჭოლოშვილი, პ. დგებუაძე. კომისიის თავმჯდომარედ არჩულ იქნა ალ. ჯავახიშვილი, მდივნად ს. კაკაბაძე. სამოსწავლო საბჭოს „სამეცნიერო კომიტეტი“ უნდა ჩარიცხულიყო განათლების სამინისტროს შემადგენლობაში. მასში უნდა შესულიყვნენ ცნობილი მეცნიერები, პედაგოგები, ხელოვნების მუშაკები, კერძოდ: 1. საზოგადო ისტორიის; 2. საქართველოს ისტორიის; 3. ქართული ენისა და ლიტერატურის; 4. უცხოური ლიტერატურის; 5. მათემატიკის; 6. ფიზიკისა და ქიმიის; 7. გეოგრაფიის; 8. ბიოლოგიურ მეცნიერებათა; 9. ჰიგიენისა; 10. ფილოსოფიური საგნების; 11. იურიდიული დარგების; 12. სამხატვრო საგნების; 13. მუსიკის სფეროს წარმომადგენლების [156, ფურც.30].

კომიტეტის დებულების პროექტი შეადგინა და 1919 წლის 15 ივნისს განათლების მინისტრს განსახილველად წარუდგინა ალექსანდრე ჯავახიშვილმა. სამინისტრომ დებულების ეს პროექტი დაამტკიცა [157, ფურც. 33].

მთავრობის ინიციატივით საქართველოში დაიწყო საყოველთაო-სახალხო განათლების გავრცელება. ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი ეწაფებოდა ცოდნის წყაროს. ამგვარი მისწრაფება განსაკუთრებით შესამჩნევი იყო საქართველოს გლეხობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ნიკო ნიკოლაძე წერდა: „სიმართლეს მოკლებულია ის აზრი, თითქოს ქართველი გლეხები სკოლების მოსაწყობად და შესანახად საჭირო თანხების გაღებაში სიძუნწეს იჩენდნენ... სიმართლეს მოკლებულია ისიც, რომ თითქოს მათ არ ესმოდეთ სწავლის სარგებლობა და ინდიფერენტულად ეკიდებოდნენ სასკოლო საქმეებს“ [90, გვ. 256].

მალე გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების მმართველი სექციის სამუშაო მიმართულებები:

1. სახალხო სკოლა უნდა იყოს საყოველთაო, სავალდებულო, საერო (გამორებული ეკლესიისაგან), უფასო, ერთგვარი და შეიცავდეს საზოგადო განათლების რვა წლიან კურსს.
2. საზოგადო განათლების სახალხო სკოლას უნდა მისდევდეს მრავალნაირი საპროფესიო და სპეციალური განათლების სკოლები, რომელთა ტიპიც უნდა შეეფერებოდეს ადგილობრივ მცხოვრებთა ბუნებრივ საქმიანობასა და პროფესიას.
3. საშუალო სკოლა უნდა შეიცავდეს მხოლოდ ახლანდელი სასწავლებლის ოთხ უფროს კლასს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნივთიერად არაუზრუნველყოფილი კლასებისთვისაც.
4. კერძო ინიციატივას სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეში ფართო სარბიელი უნდა ჰქონდეს დათმობილი.
5. ქართულ ეროვნულ საბჭოს ევალეზა, აგრეთვე, იზრუნოს როგორც სკოლამდელი სწავლის, ისე სკოლის გარეშე განათლების ყოველი დარგის მოწესრიგების შესახებ.

სკოლის ყველა ტიპისა და საფეხურის გაქართულების განსახორციელებლად ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს ევალეზოდა:

1. სხვადასხვა რაიონებში მოწყობილ იქმნას მოკლევადიანი საპედაგოგიო კურსები, რომელთა მიზანიც ჩვენი საშუალო სკოლის მასწავლებელთა მომზადების დონის ამაღლებაში უნდა მდგომარეობდეს, მოახდინოს, აგრეთვე, სრული ნაციონალიზაცია სამასწავლებლო სემინარიებისა.
2. გამოძებნოს საშუალება სახალხო სკოლის მასწავლებელთა ნივთიერად უზრუნველსაყოფად.
3. ჩვენი საშუალო სკოლის მასწავლებლობა არ არის მომზადებული გაქართულებულ სკოლებში სწავლა-აღზრდის წარმოებას შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოს. ამიტომ, საჭიროა, დაარსდეს ერთწლიანი საპედაგოგიო კურსები, რომელიც სავალდებულო უნდა გახდეს ყველა პირისათვის, რომელიც საშუალო სკოლის მასწავლებლობას აპირებს.
4. გაქართულებულ სკოლას ახალი სახელმძღვანელოებისა დასასწავლო ნივთების საკმაო რაოდენობა ესაჭიროება. ამიტომ, საჭიროა ეროვნულმა საბჭომ შექმნას განსაკუთრებული ორგანო, რომლის მუდმივი ზრუნვის საგანსაც, როგორც შესაფერისი სახელმძღვანელოების და ხელსაწყო ნივთების შექმნა, ისე მათი გამოცემისა და გავრცელების მოწესრიგება უნდა შეადგენდეს.

5. ამავე ორგანოს უნდა დაევალოს დაუყოვნებლივ განიხილოს ყველა ის ქართული სახელმძღვანელო, რომელიც ამჟამად გაქართულებულ სკოლებსა და კლასებში იხმარება, შეაფასოს ისინი და მხოლოდ საუკეთესონი მოიწონოს. საჭიროა, ყველგან მიღებულ იქმნას ის ტერმინები, რომელსაც შეიმუშავენ დასახელებული ორგანო [110, გვ. 51].

საქართველოს პირველი ეროვნული კრება აღიარებდა, რომ სკოლის გაქართულება მხოლოდ მაშინ დადგებოდა მკვიდრსა და საიმედო ნიადაგზე, როდესაც ქართველობას საკუთარი უნივერსიტეტი გაუჩნდებოდა. ამიტომ იგი დაბეჯითებით ავალბდა თავის ეროვნულ საბჭოს, რომ ყოველმხრივი დახმარება გაეწია ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის უნივერსიტეტის გასახსნელად.

სასკოლო სექციას, როგორც ეროვნულ საბჭოსა და ერის წინაშე პასუხისმგებელ ორგანოს, სახალხო განათლების სფეროში უნდა ეკისრა საქართველოში არსებული ყველა საფეხურის და ტიპის სკოლათა ზედამხედველობა, მართვა–გამგებლობა, საკონტროლო ფუნქციები, კოოპტაციის წესით მოწვეულ პირთა საშუალებით სექციას უნდა გაეფართოვებინა წრე, რათა შესაძლებელი გამხდარიყო სხვადასხვა შინაარსის კომისიის შედგენა. ასეთი წესით გაფართოებულ წრეს უნდა დარქმეოდა სასკოლო სექციასთან არსებული ქართული პედაგოგიური საბჭო.

საბავშვო ლიტერატურის ფიზიკურად არარსებობის გამო განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა საბავშვო და საყმაწვილო წიგნების, არსებული და ახალი საბავშვო ჟურნალების გამოცემას, საბავშვო წიგნების თარგმნას უცხოური ენიდან, მათ თემატურად დალაგებასა და კატალოგების შედგენას, საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილ–ნაკადულში“ მოთავსებულ მასალათა ამოკრებას და წიგნებად გამოცემას, რუსულ და ევროპულ ენაზე არსებული საყმაწვილო წიგნების შერჩევას სკოლის სხვადასხვა საფეხურისათვის საგნობრივი თემატიკის მიხედვით. ხსენებულ სამუშაოთა შესრულება მოითხოვდა თანაკომისიების შექმნას, რომლებშიც უნდა შესულიყვნენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები: ფიზიკის, არითმეტიკის, გეომეტრიის, ქართულის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ალგებრის, კანონმდებლობის, პოლიტიკური ეკონომიის, ბუღალტერიის და სხვ.

არსებულისა ხელმძღვანელო წიგნებისა და დამზადებული მასალის გადასათვალიერებლად და შესაფასებლად არჩეულ უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული კომისია. კომისიაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ თვით წიგნის ავტორებს. ამ კომისიას უნდა შეედგინა გამოცემული წიგნების სია, ასევე იმ წიგნების სიაც, რომელთა გამოცემა საჭირო იყო და მოეწვია სპეციალისტები, რომლებიც აიღებდნენ პასუხისმგებლობას

დანიშნულ ვადაში წიგნების გამოცემაზე. ახლადშედგენილი სახელმძღვანელო წიგნები გადაეცემოდა განსახილველად და შესაფასებლად სპეციალურად ამ მიზნისთვის შემდგარ კომისიას, გამოსაცემად მოწონებული წიგნები კი უნდა გადასცემოდა ტექნიკურ კომისიას, რომლის მოვალეობას ასრულებდა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება. წ. კ. გ. ს-ს ევალეობდა ჰქონოდა საკუთარი სტამბა და წიგნების საკაზმავი სახელოსნო [51, გვ. 3].

ვინაიდან გაეროვნებულ სკოლებისათვის მომზადებულ მასწავლებელთა რიცხვი მცირე იყო და ეროვნული კორპორაციის შემადგენლობა ამ მხრივ დანიშნულებას თითქმის სრულიად არ პასუხობდა, საჭირო გახდა მოკლევადიანი პრაქტიკული და თეორიული ხასიათის კურსების მოწყობა, რომლის მოსმენა „სავალდებულო უნდა ყოფილიყო სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის. კურსებზე ლექციები უნდა მოწყობილიყო შემდეგ საგნებში: 1) ქართული ენა; 2) ქართული ლიტერატურა; 3) საქართველოს ისტორია-გეოგრაფია; 4) ბუნებისმეტყველება; 5) მათემატიკა (არითმეტიკა და გეომეტრია), 6) მსოფლიო ისტორია; 7) სახელმწიფო უფლება; 8) კანონმდებლობა და 9) პედაგოგიკა. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად მაშინვე უნდა არჩეულიყო კურსების მომწყობი კომისია.

კომისიას უნდა დაედგინა კურსების ხელმძღვანელთა და ლექტორთა სია. კურსები უნდა გამართულიყო საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. აღმოსავლეთ საქართველოში: თბილისში, თელავსა და ხაშურში, დასავლეთ საქართველოში კი: ქუთაისში, ზესტაფონში, ფოთში, ბათუმში, სოხუმში, სამურზაყანოში (გალში). ლექტორებს უნდა დანიშნოდათ ჰონორარი საათში 10 მანეთი, აგრეთვე, უნდა მისცემოდათ საგზაო და დღიური. საგზაო და დღიური ეძლეოდათ კურსების მსმენელებსაც. აღნიშნული მიზნით უნდა გადადებულიყო 200 000 მანეთი. დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვის შედგენა კი დაეკისრა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მმართველ კომისიებს [44, გვ. 22].

1918 წლის აგვისტოში გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ დაიბეჭდა ნ. ქუთათელაძის წერილი „საშუალო სკოლის რეორგანიზაციის გამო“. იგივე წერილი ავტორმა განათლების სამინისტროშიც წარადგინა განსახილველად. წერილში მრავალი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული. ავტორს მიაჩნდა, რომ საქართველოში ყველა საფეხურის სახელმწიფო სკოლა უნდა შექმნილიყო. თავისი მოსაზრების დასა-საბუთებლად მას მოჰყავდა ვრცელი მაგალითები დასავლეთის ქვეყნების გამოცდი-ლებიდან. სკოლის ახლებურად მოწყობის საქმეში ნ. ქუთათელაძეს ამოსავალ პრინციპად მისი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება მიაჩნდა [45, გვ. 23]. 1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ახალი შტატები,

მასწავლებლის ჯამაგირი წელიწადში-4800 მანეთით განისაზღვრა, ეს იყო თვეში ოთხასი მანეთი. მასწავლებლები ითხოვდნენ ხელფასის მომატებას. სამინისტრომ გაითვალისწინა ეს თხოვნა და ნება დართო სასწავლებლებს, თავისი სპეციალური ფონდიდან 100-100 მანეთი დაემატებინათ პედაგოგებისათვის სესხის სახით, 1920 წლის იანვრამდე, როდესაც გაირკვეოდა მათი ჯამაგირის საკითხი.

1919 წლის 11 მაისს განათლების მინისტრის ამხანაგის – ნ. ცინცაძის ხელმძღვანელობით შედგა გაფართოებული სხდომა საშუალო სკოლის რეორგანიზაციის საკითხზე. სამინისტრომირითადად სამსაფეხურიანი სკოლის შემოღებას ვარაუდობდა: პირველდაწყებითის, უმაღლესი პირველდაწყებითისა და საშუალო ტიპისას [36, გვ. 109]. მინისტრის ამხანაგმა თავის მოხსენებაში უარყო საქართველოს ე. წ. კლასიკური სკოლების ტიპი, რადგან ძველი მკვდარი ენების შესწავლა გონების ფორმალურ ვარჯიშობად მიიჩნია, მოიყვანა იმ დროისათვის ცნობილი პედაგოგების – მირნოვის, პაულსენის, შვარცის და სხვათა უარყოფითი შეხედულებები კლასიკური ტიპის სკოლებზე. მისი აზრით, ჰუმანიტარული სკოლა უნდა დაყრდნობოდა „ახალ ეროვნულ ენებს“. ასეთი სკოლა სამი კატეგორიის საგნებს შეასწავლიდა: საბუნებისმეტყველოს, მათემატიკურსა და ჰუმანიტარულს, ერთ-ერთი ევროპული ენით;

სასკოლო განათლების ორგანიზაციის საკითხებს მიეძღვნა, აგრეთვე, 1918 წლის 25 აგვისტოს გამართული მასწავლებელთა კრება, სადაც ი. როსტომაშვილმა წაიკითხა მოხსენება „როგორ უნდა მოეწყოს სწავლა-განათლების საქმე დამოუკიდებელ საქართველოში“ [46, გვ. 24]. 1 სექტემბერს იმავე გაზეთმა დაიწყო ბეჭდვა ვ. კაკაბაძის ვრცელი წერილისა „სწავლა-განათლების მოწყობის საქმე“. მასში კონკრეტულადაა დახასიათებული რესპუბლიკაში განათლების მძიმე მდგომარეობა. ავტორი მოუწოდებდა სამინისტროს სასწრაფოდ შემოეღოთ საყოველთაო სწავლება, არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ უფროსი ასაკის მოქალაქეთათვისაც. ამ მიზნით უნდა გახსნილიყო საღამოს კურსები, საკვირაო სკოლები და ა. შ. იგი ვრცლად მსჯელობდა, თუ როგორი ტიპის სკოლები იქნებოდა უმჯობესი და როგორ მოწყობილიყო მათში სწავლება. რა თქმა უნდა, ავტორი სწავლების ეროვნულ ენაზე გამართვას უჭერდა მხარს [35, 28].

1919 წელს ჟურნალ „განათლებაში“ დაიბეჭდა განათლების სამინისტროს ინფორმაცია საყოველთაო სწავლების შემოღების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციიდან ჩანს, რომ განათლების სამინისტროს აზრით უნდა შემოღებულიყო სავალდებულო და უფასო ოთხწლიანი განათლება პირველდაწყებითი სასწავლებლების სახით. სკოლაში უნდა მიეღოთ 7 წლის ბავშვები. სავალდებულო სწავლებაზე გადასვლა კი, 1924 წლისათვის უნდა დამთავრებულიყო. ეს ხუთწლიანი პერიოდი პროექტის ავტორთა

აზრით, საჭირო იყო იმიტომ, რომ ქვეყანა განიცდიდა ამ ტიპის სასწავლებლებისა და მასწავლებლების მწვავე ნაკლებობას. მაგალითად, 1919 წელს ზემოთ დასახელებული სასწავლებლების სტატისტიკა საქართველოს ქალაქებისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: თბილისის მაზრა – 59, გორის – 124, თელავის – 42, სიღნაღის – 75, დუშეთის – 38, თიანეთის – 31, ქუთაისის – 196, ოზურგეთის – 142, სენაკის – 123, ზუგდიდის – 104, შორაპნის – 124, რაჭის – 67 და ლეჩხუმის – 56, სულ 1182 [114, 2].

ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებულია სამინისტროს მეორე მოხსენებაც საშუალო სკოლების რეორგანიზაციის შესახებ, რომელშიც წინა პლანზეაწამოწეული მოსაზრება იმის თაობაზე, „რომ მომავალ სკოლაში დიდი ადგილი დათმობოდა ისტორიას, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, რუსულსა და მსოფლიო ლიტერატურას, კულტურას, რუსულს და ერთ–ერთ უცხო ენას. ერთი სიტყვით, მომხდარიყო სწავლების ჰუმანიზაცია. მოხსენებიდან ირკვევა ისიც, რომ სასწავლო პროგრამაში უნდა შეეტანათ პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია და ლოგიკა. რეორგანიზაცია სამ წელიწადში უნდა დამთავრებულიყო.

„1919 წლის 14 აპრილს სამინისტროში გაიმართა საგანგებო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა დაბალ სკოლათა ის ახალი ტიპი და პროგრამები, რომელიც ცხოვრებაში უკვე სექტემბრიდან უნდა გატარებულიყო [115, 2].

1919 წლის 2 მაისს სამინისტროში კვლავ გაიმართა თათბირი, სადაც მის მონაწილეებს გააცნეს გ. ნათაძის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომავალ სკოლათა ტიპების შესახებ. განათლების სამინისტრო ქმნიდა სამ საფეხურიან სწავლებას: 1. პირველდაწყებითი(დაბალი სკოლები დაგიმნაზიების მოსამზადებელი განყოფილებანი), 2. უმაღლეს დაწყებითი (გიმნაზიების 1–4 კლასები) და 3. გიმნაზიები (გიმნაზიების 5–8 კლასები). ამათგან I და II უნდა დამორჩილებოდა ადგილობრივ თვითმმართველობებს, მესამე კი – სამინისტროს. თუკი ეს პროექტი მოწონებული იქნებოდა მთავრობის მიერ, სწავლაც მისი მიხედვით დაიწყებოდა სექტემბრიდან [48,103].

1919-1920 სასწავლო წელს საშუალო სკოლის 1-3 კლასი გაუთანასწორეს უმაღლესი დაწყებითი სკოლის 1-3 კლასებს, ხოლო 1920-21 სასწავლო წლისათვის კი საშუალო სკოლის მე-4 კლასიც ასევე გაუთანასწორდა უმაღლესი დაწყებითი სკოლის მე-4 კლასს.

1919 წლის 17 ივლისს კი, განათლების სამინისტრომ უკვე მთავრობას წარუდგინა მოხსენება თავისი მოსაზრებებით. მოხსენებიდან ნათლად იკვეთება, რომ საშუალო სკოლებს უნდა გამოჰყოფოდა მოსამზადებელი და 1–4 კლასები, შეცვლილიყო მათი პროგრამები. საშუალო სკოლა ახალი პროექტით უნდა დაწყებულიყო მე–5 კლასიდან და მოიცავდა მე–8 კლასის ჩათვლით პერიოდს. უფროსი კლასებიდან უნდა მომხდარიყო სწავლების სპეციალიზაცია. ვრცლად არის განხილული ამ საქმეში ევროპა–ამერიკის გამოცდილება და მისი საქართველოში გადმოტანა მისაღებად მიაჩნდათ. სკოლებში უნდა შემოეტანათ ისეთი საგანი, როგორც იყო **ხელგარჯილობა**, ხოლო სასკოლო მეცადინეობები ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში გადაეტანათ. განათლების სამინისტროს, ასევე, საჭიროდ მიაჩნდა სკოლებში **თვითმმართველობის დანერგვა**, რაც, მათი აზრით, გამბედაობასა და ინიციატივას განავითარებდა. ასევე, დიდი ადგილი უნდა დათმობოდა **ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდას**. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ შექმნილი კომისიები უკვე ადგენდნენ ახალ პროგრამებს. ზოგიც უკვე მზად იყო. ცალკეული საგნების მიხედვით შექმნილი კომისიები განიხილავდნენ სასკოლო სახელმძღვანელოებსაც, რომლებიც ითარგმნებოდა ან იწერებოდა. ეს პროექტი 1923 წლამდე უნდა განხორციელებულიყო [115, 2].

როგორც ვხედავთ, ამ გეგმის მიხედვით საშუალო სკოლას 4 კლასი ექნებოდა, სადაც ისწავლიდნენ ქართულ ენასა და სიტყვიერებას, რუსულ და მსოფლიო ლიტერატურას, ორ უცხო ენას (რუსული, როგორც უცხო ენა, ისე ითვლებოდა), ისტორიას, პოლიტეკონომიას, სამართლის მეცნიერებას, ფსიქოლოგიას, ლოგიკას, მათემატიკას, მათემატიკურ გეოგრაფიას, ფიზიკას, ქიმიას, ბუნებისმეტყველებას, ჰიგიენას, ფიზიკურ ვარჯიშობას, გალობას, მუსიკას, ხელსაქმეს და ხელგარჯილობას“ [108, 49]. უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი ახალი ტიპის გიმნაზიის მე–5 კლასში უგამოცდოდ შევიდოდნენ. ძველი ტიპის გიმნაზიის (მოიცავდა 1–8 კლასებს) მე–5 კლასში მიღებისათვის კი საჭირო იყო გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში. 22 ივლისს მთავრობამ მოიწონა სამინისტროს მოხსენება და დაადგინა საშუალო სკოლის რეორგანიზაცია განხორციელებულიყო წარმოდგენილი პროექტის მიხედვით.

სასკოლო განათლების რეორგანიზაციის დაჩქარებასა და მის განხორციელებაში არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანის მიზნით, 1920 წელს შეიქმნა სკოლის საორგანიზაციო კომისია დ. უზნაძის თავმჯდომარეობით. კომისიამ 14 თებერვალს პირველი სხდომა ჩაატარა, სადაც მოსმენილ იქნა თვით დ. უზნაძის მოხსენება „საქართველოს სკოლის რეორგანიზაციის საკითხების გარშემო“. გადაწყდა, მათი მომზადებული პროექტი შესულიყო დამფუძნებელ კრებაზე. სხდომაზე ძირითადი მსჯელობა დაბალ სკოლებზე წარიმართა [56, 38]. კომისიამ გამოკითხა ყველა მოსწავლე,

ვინც უმაღლეს დაწყებით სასწავლებელი დაამთავრა, რათა გაერკვია, აპირებდნენ, თუ არა ისინი გიმნაზიაში (ე. ი. საშუალო სასწავლებლებში) სწავლის გაგრძელებას.

კომისიამ სულ რაღაც ოთხი თვის განმავლობაში შეიმუშავა საერთო განათლების სკოლის ძირითადი დებულებები და, მისი აზრით, უნდა დანერგილიყო სავალდებულო უფასო რვაწლიანი სწავლება. 1 კლასში უნდა მიეღოთ 6 წლის ბავშვები. თანაბარი ყურადღება უნდა მიექცოდა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო საგნებს და განათლება დაფუძნებოდა შრომას. კომისიის აზრით, საშუალო სკოლა იქნებოდა ორგვარი-საერთო განათლებისა და პროფესიული. საშუალო სკოლის კურსი 4 წლით განისაზღვრებოდა. პროფესიული სკოლა კი სხვადასხვა ტიპისა იქნებოდა. კომისიას უკვე გამზადებული ჰქონდა კომერციული და პედაგოგიური სკოლების ძირითადი დებულებანიც. მისი მიხედვით, პედაგოგიური სკოლა მოამზადებდა მასწავლებლებს პირველ დაწყებითი სკოლებისათვის, უმაღლესი პედაგოგიური სკოლა კი – საშუალო სკოლებისათვის. პედაგოგიური სკოლა იყო 5 წლიანი, საიდანაც პირველი 3 წელი საერთო განათლებაზე, ბოლო 2 წელი კი მეთოდურ-პედაგოგიურ მომზადებაზე იქნებოდა ორიენტირებული. საშუალო სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებლად ასევე განზრახული იყო სპეციალური ინსტიტუტის დაარსება, რომელიც უნივერსიტეტის ფაკულტეტის შესატყვისი იქნებოდა. კომისიამ დაამუშავა სკოლებისათვის დებულებები, მეცადინეობათა გეგმები, მოახდინა გაკვეთილების განაწილება და ა. შ. 1920 წლის სექტემბრიდან კი უკვე უნდა გახსნილიყო ამ ტიპის სკოლის I კლასი[37, 144].

1920 წელს დიმიტრი უზნაძემ გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი გამოკვლევა „სახალხო განათლების სისტემის ძირითადი პრინციპების შესახებ“. ამ ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ „ქართული ერთიანი სკოლა“ შემდეგ პრინციპებსა და დებულებებზე უნდააგებულიყო :

პირველი საფეხური (6-10 წლამდე) – ოთხწლიანი სკოლა, რომლის პირველი კლასის სასწავლო კურსი საბავშვო ბაღისა და სკოლის ელემენტებს შეიცავდა;

1. მეორე საფეხური (10-14 წლამდე) – ოთხწლიანი კურსით, რომელიც ორ მიმართულებას ეფუძნებოდა: ჰუმანიტარულ- თეორიულსა და რეალურ-პრაქტიკულს;

2. მესამე საფეხური იყოფოდა სამეურნეო და სამრეწველო - სატექნიკო სკოლებად; მაღალი პროფესიონალური და მაღალი ზოგადი განათლების სკოლებად(ოთხწლიანი).

ზოგადი განათლების სკოლა შეიცავდა: ა.რეალურსა და ბ. ჰუმანიტარული სკოლის ტიპებს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კიდევ ორ შტოდ იყოფოდა: ნეოჰუმანიტარულ და კლასიკურ სკოლად, რომლის ხანგრძლივობა ოთხი წლით იყო განსაზღვრული.მესამე საფეხურით სრულდებოდა სავალდებულო სწავლების პერიოდი,

რის შემდეგ სწავლის გაგრძელება შეიძლებოდა უნივერსიტეტებში, პოლიტექნიკუმებში, ან სხვა ტიპის უმაღლეს სკოლებში.

საშუალო სკოლებში გათვალისწინებული იყო დედაენის, მშობლიური ლიტერატურის, სამშობლოს და მსოფლიო ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ზნეობისა და უფლებების, ფიზკულტურის, ხელგარჯილობის და სახვა დისციპლინების სწავლება.

დიმიტრი უზნაძე მხარს უჭერდა პროფილურ სწავლებას. მეორე საფეხურის კურსის დასრულების შემდეგ იგი მოწაფეთა განაწილებას ორი თვალსაზრისით ხედავდა: 1. ბუნებრივი ნიჭიერების ინტენსივობით და 2. სულიერი დისპოზიციების რომელობის თვალსაზრისით.

დიმიტრი უზნაძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი-„სახალხო განათლების სისტემის ძირითადი პრინციპების შესახებ“ მართლაცდა პროგრესული ხედვაა საქართველოში განათლების სისტემის ევროპულ დონეზე მოწყობისა და განხორციელებისა. როგორც ნადეჟდა ბერულავა აღნიშნავს, ამ ნაშრომში განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს სამი საკითხი: „1. სახალხო განათლების სოციალური საფუძვლები; 2. სახალხო განათლების სიტემის აგებულება (ზოგადი და საპროფესიო განათლება ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით); 3. აღზრდის მიზანი და მისი განხორციელების გზები“ [4, გვ. 207].

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე კრიტიკულად უდგებოდა არსებულ პედაგოგიურ სისტემებს, ანალიზებდა მათ და ქმნიდა თავის პედაგოგიკურ კონცეფციას, რომელთა დანერგვას და განხორციელებას ცდილობდა 1915–1920 წლებში. მაგრამ უზნაძის რეფორმის განხორციელებას ხელი შეუშალა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა დიმიტრი უზნაძის პროექტები განათლების სისტემის ევროპულ ყაიდაზე მოწყობისა.

1920 წლის თებერვალში გამოვიდა მთავრობის დადგენილება საყოველთაო სავალდებულო უფასო განათლების შესახებ. მისი მიხედვით, უფასო და სავალდებულო გახდა რვაწლიანი განათლება, ბუნებრივია, რომ გაიზარდა ამ ტიპის სასწავლებელთა რიცხვიც და მარტო 1920 წლის პირველ ნახევარში გაიხსნა 150 დაწყებითი სკოლა. 179 კიდევ უნდა გახსნილიყო 1920–1921 სასწავლო წელს. სულ კი საქართველოში 1920–1921 სასწავლო წელს უნდა ყოფილიყო 1991 სკოლა. აქედან 151 უმაღლესი დაწყებითი იქნებოდა [38, 131].

1920 წლისათვის საქართველოს რაიონებსა და სოფლებში სკოლების მდგომარეობას, მათ პრობლემებს კარგად ასახავს მასწავლებელთა ყრილობის მასალები, რომელიც 1920 წლის იანვარში შეიკრიბა ქალაქ თბილისში. აღნიშნული მასალები

განხილული აქვს პროფესორ დოდო ჭუმბურიძეს ნაშრომში „განათლება 1918-1921 წლებში“.

ჩვენ მიერ მოკვლეული მასალები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა, მთავრობა მაინც ცდილობდა გაემჯობესებინა სასკოლო ქსელი და სწავლა-აღზრდის პროცესი ეროვნულ ნიადაგზე წარემართა.

რადიკალურად ვერ დავეთანხმებით ქართულ საბჭოთა პედაგოგიკაში გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ 1918-1921 წლებში საქართველოში სასკოლო-საგანმანათლებლო ქსელი მოიშალა, სწავლების სისტემაში ანარქია დამკვიდრდა, სასკოლო ასაკის ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოსცილდა სკოლას, ხოლო კვალიფიციური მასწავლებლების დიდი ნაწილი სკოლიდან წავიდა.

მაშინდელი განათლების სამინისტრო ხედავდა განათლების სისტემაში მიმდინარე დადებით და უარყოფით პროცესებს. 1919 წლის 5 აგვისტოს ერთ-ერთ ცირკულარში საშუალო სკოლების დირექტორებისადმი მითითებულია სკოლებში არსებული მრავალი ხარვეზი (მცირე ფინანსები, ცუდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ქართული ენის კარგად არმცოდნე მასწავლებლები და სხვა).მათ შორის, განათლების სისტემის ერთ-ერთ ნაკლოვან მხარედ მიჩნეულია წოდებრიობა– სკოლები მაღალი და დაბალი წრის წარმომადგენელთათვის. მთავრობამ და პედაგოგიურად გაუმართლებელ ასეთ თვალსაზრისს და მოუწოდებდა საზოგადოებას, სკოლებს თანდათანობით დაემლიათ სოციალური უთანასწორობის პრინციპი სასკოლო საქმეში.რა თქმა უნდა, სისტემაში იყო ხარვეზები, მაგრამ იზრდებოდა სასკოლო ქსელი, იქმნებოდა ახალი პროგრამები, სახელმძღვანელო წიგნები, ინერგებოდა სწავლების ინოვაციური მეთოდები, მზადდებოდა პედაგოგთა კადრები, იქმნებოდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და სხვა, რაზეც ცხადად მეტყველებს საარქივო მასალები.

ჩვენს საკვლევ პერიოდში დემოკრატიულ საქართველოში განათლების ცენტრებად კვლავინდებურად ქალაქები რჩებოდა. ამ მხრივ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქს თბილისი წარმოადგენდა, სადაც ჯერ კიდევ 1917 წელს 35 დაწყებითი სკოლა იყო. 1918 წელსაც ყველაზე მეტი რაოდენობით გიმნაზიები თბილისში იყო – სულ 6. აქედან I და II ქართული, III სომხური, მე–6 რუსული, მე–4 რუსულ–სომხური და მე–5 ქართულ–სომხური [59, 263]. ქალაქის განათლებას სასწავლებლების საბჭო განაგებდა. 1918 წელს თბილისში დაიწყო გაეროვნულება, რამაც იმავე წელს მთლიანად მოიცვა 1–4 კლასები, ხოლო ზოგიერთ სასწავლებელში უფრო მაღალი კლასებიც. 1919 წელს სამინისტრომ, დაიწყო რა განათლების სისტემის

რეორგანიზაცია, საშუალო სკოლებს გამოეყო მოსამზადებელი განყოფილებები და შეუერთდა იგი დაწყებით სკოლებს. 1919 წელს გაიმართა საქართველოს ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც მოისმინა განათლების განყოფილების გამგის ს. რობაქიძის მოხსენება. ყრილობამ დაადგინა, რომ ქალაქებში საყოველთაო და უფასო განათლებისათვის სწორედ მათ უნდა ეხელმძღვანელათ. გადაწყდა, ჩაეტარებინათ ბავშვთა აღწერა, დაედგინათ მათი რაოდენობა და ამის მიხედვით გაეხსნათ სკოლები. შეემუშავებინათ, აგრეთვე, სასკოლო გადასახადის კანონის პროექტი, აეშენებინათ სკოლები, სასკოლო ავეჯის ფაბრიკა, სახელოსნოები, გამოეცათ სახელმძღვანელოები, დაემზადებინათ სასწავლო ნივთები, თბილისში მოეწყოთ წიგნებისა და საკანცელარიო საგნების სავაჭრო სახლი, რაც ამ საგნებით სპეკულაციას მოსპობდა, გაეხსნათ საბავშვო ბაღები, მოძრავი სახალხო უნივერსიტეტი და ა. შ., „კიდევ უფრო გაიზარდა სასწავლებელთა რიცხვი 1920 წლისათვის და ახლა სულ თბილისში 82 სკოლა იყო 700 მასწავლებლით, აქედან ქართული - 24, სომხური - 18, რუსული - 23, მუსულმანური - 2, ოსური - 1, პოლონური - 1, გერმანული - 1, ბერძნული - 1 და ასირიული - 1. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ყველა სკოლაში სწავლება მხოლოდ და მხოლოდ მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა“ [53, 58]. საყურადღებოა ისიც, რომ მთელ ქალაქში ხუთშაბათობით სკოლებში სწავლა არ მიმდინარეობდა, რადგან ეს დღე მთლიანად ექსკურსიებს, ვარჯიშებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს ეთმობოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს პროექტი ძალიან მოიწონა 1920 წლის მასწავლებელთა I ყრილობამ.

1920 წელს ძირითადად დამთავრდა თბილისის სკოლების გაეროვნება. გაუქმდა საღვთო სჯული, შედგა ახალი პროგრამები. შემოღებული იქნა ხატვა და ხელგარჯილობა, დაინერგა მასწავლებელთა სამუშაოზე მიღების ახალი წესი და მათ მხოლოდ მას შემდეგ იღებდნენ, როცა სანიმუშო გაკვეთილს ჩაატარებდნენ. ქალაქს მასწავლებელთათვის მოკლევადიანი კურსებიც ჰქონდა. სასკოლო საქმეს თბილისში 3 ინსტრუქტორი ემსახურებოდა [71, 65].

განსაკუთრებით ძლიერი იყო ქალთა გიმნაზიების ქსელი. სამინისტრომ შეადგინა მათთვის სასწავლო გეგმა, რომელშიც მნიშვნელოვანი საათობრივი დატვირთვა მიეცა ქართულ ენას, საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას და სხვა. გთავაზობთ ქალთა გიმნაზიების 1918/1919 წლების გაკვეთილების კვირეულ დატვირთვას“ [196, ფურც. 98].

საგნები	1	2	3	4	5	6	7	8	საერთოდ კვირაში
ქართულიენა	4	4	4	4	3	3	3	4	29
რუსულიენა	4	3	3	3	3	3	3	3	25
გერმანულიენა	4	4	4	3	3	2	3	--	23
ფრანგულიენა	-	-	4	4	3	3	3	3	20
ლათინურიენა	-	-	-	-	3	3	3	6	15
ლოლიკადაფსიქოლოგია	-	-	-	-	-	-	-	3	3
ართიმეტიკა	3	3	4	3	-	-	-	-	13
გეომეტრია	-	-	-	-	2	2	2	-	6
ალგებრა	-	--	-	2	2	2	2	6	14
ტრიგონომეტრია	-	-	-	-	-	-	-	-	
ფიზიკა	-	-	-	-	-	3	3	4	10
კოსმოგრაფია	-	-	-	-	-	-	2	-	2
საქართველოსისტორია	-	2	2	-	-	2	2	2	10
მსოფლიოსისტორია	-	-	-	3	3	3	3	2	14
გეოგრაფია	3	2	2	2	2	2	-	-	13
ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	2	-	-	-	10
ხატვა	2	2	2	2	1	1	1	-	11
გალობა	2	1	-	-	-	-	-	-	3
სუფთა წერა	2	2	1	1	-	-	-	-	6
ჰიგიენა	-	-	-	-	-	-	2	2	4
სამღვთო რჯული	2	2	2	2	2	2	2	2	16
ხელსაქმე	2	2	2	1	1				8
საერთოდ	30	29	32	32	30	31	34	37	255

ჩვენი აზრით, ცალკე უნდა გამოვეყოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა საქართველოში მცხოვრებ ეროვნული უმცირესობების მიმართ. ვინაიდან ქართულ საბჭოურ პედაგოგიკურ ლიტერატურაში ზემოთ აღნიშნული დებულება სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ გამოცხადებული იყო, როგორც „ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებად“ [134, გვ. 293]. იმ დროს დოგმად ქცეული დებულების მიხედვით, დროებითი მთავრობა ჩაგრავდა და ავიწროებდა, არ ზრუნავდა ეროვნული

უმცირესობების ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საკითხის მოსაგვარებლად. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრისა და შევიწროების მაგალითებად მოყვანილია, რომ „1918 წლის 23 ივლისის დადგენილებით დახურული იქნა ავლაზრის მე-6, „იოანე ნათლისმცემლის“ და კუკიის სკოლის რუსული განყოფილებანი“ [135, გვ. 294]. ჩვენ მიერ შესწავლილი მასალებიდან კი ირკვევა, რომ მთავრობა საანადოდ ზრუნავდა ეროვნული უმცირესობებისათვის ახალი სასწავლებლების დასაარსებლად. ჯერ კიდევ 1918 წ. 26 ივლისს, ე. ი. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორ თვეში, განათლების სამინისტრომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც იგი არაქართველი მშობლებისაგან ითხოვდა სასწრაფოდ ეცნობებინათ სამინისტროსათვის, ასწავლიდნენ თუ არა მათ შვილებს მშობლიურ ენაზე სკოლაში. ეს სამინისტროს სჭირდებოდა იმისათვის, რომ სცოდნოდა ასეთ ბავშვთა რაოდენობა, რათა აღერიცხა და წინასწარ დაეჭირა თადარიგი მათთვის მშობლიურ ენაზე მიეცა განათლება: „ისინი ხომ საქართველოს შვილები არიან და მათზე ზრუნვაც ჩენი მოვალეობააო, –აცხადებდა სამინისტრო [43, 2].

რეალობაა, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესმა ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა განათლების ხარისხის ამაღლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. ინტერნაციონალიზაცია მოიცავს როგორც სტუდენტთა, ასევე აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს, საერთაშორისო თანამშრომლობას კვლევითი პროექტების ფარგლებში. სწავლების ინტერნაციონალიზაციის პრინციპი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი გამოძახილია 1918–1921 წლების დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკისა.

განათლების მინისტრი სვამდა მოქალაქეობის საკითხს, „ვინც არ იქნებოდა საქართველოს ქვეშევრდომი, მას არ მიეცემოდა სახელმწიფო სკოლებში სწავლის საშუალება, ამიტომ გაცილებით ნაკლები სახელმწიფო სკოლა იქნებოდა საჭირო უცხოელთათვის, რადგან მათ არ სურდათ საქართველოს მოქალაქედ გახდომა. სამინისტრომ შეისწავლა თბილისის მასშტაბით მომავალი კონტინგენტის რიცხოვრივი რაოდენობა და მოითხოვა, რომ „ტფილისში საჭირო იქნებოდა 4 სახელმწიფო საშუალო სასწავლებელი, სადაც სწავლება იქნებოდა ქართულ ენაზე, ხოლო სამი ისეთი, სადაც რუსები და სომხები ისწავლიდნენ. ბევრი სკოლა გაუქმდა და მათი შენობა და ინვენტარი გადაეცა ზოგი სომხურ, ზოგი კი რუსულ და ებრაულ სკოლებს [205, გვ. 11].

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ახალგაზრდა სახელმწიფო თავის არაქართველ მოქალაქეებს ჰპირდებოდა სწავლების უზრუნველყოფას თავიანთ მშობლიურ ენაზე და არა რუსულ ენაზე, რომელიც მანამდე იყო მიღებული. ბუნებრივია, რომ მთავრობის ეს პოზიცია ძალზე ლოგიკური და სწორი იყო – რაკი

საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მის ტერიტორიაზე მცხოვრებს იგი აძლევდა არჩევანის უფლებას, – ესწავლა სახელმწიფო – ქართულ, ან მისთვის მშობლიურ ენაზე, ოღონდ არა სხვა სახელმწიფოს ენაზე, ამ შემთხვევაში რუსულად. დათანხმება საქართველოს არაქართველთა მიერ განათლების რუსულ ენაზე მიღებაში, ნიშნავდა დათანხმებას პოტენციურად არაერთგულ მოქალაქეთა აღზრდაზე.მათ არ ეცოდინებოდათ არა მარტო ქართული, არამედ წარმოადგენა არ ექნებოდათ, როგორც საქართველოს, ისე თავიანთ მშობლიურ ისტორიაზეც.

განათლების სამინისტრომ განაცხადა, რომ იგი თავისი ხარჯებით არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსულ, სომხურ და სხვა უცხოენოვან სკოლებსაც შეინახავდა, ოღონდ, გაეროვნულება აუცილებელ პირობად იქნა მიჩნეული [29, 113].

თბილისში მოქმედებდა აგრეთვე ელინთა გიმნაზია, სადაც სწავლა ბერძნულ ენაზე იყო და მას ფინანსურად სახელმწიფოც ეხმარებოდა, ასევე, შუსტერის მიერ დაარსებული ებრაელთა რვაკლასიანი გიმნაზია, რომელშიც მოსწავლეებს ეროვნების მიუხედავად იღებდნენ და სწავლება ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე მიმდინარეობდა. გიმნაზიის ებრაულობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ იქ ებრაელთათვის სავალდებულო იყო ებრაული ენის სწავლა. უფრო მეტიც, ის ებრაელი, რომელიც ვერ ჩააბარებდა გამოცდას ებრაულ ენაში, გიმნაზიაში მხოლოდ იმ პირობით მიიღებოდა, თუკი იგი კერძოდ იმეცადინებდა ებრაულში [40, 10].

მალე, რესპუბლიკის მთავრობამ განათლების სამინისტროს დაავალა, რომ შეემუშავებინა გეგმა რუსებისა და სომხებისათვის ცალ-ცალკე გიმნაზიების დაარსებისათვის მხოლოდ იმ პირობით, რომ დაკომპლექტებისას უპირატესობა საქართველოს ქვეშევრდომთა შვილებს მისცემოდათ [30, 13]. 1920წელს განხორციელდა კიდევ მთავრობის ეს დავალება და თბილისში შეიქმნა ვაჟთა 2 რუსული, 3 სომხური და ქალთა 3 სომხური და 2 რუსული გიმნაზია. საერთოდ კი, ქალაქში ამ წელს მოქმედებდა 23 რუსული და 18 სომხური სასწავლებელი. რუსული ჯგუფები არსებობდა გორის, ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის გიმნაზიებშიც, ხოლო სოხუმში – 2 რუსული გიმნაზია.

პროფესორი დ. ჭუმბურიძე თავის ზემოთხსენებულ ნაშრომშიწერს: „ ქართული სკოლის „გაეროვნებამ“, განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია საქართველოში მცხოვრებ სომხებში. სომხური სკოლები არ ემორჩილებოდნენ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას რელიგიის სწავლების გაუქმების შესახებ. ისინი ასწავლიდნენ გრიგორიანულ სარწმუნოებას და აღნიშნავდნენ კიდევ გრიგორიანულ დღესასწაულებს, ...მიუხედავად შექმნილი პოლიტიკური დამაბულობისა, საქართველოს მთავრობა დემოკრატიული მეთოდებით უდგებოდა სქრთველოში მცხოვრები ყველა ეროვნების

კულტურულ ცხოვრებას, აძლევდა მათ საკუთარი პრესის, ეროვნული სკოლის დაარსების უფლებას, შეუზღუდავი იყო მათი რელიგიური კერების საქმიანობა.“[206, გვ. 74–75].

სექტემბრიდან პრაქტიკულად განხორციელდა თბილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებაც და ქალაქის სასწავლებლების საბჭომ კუკიის ეკლესიის სკოლის შენობაში გახსნა ასირიელთა სკოლა, სადაც სწავლა საღამოს მიმდინარეობდა.

თბილისშივე გერმანელთა ეროვნულმა საბჭომ გახსნა გერმანული რეალური სასწავლებელი (გიმნაზია). ეს სასწავლებელი გაიხსნა 1918 წლის 15 ოქტომბერს. ჩარიცხული მსმენელების გარდა გიმნაზიას ჰყავდა თავისუფალი მსმენელები, რომლებიც იხდიდნენ გადასახადს 100 მანეთის ოდენობით. სასწავლებელში ისწავლებოდა შემდეგი საგნები:

№	სასწავლო საგნები	კვირეული დატვირთვა
1	გერმანული ენა და ლიტერატურა	4
2	გერმანიის ისტორია	4
3	ლათინური	4
4	გეოგრაფია	2
5	ქართული ენა	3
6	ქართული წერა	2
7	რუსული ენა	3
8	გეომეტრია	2
9	საღმრთო სჯული	1
10	ფიზიკა	1
11	სულ	26

მოქმედებდა, აგრეთვე, 2 მუსულმანური და პოლონური სასწავლებლებიც. 1918 წლის 30 ოქტომბერს განათლების სამინისტროს ოსთა ეროვნულმა საბჭომ წარუდგინა

მოთხოვნა ცხინვალში ოსური გიმნაზიის გახსნის შესახებ, სადაც სწავლება ოსურად და რუსულად წარიმართებოდა.

ცალკე უნდა შევეხოთ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მშობლიურ ენებზე მოწყობილ სკოლებში სწავლების ორგანიზაციას. ძალზე პრინციპული და სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული იმის თაობაზე, რომ ამ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება დათმობოდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას და მალე განათლების სამინისტრომ ეროვნულ საბჭოში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სავალდებულო სწავლების შესახებ.

განსაკუთრებითსაყურადღებო იყო აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა. საქმე იმაშია, რომ აქ 1917 წლიდან 1919 წ. სექტემბრამდე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მეცადინეობები საერთოდ არ ტარდებოდა. იგი მხოლოდ 1919 წლის სექტემბრიდან განახლდა. მდგომარეობის გამოსწორებას ართულებდა ის, რომ არ ჰყავდათ მასწავლებლები, ხოლო ვინც მუშაობდა, მათი მომზადების დონე მეტად დაბალი იყო, განსაკუთრებით, ქართულის მასწავლებლებისა. ამ საქმის გამოსწორებისათვის 1919 წლის ზაფხულში, გალში, სამურზაყანოს მასწავლებელთათვის მოეწყო სპეციალური კურსები. ქართულის მასწავლებლები საერთოდ არ ჰყავდათ გუდაუთაში, ტამიშში და სხვაგან. განათლების ყველაზე მსხვილ ცენტრს აფხაზეთში სოხუმი წარმოადგენდა. აქ იყო რეალური სასწავლებელი, ქალთა გიმნაზია, საოსტატო სემინარია, ქართული გიმნაზია, გოლინსკის კერძო გიმნაზია და დაწყებითი სასწავლებლები, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა რუსული სასწავლებელი იყო.

საქართველოს ხელისუფლებას შემრიგებლური პოზიცია ეკავა აფხაზეთთან ურთიერთობაში, მიდიოდა ბევრ დათმობაზე და ცდილობდა მდგომარეობა უფრო არ გაემწვავებინა. მაგრამ ზოგჯერ ეს პოზიცია გაუმართლებელი და ზედმეტად ლოიალურიც კი ჩანდა.

მიღწეული იქნა რა გარკვეული წარმატებები საქართველოში სხვა ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმეში, როგორც ეს 1920 წ. მასწავლებელთა 1 ყრილობაზე აღინიშნა, დაიწყო სომხური, ბერძნული და ოსმალური (აზერბაიჯანული) სკოლების გაეროვნულებაც. საქართველოში ბერძნული და ოსმალური სკოლებიც ფუნქციონირებდა, სადაც მასწავლებელთა კადრების სიმწირის გამო ძირითადად სწავლა მაინც რუსულად მიმდინარეობდა.

მთავრობა ცდილობდა შეეცვალა ეს სიტუაცია და ზრუნვა დაიწყო მასწავლებელთა კადრების მოსამზადებლად ეროვნულ უმცირესობათა

სკოლებისათვისაც. ამ მიზნით, 1920 წელს მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები გაიხსნა მუსულმანებისა და ბერძნებისათვის.

1918–1919 სასწავლო წლის ბოლოსათვის (1919 წლის აპრილი), „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროში შედიოდა შემდეგი სასწავლებლები და დაწესებულებები“ [158, ფურც. 26–29].

ცხრილი N 1

№	უმაღ. სასწავლებლები	სამეცნ. დაწესებულებები	საშუალო სასწავლებლები	დაბალი სასწავლებლები	პირველდაწყ. სკოლების რაოდ. ეროვნებების მიხედვით	კერძო სასწავლებლები	მოკლევადიანი ველწლიური კურსები	სკოლის გარეშე განათ. დაწესებულებები
1	2	3	4	5	6	7	8	
1	თბილისის სახ. უნივერსიტეტი	ფიზიკური რვა კატორია	ვაჟთა გიმნაზია – 28;	უმაღლესი დაწესებულებები – 108	ქართულენოვანი – 1740	ვაჟთა გიმნაზია – 14	სახალხო მასწავლებელთა კურსებით ბილისში	მოძრავი ბიბლიოთეკა – 3
2	კერძო უნივერსიტ. (მთავრობის სუბსიდირებული)	გეოგრაფიული ინსტიტუტი	ქალთა გიმნაზია – 24;	პირველდაწყებითი – 108 სკოლა	ბერძნულენოვანი – 52	ქალთა გიმნაზია – 12	სახალხო მასწავლებელთა კურსებით ქუთაისში	სახალხო წიგნსაცავი და სამკითხველოები – 2112
3	თბილისის სპორტ. ინსტ.	არქეოლოგიური ინსტიტუტი	რეალური სასწავლებელი – 3;	საპროფესიო – სატექნიკო სკოლა – 12	რუსულენოვანი – 22	რეალური სასწავლებლები – 2	საშუალო სკოლის მასწავლებელთა კურსები	სახალხო უნივერსიტეტები – 12
4	თბილი	მუზეუმი	საკომერც	საკერამიკ	სომხურენ	საკომერ	სატექნიკ	საბავშვო

	სისუმა დ. საინჟ. კურსები	ები-6	იოსასწავ ლებელი - 3;	ო - სკოლა- 2	ოვანი-16	ციოსასწ ავლებე ლი - 2	ოკურსებ ისახალბ ომასწავ ლებლებ ისათვის	ბაღები- 16
5	თბილი სიკერძ ოიური დ. კურსები	წიგნთსა ცავები- 6	პოლიტექ ნიკურის ასწავლებ ელი - 1;		მუსულმან ური-12	საბუღა ლტროკ ურსები - 2		ხელბურ თის კურსები- 8
6	თბილი სისკონს ერვატორია	საზოგად ობები-11	ტექნიკურ რისასწავ ლებელი - 3;		ოსური-10	სავაჭრო სკოლებ ი - 8		საკვირაო და სადამოსკ ურ. მოზრდი ლო- ათვის- 216
7	თბილი სისპედაგ. ინსტიტუტი		საოსტატ ოსემინარი ები - 5;		გერმანულ ი-8			უცხოენათა კურსები- 10
8			საბებიონსტიტუტი - 1					წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადობა- ფილიალები და სკოლები- 100

9			კბილისე ქიმთაკუ რსები – 1					
10			საზღვაო სნოსასწა ვლებელ იქ. ფოთში-1					
11			სამუსიკო სკოლა – 1					
12			ექიმისთა ნაშემწის სასწავლე ბელი – 1					
13			საფერშლ ოსკოლა – 1					
14			მიწათმზ ომელთას ასწავლებ ელი – 1					
15			დრამატუ ლიკურსე ბი – 1					
16			საბუღალ ტროკურ სები – 5.					
სუ ჯ	7	25	80		219	40	4	2477

პროფ. დოდო ჭუმბურიძე საარქივო მასალებზე დაყრდნობით წერს: „1918-1921 წლებში ტფილისის გუბერნია სწავლა- განათლების მხრით ძლიერ ჩამორჩენილია ქუთაისის გუბერნიასთან შედარებით. სახალხო სკოლების რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში იყო 900, ხოლო ტფილისის გუბერნიაში 240 ქართული სკოლა. უმაღლესი დაწყებითი სკოლა ქუთაისის გუბერნიაში ამ დოკუმენტის მიხედვით, ყოფილა-70, თითო სასწავლებელი მოდიოდა 14280 მცხოვრებზე, ტფილისის გუბერნიაში კი 6, ე.ი. ამ ტიპის სკოლა აქ მოდიოდა 100 ათასმცხოვრებზე“ [204, გვ. 23].

არსებული განსხვავების აღმოსაფხვრელად სამინისტრომ შეიმუშავა გეგმა სკოლების სასწრაფოდ გახსნის შესახებ თბილისის გუბერნიის მასშტაბით. აღნიშნული საკითხი, სოფლების ჩვენებითა და ადგილმდებარეობის მიხედვით კარგად აქვს განხილული და ცხრილების სახით წარმოდგენილი პროფ. დოდო ჭუმბურიძეს ნაშრომში „განათლება 1918-1921 წლებში“.

ამრიგად, საქართველოში დაიწყო საყოველთაო-სახალხო განათლების გავრცელება. ყველა სოციალური ფენა ეწაფებოდა ცოდნის წყაროს, მათ შორის უღარიბესი გლეხობაც. ქართველი რეფორმატორები ცდილობდნენ ევროპული განათლების სისტემის გამოცდილების გადმოღებას, განსაკუთრებით კი ამ დროის საქართველოს ყველაზე ახლო-პოლიტიკური პარტნიორის-გერმანიის სკოლების ტიპების გაცნობასა და იქედან საჭირო გამოცდილების გაზიარებას.

სკოლამდელი აღზრდა, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები. სკოლამდელ აღზრდას მე-19 საუკუნოს 50-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი და სკოლამდელი დაწესებულებებითიქმის ერთდროულად დაარსდა. 1859 წელს მეფისნაცვალ ბარიატინსკის ნებართვით თბილისში გაიხსნა ბავშვთა თავშესაფარი, რომელშიც იღებდნენ საწარმოში დასაქმებულ მშობელთა ბავშვებს. საბავშვო ბაღი ღია იყო, როგორც სკოლამდელი, ისე უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის, რომლებიც სკოლებში არ სწავლობდნენ. ბავშვები ასაკის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფოდნენ. პირველი ჯგუფი სკოლამდელისაგან შედგებოდა, ხოლო მეორე ჩვეულებრივი დაწყებითი სკოლა იყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალებია დაცული ვლადიმერ გაგუას ნაშრომში „სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში“, რომელიც 1974 წელს გამოიცა. ამიტომ ჩვენ საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე არ შეუდგებით დაწვრილებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სკოლა-მდელი აღზრდის დაწესებულებების განვითარების ეტაპების აღწერას. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ საქართველოში არსებულ საბავშვო ბაღებში (თბილისში, ქუთაისში და სხვა) სწავლა-აღზრდის პროცესი მიმდინარეობდა სპეციალური პროგრამით, რომელიც ეფუძნებოდა ფრებელის პრინციპებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოებასთან ერთად, ჩასახვას იწყებდა სკოლამდელი აღზრდის თეორიაც. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ივ. როსტომაშვილის წერილმა „სკოლა სეირნობისა, ანუ საბავშვო ექსკურსიატი“, რომელიც 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა.

ივ. როსტომაშვილი დაწვრილებით განიხილავს ფრებელის სისტემით მოწყობილ საბავშვო ბაღების მუშაობის შინაარსს და მის ნაკლოვან მხარეებად მიიჩნია: „1) მრავალსაგნიანობა; 2) კარჩაკეტილობა; 3) ბავშვთა მოძრაობისა და თავისუფლების შეზღუდვა; 4) ძალად გართობა ბავშვებისა იმ საგნებსა და საქმეში, რომელიც ზოგიერთთა ხასიათისათვის სრულიად უცხო და შეუფერებელია, ამიტომ დიდად მოსაწყენი, მათი ჯანმრთელობის მომშლელი და სულიერის განვითარების დიდად დამხშველი და სხვ.“ [20, გვ. 74]. ამ ნაკლოვანებათა შორის ავტორს არსებითად მიაჩნია კარჩაკეტილობა და საკლასო მეცადინეობა მაშინ, როდესაც ბავშვის ცოცხალი ბუნება „თხოულობს გამუდმებულს მოძრაობას, თავისუფლად შეგნებას ქვეყნისას და ცხოვრებისას და მით ბავშვის ფიზიკურად და სულიერად ყოველმხრივ განვითარებას“ [125, გვ.7]. ივ. როსტომაშვილი უპირატესობას ანიჭებს სეირნობის ბაღებს, რომლის იდეა ოთხმოცდაათიან წლებში დასავლეთ ევროპაში ჩაისახა და შესაბამისი საბავშვო დაწესებულებებიც შეიქმნა. ავტორი მოითხოვს ასეთი საბავშვო დაწესებულებების თბილისში დაარსებას და გვთავაზობს მათს ერთგვარ პროგრამასაც. ივ. როსტომაშვილის აზრით, ასეთ ბაღებში მიღებულ უნდა ყოფილიყვნენ 6–7 წლის ბავშვები, რომლებიც აქ ორ წელიწადს დაყოფდნენ და მოემზადებოდნენ სკოლისათვის. ბავშვებს სახლიდან მოჰქონდათ საგზალი და წინასწარ დასახული მარშრუტით ყოველდღე სეირნობდნენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით. „დღეს რომ ქალაქის შუა გულიდან ბავშვები დიდუბისაკენ გაასეირნოთ, მეორე დღეს საკმაო იქნება დაკმაყოფილდეთ მხოლოდ ვორონცოვის ხიდის დათვალიერებით, მისი სიგრძე-სიგანის გაზომვით, მადათოვის კუნძულის მიმოხილვით და სხვ. ყოველი მოგზაურობა კარგად უნდა იყოს მოფიქრებული და ბავშვებისათვის ნაუწყები, ე. ი. სად უნდა წავიდნენ, სად მოისვენონ, სად ითამაშებენ ანუ იმღერებენ, გზა-და-გზა რას გასინჯავენ, ადგილზე მისვლის დროს რას გააკეთენ და სხვ.“ [126, გვ. 10]. ასეთი ბაღებისათვის, ავტორის აზრით, არ იქნება საჭირო ცალკე შენობის აგება ან დაქირავება და სწავლის ფასიც ნაკლები იქნება (2–3 მანეთი თვეში).

საბავშვო ბაღების ქსელი და სკოლამდელი აღზრდის შესახებ პედაგოგიური იდეები უფრო ინტენსიურად შემდეგ პერიოდში გაფართოვდა და განვითარდა.

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ 1919 წლიდან დაიწყო სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე.

როგორც პროფ. ნინო მოდებაძე წერს, ირკვევა რომ 1918-1921 წლების საქართველოში „ქართველი რეფორმატორები ცდილობდნენ ევროპული განათლების სისტემის გადმოღება-გაზიარებას. ბუნებრივია, აქცენტებს აკეთებდნენ იმ დროისათვის საქართველოს ყველაზე ახლო პოლიტიკური პარტნიორის - გერმანიის სკოლების ტიპებისა და გერმანელი პედაგოგების იდეების, თეორიების შესწავლა– დანერგვაზე“ [96, გვ. 244].

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ნ. ქუთათელაძის სტატია „თუ რისი გადმოღება შეიძლება იქიდან და რისი არა“ [76, 22]. სტატიაში განხილული და დახასიათებულია გერმანული სკოლა მისი დადებითი მახასიათებლებით. საყურადღებოა, აგრეთვე, პრესის ფურცლებზე გამართული დისკუსია მარია მონტესორის ახლებური პედაგოგიური სისტემის მიშვნელობის შესახებ საქართველოში სკოლამდელი განათლების სისტემის განვითარების საქმეში.

პროფესორი ნინო მოდებაძე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის 1919 წელს ქალაქ თელავში სკოლამდელი დაწესებულების გახსნის შესახებ. სასწავლო პროცესი ევროპულყაიდაზე მოეწყო. კერძოდ, აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება მიმდინარეობდა ფრებელის სიტემით.

მთავრობამ მიიღო დადგენილება საბავშვო ბაღებისათვის ყოველწლიურად 19 200 მანეთი გამოეყო. საბავშვო ბაღი გაიხსნა ქუთაისშიც, ამ საქმის მაღალ დონეზე მოწყობის მიზნით 1920 წელს სამინისტრომ გადაწყვიტა იტალიიდან ინსტრუქტორად მოეწვია მილანელი მეცნიერი, საბავშვო ბაღების მოწყობისა და აღზრდის ახალი მეთოდით მონტესორის სისტემის ერთ–ერთი აღიარებული სპეციალისტი, ჰუმანიტარული საზოგადოების დირექტორი, **ქ. კონდულმო**. მოწვეულმა სტუმრებმა თან დიდძალი ლიტერატურაც ჩამოიტანეს და 9 აგვისტოდან დაიწყო ლექციების კითხვა, ხოლო 10 აგვისტოდან თბილისში გაიხსნა სპეციალური კურსები 40 მსმენელისათვის [55, 131].

რკინიგზის განათლების უწყების საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მკვლევარი ა. ნიკოლეიშვილი: „ რკინიგზიც უწყებამაც დაიწყო თავისი საბავშვო ბაღების შექმნა, მაგრამ სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აღმზრდელთა კადრების დეფიციტი სერიოზული დაბრკოლება აღმოჩნდა. მართალია, თბილისში გახსნილ საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა ფრებელის

სამთავრობო კურსებზე რკინიგზამაც გაგზავნა თავისი მსმენელები, მაგრამ ამან პრობლემა ვერ აღმოფხვრა. მოზარდებისა და ზრდასრულებისთვის შეიქმნა წერა-კითხვის შემსწავლელი კურსები. კურსები შეიქმნა არა მხოლოდ თბილისში, არამედ პროვინციებშიც. მაგალითად, 1919 წელს ასეთი კურსები ამოქმედდა ყვირილას რკინიგზის სასწავლებლებშიც. ამავე სასწავლებელში გაიხსნა ქართული ენის არმცოდნეთათვის ქართული ენის შემსწავლელი კურსები“[98, გვ. 19].

არქივში აღმოჩენილი დოკუმენტებიდან ყურადღებას იქცევს „საბავშვო სახლის“ სასწავლო პროგრამა, რომლის მიხედვით საბავშვო ბაღში მიიღებოდნენ ორივე სქესის ბავშვები არანაკლებ 4–5 წლისა. მეცადინეობა იწყებოდა 1 სექტემბერს და გრძელდებოდა 1 მაისამდე. საბავშვო ბაღი იყოფოდა ორ განყოფილებად, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროების შემთხვევაში, იყოფოდა ჯგუფებად.

ბაღის ცხოვრება შეძლებისდაგვარად უახლოვდებოდაოჯახურ გარემოს. საბავშვო ბაღში ასწავლიდნენ ხატვას, ძერწვას, სიმღერას. აღსაზრდელები სწავლობდნენ მოძრავ თამაშებს, ბუნებასა და სიცოცხლეზე დაკვირვებას, ბავშვებს ამზადებდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერების უნარ-ჩვევების დასაუფლებლად. ისინი თვალყურს ადევნებდნენ მათ მიერ ქოთნებში ჩარგულ მცენარეებს, აკვირდებოდნენ მათ ზრდასა და განვითარებას, იმართებოდა სეირნობები, ექსკურსიები, ეწყობოდა საზეიმო ღონისძიებები.

საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფებში ისწავლებოდა: ანბანი, კითხვა, წერა და მათემატიკა. მეცადინეობა მიმდინარეობდა ისე, რომ ბავშვები არ გადაღლილიყვნენ, წლის ბოლოს მათ იცოდნენ 20–მდე დათვლა, ამოცანების ზეპირად ამოხსნა, კითხვა და წერა.

ორივე საფეხურზე ისწავლებოდა ფრანგული ენა თამაშებითა და სიმღერით. თითოეული მეცადინეობა გრძელდებოდა არაუმეტეს 15–20 წუთისა. მეცადინეობებს დასვენება ენაცვლებოდა, დაუშვებელი იყო დასჯა და ბავშვის იზოლირება.

გარდა სადღესასწაულო, კვირის დღეებისა და არდადეგებისა, ბავშვები „საბავშვო ბაღში“ იმყოფებოდნენ დილის 10 სთ.–დან 2 სთ.–მდე ყოველდღე, ხოლო ხუთშაბათობით მეცადინეობა მთავრდებოდა 12 საათსა და 20 წთ.–ზე.

დაწესებულება ამარაგებდა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს საჭირო სახელმძღვანელოებით მეცადინეობისა და თამაშებისთვის [169, ფურც. 12]. იხსნებოდა ბავშვთა კლუბები, ბავშვთა სახლები, სასკოლო – სამეურნეო კლუბები, კოლონიები და სხვა სპეციალური პედაგოგიური დაწესებულებები. არქივშიაღმოჩენილი დოკუმენტუ-

რი მასალებიდან საინტერესოა გაერთიანებული ორგანიზაცია „ბავშვთა სახლის“ პედაგოგიური სექციის თავმჯდომარის ნ. ნაკაშიძის ანგარიში, რომელსაც უცვლელად მოვიყვანთ:

„გასული საუკუნის ბოლოს პედაგოგიურ თეორიაში ამერიკასა და შემდეგ ევროპაში აღინიშნება ძირეული გარდატეხა. მოძველებული თორია სულ უფრო და უფრო კარგავს თავის ავტორიტეტს: პრინციპები, რომლებსაც ის ეფუძნებოდა, იყო: მოსწავლეებისათვის მეტი ცოდნის გადაცემა, სხეულის გაჯანსაღებისათვის ზრუნვა(უპირატესობაენიჭებოდაგონების განვითარებას, მხატვრული გემოვნების არარსებობის შემთხვევაში და ა. შ.)

სასკოლო აღზრდის ძველმა პრინციპებმა გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა არა მარტო მოწინავე პედაგოგიურ წრეებში, არამედ საზოგადოების ფართო ფენებშიც. ამის ფონზე თანდათან გამოიკვეთა პედაგოგიკის ახალი პრინციპები.

ბავშვები, რომლებიც თავს აფარებდნენ ქუჩებსა და დაბალ სოციალურ გარემოს მშობლების ეკონომიური მდგომარეობის გამო, სულიერად ნადგურდებოდნენ ქალაქებში, ხოლო სოფლებში ამას ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარება.

საზოგადოება, აღმოჩნდა რა ბავშვთა დანაშაულის საშინელი ზრდის, მათი სულიერი და ფიზიკური განადგურების წინაშე, იძულებული გახდა მოეძებნა საშუალებები, რათა ეხსნა თავისი ქვეყნის მომავალი მოქალაქეები დაღუპვისაგან. პედაგოგიკის მესვეურები იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ, რომ სკოლის ძველი მეთოდები, აღზრდის ძველი პრინციპები სრულიად გამოუსადეგარია მათი ამოცანების განხორციელებისათვის. თვით ცხოვრებამ გახადა იძულებული საზოგადოება ბავშვის გადარჩენისათვის მიემართა სოციალური აღზრდის ახალი მეთოდებისათვის [170, ფურც. 13].

შემდეგი საარქივო დოკუმენტი არანაკლებ მნიშვნელოვანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწავლა–აღზრდის არსებული მდგომარეობის შესასწავლად და რომელშიც დასაბუთებულია ღარიბი ოჯახების 7 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უფასო ბაღების გახსნის აუცილებლობა.

ბატონ სწავლა–განათლების მინისტრს
თამარა ნიკოლოზის ასულის ერისთავის

„საქართველოში პატარა ბავშვების აღზრდას და სწავლას თითქმის არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული. ბავშვი 7 წლამდე, მეტადრე ღარიბ ოჯახში, დატოვებულია სრულიად უყურადღებოდ და იზრდება ქუჩის ცხოვრების გავლენის ქვეშ. ევროპაში ამას დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება და ცდილობენ პატარა ბავშვების აღზრდას ნორმალურ პირობებში, ამიტომ, ყველა ქალაქში არის გამართული რამდენიმე საბავშვო ბაღი, სადაც ბავშვები 3 წლიდან 7 წლამდე იზრდებიან და სწავლობენ სხვადასხვა სისტემის გავლენის ქვეშ: მაგალითად, ქალაქ რომში, მუშათა უბნებში, გამართულია საბავშვო ბაღები, სადაც მოჰყავთ ბავშვები 3–დან 7 წლამდე. ესენი იმყოფებიან ბაღში იმ დროს, როცა მათი დედ–მამა მუშაობაში არიან ჩართულნი. ამრიგად, ბავშვები არ არიან დარჩენილნი უპატრონოდ და იზრდებიან ნორმალურ პირობებში. ეს საბავშვო ბაღები ევროპაში არის დაყენებული ფრებელის და მონტესორის სისტემაზე. უკანასკნელი ამ ბოლო დროს ძალიან გავრცელდა. ინგლისსა და ამერიკაში თითქმის ყველა ახალი საბავშვო ბაღი ამ სისტემაზე არის დაყენებული. ამ სისტემით დაყენებულ საბავშვო ბაღს ექნება დიდი გავლენა ჩვენი პატარა ბავშვების აღზრდაზედ. თბილისში რომ გაიმართოს რომელიმე უბანში უფასო საბავშვო ბაღი ღარიბთათვის, ეს მისცემს დედ–მამას საშუალებას მთლიანად თავისი დრო მოახმაროს მუშაობას და ბავშვები კი ამ დროს იქნებიან მოშორებული ქუჩას და მის ცუდს გავლენას, არ იქნებიან, აგრეთვე, უპატრონოდ და უსაქმოდ დარჩენილნი. ამნაირ საბავშვო ბაღში ბავშვი ვითარდება ყველა მხრივ, სწავლობს შეუმჩნეველად წერა–კითხვას, ანგარიშს, ლექსებს, სიმღერებს, ყოველდღიური ბაასი სხვადასხვა საგნებზე უვითარებს აზრს, გონებას და აძლევს ცოდნას. ხატვა, ძერწვა, ფერადების შედგენა და სხვა მრავალი ვარჯიშობა აჩვევს ბავშვს მუშაობას და ავითარებს მის ფანტაზიას. აქაურ პირობებში კი ყველა ამას ბავშვი სწავლობს მხოლოდ 7 წლიდან, როდესაც შედის საქალაქო სკოლაში, 7 წლამდის კი ბავშვის მთელი ენერგია, იმის ცნობისმოყვარეობა სრულიად უნაყოფოდ დაკარგულია.

საბავშვო ბაღის მოწყობა არ გამოიწვევს დიდ ხარჯს, მეტადრე, თუ პირველ ხანში არ მიეცემა საბავშვო ბაღს ფართო ხასიათი. 40 ბავშვისთვის გახსნილი საბავშვო ბაღი სამყოფი იქნება ერთი უბნისთვის. ამ საბავშვო ბაღის მოწყობა დაჯდება პირველად 3 000 მანეთამდე. 40 ბავშვისათვის საჭიროა ორი მასწავლებელი და ერთი მოსამსახურე, რომელიც უგდებს ბავშვებს ყურს. ყოველ თვე სხვადასხვა სამოსწავლო მასალის სასყიდლად მოუნდება 4–5 თუმანი და სახლის ქირა, – სამი მოზრდილი ოთახი, – თუ შესაძლებელი იქნება, იქვე ან პატარა ბაღი, ან დიდი ეზო. გარდა ამისა, ძლიერ კარგი იქნება, რომ ბავშვს ეძლეოდეს უბრალო იაფფასიანი საუზმე.

აი, ამ პირობებში შესაძლებელია გაიხსნას საბავშვო ბაღი ღარიბთათვის – რაც, ჩემი ღრმა რწმენით, დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ მომავალ ახალგაზრდობას და ბევრ ბავშვს, ღარიბ ოჯახისას, იხსნის ქუჩის გავლენისა და გახრწნისაგან [177, ფურც.14].

საინტერესოა თვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის პასუხი 1918 წლის 26 ენკენისთვის ტფილისის საბავშვო ბაღის გახსნის შესახებ:

„უკვე ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, საბავშვო ბაღს და განსაკუთრებით, სახალხო ბაღს სწავლა–აღზრდის საქმეში. ამ უკანასკნელი ტიპის საბავშვო ბაღის უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ მან შესაძლო დახმარება აღმოუჩინოს მუშა ხალხის ხელვიწრო ოჯახებს, სადაც ცხოვრების მძიმე, არანორმალური პირობათა გამო, სასკოლო ასაკის ბავშვები რჩებიან სრულიად უყურადღებოდ, უზრუნველად, უპატრონოდ.

საბავშვო ბაღის ძირითადი მიზნები შემდეგია: ბავშვთა ზნეობრივი აღზრდისათვის საჭიროა ბავშვის საზოგადოებრივი გრძნობების განვითარება, ნებისყოფის გაწვრთნა და განმტკიცება, თვითმოქმედების შეგნება და შრომის-მოყვარეობის შეჩვევა.

ჭკუა–გონების განვითარებისათვის კი აუცილებელია: საგნობრიობა– კონკრეტული, ნათელი წარმოდგენა საგნებისა და ინდივიდუალური ნიჭის გაშლა.

ამასთანავე, საბავშვო ბაღი ერთგვარი საფეხურია, საიდანაც ყმაწვილი შეუმჩნეველად, უმტკივნეულოდ, ადვილად გადადის სასწავლებელში. ეს კი აყვარებს ყმაწვილს სკოლას, აჩვენებს საზოგადოებაში ტრიალს და უადვილებს საზოგადოებრივი ინტერესების შეგნებას.

მიუხედავად საბავშვო ბაღის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, მთელ საქართველოში არცერთი ასეთი დაწესებულება არ მოგვეპოვება. ეს ფრიად დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის საზოგადოდ და განსაკუთრებით, ტფილისისათვის, რომ ამ დიდმა ქალაქმა დღემდისაც ვერ შეჰქმნა სახალხო ბავშვთა ბაღი ისეთი რაიონებისათვის, როგორცაა, მაგალითად, ვერა და ნამალადევი.

ერთი ასეთი საბავშვო ბაღის მოსაწყობად და შესანახად საჭირო იქნება წლიურად შემდეგი ხარჯები:

1. ბინის დაქირავება გათბობა–განათებით 3. 600 მან.
2. სასწავლო მასალის შეძენა 2. 400 მან.

- | | |
|------------------------------------|--------------------------|
| 3. ორი სასწავლებლის ჯამაგირი | 4. 800 X 2 = 9. 600 მან. |
| 4. მოსამსახურის ჯამაგირი | 2. 400 მან. |
| 5. მოულოდნელი ხარჯები | 1. 200 მან. |

სულ წელიწადში 19. 200 მან.

განათლების მინისტრი (ხელს აწერს გ. ლასხიშვილი) [176, ფურც. 18–19].

რადგან საზოგადოებრივი ელემენტები ამ სასარგებლო დაწესებულებაზე არ ზრუნავენ, განათლების სამინისტროს აზრით, თვით მთავრობამ უნდა იკისროს ამ საქმეში ინიციატორობა და ხარჯი და ამხანად მოაწიოს თუ ორთავე ადგილას არა, ვერაზე ან ნაძალადევეში მაინც ბავშვთა სახალხო ბაღი და ამით საჭირო დახმარება და სავალდებულო სამსახური გაუწიოს ქალაქის იმ განაპირა უბნების მცხოვრებთ, რომელთა გულმოდგინე შრომასა და ენერჯიაზედაც ემყარება მთელი ქალაქის უდიდესი და შედარებით უზრუნველი ნაწილი.

საარქივო მასალებში მივაკვლიეთ ასევე მასალებს, რომელიც მოიცავს მოთხოვნებსა და საჭირო ხარჯთაღრიცხვას „ბავშვთა სახლის“ გახსნის, საქმის დაწყებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის [87].

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელ საგანმანათლებლო სისტემაში 1918-1921 წლების საქართველოში მრავალი ხარვეზი შეიმჩნეოდა, საქართველოს დემოკრატიული მთავრობა სრულად იზიარებს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის შეხედულებებს მომავალი თაობის ევროპული ცოდნით აღჭურვის აუცილებლობის შესახებ და პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ევროპული ყაიდის სწავლების შემოტანას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

სპეციალური საშუალო განათლება და პროფესიული სასწავლებლები. პროფესიული განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თითქმის არ არსებობდა. 1919 წლის 1 ოქტომბრისათვის სულ 7 სკოლა იყო და ისინიც თავის მოვალეობას თავს ვერ ართმევდნენ სასწავლო პროგრამების, სპეციალისტთა კადრებისა და მატერიალური ბაზის არარსებობის გამო. „საპროფესიო – სატექნიკო სკოლები ფუნქციონირებდა თბილისში–4, ქუთაისში–1, აფხაზეთ–სამურზაყანოში–1, სენაკში–1 [21, 234].

მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში მრავალი საინტერესო სტატია გამოქვეყნდა საქართველოში სპეციალური საშუალო განათლების შესახებ. ამ თვალსაზრისით გამოირჩეოდა ჟურნალ „განათლებაში“ დაბეჭდილი მნიშვნელოვანი გამოკვლევა „სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება“, რომლის ავტორია პედაგოგი და

საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე. იგი მსჯელობს ზოგადი განათლებისა და საპროფესიო ცოდნის ურთიერთმიმართებაზე, აკრიტიკებს არსებულ მოსაზრებას სახალხო სკოლაში ზოგადი განათლებისა და პროფესიის ერთდროულად დაუფლების შესახებ და გვთავაზობს წინადადებებს პროფესიული განათლების სწორად მოწყობის თაობაზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული პროფესორებს ს. სიგუას და ივ. ჭკუასელს. ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ არ წარმოვადგენთ მათ მიერ გაანალიზებული შეხედულებების ინტერპრეტაციას და შევეხებით მხოლოდ იმ ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გაატარა სპეციალური საშუალო განათლების განვითარების კუთხით.

როგორც ჩვენ მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, საპროფესიო განათლება დემოკრატიულ რესპუბლიკაში „უნაყოფო იყო არა მხოლოდ დაბალ, დაწყებით, არამედ ზოგადი განათლების საფეხურზეც. დაბალი სამეურნეო სასწავლებლები არც დასრულებულ ცოდნას იძლეოდნენ და არც ცხოვრებისათვის საჭირო საკმარის მომზადებას. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი და წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა. ამ სკოლების კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესახებ ერთ–ერთი საარქივო დოკუმენტის [194, ფურც. 9]. ანალიზი გვიჩვენებს, რომ კურსდამთავრებულთა დიდი უმრავლესობა ცხოვრებაში სულ სხვა გზას დასდგომია, და არა იმას, რისთვისაც მათ სკოლა ამზადებდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ყურად იღო პროფესიულ–ტექნიკური განათლების უაღრესად მნიშვნელოვანი როლი საშინაო ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით და ამ მიმართულებით საქმიანობა ინტენსიურად წარმართა. 1918 წელსვე თბილისში გაიხსნა საშუალო ტექნიკური და მიწისმზომელთა სასწავლებელი, რომლის დაარსებაც მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნია იმ დროის ცნობილმა პედაგოგმა და ინჟინერმა ვ. კაკაბაძემ [47, 41]. გაიხსნა სამედიცინო სასწავლებელი, არსებობდა სახელოსნო და რეალური სასწავლებლები, რომლებშიც სწავლა იმავე წელსვე ქართულ ეროვნულ ნიადაგზე გადავიდა. „განათლების“ საზოგადოებას კი ჰქონდა სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი, დაარსდა ხელოსანთა საღამოს სკოლებიც, სადაც მეცადინეობები 17–დან 20 საათამდე ტარდებოდა. პროფესიული სასწავლებლები საქართველოს სხვა ქალაქებშიც არსებობდა – 1918 წელს ქუთაისში ქალთა საზოგადოებას ჰქონდა თავისი პროფესიული სკოლა, საზღვაოსნო სკოლა გაიხსნა ფოთში, სამინისტრომ გააფართოვა მცხეთის თიხის ჭურჭლის სკოლა. სამინისტროსვე გადაეცა გაგრის რეალური სასწავლებელი. 1918 წელს თბილისში ფუნქციონირებდა

აგრეთვე სამი საკომერციო რუსული სასწავლებელი, რომლებშიც ქართველები ძალზე ცოტანი სწავლობდნენ.

გარდა სახელმწიფო პროფესიული სკოლებისა, არსებობდა კერძო პირთა მიერ დაარსებული სასწავლებლებიც. მაგალითად, ერთ–ერთი პირველი, ვინც ასეთი კერძო კურსები 1918 წელსვე დააარსა, გახლდათ ა. საათაშვილი. იგი საბუღალტრო და საკომერციო სპეციალისტებს ამზადებდა, თანაც ქართულ ენაზე. მსმენელებისათვის მანსაგანგებოდ ქართულ ენაზე გამოსცა სახელმძღვანელო წიგნი „ორმაგი ბუღალტერია“ [41, 141]. პროფესიული სკოლები ჰქონდა გრეთვე ე. თარხან–მოურავსგორში, ხაშურსა და ახალქალაქში.

1919 წლის იანვრიდან პროფესიულ–ტექნიკური განათლების შესახებ საერთო კანონი ძალაში შევიდა და საშუალო–პროფესიულ განათლებაზე საზოგადოების ყურადღება კიდევ უფრო გამახვილდა, რასაც დიდად შეუწყო ხელი პრესის მიერ ამ საკითხების გაშუქებამაც. მაგალითად, 1919 წელს მეორე ნომერშივე „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაბეჭდა ვ. კაკაბაძის წერილი „სპეციალური სწავლა–განათლება“, რომელშიც იგი ასკვნიდა, რომ საქართველოში რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაარსებულიყო ინჟინერთა და წარმოების ხელმძღვანელთა თანამემწეების მოსამზადებელი საშუალო სპეციალური სასწავლებლები“ [120, 2].

ქუთაისის მუშა ქალთა ორგანიზაციამ 1918 წელს დააარსა „შრომის სკოლა“. ეს იყო ოთხკლასიანი სასწავლებელი, სადაც ზოგად საგნებთან ერთად მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ასწავლიდნენ ყოველგვარ ხელსაქმეს. როგორც ირკვევა, სკოლას არ ჰქონდა მუშაობის ხელსაყრელი პირობები, რის გამოც სკოლის ადმინისტრაცია ფინანსური დახმარების კუთხით ხშირად მიმართავდა ქალაქის თვითმმართველობასა და საზოგადოებას [23, 152].

სახალხო განათლების სამინისტროსარ ემორჩილებოდა ზოგიერთი სასწავლებელი. ეს მოდელი ჩვენი აზრით, შემორჩა ძველი რუსეთის სამინისტროსაგან, სადაც სკოლები ექვემდებარებოდნენ სხვადასხვა უწყებას: საფინანსო, სავაჭრო და სამრეწველო, შინაგან საქმეთა, სამიწათმოქმედო და სხვა სამინისტროებს.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარებოდა:

- კომერციული სასწავლებლები:** 1. თბილისის I კომერციული სასწავლებელი; 2. თბილისის II კომერციული სასწავლებელი; 3. თბილისის პეტრაშევსკის სასწავლებელი; 4. ქუთაისის კომერციული სასწავლებელი;

სავაჭრო სკოლები: 1.თბილისის მანთაშევის სავაჭრო სკოლა; 2. თბილისის ტერ-სტეპანოვის სავაჭრო სასწავლებელი;

საბუღალტრო კურსები: 1. ნ.ვ. აბრამიანის თბილისის საბუღალტრო კურსები; 2. ტერ-სტეპანოვის სახელობის საბუღალტრო კურსები; 3. I კომერციულ სასწავლებელთან არსებული კურსები; 4. თბილისის ფილოიანის კომერციული ცოდნის მისაღები კურსები“(დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში“, გვ.46).

სამეურნეო კადრების მომზადების საკითხში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელიც 1919 წელს საშუალო სასწავლებლად გადაკეთდა. იგი მიწათმოქმედების სამინისტროს ექვემდებარებოდა. სასწავლო პროგრამების მიხედვით სკოლაში იწავლებოდა მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, გეოდეზია, მიწისმზომელობა, საბეითლო საქმე. სკოლას ეკუთვნოდა ანანოვის აჯამეთის მამული. აქ მოყვანილი პროდუქტები ბაზარზე კარგად ფასობდა და სკოლას შემოსავალიც დიდი ჰქონდა [183, ფურც.21-22].

1915-1921 წლებში ქუთაისში კიდევ ერთი ავტორიტეტული საშუალო-სპეციალური სასწავლებელი ფუნქციონირებდა-კომერციული სასწავლებელი. 1915 წლამდე სკოლას ეხმარებოდა მზრუნველთა საბჭო. მას ირჩევდა ქუთაისის გუბერნიაში საკომერციო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება. 1918 წლიდანსაბჭო ვეღარ აკმაყოფილებდა სკოლის მატერიალურ მოთხოვნილებებს. მიზეზი ამისა იყო ისიც, რომ საბჭოს გაუვიდა ვადა, ახალი არჩევნები კი ვერ ჩატარდა, ამასთანავე მას გამოაკლდა ისეთი წევრები, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდათ საბჭოს მუშაობაში. ამიტომ თვითმზრუნველთა საბჭო დაეთანხმა სასწავლებელს – ეთხოვათ მთავრობისათვის დახმარება და გამოეძებნათ მუდმივი შემოსავლის წყარო. გადაწყდა, რომ ასეთ წყაროდ ქვეულიყო 15 პროცენტიანი გადასახადი სამრეწველო მოწმობებზე 1919 წლის 1 იანვრიდან [192, ფურც. 2-3].

ქუთაისის კომერციულ სასწავლებლებში სპეციალურ საგნებთან ერთად გაძლიერებულად ისწავლებოდა უცხო ენები. პედაგოგიური საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილებით მათთვის დაწესდა მეხუთე კლასიდან გადასაყვანი გამოცდები ამ საგნებში. უცხო ენათა სწავლებას ეძლეოდაპრაქტიკული ხასიათი. იყენებდნენ სურათების აღწერას, პატარა წიგნაკების კითხვას და თავისუფალ საუბარს, რისთვისაც კვირაში 1½ საათი დრო ეთმობოდა თითოეულ კლასს [191, ფურც. 9].

როგორც ირკვევა, 1919 წელს სამზრუნველო საბჭომ სრულებით აიღო ხელი სასწავლებელზე და სკოლა აუტანელ გასაჭირში ჩავარდა. მან მხოლოდ მოწაფეების შენატანი თანხებით ვეღარ შეძლო არსებობა და დახურვამდე მივიდა. სასწავლებლის

პედაგოგიურმა საბჭომ მოსთხოვა განათლების სამინისტროს, რომ სკოლა 1919 წელს სრულ სახაზინო ხარჯზე გადაეყვანათ და მას მინიჭებოდა მთავრობის გიმნაზიის ტოლი უფლებები [190, ფურც.18]. სამინისტრომ ვერ დააკმაყოფილა სასწავლებლის თხოვნა, მაგრამ მას მისცა ერთდროული დახმარებისათვის – 50 ათასი მანეთი.

სასწავლებელში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ: გრიგოლ მესხი, არკადი ჩხენკელი, სპირიდონ ლეკვეიშვილი, სიმონ ეზიკაშვილი, სერგო თოფურია, სიმონ მჭედლიძე, ანტონ სულამანიძე, ნინო ხელაძე, მარიამ ორახელაშვილი და სხვა.

სამინისტრომ დიდი ძალისხმევა მოახდინა თბილისის საშუალო კულტურულ-ტექნიკური სასწავლებლის „საშუალო საპოლიტექნიკო სასწავლებლად“ გადაკეთებას. როგორც ეს იმ დროს იყო მიღებული დასავლეთის სახელმწიფოებში, მას ექნებოდა 3 განყოფილება – ელექტრო-მექანიკური, ჰიდროტექნიკური და სამთო-საქარხნო-საჩამომსხმელო. მასში სასწავლებლად ოთხკლასდამთავრებულნი უნდა მიეღოთ“[50, 121].მალე სამინისტრომ ოფიციალურად მოითხოვა თბილისის სატექნიკო სასწავლებლის საშუალო საპოლიტექნიკო სასწავლებლად გადაკეთება, რომელსაც ორი განყოფილება ექნებოდა – ელექტრო-მექანიკური და სამშენებლო. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“(1920, N 136) ამ საკითხზე დაიბეჭდა მინისტრის ამხანაგის ნ. ცინცაძის და სამინისტროს კანცელარიის დირექტორის ვ. ბერიძის ვრცელი წერილი „თბილისის სატექნიკო სასწავლებლის საშუალო საპოლიტექნიკო სასწავლებლად გადაკეთებისა და ამ საქმისათვის 200 800 მან. გაღების შესახებ“, რომელიც მანამდე მთავრობაში წარადგინეს მოხსენების სახით. წერილში ავტორები მოკლედ ეხებიან სასწავლებლის ისტორიასაც და აღნიშნავენ, რომ 1917 წლამდე იგი იყო სამკლასიანი სარკინიგზო სასწავლებელი, 1917 წელს კი გადაკეთდა ოთხკლასიან საშუალო სატექნიკო სასწავლებლად, რომლის პირველ კლასში გიმნაზიის ოთხკლასდამთავრებულნი მიიღებოდნენ. 1919 წელს სასწავლებელში 2 პირველი კლასი იყო, სექტემბრიდან კი ემატებოდა კიდევ ერთი. ავტორები აყენებდნენ სასწავლებლის რეორგანიზაციის საკითხს, რომ შექმნილიყო ელექტრო-მექანიკური, სამშენებლო და სამთო-საქიმიო განყოფილებები (არსებობდა მხოლოდ მექანიკური განყოფილება). ავტორებს მისაღებად მიაჩნდათ 1919 წელს სექტემბრისათვის პირველი ორი განყოფილების გახსნა. სამთო-საქიმიო კი, რადგან მას ლაბორატორიები სჭირდებოდა, მოგვიანებით გაიხსნებოდა. ამ რეორგანიზაციის შედეგად ტფილისის საშუალო პოლიტექნიკურ სკოლაში უნდა მოწყობილიყო რამდენიმე სხვადასხვა განყოფილებაც, სახელდობრ, სამშენებლო, სამთო-საქიმიო და ელექტრო-მექანიკური. თითოეული ეს განყოფილება, თავის მხრივ, რამდენიმე დარგად უნდა დანაწილებულიყო. ეს სასწავლებელი 3–5 წლის შემდეგ ქვეყანას მისცემდა არა მარტო სარკინიგზო

ტექნიკოსებს, არამედ აღმშენებელთაც, ქიმიკოსებს, მექანიკოსებს და მისთანათ [171, ფურც. 12].

1919 წლის 16 ივლისს მთავრობამ მოიწონა ეს პროექტი და 31 ივლისს გამოსცა დეკრეტი ამ სასწავლებლის საპოლიტექნიკო სკოლად გადაკეთების შესახებ. გამოჰყო კიდეც 200 800 მანეთი მისთვის [52, ფურც. 181]. სასწავლებლებში სწავლა ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა, მაგრამ ზემოთაღნიშნული თანხა მაშინდელი სიძვირის პირობებში საკმარისი არ იყო. სწორედ ამიტომ, „საქართველოს რესპუბლიკამ“ 1920 წელს თავის სარედაქციო წერილში მიაქცია რა ყურადღება სასწავლებლის მძიმე მდგომარეობას, მკითხველს მოუწოდა მისულიყო თეატრში საქველმოქმედო საღამოზე და შეძლებისდაგვარად დახმარებოდა მის ღარიბ მოსწავლეებს.

საქართველოში იმ დროისათვის სულ იყო: თბილისის საშუალო პოლიტექნიკური, მიწისმზომელთა და საფერშლო, ბორჯომისა და ხონის სახელოსნო სასწავლებლები და ფოთის სახელოსნო სკოლა. სამართლიანად დადგა საკითხი ამ ტიპის სასწავლებელთა რაოდენობის გაზრდის შესახებ. განათლების კომისიამ ადრევე მოიწონა ამ ტიპის სასწავლებელთა როგორც დებულება, ისე პროექტიც და სწორედ ამის შემდეგ შეიტანეს იგი პარლამენტში. განზრახული იყო, ამ სასწავლებელთა მასწავლებლებს მისცემოდათ უფრო მაღალი ხელფასი, ვიდრე ზოგადი სკოლების მასწავლებლებს ჰქონდათ.

ჩვენ მიერ მოკვლეული მასალების მიხედვით 1919 წლის ბოლოს სულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 10 სხვადასხვა საპროფესიო სასწავლებელი არსებობდა: 1–საშუალო პოლიტექნიკური სასწავლებელი, 1– მიწათმზომელთა სასწავლებელი, 1– მეზღვაურთა სკოლა ქალაქ ფოთში, 2 – სახელოსნო სასწავლებელი, 1 – სახელოსნო სკოლა, 1–საკერამიკო სკოლა, 1 – საფერშლო სკოლა, 1 – უსინათლოთა სკოლა, 1 – საკომერციო /კერძო/ სასწავლებელი [173, ფურც. 102]. საარქივო მასალებში მონაცემები დაცულია მხოლოდ ფოთის მეზღვაურთა სკოლისა და ქალაქ ტფილისის უსინათლოთა სკოლის შესახებ.

მეზღვაურთა სკოლა ქ. ფოთში. მეზღვაურთა სკოლის არსებობა დამფუძნებელმა კრებამ დააკანონა 1919 წლის მარტში და ამავე დროს დაამტკიცა მისი შტატები და ხარჯთაღრიცხვა. სკოლის დანიშნულებას შეადგენდა ქართველ ახალგაზრდობაში საზღვაო ცოდნის გავრცელება და ქართველ მეზღვაურთა რიცხვის გაზრდა უმოკლეს ხანში. ამ სკოლას აგრეთვე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაჰქონდა, განსაკუთრებით, სავაჭრო და სამხედრო დარგებისათვის: მისი საშუალებით ქვეყანაში არსებულ სავაჭრო და სამხედრო გემებს გულშემატკივარი და მზრუნველი გაუჩნდებოდა, რაც ხელს

შეუწყობდა რესპუბლიკის პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაძლიერებას [167, ფურც.20].

უსინათლოთა სკოლა ქ. ტფილისში. მსგავსი ყურადღებითა და სრული თანაგრძნობით მოეკიდა უწყება ტფილისში არსებულ უსინათლოთა სკოლას, რომლის შესანახავად 1919 წლის 1 ნოემბრიდან ყოველწლიურად გადასდო 579. 400 მანეთი. ეს სასწავლებელი, რომელიც წინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში ირიცხებოდა და მხოლოდ ამ სასწავლო წელს გადმოეცა განათლების უწყებას, მეტად ჰუმანურ მიზანებს ემსახურებოდა: უსინათლო ბავშვებს, განსაკუთრებით ობლებს, აძლევდა უმაღლესი დაწყებითი სკოლის თანაბარ სწავლა-განათლებას და ამავე დროს, რომელიმე საპროფესიო ცოდნას, მაგ. ასწავლიდა საგველ, საწმენდ და სხვა ამგვარი ნივთების დამზადებას, კალათების დაწვნას, ხალიჩების ქსოვას, ქარგვას და მისთანას. ამ გზით ხსენებული სასწავლებელი ბუნებისა და ბედისაგან დაჩაგრულ ბავშვებს ხელთ აძლევდა მეტად ძლიერ იარაღს თავისი არსებობისათვის ცხოვრებაში საბრძოლველად: ამ სკოლის ნამოწაფარს-უსინათლოს, უკეთუ ის სწავლას დაამთავრებდა, ჰქონდა სახსარი საკუთარი შრომით მოეპოვებინა ლუკმა-პური. სასწავლებელთან არსებობდა ინტერნატიც, რადგან უსინათლო ბავშვებს გარეთ სიარული სრულებით არ შეუძლიოთ თანდაყოლილი „სივრცის შიშის“ გამო [166, ფურც.18]. პროფესიულ სასწავლებლებში სერიოზული ყურადღება ეთმობოდა ზოგად განათლებასაც. მაგალითად, საშუალო პოლიტექნიკურ სკოლაში ისწავლებოდა ქართული, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, ბუნება, გალობა, რუსული, გერმანული, პოლიტიკური ეკონომია, ხატვა, კალიგრაფია, წერის სავარჯიშო, სამრეწველო დაწესებულებათა ორგანიზაცია და სხვა საგნები [165, ფურც. 19].

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აღიძრა საჭიროება კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა, რადგან სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადამიანები ძალიან ცოტანი იყვნენ. სამინისტროს წინაშე ბუნებრივად დაისვა საკითხი საჭირო სპეციალისტების მოკლე ხანში მოწვევისა. ასეთ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოს არსებული სატექნიკო და საპროფესიო სკოლები სრულებითაც ვერ გასწვდებოდა და დააკმაყოფილებდა იმ უამრავ მოთხოვნას, რომლებიც ახალმა ცხოვრებამ წამოაყენა. ვერ მოახერხებდნენ ამას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს საპროფესიო სკოლები მეტწილად დაბალი ტიპის სასწავლებლებს წარმოადგენდა და, მაშასადამე, აქ მომზადებული კადრი ვერ შეძლებდა რომელიმე დარგის ხელმძღვანელობას. მეორე იმიტომ, რომ ადგილობრივ სატექნიკო, თუნდაც საშუალო ტიპის სკოლების ისე გაუმჯობესება და წარმატება, რომ მისი მოწაფენი დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტექნიკისა და საპროფესიო ცოდნის ფართოდ გავრცელებას გაძლოდნენ, მეტად დიდ

ენერგიას, დიდ დროსა და სპეციალისტთა საკმაო რაოდენობას მოითხოვდა.ეს კი სათანადო სამთავრობო პოლიტიკის გარეშე სრულიად შეუძლებელი იყო.

საჭირო კადრების მოსამზადებლად ერთადერთი სწორი გზა მოკლე ხანში საზღვარგარეთ ახალგაზრდათა გაგზავნა და საზღვარგარეთიდან სხვადასხვა დარგის სწავლულ– პროფესორთა მოწვევა იყო , რაზეც მთავრობამ და დამფუძნებელთა კრებამ თანხმობა განაცხადეს. ამ საქმისათვის გადაიდო 5 მილიონი მანეთი. აქედან 2 მილიონი მანეთით მთავრობამ შეძლო 75 ახალგაზრდის უცხოეთში გაგზავნა და 1919–1921 საბიუჯეტო წლამდე ნივთიერად მათი უზრუნველყოფა. 1919 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა კანონი საზღვარგარეთ სწავლა–განათლების ან სპეციალური ცოდნის შესაძენად გასაგზავნ პირთათვის 2 მილიონი მანეთის გადადების შესახებ:

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ორი მილიონი (2000000) მანეთი სტიპენდიების გასაცემად იმ პირთათვის, რომლებიც გაგზავნილ იქნებიან მთავრობის მიერ საზღვარგარეთ სპეციალური ცოდნის ან სწავლა–განათლების შესაძენად.
2. აღნიშნული სასტიპენდიო თანხის განაწილების წესის შესამუშავებლად შედგეს სახალხო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით საუწყებათაშორისო კომისია, რომელშიც მოწვეული უნდა იქნენ დამფუძნებელი კრების კომისიებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

ეს 75 სტიპენდიანტი, ქვეყნების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა: 41 გაემგზავრა გერმანიაში, 23 – საფრანგეთში, 5 – ინგლისში, 5 – იტალიაში, 1 – ამერიკაში და ერთიც – ბელგიაში [67, გვ. 1].

კერძოსასწავლებლები.საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაციის საფუძველს – „ამიერკავკასიის სკოლების სრული რეორგანიზაციის შესახებ“ მიღებული დეკრეტი წარმოადგენდა (1917 წ. 25 XI), სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული სწავლა–აღზრდისა და განათლების საქმეში კერძო ინიციატივის ფართოდ გავრცელება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ცდილობდა ამიერკავკასიის კომისარიატი და ქართული ეროვნული საბჭო რუსული საგანმანათლებლო პოლიტიკის აღმოფხვრას და ეროვნული განათლების სისტემის დამკვიდრებას, რომლის დასაყრდენსაც საზოგადოებრივი და კერძო სახის სკოლები შეადგენდნენ [99, გვ. 89].

1918–1920 წლებში აქტიურად მიმდინარეობდა კერძო ხასიათის სასწავლებლების სახელმწიფო დაქვემდებარებაში გადაცემა –, თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის,

ხონისა და სოხუმის სემინარიები გამოცხადდა ქართულ სახელმწიფო სკოლებად“. ასავე სახელმწიფო სასწავლებლებად გამოცხადდა საზოგადოება „განათლების“ ქალთა სემინარია და სოფელ ბოდბეს მონასტერთან არსებული წმინდა ნინოს სახელობის სამასწავლებლო ხასიათის ქალთა სასწავლებელი“ [140, გვ. 63]. კერძო სასწავლებლები სხვა რეგიონებშიც არსებობდა. მაგალითად, ქუთაისში – დუნდუას ქალთა და კორძაიას გიმნაზიები (ამ უკანასკნელმა 1919 წელს გიმნაზიასთან ჭრა-კერვის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსებიც დააარსა) და 1919 წელს შექმნილი ხმალადის პირველდაწყებითი სასწავლებელი საბავშვო ბაღით, სოხუმში ვოლინსკის რუსული გიმნაზია, სადაც ქართული ენა სავალდებულო საგანი იყო, ვანის ქალ-ვაჟთა გიმნაზია, თელავის სომხური გიმნაზია, ჩოხატაურის გიმნაზია, ფოთის ქალთა პროფესიული სკოლა და ა. შ.

კერძო სასწავლებლების რიცხოვრები რაოდენობით გამოირჩეოდა ქალაქი თბილისი. რამდენიმე სასწავლებელი ფუნქციონირებდა ქალაქ ქუთაისში. თითო-ოროლა თელავში, სოხუმში, ფოთში, ვანში, ჩოხატაურში და ა. შ. მაგალითად, თბილისში იყო არღუთინ-დოლგორუკოვის, ბილანიშვილის, შეროზაშვილის, პუშკინის სახელობის, გუდკოვის, თევზაძის, კალის, ლევანდოსკის, მაჩაიძის, მეორე სახალხო, ორბელიანცის, ტერ-სტეფანოვის, მელიქ-კირაკოზოვის და ა. საათაშვილის საბუნდლო კურსები, ტერ-სტეფანოვის სავაჭრო-სკოლა, ე.სემიონოვას საბავშვო ბაღი, თ. ერისთავის საბავშვო ბაღი – „ბავშვის სახლი“ და ა. შ. უნდა აღინიშნოს, ზემოთ ჩამოთვლილთაგან, თბილისში მხოლოდ ა.სათაშვილის საბუნდლო კურსები და თ.ერისთავის საბავშვო ბაღი წარმოადგენდნენ ქართულენოვან სასწავლებლებს.

1919 წელს განათლების სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი კერძო სასწავლებელთა შესახებ. პროექტიდან ირკვევა, რომ კერძო სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმე დაბალ დონეზე იდგა. სწორედ, ამიტომ სამინისტრო იძლეოდა სისტემატურად ჩაეტარებინა მათი რევიზია. იმ სასწავლებლებს, რომლებშიც სერიოზული დარღვევები აღმოჩნდებოდა, ჩამოერთმეოდათ მოწმობის ან ატესტატის გაცემის უფლება. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ თბილისში არსებულ კერძო სასწავლებელთა საზოგადოებას განათლების სამინისტრომ 1919 წელს სხვადასხვა დარღვევისათვის აუკრძალა ატესტატების გაცემა და მოსწავლეთა მიღება. სასწავლებელში მოსწავლეები განათლების სამინისტროს დეპუტატთა თანდასწრებით უნდა გამოეცადათ. იმავე 1919 წლიდან კერძო სასწავლებლებს არ მიეცათ სიმწიფის ატესტატზე ექსტერნად გამოცდების მიღების უფლებაც.

სახალხო განათლების სისტემის ერთიანი გეგმის შემუშავება სწავლა-განათლების საქმეში კერძო ინიციატივას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ამასთან, ახორციელებდა

სასწავლო, ადმინისტრაციულ და სამეურნეო ნაწილის პერიოდულ მონიტორინგს. როგორც ჩვენ მიერ მოკვლევულ საარქივო საბუთებში დაცული ცირკულარიდან ირკვევა, კერძო სასწავლებლებს მოეთხოვებოდა, სამინისტროში წარედგინათ შემდეგი სახის ინფორმაცია: „რა ტიპის სასწავლებელია, როდის არის დაარსებული, ვინ მისცა დაარსების ნებართვა, რა უფლებები აქვს, პროგრამა და საგაკვეთილო ცხრილები რა მდგომარეობაშია, რა ვითარებაშია სახელმწიფო ენის სწავლება და ა.შ.“ [153, ფურც. 4–5].

დემოკრატიული საქართველოს განათლების უწყება მოთხოვნილების მიხედვით ზღუდავდა, აერთიანებდა, ან ხსნიდა ახალ სასწავლებლებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია გორის სასულიერო და ვაჟთა გიმნაზიების გაერთიანება; სოხუმის ქალ–ვაჟთა გიმნაზიისა და ახალციხის გიმნაზიების გახსნა; გორის ვაჟთა გიმნაზიის რუსული და პარალელური კლასების დახურვა; თელავის არაქართველ მოწაფეთათვის გიმნაზიის გახსნა;

1919 წელს კერძო „სასწავლებლების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კერძო სასწავლებლებს თავდაპირველად 600 000 მანეთი, ხოლო შემდგომ 500 000 მანეთი გადასცა“ [164, ფურც.4]. განათლების სამინისტროს მხრიდან საპროფესიო და სატექნიკო ცოდნისადმი ყურადღების და მზრუნველობის მაჩვენებელია, აგრეთვე, ის ნივთიერი შემწეობა, რომელსაც აძლევდა იგი ამ ტიპის სხვადასხვაკერძო სკოლას, მაგალითად, ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების საპროფესიო სკოლას, საზოგადოება „განათლების“ ჭრა–კერვის სკოლას და ა. შ. [174, ფურც. 9].

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სწავლა–განათლების ახლებურად მოწყობის ძირითად საყრდენს ადრეულ პერიოდში ჩამოყალიბებული, ეროვნულ საფუძველზე აგებული კერძო და საზოგადოებრივი სასწავლებლები შეადგენდნენ. საქართველოში განათლების ახლებურად მოწყობის პროცესი და მისი ეროვნულ ნიადაგზე დაყენება ურთულესი საქმე იყო, არა მხოლოდ ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალური ბაზის თვალსაზრისით, არამედ, პირველ რიგში, ამ პროცესის წარმართვის სწორი პოლიტიკის შემუშავებით. დემოკრატიულ მთავრობას ამისი გამოცდილება არ გააჩნდა, ხოლო უცხოელთა გამოცდილების შესწავლას დიდი დრო უნდოდა, სასწავლო წელი კი კარს იყო მომდგარი.

სადამოს კურსები და სკოლები. დაწყებითი სკოლების კურსდამთავრებულთათვის თითოეულ რაიონში იმართებოდა უმაღლესი დაწყებითი სკოლები/ან კურსები. მათში მეცადინეობებს ატარებდნენ დაწყებითი სკოლის მასწავლებლები. ისინი მუშაობდნენ

სამინისტროს მიერ ამ კურსებისათვის შემუშავებული სპეციალური პროგრამით. კურსებზე კონტროლს ახორციელებდნენ სამაზრო ერობის ინსტრუქტორები.

სკოლისგარეშე განათლება. დაბალი განათლების დარგს ეკუთვნოდა, აგრეთვე, სკოლისგარეშე განათლება, რომელსაც განათლების უწყება სათანადო მზრუნველობით ეკიდებოდა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საკვირაო სკოლების გახსნასა და სახალხო უნივერსიტეტების შექმნას, რომ სკოლის ასაკს გადაცილებულ მოქალაქეებს საშუალება ჰქონოდათ საჭირო ცოდნა შეეძინათ და გონებრივად განვითარებულიყვნენ.

ამ საქმისათვის სამინისტრომ გამოითხოვა და დამფუძნებელმა კრებამ გაიღო სახელმწიფო ხაზინიდან 2 მილიონი მანეთი, რაც უწყებას საშუალებას აძლევდა საგრძნობი დახმარება აღმოეჩინა სახალხო განათლების ამ მნიშვნელოვანი დარგისთვისაც [168, ფურც. 5].

უმაღლესი განათლება. 1909 წელს თბილისში „ქალთა უმაღლესი კერძო კურსები“ შეიქმნა, რომელიც 1915 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტად გადააკეთა. სასწავლებელში შემდეგი ფაკულტეტები ფუნქციონირებდა: ისტორიის, ფილოლოგიის, საბუნებისმეტყველო და სამედიცინო. 1917 წელს თბილისში გაიხსნა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელსაც მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი ჰქონდა. შემდეგ მას დაემატა ეკონომიური და საიჟინრო ფაკულტეტები.

მოვლენებით მდიდარ 1918 წელს, განათლების სფეროში აღსრულებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნება. ვფიქრობთ, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია პირველი ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელთა გამოცდილება ევროპული განათლების მოდელის გადმოღების საქმეში. სწორედ, პროფესორ-მასწავლებელთა იმ პირველი შემადგენლობის წყალობითა და ძალისხმევით ჩამოყალიბდა თბილისის უნივერსიტეტი ევროპული ყაიდის უმაღლეს სასწავლებლად, ხოლო მისი აღზრდილი თაობა კი საერთაშორისო მასშტაბის მქონე კვალიფიცირებულკადრად.

საქართველოში იმ დროს უმაღლესი განათლების კერის არქონის გამოქართველი ახალგაზრდობა სასწავლებლად რუსეთში და საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, რაც, ბუნებრივია, დიდ ეკონომიკურ და ენობრივ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მთელი სიმძაფრით დგებოდა დღის წესრიგში საქართველოში უმაღლესი სკოლის გახსნის აუცილებლობა.

უნივერსალური უმაღლესი სასწავლებელი ესარისსამეცნიეროკერა,
რომელიც ზრდის ქვეყანაში სამეცნიერო კადრსა და ხელსუწყობს მეცნიერების სხვადასხვა

დარგისათუკულტურისგანვითარებას.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება გამოიწვევდა ეროვნული ცნობიერების გამოვლიძებას და ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ეროვნული თვითმყოფადობის დამკვიდრებას. ბუნებრივია, იმპერიულისახელმწიფოს ინტერესებში არ შედის დაპყრობილი ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალსადამისკულტურულგანვითარებაზე ზრუნვა, რათქმაუნდა, გამონაკლისსარც თვითმპყრო-ბელური რუსეთი წარმოადგენდა.

ივ.ჯავახიშვილმა შეიმუშავა და უნივერსიტეტის გამგეობას წარუდგინა ეროვნული განათლების პროგრამა, სადაც იგი დემოკრატიულ მთავრობასთან ერთად მეცნიერული დასაბუთებით შეეცადა საუნივერსიტეტო და ეროვნული საკითხების მოგვარებას საკუთარი შეხედულებების შესაბამისად. მისი მთავარი მიზანი იყო ქართული საუნივერსიტეტო განათლება ეროვნული პოზიციების მქონე ყოფილიყო. **უნივერსიტეტის დაარსების საქმეში დემოკრატიული საქართველოს მთავრობასა და უნივერსიტეტის დამფუძნებლებს შორის ერთსულოვნება სუფევდა.**

ახლად დაარსებული უნივერსიტეტი გვევლინება ქართული ეროვნული განათლების მიმართულების განმსაზღვრელად. იგი აქტიურ როლს თამაშობს საგანმანათლებლო პროგრამების შედგენაში.

უნივერსიტეტის დამაარსებლებმა პრესის საშუალებით ქართველ საზოგადოებას მიმართეს: „ვიდრე საქართველო პოლიტიკურად მოეწყობოდეს და ეროვნული მთავრობა შეძლებდეს საჭირო სახსრების გამოყოფას მისი ბიბლიოთეკის, კაბინეტების, ლაბორატორიების, კლინიკების მოსაწყობად და პროფესორ-მასწავლებელთა შტატის შესანახად, უნივერსიტეტს სჭირდება დახმარება. საერთო საქმეს ყველა უნდა შევუერთდეთ, – ნათქვამი იყო გამოქვეყნებულ მიმართვაში, – დახმარება აღმოვუჩინოთ, უნივერსიტეტს“ [61, 52].

უნივერსიტეტისათვის ქონებრივი დახმარების საქმეში ქუთათურებსაც გარკვეული წვლილი შეჰქონდათ; 1918 წლის 18 იანვარს ქალაქის საზოგადოებრივ საკრებულოში გაიმართა ქართული უნივერსიტეტის დახმარების საქველმოქმედო საღამო. მისი შემოსავალი, 5510 მანეთის ოდენობით, ჩაირიცხა უნივერსიტეტის ხელშემწყობ ფონდში [60, 14].

ეკონომიკურად დასუსტებულ ქალაქს, ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობის ფინანსური დახმარების გაწევა ქართული უნივერსიტეტისათვის არ შეეძლო, მაგრამ, სამაგიეროდ, ამის კომპენსაციას წარმოადგენდა ის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც უნივერსიტეტმა ქუთაისიდან მიიღო. მისი პირველი პროფესურის დიდი

ნაწილი ხომ ქუთაისის გიმნაზიების აღზრდილები და ყოფილი მასწავლებლები იყვნენ [97, გვ.484].

საქართველოში მნიშვნელოვნად იგრძნობოდა პრაქტიკოსი პედაგოგების ნაკლებობა. სასწავლო სემინარიები ვერ აძლევდა აღსაზრდელებს პრაქტიკულ ცოდნას. ამ თვალსაზრისით ახლად დაარსებულმა უნივერსიტეტმა დიდი როლი შეასრულა მასწავლებელთა პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში. „ჯერ კიდევ თავისი არსებობის გარიჟრაჟზე, კერძოდ, 1919 წლის 18 მარტს, ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა, რომ უნივერსიტეტთან დაარსებულიყო პედაგოგიური ინსტიტუტი. ამავე სხდომაზე გამოიყო კომისია (ე. თაყაიშვილის, დ. უზნაძის, შ. ნუცუბიძისა და ა. რაზმაძის შემადგენლობით), რომელსაც დაევალა ინსტიტუტის ორგანიზაციისა და შტატის საკითხის დეტალურად გამორკვევა“ [83, გვ. 68]. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიმართა განათლების სამინისტროს თხოვნით, რომ თბილისის საოსტატო სემინარია გადაკეთებულიყო უნივერსიტეტის სამასწავლებლო ინსტიტუტად. მოხსენებით ბარათში დასაბუთებულია, რომ უნივერსიტეტი თავის მიზნით არ არის მოწოდებული პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის, ამიტომ სხვადასხვა ტიპის სკოლების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა უნივერსიტეტთან დაარსდეს პედაგოგიური ინსტიტუტი.

„უნივერსიტეტმა ამასთან ერთად განათლების სამინისტროს მთავრობისათვის წარსადგენად გაუგზავნა ინსტიტუტის დებულება, რომლის საფუძველზე გათვალისწინებული იყო ორსაფეხურიანი სწავლება. პირველი საფეხური შედგებოდა ორწლიანი კურსისაგან და ითვალისწინებდა უმაღლესი დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადებას, ხოლო ოთხი წელი გათვალისწინებული იყო საშუალო სკოლების მასწავლებელთა მომზადებისათვის. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მთავრობამ 1919 წლის 5 ივნისს მიიღო დადგენილება უნივერსიტეტთან პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნის თაობაზე. პროფესორთა საბჭომ ინსტიტუტის დირექტორად აირჩია და შემდეგ სამინისტრომ ბრძანებით დანიშნა დ. უზნაძე.

საპედაგოგო ინსტიტუტის პირველ კურსზე მთავარი ყურადღება ექცეოდა ზოგადი განათლების საგნებს, მეორე კურსზე იწყებოდა ერთგვარი სპეციალიზაცია და სანიმუშო გაკვეთილების წინასწარი კონსპექტების შედგენა. „ზოგადი განათლების საგნებთან ერთად ფართოდ იყო წარმოდგენილი პედაგოგიური ციკლის დისციპლინები: ზოგადი და ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, ბავშვთა ფსიქოლოგია, პედაგოგიკურ იდეათა ისტორია და თანამედროვე პედაგოგიკის საკითხები, პედაგოგიკა, პედოლოგია, ზოგადი დიდაქტიკა, სოციალური აღზრდის ძირითადი პრინციპები, შრომის სკოლა,

დეფექტურ ბავშვთა აღზრდა, მცირეწლოვანთა უფლებრივი დაცვა, ჰიგიენა სანიტარიისა, საგნის სწავლების მეთოდები: სკოლის ასაკამდე დაწესებულებათა მუშაობა, სკოლის გარეშე მუშაობა, თხრობა და საბავშვო კითხვა, ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და ფიზიკა, საზოგადოებათმცნირება, გეოგრაფია, ხატვა-ძერწვა, ხელგარჯილობა, ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა და სხვა. უკანასკნელ კურსზე პრაქტიკას ეთმობოდა 12 საათი [83, გვ.86]. ინსტიტუტში პრაქტიკული (დიდაქტიკურ-პედაგოგიკური) მუშაობის შესასწავლად არსებობდა კაბინეტები: 1. ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის; 2. მათემატიკის; 3. გეოგრაფიის; 4. ფიზიკისა და ქიმიის; 5. ანატომიის და ფიზიოლოგიის; 6. სასკოლო ხელოვნებათა; 7. ბოტანიკისა და ზოოლოგიის; 8. ისტორიის.

თბილისის უნივერსიტეტს სხვადასხვა წლებში გამოეყო სხვა უმაღლესი სასწავლებლები. მისი ზოგიერთი ფაკულტეტი იქცა დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლად, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი), სამკურნალო ინსტიტუტი (ამჟამად სამედიცინო უნივერსიტეტი), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ამჟამად აგრარული უნივერსიტეტი) და სხვა. შემდგომ პერიოდში დაარსდა პედაგოგიური ინსტიტუტები-ქუთაისში, თბილისში, გორში, თელავში, სოხუმში, ბათუმში; თბილისის კონსერვატორია, თეატრალური ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია და სხვ.

1918 წელს კერძო უნივერსიტეტად გამოცხადდა თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები, რომელსაც მთავრობამ 1919-20 სასწავლო წლისათვის 50 ათასი მანეთის დახმარება აღმოუჩინა.

პედაგოგთა კადრების მომზადებაში მნიშვნელოვანი როლს ასრულებდა თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონისა და სოხუმის საოსტატო სემინარიები, ქალთა სემინარია თბილისში, ბოდბის მონასტერთან არსებული ქალთა სამასწავლებლო სკოლა.

ამრიგად, ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში მეოცე საუკუნეში დამკვიდრებული აზრი 1918-1921 წლებში ზოგადად საქართველოს განათლების სისტემის შეფასების შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული ყველა ღონისძიება (გარდა სახელმწიფო უნივერსიტეტისა) მიმართული იყო (ტ. სარიშვილი, უ. ობოლაძე, დ. გურგენიძე) ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, გასაგებ მიზეზთა გამო, უახლოეს წარსულში დამკვიდრებული იდეოლოგიური სქემის ელფერს ატარებს.

§ 2. სასწავლო გეგმები, სასკოლო პროგრამები

და სახელმძღვანელო წიგნები

ვიდრე სახალხო სკოლის პროგრამებს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ, ჩვენ მიერ არჩეულ საკვლევ პერიოდში სახალხო სკოლის მიზნების, ამოცანებისა და ძირითადი პრინციპების შესახებ, რომელსაც ემყარებოდა სწავლა-აღზრდის საქმე 1918–1921 წლების საქართველოში. ახალი მიზნები და პრინციპები, თავის მხრივ, მოითხოვდა ახალი სასწავლო გეგმების, პროგრამების, მეთოდურად და შინაარსობრივად გამართული სახელმძღვანელოების შედგენას, პედაგოგთა პროფესიული კადრების მომზადებას.

1918 წლის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ ერთიანი სასკოლო სისტემის უქონლობის გამო ხშირად ერთნაირი ტიპის სკოლები სხვადასხვა სასწავლო გეგმებით მუშაობდნენ. აღნიშნული ხარვეზები გაითვალისწინა განათლების სამინისტრომ და 1919 წელს გამოჩენილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ბოცვაძის ხელმძღვანელობით დაამუშავა „პირველ დაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი სასწავლო გეგმები და პროგრამები“, რომელიც შემდეგი დისციპლინების სწავლებას ითვალისწინებდა: [101, გვ. 3]

№	სასწავლო საგნები	1 განყოფილება	2 განყოფილება	3 განყოფილება	4 განყოფილება	სულ კვირული გაკ. ჯამი
1	ქართული ენა წერით	8	7	6	5	26
2	არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია	6	6	5	5	22
3	საუბარი და ბუნებისმეტყველება	-	3	3	4	10
4	სამშობლოს შესწავლა და გეოგრაფია	-	-	2	2	4
5	ისტორია	-	-	-	3	3

6	ფიზიკური ვარჯიში(გიმნასტიკა)	2	2	2	2	8
7	სიმღერა-გალობა	2	2	2	2	8
8	ხატვა-ხაზვა	2	2	2	2	8
9	ხელგარჯილობა	2	2	2	2	8
10	სულ	22	24	24	27	97

სასწავლო გეგმა და პროგრამა წინასიტყვაობით და ახნა-განმარტებებით დაიბეჭდა 1919 წელს. მის განსახილველად პედაგოგთა შორის გაიმართა დისკუსია. სტატიები ქვეყნდებოდა ჟურნალ „განათლებაში“. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ლუარსაბ ბოცვაძის სტატია „სახალხო სკოლის პროგრამების ახსნა-განმარტება“. ლუარსაბ ბოცვაძე აღნიშნავს, რომ „დაწყებითი საფეხურის სკოლის მიზანს შეადგენდა ბავშვის სულიერი ძალების განვითარება, პირველდაწყებითი სასარგებლო ცოდნის გადაცემა და ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება, რომ მოწაფეს შეძლებოდა შემდეგში თვითგანვითარებით, თავისთავად უფრო მეტი საჭირო ცოდნა შეეძინა. ეს მიზანები ერთსა და იმავე დროს ერთმანეთის მიყოლებით უნდა განხორციელებულიყო. სასწავლო საგნების მიხედვით ცოდნის შეძენასა და გონებრივ ვარჯიშს შედეგად გონების, გრძნობისა და ნებისყოფის სიმტკიცე და განვითარება უნდა მოჰყოლოდა. საზოგადოდ, სკოლის დანიშნულება მოწაფის პიროვნების, მისი სულისა და სხეულის ჰარმონიულად განვითარებაში გამოიხატებოდა. მართალია, სკოლა მოწაფეს პრაქტიკული ცხოვრებისათვის ამზადებდა, მაგრამ დაწყებითი სახალხო სკოლის მოწაფეებს ცოდნას აძლევდა და უნერგავდა ისეთს ჩვეულებებს, რომელებიც საჭირო იყო ყველა ადამიანისათვის, რა სპეციალობაც უნდა აერჩია მას სკოლის დამთავრების შემდეგ. ამას გარდა, სკოლას უნდა ჩაენერგა მოწაფეებისათვის ის აუცილებელი კავშირი, რომელიც არსებობს კერძო ადამიანის პირადსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის, რომ პირადი სიკეთე განუყრელია საზოგადოებრივი სიკეთისაგან, ყოველ ცოდნას მხოლოდ მაშინ ექნებოდა ღირებულება, როცა იგი მოწაფის დამოუკიდებელი მუშაობის ნაყოფად აღიქმებოდა. ამიტომაც მაშინდელი სწავლების მეთოდებიც ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ მოწაფეს ხშირად გამოეჩინა შემოქმედებითი ინიციატივა. სკოლა და მისი გარემომცველი სინამდვილე ერთ მთლიან კავშირად უნდა ყოფილიყო აღქმული, რომ სწავლებაც ცხოვრებიდან გამომდინარეობდეს და ბოლოს მასვე უბრუნდებოდეს. მეორე მხრივ, სკოლაში უნდა მიეჩვეულიყვნენ მოწაფეები წიგნებით სარგებლობას, როგორც თვითგანვითარებისა და თვითაღზრდის საუკეთესო საშუალებას. ყოველი მასალა,

რომელსაც კი მოწაფეებს სკოლაში მიაწოდებდნენ, მოცულობითა და შინაარსით შესაბამისი უნდა ყოფილიყო მოსწავლის ასაკისა და ფსიქო-ფიზიკური აგებულებისა. ეს შეადგენდა მაშინდელი პედაგოგიკის აუცილებელ მოთხოვნას. „ამიტომ დღევანდელი ჩვენებური სკოლა, თანახმად საპედაგოგიო მეცნიერებისა, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მაგალითების მიხედვით, რაკი განათლებულ ქვეყნებთან დაახლოვებას ვცდილობთ, ძირითადად რეფორმებს თხოულობს. და ამ მოსაზრებით ვცდილობდით, შეძლების დაგვარად, საღი პედაგოგიური პრინციპები გაგვეტარებინა წარმოდგენილ პროგრამებში“ [15, გვ. 49].

როგორც სტატიიდან ჩანს, სკოლებში მოწაფეები და მასწავლებლები აუარებელ ძალასა და ენერგიას ხარჯავდნენ, ნაყოფი კი ფრიად მცირე იყო. ცოდნა, რომელსაც ბავშვები სკოლაში იძენდნენ, მოკლე ხანში სრულიად ქრებოდა, მალე ავიწყდებოდათ. ამდენად, სკოლა შემდგომი განვითარების მტკიცე საფუძველს ვერ იძლეოდა.

მართალია, მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი, ასე თუ ისე, ცდილობდა ახალი მეთოდებით სარგებლობას, მაგრამ მას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, არ იყო საგანმანათლებლო საქმიანობის ერთიანი გეგმა, საჭირო სახელმძღვანელოები, სასწავლო თვალსაჩინო მასალები, არ ხდებოდა მასწავლებელთა ურთიერთგამოცდილების გაზიარება.

ლ.ბოცვაძე, ანალიზებს რა აღზრდისა და სწავლების მეთოდულ კამპანიაში გაბატონებულ მოძველებულ მიდგომებს, ასაბუთებს საღი პედაგოგიური პრინციპების გატარების აუცილებლობას. „დიდი ნაკლი ყველა სკოლისა ჩვენში ბავშვის ფსიქოლოგიის უყურადღებობაში და განყენებულ სწავლებაში გამოიხატებოდა, რომლის დროს წიგნში გაზეპირება თვალსაჩინო სწავლებას სჭარბობდა. ამჟამად კი პედაგოგიკაში სრულ ჭეშმარიტებად არის აღიარებული, რომ სახალხო დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვი მხოლოდ კონკრეტულად აზროვნებს, განყენებულ აზროვნებისათვის იმას ძალა არ შესწევს. განყენებული აზროვნებაც ბავშვს უფრო სწრაფად და წესიერად უვითარდება, მაშინ, როცა მას თვალსაჩინო, კონკრეტული მასალები ბლომად მოეპოვება. ყველა მასწავლებელმა იცის, რა ძნელად ითვისებს ბავშვი ისეთს ცნებებს, რომელებიც თვალსაჩინო წარმოდგენილებასთან არ არის შეერთებული. ეს გარემოება გვაიძულებს, რომ ამა თუ იმ საგნის სწავლება შეძლებისა და გვარად თვალსაჩინოდ ვაწარმოვოთ და სასწავლო მასალიდან თავიდანვე განვდევნოთ ყოველი განყენებული ცნება, რომელსაც თან არ ახლავს შესაფერი კონკრეტული წარმოდგენილობა. მეორე მოთხოვნილება აწინდელის პედაგოგიკისა მოწაფეთა თვით მოქმედებაა. ძველი პედაგოგიკა ისეთს პირობებში აყენებდა მოწაფეს, რომ იგი განუძრევლად უნდა მჯდარიყო ერთს ადგილას და ყური ეგდო მასწავლებლისათვის. ეს კი, როგორც მოგვეხსენება, ბავშვის ბუნების

წინააღმდეგია და ის ცოდნაც, რასაც ბავშვი ამ გზით იძენდა, მეტის მეტად სუსტი იყო და ვერც ღრმა კვალსა სტოვებდა მის სულში. მკვიდრი მხოლოდ ის ცოდნაა, რაც ბავშვს თავისთავად, თვით მოქმედებისა და საკუთარის ცდის საშუალებით შეუძენია“ [13, გვ.52].

ზემოთთქმულიდან ნათლად ჩანს, როგორ ეხმიანება 100 წლის წინ გამოქვეყნებული სტატია თანამედროვე საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს. დღეს, პედაგოგიკაში სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ამოცანაა. რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება გულისხმობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას. აზროვნების ამოქმედების დროს მოსწავლე ნასწავლ მასალას კი არ იზეპირებს, არამედ იაზრებს, რაც ხდის მას უფრო გამჭრიახსა და მისი აქტიურობა სასწავლო პროცესში იზრდება. საბოლოო ჯამში დღევანდელი სკოლის მიზანია ისეთი მოქალაქის აღზრდა, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს. პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას [88, 2011–2016].

ამდენად, ერთი საუკუნის წინ დემოკრატიული საქართველოს განათლების მესვეურთა მიერ შემუშავებული სწავლების პრინციპები ჭეშმარიტ, უტყუარ მიმართულებებს ეფუძნებოდა და, რომ არა ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკთა 70–წლიანი ბატონობა, დღეს საქართველოს განათლების სისტემა, ჩვენი აზრით, გაცილებით მაღალ საფეხურზე იქნებოდა.

ლუარსაბ ბოცვაძის აზრით, „დღევანდელი ფსიქოლოგიის მიხედვით, ანგარიშ-გასაწევია ბავშვის ფიზიკური ბუნებაც. ცოტა ხნის წინათ სკოლას აინტერესებდა მხოლოდ მოწაფის ინტელექტუალური ცხოვრება, მაგრამ იმავე დროს ავიწყდებოდა, რომ ბავშვის გონებრივ ცხოვრებას მჭიდრო კავშირი აქვს მის ფიზიკურ ბუნებასთან. როცა სკოლა ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას ისახავს მიზნად, იგი უნდა ზრუნავდეს მოწაფის, როგორც სულის, ისე მისი ფიზიკური ცხოვრების ორგანოების განვითარებაზედაც. უკანასკნელი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ტვინის ცენტრში, რომელიც გარეგან ქვეყნის შთაბეჭდილებათა შესაგნებად არის დანიშნული, შეხების გრძნობას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მხედველობასა და მსმენელობას. ამის გამო აწინდელი პედაგოგიკა სწავლებას ამყარებს

არა მარტო სმენა–მხედველობაზე, როგორც დღემდის იყო, არამედ შეხებაზეც და კუნთების გრძნობაზეც“ [12, გვ. 56].

როგორც ჩანს, საკვლევი პერიოდის განათლების სასწავლო პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა მოსწავლის ფიზიკური და სულიერი წრთობის საკითხებს, ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, აქტიურად ერთვებოდა სასწავლო პროცესში, იკვლევდა მოსწავლის ასაკობრივ–ფსიქოლოგიურ თავისებურებებსა და საჭირო რეკომენდაციებს აძლევდა სკოლას აღზრდის სირთულეების დასაძლევად. დღეს სასკოლო ფსიქოლოგია არ აჩვენებს თავის აქტიურ პოზიციას, და მიუხედავად პედაგოგების დასაბუთებული მოთხოვნებისა, სკოლას ფსიქოლოგი არა ჰყავს.

1918–1921 წლების განათლების სამინისტროს მიერ გატარებული სასკოლო რეფორმისა და დღეს სასკოლო ქსელში მიმდინარე რეფორმის შეხების წერტილების გამოსავლენად, შედარება–შეპირისპირებისა და დასკვნების გაკეთების მიზნით ნაშრომში ჩავრთეთ ქუთაისის საჯარო სკოლებში დღემდე განხორციელებული რეფორმის შედეგებისა და 2017 წლიდან დაგეგმილი რეფორმის შესახებ მასწავლებელთა მოლოდინების კვლევა.

ერთ–ერთი მასწავლებელი, რომელსაც ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, წერს: „იმედია სარეფორმო კომისია გაითვალისწინებს სკოლის საჭიროებებს, ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი, თუნდაც, სასწავლო გარემო – საჭიროა მეტი საგანმანათლებლო რესურსი, ადამიანური რესურსების თვალსაზრისით სკოლას მანდატურზე მეტად ფსიქოლოგი და სოციოლოგი სჭირდება, რომ დაგვეხმარონ მოსწავლეთა საჭიროებების კვლევაში, აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვაში“ [93].

1918-1921 წლების საქართველოს სახალხო სკოლების პროგრამებში ხელგარჯილობას, როგორც აღმზრდელობით საგანს, საპატიო ადგილი ეჭირა.

ლუარსაბ ბოცვაძე საუბრობს რა ხელგარჯილობის, როგორ სასწავლო საგნის შესახებ, აღნიშნავს: „ვერსად ბავშვი ისე ადვილად ვერ იჩენს საკუთარ ინიციატივასა და მხატვრულ შემოქმედებას, როგორც ხელგარჯილობაში. ვერც ერთი სხვა მუშაობა ვერ ასწავლის მოწაფეს თავის თავისადმი დაკვირვებას, ვერ წვრთნის მას, ვერ აჩვენებს სინამდვილესა და წესიერებას, როგორც ხელგარჯილობის დროს მუშაობა. როცა ბავშვები ხელგარჯილობის დროს რომელსამე კოლექტიურ სამუშაოს ასრულებენ, მათში ყველაზე უკეთ ვითარდება ურთიერთდახმარების გრძნობა და საერთო შრომისადმი მიჩვევა. ხელგარჯილობა შემთხვევას აძლევს მასწავლებელს უკეთ გაიცნოს მოწაფე. ხშირად ბავშვები, რომლებიც სამეცნიერო მუშაობაში საკმაო ნიჭს ვერ იჩენენ, ბევრს ცოდნასა და სიმარდეს იჩენენ ამა თუ იმ პრაქტიკულ სამუშაოში. ხშირად ბავშვები,

რომელნიც უნიჭონი გვგონია, სწორედ ხელგარჯილობის საშუალებით ვითარდებიან. ხელგარჯილობა ბავშვს ამხნევეს და იმავე დროს მასწავლებელიც უფრო უახლოვდება მოწაფეს. ამ მოსაზრებით საჭიროდ დავინახეთ, რომ ხელგარჯილობაც, როგორც დამხმარე საშუალება, როგორც საუკეთესო მეთოდი, შეგვეტანა სასკოლო პროგრამაში ყველა საგნების სწავლების დროს. მაგრამ, ჩვენის აზრით, ხელგარჯილობას განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს დაბალს განყოფილებებში, რადგანაც ჩვენში ჯერჯერობით საბავშვო ბაღები იშვიათია და მისი სამუშაო, ცოტად თუ ბევრად, სახალხო სკოლამ უნდა იკისროს. ხელგარჯილობის სხვადასხვა სახის არჩევაც მასწავლებლის ნიჭზე, უნარზე, ცოდნაზე და სკოლის შეძლებაზეა დამოკიდებული: ძერწვა, ამოჭრა, დაწებება, ყოველგვარი აპლიკაცია შეიძლება დიდის სარგებლობით იქნეს გამოყენებული“ [14, გვ. 57].

სტატიაში საინტერესო შეხედულებებია ჩამოყალიბებული ასევე ცალკეული სასკოლო საგნების (არიტმეტიკის, ქართული ენის, ისტორიის, ბუნების, ხატვა-ხაზვის, სიმღერა-გალობის, ფიზიკური ვარჯიშის) პროგრამების მიმართ, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით.

საშუალო სკოლის პროგრამების განმარტებაში ვკითხულობთ: „თუმცა პროგრამა შედგენილია ცალკე საგნების მიხედვით, მაგრამ დასაწყის სკოლებში შეუძლებელია, რომ ერთი საგნის ფარგალი განცალკევებული იყოს მეორე საგნისაგან. საზოგადოდ, სწავლების დროს ერთიანობის დარღვევა, საგნების განცალკევება და განკერძოება გადასაცემ ცოდნისა დიდს ნაკლს შეადგენდა სკოლებში. ყოველი საგნის წარმატება დამოკიდებულია იმ ხალისზე, როგორსაც სწავლება იწვევს ბავშვში და მის მიზანშეწონილობაზე. სწავლება ხალისიანი და მიზანშეწონილი მაშინ იქნება, როცა იმ ცნებათა შორის, რაც ადგილს იჭერს ბავშვის გონებაში, მტკიცე კავშირი იქნება დაცული; სხვა და სხვა ცოდნა ერთმანეთს უნდა ავსებდეს და აშუქებდეს; სწავლება კონკრეტული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, როცა თითოეული სასწავლო საგანი დაახლოვებული იქნება როგორც ცხოვრებასთან, ისე სხვა საგნებთანაც“ [10, გვ. 58].

სასწავლო პროგრამების ანალიზი ცხადყოფს, რომ მასწავლებელი, როგორც სასწავლო პროცესის მთავარი შემოქმედი, თავისუფალია და შეუძლია საკუთარი ინიციატივაც გამოავლინოს სწავლების პროცესში.

„ამ ოთხწლიანი სახალხო სკოლის სანიმუშო პროგრამის დაწვრილებით შემუშავება მასწავლებლის საქმეა. მას შეუძლიან ეს პროგრამა შეჰკვეცოს, ან შესცვალოს თავისი პირადი შეხედულობისა, დროისა, მოწაფეთა განვითარებისა და სწავლაში ხელსაწყო ნივთების მიხედვით. ეს პროგრამა არის მაქსიმუმი იმისი, რის სწავლებაც

სასურველია ჩვენებურს სახალხო სკოლებში. დრო და გამოცდილება ბევრს რასმე დაგვანახებს და მომავალში ამ პროგრამაშიც სასურველი შესწორება მოხდება. მაგრამ დღეიდანვე საჭიროა განსაზღვრული პროგრამა, რომლის მიხედვით უნდა მომზადდნენ მასწავლებლებიც და დამზადდეს კიდევ საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სწავლებაში ხელსაწყო ნივთები“ [11, გვ. 59].

აღნიშნული სასწავლო გეგმადა, საერთოდ, მაშინდელი განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები კრიტიკულად აქვს განხილული პროფ. ტიტე სარიშვილს წიგნში „სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში“ (თბილისი 1956 წ.). იგი ლუარსაბ ბოცვაძის მიერ შემუშავებულ პროგრამას აფასებს, როგორც „შრომის სკოლის“ ბურჟუაზიულ პრინციპებზე აგებულ პროგრამასა და მის მთავარ ნაკლად მიიჩნევს „ვიწრო პრაქტიკულ–უტილიტარისტული ჩვევებით მოსწავლეთა შეიარაღებას, ე.წ. „გამომსახველ მოძრაობა - მოქმედებაში“ ბავშვთა აქტივიზაციის გაძლიერებას“ [139, გვ. 308]. პროფ. ტ. სარიშვილი უარყოფითად აფასებს სასწავლო გეგმაში ხატვა-ხაზვის, ფიზიკური ვარჯიშისა და ხელგარჯილობის გაკვეთილების დიდ მოცულობას. ერთი სიტყვით, მას 1918-1921 წლების სასწავლო გეგმები და პროგრამები განხილული აქვს საბჭოური პედაგოგიკის პოზიციებიდან და მის მთავარ ნაკლად მიაჩნია „მოსწავლეთა თვითაქტივობა“, „მოსწავლე მკვლევარი - მაძიებელი“, „მოსწავლეებში უნარების განვითარება“, „მასწავლებლის დამხმარე როლი სწავლა–სწავლების პროცესში“ და სხვა. მაშინდელი მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკა კი ასე აქვს შეფასებული: „მენშევიკური მთავრობა ე. წ. შრომის სკოლისა“ და „თავისუფალი აღზრდის“ ბურჟუაზიული იდეების პრაქტიკული განხორციელებისათვის საქართველოში ნოყიერ ნიადაგს ამზადებდა“ [138, გვ. 309].

ჩვენი აზრით, საკვლევი პერიოდის სასწავლო გეგმები და პროგრამები დადებით შეფასებას იმსახურებს, რადგან ისინი ხელს უწყობდა მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარ–ჩვევების განვითარებას. ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ლუარსაბ ბოცვაძის შეხედულებები.

სპეციალური ლიტერატურისა და საარქივო დოკუმენტების გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ მაშინდელი ქართული საგანმანათლებლო სისტემა სწავლების მეთოდთა ძიების თვალსაზრისით თავისებური ნიშნებით ხასიათდება. სწავლების მეთოდთა აკვარგიანობას ორი ძირითადი კრიტერიუმით ზომავდნენ: ა) რამდენად ემყარება მეთოდი შრომას და იმსჭვალება შრომითი საქმიანობით და ბ) რამდენად ფართოდ იყენებს იგი ბავშვთა თვითმოქმედებას, მათ დამოუკიდებლობას. ამის შესაბამისად სწავლების აქტიურ მეთოდებად მხოლოდ ის მეთოდები ითვლებოდა, რომლებიც

უშუალო ბაზად იყენებდა სწავლების პროცესში ბავშვის შრომა-აქტივობას და შესაფერის პირობებს, უზრუნველყოფდა ბავშვთა თვითაქტივობის პრაქტიკულად განხორციელებას.

აქტიურად ინერგება ცნება „შრომის სკოლა“. მასში გულისხმობდნენ ორ მხარეს: ა) შრომის სკოლა, როგორც სახალხო განათლების ორგანიზაციის პრინციპი და ბ) შრომის სკოლა, როგორც სწავლებისა და აღზრდის მეთოდი. ამდენად, შრომა მიჩნეული იქნა სწავლების მეთოდთა საძირკვლად და მასთან დააკავშირეს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, ბავშვთა თვითაქტივობა და ინიციატივა. ცოდნა და ჩვევები ბავშვმა უნდა შეიძინოს ცხოვრებაში უშუალო, პრაქტიკული მონაწილეობის, შრომისა და თვითმოქმედების გზით.

ამრიგად, შრომის მეთოდს თვლიდნენ მეთოდთა მეთოდად, სწავლების პროცესის ცენტრალურ მარღვად. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალი სკოლა სწავლების მეთოდთა შერჩევის დარგში პრინციპულად ემიჯნებოდა ძველ სკოლასა და გადადიოდა პროგრესული პედაგოგიკის რელსებზე. იმ დროს შემუშავებული პროგრამებიდან ნათლად ჩანს, რომ შრომის სკოლაში პირველი ადგილი უნდა დათმობოდა მოწაფის თვითაზროვნებას, მის თავისუფალ თვითმოქმედებას, ხოლო გამოცდილი, მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელი უნდა ყოფილიყო მისი დამხმარე და სასწავლო პროცესის წარმმართველი.

გაეროვნების შემდეგ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჰუმანიტარული საგნების სწავლებას. ეს იყო, უპირველესად, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება, რაც ყველა ტიპის სკოლისათვის (ქართული, რუსული, სომხური, გერმანული, ოსური და სხვ.) იყო აუცილებელი. საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, პროგრამები და სასკოლო საგნები ხშირად იცვლებოდა, მითუმეტეს, სკოლებს ერთგვარი ავტონომია გააჩნდათ ამ საკითხში. დაიწყო სასწავლო წრეების ჩამოყალიბება სხვადასხვა საგნებში, რაც ხელს უწყობდა სასწავლო პროგრამების უკეთ ათვისებასა და განმტკიცებას.

„1919 წლის 20 ოქტომბერს საშუალო სკოლათა გამგეებს დაეგზავნათ განათლების სამინისტროს სპეციალური ცირკულარი საგნობრივი წრეების ჩამოყალიბების შესახებ. ეს ითვლებოდა მოწაფეებში საზოგადოებრივ-ორგანიზატორული მუშაობის ჩვევების გამომუშავების საშუალებად, რაც ასე აუცილებელი იყო ქვეყნისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან პერიოდში“ [193, ფურც. 64]. სასკოლო პროგრამებიდან ამოღებულ იქნა სხვადასვა საგნების სწავლება, მაგ: საღვთო სჯულის, ფსიქოლოგიის, მაგრამ, ზოგიერთი სკოლა, სამინისტროს გადაწყვეტილების მიუხედავად, მაინც ასწავლიდა მათ.

სამინისტრომ ჯერ ნება დართო საკუთარი ხარჯებით ესწავლებინათ ისინი, შემდეგ კი საერთოდ აკრძალა სკოლებში მიმდინარე ღვთისმსახურება და ლოცვები, საღვთო სჯულის სწავლება“ [189, ფურც.19].

განათლების სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა „უმაღლესი-დაწყებითი სანიმუშო პროგრამების“(უმაღლესი დაწყებითი სკოლის სანიმუშო პროგრამები, თბილისი, 1920 წ.) შემუშავების საქმეში. სანიმუშო პროგრამები 1920 წელს გამოიცა და მისი მიხედვით უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის 1920-1921 სასწავლო წლის გეგმა და გაკვეთილების განრიგი შემდეგ სახეს იღებდა:

№	სასწავლოსაგნები	1 კლასი	2 კლასი	3 კლასი	4 კლასი	სულკვირეულიაკ-ჯამი
1	ქართული ენა	4	4	4	4	16
2	რუსული ენა	3	3	3	3	12
3	ახალი ენა (გერმანული ან ფრანგული)	4	4	4	4	16
4	არითმეტიკა	4	4	2	-	10
5	ალგებრა	-	-	2	2	4
6	გეომეტრია	2	2	2	3	9
7	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	8
8	ისტორია საქართველო და მსოფლიო	2	3	3	4	12
9	გეოგრაფია	2	2	2	2	8
10	ფიზიკა	-	-	2	2	4
11	ხატვა	2	2	2	2	8
12	ხელგარჯილობა	1	1	1	1	4
13	გალობა	2	2	1	1	6
14	ტანვარჯიში	2	2	1	1	6

15	სულ	30	31	31	31	123
----	-----	----	----	----	----	-----

აღნიშნული სასწავლო გეგმით, მშობლიურ ენას და უცხო ენას თანაბარი უფლებები ჰქონდა მიკუთვნებული. ვფიქრობთ, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე.

ჩვენ მიერ მოკვლეული საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ დამტკიცებული სასწავლო პროგრამების მიხედვით საშუალო სკოლის უმცროსი და უფროსი განყოფილების მოსწავლეებს კლასების მიხედვით მოეთხოვებოდათ საგნობრივი ცოდნისა და სასწავლო უნარებისა უცილებელი მინიმუმი ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება [84].

1919 წელს სახალხო განათლების სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა კომისია დაბალი საფეხურის სკოლებისათვის ახალი პროგრამების შესამუშავებლად. „კომისიის თავმჯდომარედ მიწვეული იქნა პროფ. ივანე ჯავახიშვილი. კომისიაში შევიდნენ პროფესორები: დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, დაბალ სკოლათა მთავარგამგე – გიორგი ჭუმბურიძე და სხვა დამსახურებული პედაგოგები“ [29,113]. განათლების სამინისტროში იმართებოდა თათბირები თბილისის სკოლების დირექტორებისა და ცნობილი პედაგოგების მონაწილეობით. საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამების შესამუშავებლად უმაღლეს და საშუალო სკოლათა მთავარგამგის, სერგი დანელიას თავმჯდომარეობით [70, 229]. სკოლებს ეგზავნებოდათ შემუშავებული სასკოლო პროგრამები, რომლებსაც ყველა თავისებურად ახორციელებდა, სასწავლებლის პირობების შესაბამისად.

1919–1920 სასწ. წლის გეგმის თანახმად I კლასიდანვე იწყებოდა უცხო ენის შესწავლა. სკოლა ირჩევდა ერთ–ერთ უცხო ენას, გერმანულს ან ფრანგულს. მართალია, პრესაში ბევრს მსჯელობდნენ ინგლისური ენის მნიშვნელობაზე, მაგრამ იმ პერიოდში ინგლისური სკოლებში ნაკლებად ისწავლებოდა. ეს, ალბათ, პოლიტიკურ საკითხსაც უკავშირდებოდა. 1919–20 წლებში საქართველოში ინგლისის პოლიტიკა იმდენად უარყოფით რეაქციას იწვევდა, რომ ქართული საზოგადოება ამ ენასაც ბოიკოტს უცხადებდა.

ართმეტიკის კურსი ისწავლებოდა I-III კლასებში, თუ ვერ მოხერხდებოდა სასწავლო კურსის დასრულება, დაუსრულებელი სასწავლო კურსის ნაწილი გადაჰქონდათ IV კლასში 1 ან 2 გაკვეთილი. სასკოლო კურსებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭებოდა ხელგარჯილობის სწავლებას. ვაჟთა სასწავლებლებში ასწავლიდნენ ხელგარჯილობას, ქალთა სკოლაში კი ხელსაქმეს [184, ფურც.4].

(მესამე ნომერ დანართში შეგიძლიათ გაეცნოთ სახალხო სკოლების პროგრამებს ყველა საგანში 1919–1920 სასწავლო წლისათვის).

ქართულ ენის გაკვეთილებზე საჭირო შემთხვევებში უნდა გამოეყენებინათ ხატვა და ხელგარჯილობა. მოწაფეები ამზადებენ სხვადასხვა ილუსტრაციებს, არჩევით დაასურათებდნენ წაკითხულს, ამზადებდნენ სურათებისათვის კარდონის, ხისა და ფერადი ქაღალდების ჩარჩოებს, იკეთებდნენ თავისთვის უბის წიგნაკებს, ამოსჭრიდნენ ჟურნალ–გაზეთებიდან სურათებს და და აწებებდნენ ალბომში, ამზადებდნენ წელიწადის დროთა ილუსტრაციებს და სხვ.

მოსწავლეებს უნდა გაკეთებინათ სასწორის ქვები: სხვადასხვა წონისა, არმინი, საჟენი; სხვადასხვა საწყაობისა, ზომებისა და გეომეტრიულ სხეულების ნიმუშები: ხაზვა–ხატვასთან ერთად უნდა სცოდნოდათ ამოჭრა და ქაღალდზე დაწებება სხვადასხვა გეომეტრიული ნაკვეთებისა [162, ფურც. 12].

ბუნებისმეტყველების სწავლების დროსაც საკმაო ყურადღება უნდა მიქცეოდა ხელგარჯილობას, ხატვას, ცდა–დაკვირვებას, სხვადასხვა საჭირო მასალის დაგროვებას, ადგილობრივ მცენარეთა კოლექციების დამზადებას, თესლის აღმოცენებას სხვადასხვა პირობებში და უმარტივესი ფიზიკური იარაღების ნიმუშების დამზადებასაც [163, ფურც. 13].

სამშობლოსა და გეოგრაფიის შესწავლის დროსაც აუცილებლად საჭირო იყო ხატვა–ხაზვა, ძერწვა და სხვადასხვაგვარი ხელგარჯილობა, ქარტების ხატვა ხაზვასთან ერთად. მოწაფეები ძერწავდნენ ხმელეთის ფორმას, კუნძულს, ნახევარკუნძულს, ზეგანს, სამაგალითო ლანშაფტს, ქაღალდიდან გამოჭრიდნენ თოვლიან მთებს, ჩანჩქერს. ამზადებდნენ სხვადასხვა საეთნოგრაფიო სათამაშოების კოლექციებს, თიხის გლობუსებს და სხვ. [161, ფურც.6].

IV განყოფილების (მეოთხე წელიწადი)ქართული ენის პროგრამაში აღნიშნულია, რომ „ჩვენი სასკოლო გრამატიკა მეტის მეტად არეულია და ხელოვნური, ამიტომ გრამატიკის სწავლებას სახალხო სკოლებში ბევრი სამართლიანად უარყოფს. სკოლამ ბავშვის ნორჩსა და სუსტს გონებაში ერთად უნდა შეადულოს ცოდნა და ცხოვრება, რომ მოწაფეს სკოლიდან გასვლის შემდეგ უკუსაგდები არ ჰქონდეს რა, რაც სკოლაში მიუღია, გრამატიკაში კი ბევრი ისეთი რამ არის, რომლის შესწავლაზე ბევრი დრო იხარჯება და ცხოვრებაში გამოუსადეგარი რჩება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენის ფორმების

პრაქტიკულად შესწავლას დასაწყის სკოლებშიც არ მიექცეს სათანადო ყურადღება, პირიქით, სწორმეტყველების შესწავლა მთავარი დანიშნულებაა სკოლისა, მხოლოდ სხვა და სხვა გრამატიკული განსაზღვრა: რა არის კანკლედობა, უღვლილება, ქვემდებარე, შემასმენელი. სხვა, რითაც სავსეა სასკოლო გრამატიკა, მიზანს არ შეეფერება და არც სასარგებლოა, პირიქით, მავნებელიც არის, რადგანაც მათს შესწავლაზე ბევრი დრო უნაყოფოდ იხარჯება“ [160, ფურც.7].

რეალობიდან გამომდინარე, ქართული ენის სწავლებისადმი დღეს სწორედ ასეთი მიდგომაა მთავრობის მიერ მოწონებული. ბოლო წლებია, სკოლებში არის იმის მცდელობა, რომ თეორიული გრამატიკა პრაქტიკულით ჩაენაცვლოს. საბჭოთა სკოლაში ძირითადად თეორიული გრამატიკა ისწავლებოდა: წესები, განმარტებები, განსაზღვრებები, სავარჯიშოები კი იმის შემოწმებას წარმოადგენდა, რა იცოდა მოსწავლემ. პრაქტიკული გრამატიკა მიზნად ისახავს, მოსწავლე ენობრივ მასალაზე ვამუშაოთ და დასკვნა თვითონვე გამოვატანინოთ. წესი პრაქტიკის საფუძველზე ყალიბდება. დღეს ჩვენს სკოლებში მოქმედი სასწავლო გეგმის მიხედვით ქართულის საათები არც ერთ კლასში არ არის გაყოფილი ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებად. სახელმძღვანელოები ინტეგრირებულია ყველა კლასში, შესაბამისად, სტანდარტი და პროგრამა ისეა შედგენილი, რომ გრამატიკა საერთო მასალაში იყოს წარმოდგენილი. ინტეგრირებული სწავლებისას სისტემური მიდგომა ნაკლებად ხერხდება.

საჯარო სკოლაში, სადაც კლასში 30–ზე მეტი ბავშვია, ძნელია, ერთ გაკვეთილში ჩაატო ლიტერატურაში დავალების გამოკითხვა, ახალი მასალის ახსნა და გრამატიკის საკითხებიც. მასწავლებელი დროში ვერ ეტევა და გრამატიკა „გერის“ როლში რჩება. მასწავლებელთა მცირე ნაწილი, თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებს ლიტერატურისა და გრამატიკის ერთმანეთთან მიბმულ, სისტემურ სწავლებას, რაც, რა თქმა უნდა, ნაკლებად შედეგიანია, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა უმრავლესობა 62% წინააღმდეგია ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების, 57% ამავე დროს ემხრობა ენის სწავლებაში პრაქტიკული ხაზის (მართლწერა და მართლმეტყველება) გაძლიერებას თეორიულის (წესები, უღვლილება, ინვერსია, ბრუნება ძველ და ახალ ქართულში) შეკვეცის სანაცვლოდ. ხოლო გამოკითხულთა 78% უშედეგოდ მიიჩნევს ნებისმიერი საგნის სწავლებას მრავალრიცხოვანი ჯგუფის პირობებში. მოვიყვანოთ ამონარიდებს მასწავლებელთა პასუხებიდან:

„ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებამ პრაქტიკულად უარყოფითი სახე მიიღო. ერთ გაკვეთილზე ორი საგნისათვის დროის სიმცირის გამო, მისი განაწილება არ ხერხდება, ამიტომ ორივე ზარალდება. ვფიქრობთ, ენის საათი ცალკე უნდა დაემატოს და კვირეული დატვირთვა გახდეს 6 საათი.“

„ვფიქრობთ, სკოლაში ძირითადად პრაქტიკული გრამატიკა უნდა ისწავლებოდეს. თეორია კი –მცირე დოზით. უნდა გაძლიერდეს მართლწერის სავარჯიშოები და ენობრივი მაგალითების შესრულება.“

„მოსწავლეთა სიმრავლე კლასში განიხილება, როგორც ხარისხიანი სწავლების შემაფერხებელი ფაქტორი; ვფიქრობ,სწავლებისა და, პირველ რიგში, დისციპლინას მნიშვნელოვნად მოაგვარებს კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება, სასურველია, ეს რაოდენობა იყოს, მაქსიმუმ 22.ამ შემთხვევაში მასწავლებლისთვის ბევრად უფრო შედეგიანი იქნება კლასთან ურთიერთობა, ხარისხიანი სწავლება“ [93].

საქართველოს ისტორიის სწავლების დროს სახალხო სკოლაში უმთავრესი ყურადღება უნდა მიქცეოდა თვითონ ხალხისა და არა მხოლოდ კერძო პირების ცხოვრების შესწავლას, რადგან წვრილმანი ამბები და ქრონოლოგიის ზედმიწევნით ცოდნა ბავშვის მეხსიერებას მძიმე ტვირთად აწვებოდა. თავდაპირველად მოსწავლისათვის უნდა შეეთავაზებინათ ქრონოლოგიურად დალაგებული ისეთი ამბები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ერის ცხოვრებაში და დამახასიათებელი იყო ამა თუ იმ ეპოქისათვის. ამასთან,საჭირო იყო განემარტათ, ამა თუ იმ მიზეზს რა შედეგი მოჰყოლია ერის ისტორიაში. ისტორიის სწავლებას დიდად შეუწყობდა ხელს საკითხავად შესაფერი საისტორიო წიგნების მიწოდებაც [158, ფურც.14].

ხატვა–ხაზვის პროგრამაში მითითებულია შემდეგი სახის რეკომენდაცია: „სასურველია, რომ ძერწვა, როგორც ხატვა, პირველი წლიდანვე დააწყებინონ, რადგანაც ეს ძლიერ შველის ბავშვს ფორმის შესწავლაში; ხატვა სჯობიან დიწყონ ფერადი კარანდაშებით, რადგანაც ადვილი სახმარებელია და ნაკლებაც დაითხუპნებიან ბავშვები. შემერწისათვის საჭიროა თითო ბავშვს თითო პრტყელი ფიცარი ედოს წინ სიგრძით 8 და სიგანით 4 ან 5 გოჯი, რომელზედაც აკეთებენ ქანდაკებას. თიხა მთელი კლასისათვის საერთოდ უნდა აიზილოს და ინახებოდეს სველად კოდში ან კასრის მაგვარ ჭურჭელში და სურვილისამებრ გუნდებად ამოიღებენ.ბ) ხატვა–ხაზვისათვის ბუნება იძლევა აუარებელს მასალას, მხოლოდ მასწავლებლის საქმეა იმისი კონცენტრიულად დალაგება, მოწაფეებში ხალისის აღძვრა და ტეხნიკის სიადვილე. ამ პროგრამის მიხედვით, ყველა განყოფილებაში თითქოს ერთი და იგივე მოთხოვნილებაა,

მაგრამ პროგრამა თანდათან ფართოვდება ახალი ცნობების შექმნით. თემებიც ხატვისათვის თავიდანვე თითქოს ერთი და იგივეა, მაგრამ სიძნელე შესრულებაში და მოთხოვნილება სხვა და სხვა უნდა იყოს: მასწავლებლის საქმეა, ამ შემთხვევაში, წესიერად სახატავის მასალის მიწოდებით იმდენად გაუადვილოს მოწაფეს მიცემული თემა, რომ მას ადვილად შეეძლოს მისი შესრულება; ეს კი შესაძლებელია მასალის თანდათანობით მიცემით, ადვილიდან მოძნელოზე გადასვლით და სისტემატიურად სწავლებით, რომლის დროსაც დაცული უნდა იქმნას მოწაფის ხალისი და შემოქმედება მუშაობაში“ [159, ფურც. 2,3,4].

მშობლები ითხოვდნენ ორი უცხო ენის სწავლებას. ეს ტრადიცია არსებობდა 1918–19 სასწ. წელს. 1919–20 წლიდან კი, სამინისტროს ბრძანებით, ორის ნაცვლად ერთი უცხო ენა უნდა შეესწავლათ: არჩევანი მშობლებსა და მოწაფეებს ეკუთვნოდათ. სამინისტროს სახელით მთავარგამგე სერგი დანელია წერდა: „სხვადასხვა ისტორიულ მიზეზთა ზეგავლენით ჩვენი მოზარდი თაობა ფრიად არანორმალურ სწავლების პირობებში იმყოფება. ამ პირობათა გამო ნორჩ ბავშვებს, რომელთაც ჯერ თავისი დედა–ენა ვერ შეუთვისებიათ რიგიანად, რამდენიმე უცხო ენის ერთდროულად შესწავლა უხდებათ, ხშირად ამისთვის მოწაფე ისე ამთავრებს სასწავლებელს, რომ არც ერთი ენა არ იცის წარჩინებულად. გარდა ამისა, მრავალ ენათა შესწავლა იმ ზომაზე იპყრობს მოწაფის ენერგიას, რომ მას ნაკლებად რჩება დრო რეალური ცოდნის მისაღებად. ეს ნაკლოვანება მოითხოვს ჩვენი სკოლის სასწავლო გეგმის შეცვლას, რათა, ერთი მხრით, ვერბალური სწავლების შეკვეთით მეტი ადგილი დაეთმოს რეალურ სწავლებას, მეორე მხრით კი, თვით ენების სწავლება უფრო რაციონალურად წარმოებდეს მოსწავლის ენერგიის მეტი კონცენტრაციის დაცვით [186, ფურც. 58].

გამოიცა სპეციალური ცირკულარი რუსული ენის სწავლების შესახებ. გადაისინჯა ძველი პროგრამები და მიღებული იქნა ახალი პროგრამა რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში. ეს პროგრამა გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ [28, 236].

სწორად შედგენილ სასწავლო პროგრამებს მოწაფეთა დაინტერესება უნდა გამოეწვია. სამინისტროს მესვეურები თვლიდნენ, რომ სკოლაში გაცდენებსა და ფორმალურ ნიშნებს, სწორედ არასაინტერესოდ შედგენილი სასწავლო პროგრამები იწვევდა. ცირკულარებში, რომელებსაც სამინისტრო საშუალო სკოლების გამგეებს უგზავნიდა, სწორედ ამ ფაქტებზეა განსაკუთრებული ყურადღებაგამახვილებული [187, ფურც. 6].

რესპუბლიკის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტანვარჯიშის განვითარებას, ანუ მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას. 1919 წლის 5 აგვისტოს სამინისტრომ მიმართვები დაუგზავნა ყველა სასწავლებელს, სადაც განსაზღვრული იყო ტანვარჯიშის დარბაზების მოწყობა, სპეციალური პროგრამის შექმნა და პედაგოგების შერჩევა. მიმართვას ხელს აწერდა ტანვარჯიშის მთავარი ინსტრუქტორი გ. ეგნატაშვილი და სამინისტროს საქმის მწარმოებელი მაქსიმე ბერძნიშვილი [185, ფურც. 55]. მალე ტანვარჯიშის ინსტრუქტორის თანამდებობა მთავარგამგის თანამდებობად გადაკეთდა. მთავარგამგეს ნიშნავდა მინისტრი ქართული საგიმნასტიკო საზოგადოება „შევარდენის“ წარდგენით. მთავარგამგესთან დაარსდა სპეციალისტების საბჭო, რომელიც მუშაობდა ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის გამოცემაზე, საზოგადოება „შევარდენში“ გაიხსნა ორთვიანი კურსები ტანვარჯიშის მასწავლებლებისათვის. კურსებზე სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა, მეცადინეობა ტარდებოდა ყოველდღე, 7 საათიდან 12 საათამდე, კვირაში სამჯერ კი, საღამოობით, ტარდებოდა პრაქტიკული ვარჯიშები. მსმენელებს ეძლეოდათ საცხოვრებელი ბინა თავად ამ საზოგადოებათან („შევარდენი“ მდებარეობდა ანდრიასა და ფეიერვერკის ქუჩათა შესაყარში). კურსების გავლა სავალდებულო იყო ტანვარჯიშის მასწავლებლობის მსურველთათვის. მას, ვისაც კურსები არექნებოდა გავლილი, სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად ვერ დაიწყებდა მუშაობას“ [188, ფურც. 2].

შეიძლება ითქვას, რომ 1918–1921 წლების ქართული სკოლის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო გამოცემული სახელმძღვანელო წიგნები. სხვადასხვა საგნის სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე შედგენილი თუ გადმოთარგმნილი სახელმძღვანელოებით. „ქალაქის ზღაპრულმა სიძვირემ ოდნავადაც ვერ შეაფერხა წიგნების გამოცემა და ჩვენი წიგნის მაღაზიები სახელმძღვანელოებით არის სავსე“, – წერდა 1920 წელს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ [57, 78].

დაიწყო თუ არა სკოლის ქართულ ეროვნულ ნიადაგზე გარდაქმნა, სახელმძღვანელოთა შედგენას მაშინვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. უკვე 1918 წელსვე გამოვიდა ორიგინალური სახელმძღვანელოები, როგორებიც იყო ი. ფერაძის „საქართველოს ისტორია“, დ. უზნაძის „ახალი ისტორია“, „ძველი საბერძნეთი“, ა. წერეთლის „ძველი ისტორია“, „საშუალო საუკუნეთა ისტორია“, ი. გომელაურის „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“ და ა. შ.

განსაკუთრებული როლი სახელმძღვანელოთა შექმნისა და გამოცემის საქმეში შეასრულა ქუთაისმა და მისმა ინტელიგენციამ. ამ საქმეს საფუძველი ჩაუყარეს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორმა ი. ოცხელმა და მისმა

მასწავლებლებმა (1919 წ. ი.ოცხელის გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე ღირსეულად განაგრძო მისმა შემცვლელმა ს. ხუნდაძემ). მათ დააარსეს წიგნის გამომცემლობა „განათლება“, რომლის გამგეც გ. სვანიძე იყო. გამომცემლობამ მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის ინტელიგენციას, მოემზადებინათ სახელმძღვანელოები როგორც სკოლების, ისე საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის, შეექმნათ სამეცნიერო წიგნები, რუკები და ა.შ. მათ კორპორაციაში 45 მასწავლებელი გაერთიანდა. შექმნილი იყო თითოეული საგნის სპეციალური სარედაქციო კომისია, რომლებიც არჩევდა და აფასებდა გამოსაცემ სახელმძღვანელოებს. გამომცემლობაში მოწვეული ჰყავდათ ენის სპეციალისტები, რომლებიც ტერმინების შექმნაზე მუშაობდნენ. გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა ს. ყიფიანის წერილი „ჩვენი შკოლის ნაციონალიზაციისათვის“, სადაც ავტორი მოუწოდებდა ინტელიგენციას ჩაბმულიყო ამ ეროვნულ საქმეში და გაეგზავნათ მათთვის მზა სახელმძღვანელოები გამოსაცემად. გამომცემლობას რამდენიმე წიგნი მზად ჰქონდა დასაბეჭდად, მაგრამ საქმეს თანხების უქონლობა აფერხებდა. აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ქუთაისის სამრეწველო ბანკის დამსახურება, რომელმაც დიდი კრედიტი მისცა გამომცემლობა „განათლებას“, რითაც შესაძლებელი გახდა მზა წიგნების დაბეჭდვა“ [34, 149]. განათლების სამინისტროს, ქუთაისის სამრეწველო ბანკის, წიგნების გამომცემელი ქართველი ამხანაგობა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით ქართველი პროგრესული პედაგოგიურ-მეცნიერული ძალების ინიციატივით დამუშავებული და გამოცემული იქნა მნიშვნელოვანი სახის სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები. მათ შორის: 1. მ. ზაალიშვილის-მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა, ნაწ. 1., ქუთაისი; 2. ს. იაშვილის-მოკლე სახელმძღვანელოები ბუნებისმეტყველებისა, ნაწ.1 და 3. ს. იაშვილის-მოკლე სახელმძღვანელო გეოგრაფიისა და საზოგადო გეოგრაფიისა ნაწ. 1, 2 და 3; 4. ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფშიძის „გუთანი“, ოჯახში და სკოლაში საკითხავი წიგნი, ქუთაისი, 1917 წ.; 5. ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფშიძის- ქართული ანბანი; 6. ს. ოცხელის-ელემენტარული ალგებრა და ელემენტარული გეომეტრია საშუალო სკოლებისათვის, 1917, ქუთაისი; 7. ალ. ჭიჭინაძის- პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა, მე-3 გამოცემა, ქუთაისი, 1917 წ.; 8. მ. ზაალიშვილის-ბუნებისმეტყველების მოკლე სახელმძღვანელო-ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, 1918, ქუთაისი; 9. მ. ზაალიშვილის- მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა, ორგანული ბუნება, ნაწ. 1 და ნაწ.4., ფიოლოგია, 1918, ქუთაისი; 10. მგალობლიშვილის-ართმეტიკულ ამოცანათა კრებული, გიმნაზიის მესამე კლასის კურსი, 1918 წ.; 11. ი. ოცხელის ქრესტომათია, საშუალო სკოლის 1 კლასის კურსი, ქუთაისი, 1918 წ.; 12. დ. უზნაძის და ი. გველესიანის-ახალი ისტორია, საშუალო სასწავლებლებისათვის, ქუთაისი, 1918 წ.; 13.

დ. უზნაძის-ძველი საბერძნეთი, ნაწილი მეორე, 1918 წ.; 14. ილ. ფერადის საქართველოს მოკლე ისტორია, 1918 წ., ქუთაისი; 15. სიმონ ქვარიანის - საქართველოს ისტორია, შემოკლებული ანუ ეპიზოდური კურსი, ქუთაისი, 1918 წ.; 16. ს. შარაშენიძის სწორხაზოვანი გეომეტრია, საშუალო სასწავლებლების მე-7 და მე-8 კლასის კურსი, ქუთაისი, 1918 წ.; 17. შარაშენიძე ს., სვანაძე ნ., - ალგებრულ ამოცანათა კრებული, საშუალო სასწავლებლების მე-3 და მე-4 კლასების კურსი, 1918 წ, ქუთაისი; 18. ა. ჩხენკელის - ბოტანიკა, ნაწ. 1., 1918 წ, ქუთაისი; 19. ა. ჩხენკელის-ანატომია, 1918 წ, ქუთაისი; 20. ი. ცინცაძის-სამართლის მეცნიერება, მოკლე სახელმძღვანელო გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლებისათვის, 1918 წ, ქუთაისი; 21. ს. ხუნდაძის-ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო, 1918 წ, ქუთაისი; 22. პროფ. გ. ახვლედიანის- რუსული ენის გრამატიკა, უმაღლესი დაწესებულებებისათვის, 1-ფონეტიკა, 2-მორფოლოგია; 23. ია ეკალაძის - თეორია სიტყვიერებისა, 1919 წ.; 24. მელიტონ კელენჯერიძის-სიტყვიერების თეორია, 1919 წ., თბილისი; 25. პროფ. შ. ნუცუბიძის-ლოდიკა-ელემენტარული სახელმძღვანელო, 1919 წ.; 26. დ. უზნაძის- ისტორია პირველყოფილი კულტურისა, 1919 წ., თბილისი; 27. დ. უზნაძის-რომი, მსოფლიო ისტორია, ნაწ. 3; 28. დ. უზნაძის-ძველი ისტორია, 1919 წ.; 29. ა. ჯანელიძის - დაწესებულებების ფიზიკა, ნაწ. 1, ქუთაისი, 1919 წ.; 30. დ. დუნდუას-ჰაერი, წყალი და მიწა, 1919 წ.; 31. კისელიოვის-ელემენტარული გეომეტრია, 1920 წ., თბილისი; 32. პროფ. შ. ნუცუბიძის - ლოდიკა საშუალო სკოლებისათვის, 1920 წ. და სხვა.

განათლების სამინისტრომ შეიმუშავა დებულება, რომლის მიხედვით, ახალი, საუკეთესო სახელმძღვანელოების ავტორები ჯილდოვდებოდნენ სპეციალური პრემიით. ამით მთავრობა ახალისებდა ავტორებს და ხელს უწყობდა ქართული სკოლებისათვის მაღალხარისხოვანი ქართული სახელმძღვანელოების შექმნას.

დიდი მუშაობა ჩატარდა გამოსაცემი, თუ გამოცემული წიგნების სარეცენზიოდ. მაგალითად, ჟურნალმა „განათლებამ“ 1919 წლის მეორე ნომერში დაბეჭდა კომისიაში შესული რეცენზიები დ. უზნაძის „ახალი ისტორიასა“ და „ძველ საბერძნეთზე“, ი. ფერადის „საქართველოს ისტორიაზე“ და ა. წერეთლის „ძველ ისტორიასა“ და „საშუალო საუკუნეთა ისტორიაზე“ [120, 2]. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ კი 1920 წელს, რამდენჯერმე დაიბეჭდა ვ. ხუროძის რეცენზიები სხვადასხვა წიგნზე, (იგი იმ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კრიტიკოსი იყო.). მაგალითად, წერილში „ქართული ენის სახელმძღვანელოები“, მას განხილული აქვს ი. ოცხელის I კლასის ქრესტომათია, ი. ოცხელის, ა. მამფორიასა და ი. ნიკოლაიშვილის მე-2, მე-3 და მე-4 კლასების ქრესტომათიები და დადებით შეფასებას აძლევს მათ [57, 78]. მომდევნო წერილში „ქართული ენის სახელმძღვანელოები“ - ვ. ხუროძე განიხილავს ი.

გომელაურის წიგნს – „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“ (წიგნები I-II-III, გამოცემული მ. გაჩეჩილაძის მიერ) და დადებითად აფასებს მათ, თუმცა აძლევს შენიშვნებსაც. სამივე ეს წიგნი უმაღლეს დაწყებითი სკოლებისათვის იყო განკუთვნილი, და ამდენად ვ. ხუროძეს მასში ზედმეტად მიაჩნდა ვაჟას „გველისმჭამელის“ შეტანა. ამის მიზეზად კი ის სამართლიანად ასახელებდა ამ ასაკის ბავშვთა მოუმზადებლობას ნაწარმოების აღსაქმელად. ამავე მიზეზით არ მიაჩნდა ავტორს მიზანშეწონილად წიგნებში შეეტანათ ილიას „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“ და ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ხოლო ნაწარმოების სისუსტის გამო, ამოსაღებად ჩათვალა ლალიონის (არსენ მამულაიშვილი) „ფირალი დავლაძე“. სამაგიეროდ, ავტორის აზრით, წიგნს აკლდა და უნდა დამატებოდა გ. ერისთავის ნაწარმოებები. ავტორის დასკვნით ი. გომელაურის აღნიშნული ქრესტომათიები მაინც სხვა მსგავს წიგნებზე გაცილებით უკეთესი იყო“ [26, 82].

განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა ვ. ხუროძის იმავე გაზეთში დაბეჭდილი კიდევ ერთი რეცენზია, რომელშიც იგი იწუნებდა ი. ზედგენიძის წიგნს, რომელშიც ავტორი უპირისპირდებოდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“. წიგნის ავტორი, ვ. ხუროძის აზრით, მის „ვაი შემსწორებლად“ მოგვევლინა“ [25, 180]. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს არის მაგალითი, არც თუ ხშირი შემთხვევიდან, როგორი სიფხიზლით უნდა ვიცავდეთ კლასიკურ მემკვიდრეობას ვაი ნოვატორთა ხელყოფისაგან.

ვ. ხუროძეს ეკუთვნის აგრეთვე წერილები სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ. „დღეს, როცა ეროვნული, დამოუკიდებელი სკოლა გვაქვს, გეოგრაფიას, ისტორიას და სხვა საგნებს დაბალი სკოლიდანვე შესაფერისი ადგილი აქვს მიჩენილი ჩვენს სკოლებში, ამ საგნებში სპეციალური სახელმძღვანელოებიც არსებობს, ამიტომ „საქმიანი სტატიები“ ქართულის სახელმძღვანელოდან უსათუოდ უნდა ამოიშალოს. ასეთ გეგმაზეა შედგენილი ი. გოგებაშვილის „დედაენა და „ბუნების კარი“. ჩვენი აზრით, ამგვარი ქრესტომატიის ტიპი დრომოჭმულად უნდა ჩაითვალოს“.

არსებული ქრესტომატიის უარყოფით მხარედ ავტორი იმასაც მიიჩნევს, რომ სასწავლო მასალა თემატურად დაულაგებელია, არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი საჭიროებები და ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია დიდაქტიკის პრინციპი– ჯერ იოლი და შემდეგ ძნელი.

სახელმძღვანელოების დეფიციტი ავტორს სწავლების ხელისშემშლელ უმთავრეს პირობად მიაჩნია: „ კარგი სახელმძღვანელო თვით სუსტ მასწავლებელსაც დაეხმარება და სწორი გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად გადაექცევა, მთავრობა ჯერჯერობით ამ

საკითხს ვერ უთმობს სათანადო ყურადღებას, ისევ ჩვენი მასწავლებლები შეუდგნენ საქმეს, ზოგმა ორიგინალური სახელმძღვანელო შექმნა, უმრავლესობამ კი თარგმანს მიჰყო ხელი. ეს ხდებოდა ძალიან სწრაფად, მოკლე დროში, დაფიქრებისა და გააზრების გარეშე, ამ გარემოებამ თავისი დადი დაასვა ამ საქმეს: ბევრი სახელმძღვანელო ენობრივად გაუმართავია, ზოგიც, ტერმინებისა და სხვა მასალების მხრივ, ნაკლებად ეგუება ქართული ეროვნული სკოლის სულსა და გულს“ [32, გვ. 4].

ვ. ხუროძის მოსაზრებები ყურადსაღებია, თუმცა ზოგიერთ საკითხში შესაძლოა ავტორს პრინციპულად არ დაეთანხმო. განსაკუთრებით, როცა იგი დაუმსახურებლად აკნინებს ქართული მწერლობის მნიშვნელობას არა მარტო მოსწავლეთა იდეური და ესთეტიკური აღზრდის საქმეში, არამედ ქართული კულტურის მნიშვნელობას საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენი აზრით, მიუღებელია კრიტიკოსის ამგვარი მოსაზრება: „დანაშაული იქნება მომავალი თაობის წინაშე, რომ მათი ჭკუა და გონება ჩვენს ვიწრო და განუვითარებელ ნაციონალისტურ პოეზიაზე მივაჯაჭვოთ, წლიდან წლამდე პატრიოტული ბარაბანი ვარიხინოთ, ამით ვერც დიდ აღზრდას შევიტანთ მომავალ თაობაში და იდეების მხრივაც ვერ გავამდიდრებთ მას. ჩვენ, პატარა საქართველო, ვერასდროს ვერ გავხდებით დიდი ერების მასწავლებლად და ყველაფერში განათლებული ევროპის მოწაფენი ვიქნებით, ბევრსაც ვისწავლით, მაგრამ ეს კი საექვოა, რომ ვინმეს იქით დიდი რაიმე ვასწავლოთ...“ [31, გვ. 4].

მაშინდელმა საყოველთაო სპეკულაციის ხანამაც შესაფერისი გავლენა იქონია სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეზე: ზოგი გამომცემელი თუ კერძო მაღაზია პირდაპირ საათობით ზრდიდნენ ფასებს სახელმძღვანელოებზე: „რა ვქნათ, წიგნის დაბეჭდვის პროცესში გაძვირდა ქალაქი“. ყველა ამ სიკეთესთან ერთად სახელმძღვანელოები ითარგმნებოდა სრულიად შემთხვევით და უსისტემოდ. ყველა იმას თარგმნიდა, რაც „მოეპრიანებოდა“ და ეიოლებოდა...“ [27, გვ. 3].

1918 წ. გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა მ. ზაალიშვილის რეცენზია ს. იაშვილის წიგნზე „მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა. მცენარეთა სამეფო (ბოტანიკა)“. ამ ვრცელ რეცენზიაში ძალზე მკაცრადაა შეფასებული სახელმძღვანელო. წიგნი, რეცენზენტის აზრით, მოკლებული იყო მეცნიერულ მხარეს, არ ესადაგებოდა ქართულ სინამდვილეს და არ იძლეოდა არავითარ პრაქტიკულ რჩევას, რეცენზენტი იწუნებდა წიგნში გამოყენებულ ტერმინებსაც [33, 133].

სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში დიდი წვლილი შეჰქონდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მას მთავრობამ 1919 წლის აპრილში

სპეციალური დეკრეტით ამ საქმისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას⁵ მილიონი მანეთიც კი გამოეყო სესხად [27, 157].

განსაკუთრებით გვინდა შევხვით ქართული მეცნიერული პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ფუძემდებლის დიმიტრი უზნაძის როლს ქართული სასკოლო სახელმძღვანელო წიგნების შექმნისა და გამოცემის საქმეში.

1916 წელს დიმიტრი უზნაძის ავტორობით ქუთაისში გამოიცა „ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა“, 1918 წელს – „ძველი საბერძნეთი“, 1918 წელს – „ახალი ისტორია“, I ნაწილი, 1918 – 1919 წლებში – „რომის ისტორია“. 1917 – 1922 წლებში ქართულ სკოლებში მსოფლიო ისტორია ისწავლებოდა დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოებით. 1920 წელს სასწავლო კომიტეტში (ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით) დიმიტრი უზნაძის „ძველი ისტორია“ წარდგენილ იქნა პრემიაზე.

დიმიტრი უზნაძის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოების ღირსება ისაა, რომ მათში მასალის გადმოცემა ექვემდებარება ისტორიის განვითარების პროცესის ობიექტური, რეალური სურათის ასახვას. სახელმძღვანელოები განტვირთულია მზამზარეული დასკვნებისა და დებულებებისაგან. ჩვენი აზრით, ავტორს სასწავლო მასალა ისე აქვს შერჩეული, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. ფაქტების სპეციფიკური გადარჩევა მიზნად ისახავს ბიძგი მისცეს მოსწავლეებს შეაფასონ ესა თუ ის ისტორიული ამბავი და მოვლენა. მოსწავლეები ეცნობიან რა სხვადასხვა ქვეყნების ისტორიას, განიმსჭვალეებიან მსოფლიო ცივილიზაციის, განსხვავებული ტრადიციებისა და პოლიტიკური აზროვნების პატივისცემით. დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები აღჭურვილნი არიან სასწავლო მეთოდური მიმართულებითა და მდიდარი საილუსტრაციო მასალით.

ბუნებრივია, ავტორის მიერ სახელმძღვანელოებში გამოთქმული ახალი დებულება, საკითხის შეფასება, გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდებოდა ძველი სტერეოტიპებით აღზრდილი თაობების მხრიდან, მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოები, რომლებიც ევროპული სტანდარტების დონეზე არის შედგენილი, პასუხობდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს.

დიმიტრი უზნაძის მიერ გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელო წიგნებში ისტორიული მასალის გადმოცემა ეფუძნება შემდეგი პრინციპების დაცვას: 1. მეცნიერულობას; 2. აღზრდას; 3. მისაწვდომობას; 4. თვალსაჩინოებას და კონკრეტულობას, 5. სისტემატურობას და თანმიმდევრულობას; 6. შეგნებულობასა და აქტივობას; 7. განვლილი მასალის მტკიცედ შეთვისების პრინციპებს.

უზნაძის მიერ გამოცემულ სასკოლო წიგნებში საკითხები ისე არის გაშუქებული, რომ მათ მოსწავლე მიჰყავს სარწმუნო ცოდნისაკენ. წიგნში სასწავლო მასალის გაშუქების დროს განსაზღვრულია სირთულისა და სიღრმის ხარისხი, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მასალის მოცულობა სწორად არის დოზირებული, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს გაანაწილოს თემატური მასალა ცალკეულ გაკვეთილზე.

ვ. ბარნოვი 1919 წელს გამოაქვეყნა „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილების“ პირველ წიგნი (ანუ „რვეული“, როგორც ავტორი უწოდებს). წიგნი ნათლად წარმოგვიდგენს ამ შესანიშნავი მწერლის პედაგოგიურ პროფილს, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდური პრობლემებით მისდანიტერესებას.

„ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილების“ ეს პირველი წიგნი („რვეული“) მთლიანად მოიცავს ხალხური ზეპირშემოქმედების იმ თემატიკას, რომელსაც 1919 წელს გამოაქვეყნებული ქართული სიტყვიერების ერთიანი პროგრამა ითვალისწინებდა ახალი ტიპის საშუალო სკოლებში სწავლების პირველი წლის (გიმნაზიის ყოფილი მე-5 კლასის) კურსისათვის.

წიგნის წინასიტყვაობაში ვ. ბარნოვი წერს: „ქართული ლიტერატურის შესწავლას სკოლებში აბრკოლებს სახელმძღვანელოების უქონლობა. არ არის კლასში სამუშაოდ მოწყობილი წიგნი. მასწავლებელი იძულებულია არამცთუ განმარტოს გაკვეთილი და გადასცეს, თითონვე შეარჩიოს გაკვეთილის მასალა, შემოსაზღვროს იგი და დაამუშაოს... ვადგენდი გაკვეთილების კონსპექტს და ისე ვასწავლიდი. კლასში ვათვალისწინებდი ნაკლს და ვაუმჯობესებდი. საჭიროდ მიმაჩნია გამოიცეს პირველი რვეული ამ გაკვეთილებისა, თუ გამოსადეგი აღმოჩნდა, დანარჩენებიც მოჰყვება. მზად არის მთელი მასალა“ [2, გვ. 2]. ნაწარმოების იდეური ანალიზისათვის სათანადო ნიადაგის მომზადების მიზნით, ვ. ბარნოვი ხელოვნების თეორიაში ერთ-ერთ ურთულეს პრობლემატურ საკითხს – კონკრეტულისა და ზოგადის, კერძოსა და ტიპიურის ურთიერთობის შესახებ – აშუქებს იმდროინდელი მოსწავლეებისათვის ადვილად წარმოსადგენი მაგალითების, მსჯელობაში თვალსაჩინოებითი ელემენტების ოსტატურად გამოყენება-მომარჯვების გზით, რაც მის ცოცხალ, ხატოვან მეტყველებას კიდევ უფრო მიმზიდველსა და შთამაგონებელს ხდიდა.

თუ რაოდენ დიდ ადგილს უთმობდა ვ. ბარნოვი თავის პრაქტიკულ მუშაობაში ნაწარმოების ამ ორ მხარეს – შინაარსის ღრმად შესწავლისა და გმირთა დახასიათების გზით მისი იდეური აზრის სწორად გაგების ამოცანებს, ეს ჩანს ყოველი საგაკვეთილო მასალის ბოლოს წიგნში დართული, ე. ი. „კონსპექტებიდან“, რითაც მოსწავლეს ეძლეოდა ტექსტის შინაარსის ცოდნის თვითშესამოწმებელი საორიენტაციო მზა გეგმა,

ზეპირი თუ წერიტი სახით შინ დასამუშავებელი საანალიზო თემის ფორმულირება და ტექსტიდან შერჩეული საუკეთესო ადგილების საილუსტრაციო ნიმუში. მაგალითად, ამირანის შინაარსს ერთვის ასეთი „კონსპექტი“ (გეგმა): 1. „დალის ანდერძი ამირანის შესახებ და მისი ასრულება“; 2. ამირანის მონათვლა; 3. ამირანი პატარაობისას; 4. ამირანის აღჭურვა და საბუმბერაზოდ წასვლა; 5. ბრძოლა ამირანისა დევებთან და ვეშაპთან, რომელმაც შთანთქა ამირანი; 6. ვეშაპის მუცელში დაზიანებული ამირანის გამრთელება; 7. ბრძოლა ამირანისა შავ ვეშაპთან; 8. ამირანის შესვლა ზღვაში ყამარქალის გამოსაყვანად; 9. გამოტაცება ყამარისა; 10. ბრძოლა მის ქაჯ-ბატონთან; 11. ბრძოლა ამირანისა სიასამურ დევთან, სიკვდილი ამირანისა და გაცოცხლება მისი. ამას მოსდევს საანალიზო თემა: „რით ჰგავს ამირანი დევებს და რით განსხვავდება მათგან“ და აზრების საილუსტრაციოდ 12 სტრიქონი ტექსტიდან“ [3, გვ. 29].

ამრიგად, ვ. ბარნოვის მეთოდოლოგიური მემკვიდრეობაში პირველად პოულობს თავის გამოსახულებას მხატვრული ნაწარმოების შინაარსის შესწავლისა და მისი იდეური ანალიზის პროცესთან დაკავშირებული ისეთი აქტუალური მეთოდოლოგიური საკითხები, როგორცაა გეგმის შედგენა, გმირის დახასიათება, მსჯელობის (მტკიცების) ილუსტრირება ტექსტის შესაბამისი ადგილებით, ზოგადმიმოხილვით თემებზე სასკოლო ლექციური მეთოდის გამოყენების ფორმა, ხასიათი და სხვ.

1919 წელს გამოვიდა ივ. გომელაურის „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“ (აღწერილობა და კრიტიკულ-მეთოდოლოგიური შეფასება). იგი იხსნებოდა ევ. ნინოშვილის „სიმონათი“ (გადმოიტანეს მეორე წიგნიდან), გვ. 4–43, რომელსაც მოსდევდა დ. კლდიაშვილი („როსტომ მანველაძე“, „დარისპანის გასაჭირი“, გვ. 43–70), ი. ჭავჭავაძე („ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, გვ. 70–134), ვაჟა-ფშაველა („სვინიდი“, „ბახტრიონი“, „გველისმჭამელი“, გვ. 134–181), ნიკოლოზ ბარათაშვილი („ჩემი ლოცვა“, „ჩემი მეგობართ“ და ლირიკული უსათაურო ლექსები, გვ. 181–184). აღ. ყაზბეგი („ელბერდ“, გვ. 185–201), ავ. წერეთელი („მომავალი სიხარული“, „ბაგრატ დიდი“, „სულიკო“, „ქებათა-ქება“, „გამზრდელი“, გვ. 201–215), სულხან-საბა ორბელიანი (ბიოგრაფიული ცნობები, 9 იგავი, გვ. 215–228), დავით გურამიშვილი (ბიოგრაფიული ცნობები, „სწავლა მოსწავლეთა“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დ. გურამიშვილის ლექთაგან დატყვევება“, „ტყვეობიდან გაპარვა დავითისა“, „მზეთა მზის შესხმა“, „ზაფხულის გამარჯვება“, გვ. 228–239), შოთა რუსთაველი („ვეფხისტყაოსანი“, ნაწყვეტები, გვ. 239–265).

„ამ მესამე წიგნში, – წერს ი. გომელაური, დამთავრებულია იმ თხზულებათა თავმოყრა, რითაც, ჩემის აზრით, უნდა დასრულდეს სახალხო სკოლების მეორე საფეხურზე – ეგრედწოდებული უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში – ქართული

სიტყვაკაზმული მწერლობის შესწავლა. ეს იყო ერთგვარი დასრულებული სისტემა, რომელსაც, ი. გომელაურის შეხედულებით, უნდა მოიცავდეს საშუალო და უფროს კლასებში (1920 წლიდან ოთხ წიგნად დაყოფა ემყარებოდა გიმნაზიის ყოფილი მე-5-8 კლასების წყობას) ქართული ლიტერატურის სწავლების თანმიმდევრული კურსი. მან პირველმა მოგვცა ამ კურსისათვის მასალების შერჩევის, დალაგების, მათი სასწავლო-მეთოდოლოგიური დამუშავების ნიმუში. ვარლამ თოფურიას აზრით, ი. გომელაური კონკრეტული მეთოდოლოგიური გზა-მითითებების შემდგენი, ქართული ენისა და ლიტერატურის დაკვირვებული მცოდნე, მოცემული დროისათვის საკმაოდ პედაგოგიური გამოცდილების მქონე (ოცზე მეტი წლის) მასწავლებელი იყო, მისი კითხვარები უყოყმანოდ უნდა მივიჩნიოთ ისეთ დოკუმენტად, რომელიც სწორად ასახავს ქართული ლიტერატურის სწავლების, სახელმძღვანელოთა შედგენისა და ამ ფონზე თვით მეთოდოლოგიური მიღწევების დონესაც. ეს დონე კი, წინა პერიოდთან შედარებით, ერთობ ამაღლებულად მოჩანს და ჩვენს საერთო ინტერესს იწვევს.

აღსანიშნავია მელიტონ კელენჯერიძის „თეორია სიტყვიერებისა“. როგორც თოფურია წერს, ეს იყო კრიონისა და გრ. ყიფშიძის „სიტყვიერების თეორიისაგან“ რამდენადმე განსხვავებული გამოცემა, რომელშიც ლიტერატურის ზოგადი და კერძო თეორიის ერთობლივად წარმოდგენის ცდა თავისებურად იყო დასაბუთებული. პროზისა და პოეზიის ზოგად თეორიას ავტორი ხუთ ნაწილად ჰყოფს: 1. თემა; 2. იდეა; 3. ნაწარმოების შინაარსი; 4. მისი აგებულება (ნაწილები, თავები); 5. ენა. ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც სტილისტიკის შემადგენელი ნაწილი.

მელიტონ კელენჯერიძე საშუალო სკოლის უფროს კლასებში დასაშვებად მიიჩნევდა ლიტერატურული მოვლენების სიადვილე-სიმძნელის გათვალისწინებასთან ერთად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მათ სწავლებას და, მაშასადამე, ი. გომელაურისაგან განსხვავებით, სიმპტომურად გამოხატავდა სხვა მიდგომას ალბულის საკითხისადმი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მის სწორ გაგებას.

თავისი სახელმძღვანელო ქრესტომათიებით ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული მეთოდოლოგიური აზროვნების წინსვლისა და განვითარების საქმეს სერგი გორგაძემ (1876-1929). კერძოდ, მისმა ქრესტომათიებმა. თუ გომელაურის სახელმძღვანელო წიგნებში უმთავრესად ნაჩვენები იყო საკუთრივ მის მიერ შედგენილი პროგრამის ნიშნები, ს. გორგაძის ქრესტომათიის პირველივე გამოცემაში ერთგვარი გამოხატულება ჰპოვა ქართული ლიტერატურის სწავლების პრინციპულ საკითხზე მასწავლებელთა კოლექტიური აზრის შემუშავებამ. ამ მეთოდური გაერთიანების (ან კომისიის) მიერ ქართული ლიტერატურის სწავლების სასკოლო კურსი განსაზღვრული იყო შემდეგი თანმიმდევრობით: IV, V, VI კლასები მთლიანად

„ახალ მწერლობას“ უნდა ჰქონოდა დათმობილი, VII, VIII კლასები კი – „ძველ მწერლობას“.

ს. გორგაძეს თავისი კრებულის შედგენის მთავარ საფუძვლად აურჩევია ჟანრობრივი პრინციპი, რის შედეგად სწავლების ხუთი კურსის მასალა მას დაუყვია ორ ძირითად ჯგუფად: პოეზიად და პროზად. ს. გორგაძის კრებულის მეორე განმასხვავებელ თავისებურებას შეადგენდა ის, რომ მასში „ზოგიერთი მგოსნის ბიოგრაფიები და სიტყვების ახსნა“ მოთავსებული იყო ბოლოში, ხოლო თვით „მგოსანთა ნაწერებს“ წამმღვარებული ჰქონდა „მოკლე, სახელმძღვანელო, მათი მიმართულების ამხსნელ–დამახასიათებელი შენიშვნები“ (ს. გორგაძე, ჩვენი მწერლობა, ტ. 1, 1907, გვ. 4). ეს შენიშვნები ფაქტიურად მწერლის შემოქმედების მოკლე კრიტიკული შეფასების, მისი იდეურ–თემატური განხილვის როლს ასრულებდა და, ამდენად, მიზნად ისახავდა ქრესტომათიისათვის გარკვეული სასწავლო–აღმზრდელობითი ხასიათის სახელმძღვანელოს ფუნქციის მინიჭებას.

პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში გარკვეული თემების გარშემო სასწავლო ლიტერატურული მასალების დაჯგუფების ტენდენცია სათავეს უქველად ამგვარი საწყისი ელემენტებისგან იღებდა.

1915–1918 წლებში გამოცემულ თავის სახელმძღვანელო ქრესტომათიებში ს. გორგაძემ მთლიანად მოიცვა ქართული ლიტერატურის სასკოლო კურსი ძველი პერიოდიდან უკანასკნელ დრომდე.

1919 წელს გამოქვეყნებულმა ოფიციალურმა პროგრამამ ფაქტიურად ერთვარი კანონიზებული სახე მისცა ს. გორგაძის სახელმძღვანელო ქრესტომათიებს. 1919 წელს გამოცემული „ჩვენი მწერლობის“ წინასიტყვაობაში ს. გორგაძე ახასიათებდა რა ახალი სასწავლო გეგმისა და პროგრამების დადებით მნიშვნელობას, ხაზგასმით მიუთითებდა სწავლების ამ ახალი სისტემის საფუძველზე თავისი ქრესტომათიების ოთხ წიგნად გადამუშავების გარდუვალობაზე, რომელთაგან, მისი სიტყვით, უკანასკნელი (ე. ი. სწავლების მეოთხე წლის მეორე ნახევარი) კლასის სასწავლო მასალის უზრუნველყოფის ფუნქცია უნდა შეესრულებინა სწორედ „წინამდებარე ტომს“ [80, გვ. 3]. მაგრამ ს. გორგაძემ წიგნის გადამუშავება ვერ მოასწრო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად გამოვლენილისერიოზული სოციალურ–პოლიტიკური ცვლილებების გამო.

1920 წელს ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით შეიქმნა სახელმძღვანელოების გამოცემისა და ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და დადგენის კომისია. ჩამოყალიბდა დარგობრივი კომისიები: 1. საზოგადო ისტორიის,

2. საქართველოს ისტორიის, 3. ქართული ენისა და ლიტერატურის, 4. უცხო ენებისა და ლიტერატურის, 5. მათემატიკის, 6. ფიზიკა-ქიმიის, 7. ბიოლოგიური დარგებისა და ჰიგიენის, 8. ფილოსოფიური დარგების, 9. სპეციალური ტექნიკური დარგების.

ივანე ჯავახიშვილმა კომისიას მიზნად დაუსახა, რომ „სკოლას ავაცილოთ უვარგისი სახელმძღვანელო, და სამაგიეროდ მივცეთ საღი და შესაფერისი“ [121, გვ. 78].

როგორც ვხედავთ, 1918–1921 წლების სასკოლო რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მეცნიერულად გამართული სახელმძღვანელოების შექმნა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მათი მორგება იყო. ამ საკითხს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე კითხვაზე „როგორ შეაფასებდით დღევანდელ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს? შეთავაზებულ პასუხს–კარგად არის დაგეგმილი და ორგანიზებული–ეთანხმება 52%; უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება–32%; უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება–12%; არ ეთანხმება–4%.

პროგრამა და სახელმძღვანელოები აცდენილია რეალურ საგანმანათლებლო მიზნებს – ეთანხმება 10%; უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება–17%; უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება–38%; არ ეთანხმება–35%.

სახელმძღვანელოს ძლიერ მხარედ ძირითადად სახელდება ის გარემოება, თუ მასში არის სავარჯიშოები, ამოცანები, კროსვორდები, პრაქტიკული სამუშაოები - 36%; შემდეგ ადგილზეა მასალის სიიოლე და კონკრეტულობა– 26%; სახელმძღვანელოს მეთოდური გამართულობა–20%; სახელმძღვანელოს დიზაინი და ილუსტრირებულობა– 18% [93, 1].

ამრიგად, მაშინდელი ქართული მეცნიერული და პედაგოგიური აზროვნების ელიტამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სკოლებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოების შექმნის, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებისა და ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმის პროგრესულ საფუძველზე მოწყობისათვის.

§ 3. სასკოლო საქმის შინაარსი, ორგანიზაცია, სწავლების მეთოდები და დიდაქტიკური პრინციპები 1918–1921 წლების საქართველოში

XX საუკუნის დასაწყისში, როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე, დღის წესრიგში დადგა „ახალი სკოლისათვის“ ბრძოლის საკითხი. ფართოდ მუშავდებოდა და განიხილებოდა პროგრესულ–დემოკრატიული პედაგოგიკური იდეები და თეორიები. ქართველი პედაგოგები და მეცნიერები გადაჭრით მოითხოვდნენ საყოველთაო–სავალდებულო სწავლების გატარებას საშუალო სკოლის ფარგლებში, ორივე სქესის ბავშვთათვის მშობლიურ ენაზე სწავლა–აღზრდის შემოღებას, ფიზიკური სასჯელის აღკვეთას, რელიგიის სწავლების სკოლიდან გამოყოფას და სხვ.

განათლების დარგში სწორი, ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში დიდი როლი შეასრულა იმდროინდელმა ქართულმა პრესამ, რომელიც არცთუ იშვიათად ბეჭდავდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებს განათლების სისტემის რეორგანიზაციის პრობლემებზე.

დემოკრატიული მთავრობის გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა მეცნიერების მოღვაწეთა და პედაგოგთა წერილები, რომლებშიც განხილულია არა მარტო სასკოლო საქმის ორგანიზაციის კონკრეტული საკითხები, არამედ სწავლების მეთოდებისა და პედაგოგიკის თეორიის ძირითად პრობლემათა გადაწყვეტის ორიგინალური ცდები.

საგანმანათლებლო იდეები და თეორიები შუქდებოდა ქართული პედაგოგიკური ჟურნალის „განათლების“ ფურცლებზე. ჟურნალი წარმოადგენდა ქართული პედაგოგიკური აზროვნების კერას. ამ პერიოდის პედაგოგთაგან აღსანიშნავია ლ. ბოცვაძე (ჟურნალის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი), ივ. როსტომაშვილი, შ. ჩიტაძე, დ. უზნაძე, მ. ზანდუკელი, ს. დანელია, ივ. გომართელი, ვ. ხუროძე, ლ. ბზვანელი, კ. გაგუა, ე. ცაგარეიშვილი და სხვები.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია სერგი დანელია. როგორც პროფესორი ნ. გელენიძე თავის ნაშრომში „სერგი დანელია–ფილოსოფოსი და პედაგოგი“, წერს: „ს. დანელია ქვეყნისა და ერის განვითარებაში სწორად აფასებდა სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების მნიშვნელობას. იგი ერთმანეთს ადარებს ძველ და ახალ სკოლას, აჩვენებს ამ უკანასკნელის უპირატესობას და მშობლიურ ენაზე სწავლება მიაჩნია სკოლის სახალხო გამოვლენად, ქართული უნივერსიტეტის არსებობა კი – განსაკუთრებულ მოვლენად, რადგან უდიდეს

მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველივე ქართულის კვლევას თვით ქართველების მიერ“ [72, გვ. 389].

ჩვენი შეხედულებით, განსაკუთრებით საინტერესოა ს. დანელიას ისპედაგოგიური ნაშრომები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გამოქვეყნდა. 1916 წელს ჟურნალ „განათლებაში“ დაიბეჭდა ს. დანელიას წერილი „ქართული მართლწერის საკითხები“, რომელიც ევროპული ენებიდან ნასესხები სიტყვების მართლწერასა და მათი წარმოთქმის დროს წარმოქმნილ სიძნელეებს ეხება. ავტორი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ქართული ენის ტრადიციული ბუნებისა და სტრუქტურის შესანარჩუნებლად ყოველი სიტყვის გადმოღება უნდა ხდებოდეს გადმომღები ენის სტრუქტურის მიხედვით, რადგან ეს დებულება არის აუცილებელი პირობა ენის ორგანული მთლიანობის დასაცავად [117, გვ. 48].

1920 წლის „საქართველოს რესპუბლიკის“ თებერვლისა და მარტის ნომრებში (N, N 34, 44, 48, 54, 59, 70, 78) ქვეყნდებოდა ს. დანელიასა და სხვა მეცნიერების წერილები სამეცნიერო და პედაგოგიკური ტერმინების შესახებ. ამ წერილებმა საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მოსაზრებები ამ საკითხზე ორ მიმართულებად ჩამოყალიბდა. როგორც ს. დანელია აღნიშნავდა, „ტერმინოლოგიის საკითხი მწვავედ იდგა, არა მხოლოდ სკოლისთვის, არამედ წმინდა მეცნიერებისთვისაც. ავტორი განიხილავს ორივე მიმართულებას და ეძებს გამოსავალს: „ერთი მიმართულება გვეუბნება შემდეგს, მეცნიერება უნდა იყოს მთელი ერის კუთვნილება. მამასადამე, ის უნდა ყველასთვის მისაწვდომი იყოს. ამისთვის კი საჭიროა, პირველ ყოვლისა, რომ მეცნიერული ენა ყველას ადვილად ესმოდეს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ყოველი მეცნიერული ცნება გამოხატული იყოს ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებულ სიტყვების საშუალებით, შეძლებისდაგვარად გადმოცემული იყოს ქართული სიტყვით. თუ ამ წესს დავადექით ქართულ ტერმინოლოგიის შესამუშავებლად, – აგრძელებს ავტორი, – მაშინ ბავშვსაც გაუადვილდება სასკოლო საგნის შეთვისება. ბავშვისათვის გაცილებით უფრო ადვილია შეითვისოს ის სიტყვა, რომელიც მას ხშირად სმენია თავის ოჯახში, ვიდრე სიტყვა სრულიად უცხო, სხვა ენიდან ნასესხები [54, გვ. 7]. მეორე მიმართულება ეწინააღმდეგება ამას და მოითხოვს, რომ ხმარებაში დატოვებულ იქნეს უცხო ტერმინოლოგია. „ანოდს“, „კატოდს“, „პირამიდას“ _ არაფერი თარგმნა არ სჭირდება, გვეუბნებიან ამ მიმართულების გამზიარებელნი. ახალი გადმოქართულებული ტერმინის შექმნას სჯობს უცხო ტერმინების დატოვება. მით უმეტეს, რომ ეს ტერმინოლოგია ინტერნაციონალურია. ეროვნული ინტერესი მოითხოვს მხოლოდ ეროვნულ პროგრესს. უფრო ეროვნული ის კი არ არის, რასაც უფრო ადვილად ითვისებს ერი, არამედ მხოლოდ ის, რაც აწინაურებს ერს. პედაგოგიკა იმას კი არ მოითხოვს, რომ

ბავშვს ვასწავლოთ მხოლოდ ის, რაც მისთვის უფრო ადვილია. პედაგოგიკა მოითხოვს, რომ ბავშვს გავუადვილოთ იდეალის მიღწევა და ამისათვის ყურადღება მივაქციოთ მის ფსიქოლოგიას, მაგრამ ის სრულიად არ გვეუბნება იმას, რომ თვით იდეალი შეცვალა ბავშვის ფსიქოლოგიის მიხედვით. იდეალი უცვლელი რამ არის, რომელიც უნდა შეათვისოს სკოლამ“ [39, გვ. 12].

დაახლოებით ამ პრინციპით წარიმართა ჩვენში უცხოური ენიდან გადმოტანილი სამეცნიერო თუ სხვა ხასიათის ტერმინების დადგენა. ამ საქმიანობას წლების მანძილზე ნაყოფიერად ეწეოდა საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

1917 წელს ს. დანელიამ რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოსცა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვა პედაგოგიკის თეორიის ისეთ აქტუალურ საკითხზე, როგორცაა „მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საკითხისათვის“. თავის ნაშრომში დანელია აკრიტიკებს რა შეფასების არსებულ სისტემას, აყენებს სახალხო განათლების სისტემის ძირეული შეცვლის საკითხს.

ს. დანელიას ამ პერიოდის შრომებიდან აღსანიშნავია საკმაოდ ვრცელი წერილი „ჩვენი საშუალო სკოლის რეფორმისათვის“, რომელიც მოხსენებად იყო წაკითხული 1918 წლის დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კრებაზე. მისი აზრით, საშუალო სკოლის თანამედროვე სტრუქტურა და ორგანიზაცია ზღუდავს მასწავლებლის ინიციატივას, „მას თავს ახვევს სხვის მიერ შედგენილ პროგრამებს. მომავალი სკოლააგებულ უნდა იქნეს პრაგმატისტულ მიზნებზე, ბავშვებს ისეთი ცოდნა უნდა მივაწოდოთ, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს „მის აწინდელ და მომავალ მოქმედებასთან“, მან უნდა გამოიმუშაოს პრაქტიკული [39, გვ.12].

გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“, „ხალხის მეგობარი“, „სახალხო ფურცელი“, „ჩვენი ქვეყანა“, „სახალხო საქმე“ სისტემატურად იბეჭდებოდა ვ. ხუროძის, ცაგარეიშვილის, ლ. ბზვანელის, გრიგოლ ს–ელის (გრიგოლ მაჭავარიანი), ვლ. გორგიძის, ვლ. ბურჯანაძის, ვუკ. ბერიძის, სილოვან ხუნდაძის წერილები საყოველთაო სახალხო განათლების, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების, სკოლისგარეშე განათლების, მასწავლებელთა მდგომარეობის, ცალკეული საგნების სწავლებისა და პედაგოგიური კადრების მომზადების შესახებ.

სწავლების ორგანიზაციისა და აღზრდის საკითხებზე საინტერესო მეთოდური წერილი გამოაქვეყნა იპოლიტე ვართაგავამ ჟურნალი „განათლების“ 1919 წლის პირველ ნომერში(გვ.12–29), სადაც იგი ახასიათებს კლასის აღზრდელთა ინსტიტუტს იმდროინდელ საშუალო სკოლაში და საზოგადოებას სთავაზობს არსებული სისტემის

გაუმჯობესების წინადადებებს.წერილში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი იმის ჩვენებას, თუ როგორ უნდა გადაკეთდეს და შეიცვალოს რუსული სულით, მსოფლმხედველობითა და პედაგოგიური პედანტიზმით გაჟღენთილი აღზრდის სისტემა და რა როლი უნდა დაეკისროს მასწავლებელს განახლებული სისტემით აღზრდის წარმართვაში. იქვეკვითხულობთ: „ როგორც ცნობილია, მხოლოდ სკოლის მშრალ სწავლას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ბავშვის მოძრავი ბუნება და პასუხი გასცეს ყველა იმ საკითხებს, რომლებიც ბავშვის გონების წინ ძალაუნებურად წარსდგებიან ხოლმე. წრე კი ასეთი საკითხებისა შეუჩერებლივ ფართოვდება.აი, სწორედ აქ, ამ საქმეშია საჭირო შეგნებული და აწონ–დაწონილი აღმზრდელობითი ხელმძღვანელობა და გავლენა საზოგადოდ სკოლისა, კერძოდ, მასწავლებლებისა. აი, ამ საქმეში უნდა დავაკისროთ სწავლას აღმზრდელობითი მოვალეობა.საბოლოო მიზანი გონიერი აღზრდისა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ბავშვის გონებაში თანდათანობით შევიტანოთ ჭეშმარიტი შეგნება იმისა, რაც მას გარს ახვევია, ე. ი. ყველა იმ საგნებისა და მდგომარეობის, რასაც მის გარშემო აქვს ადგილი. განსაკუთრებით, შეგნება და გაცნობა იმ საზოგადოებრივ წეს–წყობილებისა, რომელშიაც ის უნდა შეიქმნეს აქტიური მონაწილე და მომქმედი. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რა ადგილი უნდა დაეთმოს სწავლის მსვლელობაში აღმზრდელობით ელემენტს, ჩვენ არ ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომელიც ამ ელემენტს განსაკუთრებულ, უმთავრეს მნიშვნელობას აძლევს საზოგადოებრივ განათლებაში: სწავლებამ, პირველ ყოვლისა, უნდა გაამდიდროს ბავშვის გონება გამორკვეულ, უდავო და უთუო ცნობებით. სრულებით სამართლიანია ის დებულება, რომლის მიხედვით სწავლება უნდა შეუფარდდეს არა მარტო ბავშვის ნებას, არამედ თვით დამოწმებულ მეცნიერების არსებას, სწავლება უნდა ექვემდებარებოდეს მეცნიერულ მოთხოვნილებებს..“ [118, გვ.13].

სტატიის ავტორი მსჯელობს იმის თაობაზე, რომ მასწავლებლის უპირველესი მიზანი სწავლება, ცოდნის გადაცემაა, მაგრამ, იმავე დროს მას უნდა ახსოვდეს მეორე თავისი მიზანიც–მოსწავლის განვითარება. ავტორი სვამს კითხვას, თუ როგორ უნდა იქნას შეტანილი აღმზრდელობითი ელემენტი სწავლებაში და გვთავაზობს საინტერესო წინადადებებს:„იმ დროს, როდესაც ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ძირიანად განახლდა და საუკეთესო ფორმა მიიღო მისმა არსებობამ, ამ დროს ჩვენი სკოლა და მისი ცხოვრება ძველ კალაპოტში მიედინება: მას სავსებით შერჩა ძველი სისტემა სწავლებისა და, რაც უფრო სამწუხაროა, ძველი გარეგნული, ფორმალური სახე აღზრდისა. შერჩნენ მას, აგრეთვე, ძველი წესით არჩეული და ძველი სისტემის მომხრე უფროსები, გამგეები [86].

მიგვაჩნია, რომ სტატიაში დასახელებული კლასის აღმზრდელობითი ინსტიტუტი, სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელ სკოლაში მოქმედი კლასის დამრიგებელთა

ინსტიტუტი. დღეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა მკაფიოდ განსაზღვრავს კლასის დამრიგებელთა მიზნებსა და უფლება-მოვალეობებს იმ ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული პროცედურების გამოკლებით, რომელსაც სტატიის ავტორი გმობს. ამავე დროს საყურადღებოა იდეა მასწავლებელ-მეთვალყურეთა ინსტიტუტის შესახებ, რომელთა შემადგენლობაში შემავალ საგნობრივ კომისიებს, დღევანდელ მოთხოვნათა გათვალისწინებით ერთგვარად სახემეცვლილს, შესაძლოა სარგებელი მოეტანა ჩვენს სკოლებში აღმზრდელიობითი ფუნქციის მკვეთრი დაქვეითების აღმოსაფხვრელად.

დღეს საქართველოში მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით: „დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში

დამრიგებლის მუშაობა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

- ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელი მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
- ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები;
- დ) თანამშრომლობის პრინციპი - დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.
- ე) საჯარო სკოლის დამრიგებელმა მუშაობის პროცესში უნდა გამოიყენოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებული და/ან რეკომენდებული შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელოები და გზამკვლევები“[88].

როგორც ვხედავთ, სწავლებაში აღზრდის ელემენტების ორგანული შერწყმის მოთხოვნა დღეს მაღალ დონეზეა ჩამოყალიბებული, რაც უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული,

ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში. ეს საკითხის ერთი მხარეა, რეალური მდგომარეობით კი ცოდნის დაუფლების პროცესთან აღმზრდელობითი პრინციპების თანხვედრა დასუსტებულია.

კითხვაზე – „გავრცელებული აზრის თანახმად, დღეს სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია მთლიანად მანდატურის სამსახურის დატვირთვად იქცა, და მაინც იმატა მოსწავლეთა მიერ ქცევის კოდექსის უხეში დარღვევის შემთხვევებმა. იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას და რა ღონისძიებების დაგეგმვა მიგაჩნიათ აუცილებლად მიმდინარე რეფორმის ფარგლებში?“

მასწავლებელთაპასუხები ასეთია: „სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია მთლიანად მანდატურის სამსახურის დატვირთვა არ არის, მასში პედაგოგები და მშობლები არიან ჩართული, მაგრამ აუცილებლობად მიმაჩნია პედაგოგებისა და მშობლების უფრო აქტიური ჩართვა მოსწავლეთა აღმზრდელობით პროცესში“;

„მშობლები საბაზო საფეხურის შემდეგ სკოლასთან აღარ თანამშრომლობენ, მათი ჩართულობა აუცილებლად დიდი დოზით უნდა მოხდეს ყველა საფეხურზე, მანდატურის სამსახური მხოლოდ უნდა აკონტროლებდეს, უნდა იმართებოდეს დისკუსიები მოსწავლის მშობლებისა და პედაგოგების მონაწილეობით სხვადასხვა აღმზრდელობით საკითხზე“;

„აღმზრდელობით პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს მანდატურმაც, თითოეულმა მასწავლებელმაც, – განსაკუთრებით დამრიგებელმა და დირექციამ, მშობლებთან თანამშრომლობით“;

„თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო გაკვეთილები მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობის შესახებ, რათა მათ კარგად გაითავისონ არამარტოთავიანთი უფლებები, არამედ მოვალეობებიც და გარშემომყოფთა ინტერესებიც“ [94].

მოცემულ საკვლევ პერიოდში, რეფორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სწავლების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ **დიდაქტიკური პრინციპების გამოყენებას**. სწავლების პრინციპები ეს არის ძირითად მოთხოვნათა სისტემა, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს სწავლების პედაგოგიური პროცესის ეფექტურობასა და სასწავლო – აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა **თვალსაჩინოების დიდაქტიკურ** პრინციპს. კერძოდ, „ინტენსიურ თვალსაჩინოებას“, რომელიც დიმიტრი უზნაძემ შემოიტანა ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში. იგი გულისხმობს, რომ

სწავლებაში საჭიროა როგორც თვით საგნის, ისე მისი მიმართების თვალსაჩინოება. დიმიტრი უზნაძის მიხედვით, თვალსაჩინოების ასეთი გაგება ძალზე აფართოებს მის პედაგოგიურ მნიშვნელობას, რადგან იგი ცალკეული საგნის ნათელი წარმოდგენის დადგენასთან ერთად აბსტრაქტული აზროვნებით დადგენილ მიმართებათა გათვალსაჩინოებასაც ახდენს. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ექსკურსიების მოწყობას, განსაკუთრებით კი ბუნების შემსწავლელ ექსკურსიებს. სკოლაში თვალსაჩინო სწავლების განხორციელებისათვის საჭიროდ იყო მიჩნეული, აგრეთვე, მოსწავლეთა მიერ კოლექციების შეგროვება.

შეგნებულობისა და აქტიურობის დიდაქტიკური პრინციპი. ეს პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია დიდაქტიკაში. მასწავლებელს ევალუბოდა, რომ მოსწავლისგან მოეთხოვა სასწავლო მასალის არა უწყესრიგო, დაზეპირებული და ზერელე ცოდნა, არამედ გადაცემული მასალის გაცნობიერება, გააზრება, საგნის შესახებ დასკვნებისა და განზოგადობათა უნარ-ჩვევების შექმნა. ამ პრინციპის განხორციელებისათვის მიჩნეული იყო სხვადასხვა სასწავლო ხერხის მარჯვე გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობდა მოსწავლეებში ცოდნის დაუფლებას, მოთხოვნილებისა და ინტერესების აღძვრას, სასწავლო პროცესისადმი პრობლემური ხასიათის მინიჭებას. აუცილებელი იყო მოსწავლეები მიეჩვიათ დამოუკიდებლად გააზრებული პასუხის გაცემას. იმას, რომ თვითონაც დესვათ კითხვები. კითხვები იბადება მაშინ, როცა გაკვეთილი გაგებულია და გააზრებული, მაგრამ მოსწავლეებს სურთ უფრო ღრმად სრულად გაიაზრონ მისი ცალკეული დეტალები.

სისტემატურობისა და თანმიმდევრობის დიდაქტიკური პრინციპი. სწავლებაში სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის უზრუნველყოფა მოითხოვს მოსწავლეთა მიერ ასათვისებელი მასალის ლოგიკისა და სისტემის ღრმა გააზრებას, რაც ჩადებულია ასათვისებელ ცოდნაში. უფრო ზუსტად, იგი ნიშნავს ისეთი ლოგიკური კავშირის განხორციელებას, რომელიც უნდა არსებობდეს არა ცალკეულ თემათა, არამედ მათ საკითხთა შორისაც. ცხადია, ამ წესით უნდა ითვისებდნენ მოსწავლეებიც მასალას. ყოველივე ამასთან ერთად აუცილებელია ცოდნის შინაგანი ლოგიკური ბუნების დაცვა. სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი სწორედ ცოდნის შეგნებულად შეთვისების აუცილებელი პირობაა. სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია ცოდნის შეგნებულად შეთვისება. განათლების სამინისტრო მასწავლებლებისგან მოითხოვდა სწავლების შემდეგი წესების დაცვას: ახლობელიდან – შორეულისაკენ, მარტივიდან – რთულისაკენ, ადვილიდან – ძნელისაკენ, კონკრეტულიდან – აბსტრაქტულისაკენ, კერძოდან – ზოგადისაკენ დიდაქტიკური პრინციპების დაცვას. რადგან თანმიმდევრული სწავლება აადვილებს ათვისებული ინფორმაციის ლოგიკურ მოწყობას, ანუ დასისტემებას მოწაფის ცნობიერებაში.

შემეცნებითი ძალები კი, როგორც ვიცით, განსხვავებულია სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე. ყოველი მეცნიერული დისციპლინა ლოგიკური და სისტემატური წესით არის აგებული, რომლის ცალკეული საკითხი ან მასალა, სიმწიფე-სირთულის მიხედვით, ერთიმეორის ლოგიკურ განვითარებას და გაგრძელებას წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით დიმიტრი უზნაძე წერდა: „ამიტომ არის, რომ ზოგ შემთხვევაში, ძნელად გასაგები ადგილები მეცნიერების თავშივე გვხვდება, ხოლო უფრო ადვილი ბოლოში, ან შუაში“ [178, გვ. 51].

ამრიგად, სწავლების მისაწვდომობის პრინციპში ჩვენი საკვლევი პერიოდისათვის გულისხმობდნენ მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებას სწავლების პროცესში, მათი გადატვირთვისა და სწავლების ზედმეტად გართულების თავიდან აცილებას. ვაქციოთ სწავლა მისაწვდომი, მოსწავლეთა შემეცნებითი შესაძლებლობების გათვალისწინებით განისაზღვროს მისი შინაარსი. ცოდნათა, უნარებისა და ჩვევების ეს მოცულობა არ უნდა იყოს მოსწავლისათვის დაუძლეველი, როგორც ეს დღევანდელ სკოლაში ხდება. რადგან ასეთი გადატვირთვა, ბუნებრივია, არამარტო აძნელებს, არამედ შეუძლებელს ხდის სწავლის პროცესს. იგი მოითხოვს სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადამუშავებას, მათ მუდმივ სრულყოფას, რაც მიიღწევა პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით.

ცხოვრებასთან სწავლების კავშირის პრინციპი. საუკუნეების განმავლობაში ცხოვრებამ დაამტკიცა, თუ როგორ ვითარდება მეცნიერება პრაქტიკის მოთხოვნილებათა ძალით. ისტორიული განვითარება ადასტურებს, რომ ცხოვრება, პრაქტიკა სრულყოფილი ხდება, როცა იგი იყენებს თეორიას, ემყარება მას. თავის მხრივ, მეცნიერული თეორიების ჭეშმარიტება ისინჯება, მოწმდება ცხოვრებით, პრაქტიკით. შეუძლებელია პიროვნების სრულყოფილი სოციალური ჩამოყალიბება, თუ მას ცხოვრებისათვის არ ამზადებს აღზრდა-განათლება. სოციალური ფუნქციის დამაკმაყოფილებლად შესრულება მხოლოდ ისეთ პიროვნებას შეუძლია, ვისაც, სათანადო სწავლა-განათლების მეოხებით, ესმის სოციალურ ურთიერთობათა აუცილებლობა და ამასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი. ეს კი დაბეჯითებით მოითხოვს სწავლების კავშირს ცხოვრებასთან. 1918-1921 წლების საქართველოში ამ თვალსაზრისით სასწავლო გეგმებში შევიდა ისეთი საგნები, როგორებიც იყო შრომა და ხელგარჯილობა.

ცოდნის მტკიცედ დაუფლების პრინციპი. ეს პრინციპი გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო მასალის ისე მიწოდებას, რომ მოსწავლე მტკიცედ იმასხოვრებდეს და, ამის საფუძველზე, უნარი შესწევდეს თავისუფლად აღადგინოს მეხსიერებაში ის, რაც სწავლების პროცესში ადრე აღიქვა და აითვისა.

მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში გავრცელდა ახალი პედაგოგიკური იდეები. სწავლების ტრადიციული მეთოდების გვერდით დაინერგა შრომის მეთოდი და ექსკურსია, როგორც სწავლების მეთოდი.

სწავლების მეთოდთა ავკარგიანობას ორი ძირითადი კრიტერიუმით ზომავდნენ: ა) რამდენად ემყარება მეთოდი შრომას და იმსჭვალება შრომითი საქმიანობით და ბ) რამდენად ფართოდ იყენებს იგი ბავშვთა თვითმოქმედებას, მათ დამოუკიდებლობას. ამის შესაბამისად სწავლების აქტიურ მეთოდებად მხოლოდ ის მეთოდები ითვლებოდა, რომლებიც უშუალო ბაზად იყენებდა სწავლების პროცესში ბავშვის შრომა-აქტივობას და შესაფერის პირობებს უზრუნველყოფდა ბავშვთა თვითაქტივობის პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

აქტიურად ინერგება ცნება „შრომის სკოლა“. მასში გულისხმობდნენ ორ მხარეს: ა) შრომის სკოლა, როგორც სახალხო განათლების ორგანიზაციის პრინციპი და ბ) შრომის სკოლა, როგორც სწავლებისა და აღზრდის მეთოდი. ამდენად, შრომა მიჩნეული იქნა სწავლების მეთოდთა საძირკვლად და მასთან დააკავშირეს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, ბავშვთა თვითაქტივობა და ინიციატივა.

2002 წელს წიგნად გამოვიდა ბარონ ფრიდრიხ კრეს ფონ კერშენშტაინერის მოგონებანი „ჩემი მისია კავკასიაში“. მოგონებანი, რომელიც გერმანულადაც კი არ არის გამოქვეყნებული, მისი მანქანაზე გადაბეჭდილი დედანი მიუნხენის სამხედრო არქივში მოიპოვა, ქართულად თარგმნა და კომენტარები დაურთო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნოდარ მუშკუდიანმა. ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კერშენშტაინერი (1870-1948 წწ.), გერმანიის არმიის გენერალი, გერმანული სამხედრო დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობდა საქართველოში 1918 წელს. აღნიშნული წიგნის 128-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „საინტერესო სტუმრობა გვექონდა ქართულ საქველმოქმედო სკოლაში, რომელიც მიუნხენელი პროფესორისა და ცნობილი პედაგოგის გეორგ კერშენშტაინერის მოწაფე ქალბატონმა მისი პრინციპების მიხედვით მოაწყო და წარმატებითაც ხელმძღვანელობდა“ [92, გვ. 128]

გეორგ კერშენშტაინერი (1854-1932 წწ.) მიეკუთვნება პედაგოგიკაში რეფორმატორთა მოძრაობის წამყვან წარმომადგენელთა რიცხვს. იგი XIX საუკუნის დასასრულსადა XX საუკუნის დასაწყისში ითვლება შრომითი აღზრდის თეორეტიკოსად. მან სახალხო სკოლის შრომის სკოლად გარდაქმნის თეორიით გერმანულ მრეწველთა ინტერესების შესაბამისად შექმნა შრომის ახალი სკოლა და საფუძველი ჩაუყარა სამოქალაქო პედაგოგიკას.

საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ ქუთაისში 1918 წლისათვის არსებობდა რამდენიმე გიმნაზია. მათ შორის ერთ-ერთს, ქალთა გიმნაზიას, ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი პედაგოგი მარიამ ყაუხჩიშვილი (1866-1939 წწ.). 1896 – 1898 წლებში იგი იყო ჟენევის პედაგოგიური კურსების მსმენელი. კარგად იყო გარკვეული ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით გერმანიის, განათლების სტრუქტურის საკითხებში. როგორც ირკვევა, იცნობდა გეორგ კერშენშტაინერის პედაგოგიურ სისტემას და თავის კერძო გიმნაზიაში სწავლების პროცესში ახორციელებდა და ნერგავდა კერშენშტაინერის იმ შეხედულებებს, რომელსაც იზიარებდა.

მ. ყაუხჩიშვილს მიაჩნდა, რომ სწავლა-აღზრდის პროცესს მეტი დაახლოება სჭირდება ცხოვრებასთან, რათა მეტი პრაქტიკული ცოდნამიეცა თავისი მოსწავლეებისათვის. მას შრომა მიაჩნდა აღზრდის საუკეთესო საშუალებად და სწავლების ეფექტურ მეთოდად.

მარიამ ყაუხჩიშვილმა თავის კერძო გიმნაზიაში კერშენშტაინერის იდეების გავლენით დანერგა შრომითი სწავლებისა და აღზრდის მეთოდები. „მას სასწავლებელში მოწყობილი ჰქონდა ჭრა-კერვის სახელოსნო, სადაც მოსწავლე გოგონები საკუთარი ხელით იკერავდნენ სასკოლო ტანსაცმელს. მ. ყაუხჩიშვილის სასწავლებელი ძირითადად დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს ემსახურებოდა და ის მცირე შემოსავალი, რომელიც გიმნაზიას ჰქონდა, სასწავლებლის კეთილდღეობას ხმარდებოდა“ [19, გვ. 149].

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის განათლების ფონდში დაცულია ამ სკოლის მოღვაწეობის ამსახველი საინტერესო დოკუმენტური და იშვიათი ფოტომასალები.

1918-1921 წლებში საქართველოს განათლების სამინისტრო საკლასო-საგაკვეთილო სისტემას არსებითად უცვლელად ტოვებდა და ამოცანად ისახავდა მხოლოდ მის გადახალისებას, გამოცოცხლებას, მოსწავლეთა აქტივობისა და თვითმოქმედების საფუძველზე. ამ ამოცანის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად მას მიაჩნდა ექსკურსიების ფართოდ დანერგვა სწავლების პროცესში.

ექსკურსიული სწავლების წინაშე იმ წლებში ორი ძირითადი ამოცანა იყო დასმული. ერთი, რომ მას უნდა უზრუნველყო მოსწავლეთა აქტივობა სწავლების პროცესში, ბავშვი პატარა მკვლევრად უნდა გადაექცია, ესწავლებინა მისთვის მასალის დამოუკიდებლად შესწავლა და სათანადო დასკვნების გამოტანა. მეორე, ამგვარი საქმიანობა განიხილული იყო, როგორც სწავლების მეთოდი და არა სწავლების ორგანიზაციული ფორმა. ექსკურსიის ძირითად ამოცანად მიაჩნდათ, რომ მას მტკიცედ

დაეკავშირებინა ერთმანეთთან სხვადასხვა სასწავლო საგანი და ისინი ერთი მიზნით გაერთიანებინა.

მოსწავლეებს ეძლეოდათ დავალება ექსკურსიის საშუალებით თვითვე ჩაეტარებინათ გამოკვლევა, შეეკრიბათ მასალები და ამ მასალების მიხედვით აეხსნათ ან გადაეწყვიტათ მოცემული დავალება. ასეთ ექსკურსიას კვლევით ექსკურსიას უწოდებდნენ.

ყოველგვარი მასალა, რასაც ექსკურსიულ-კვლევითი მეთოდით შეისწავლიდნენ, მუშავდებოდა სამ ნაწილად. პირველი, მოსამზადებელი ნაწილი – ამოცანის დასახვა, მოსწავლეთა დაყოფა და კითხვების დანაწილება მათ შორის; მეორე ნაწილი – ექსკურსიის ჩატარება. აქ ფართო ასპარეზი იშლებოდა მოსწავლეთა აქტივობისა და თვითმოქმედებისათვის; მესამე ნაწილი – ექსკურსიის მასალის გადამუშავება, სისტემატიზირება, გარკვევა და დადასტურება წიგნებისა და მოსწავლეებელთა საუბრის საშუალებით, დასკვნების გამოტანა დასმული ამოცანის გადასაწყვეტად.

გამოყოფდნენ ექსკურსიის მეორე სახეს - საილუსტრაციო ხასიათის ექსკურსია. ეს სასწავლო მუშაობის ისეთ სახეს წარმოადგენდა, რომ შესასწავლი მასალის განხილვა-დამუშავება ძირითადად კლასში მიმდინარეობდა ზეპირსიტყვიერად და წიგნების შესწავლის საფუძველზე. ექსკურსია ამის შემდეგ ტარდებოდა კლასში დამუშავებული მასალის ილუსტრირებისა და შეძენილი ცოდნის განმტკიცების მიზნით. უპირატესობას კი ექსკურსიის პირველ სახეს ანიჭებდნენ, როგორც უფრო აქტიურსა და დამოუკიდებელს სწავლების პროცესში მოსწავლეთა აქტივობის თვალსაზრისით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კუთხით ჩატარებული ექსკურსია უფრო სწავლების ორგანიზაციის ფორმას წარმოადგენს, ვიდრე სწავლების მეთოდს.

მესამე სახის ექსკურსია იყო საორიენტაციო სახის. მის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეების ორიენტირება ამა თუ იმ თემის დამუშავებისას, ინტერესის აღძვრა შესასწავლ მასალასთან დაკავშირებით. საორიენტაციო ექსკურსია ეწყობოდა სასწავლო კურსის ან მისი რომელიმე ნაწილის დამუშავების წინ.

ექსკურსიას შემდეგი სასწავლო-შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა დაკისრებული: 1. მოსწავლის მეხსიერების გამდიდრება ფაქტიური ცოდნით; 2. საუბრითა და წიგნით მიღებული ცოდნისა და გრაფიკული თვალსაჩინოების კონკრეტიზაცია; 3. მოსწავლეებში ინტერესის გაღვივება.

§ 4. მასწავლებელთა შემადგენლობა, უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა და მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხი 1918–1921 წლების საქართველოში

სახალხო სკოლის განვითარების საქმეში დიდ როლს თამაშობდა მასწავლებლობა. მასწავლებელთა უანგარო და თავდადებული მუშაობით ბევრი კარგი და სახელმძღვანელო სახალხო სკოლა არსებობდა საქართველოში, ეს სკოლები დამსახურებულად სარგებლობდნენ საზოგადოების დაფასებითა და პატივისცემით. წარმატება სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ბევრად არის დამოკიდებული მასწავლებელთა შემადგენლობაზე, მათ მომზადებასა და კვალიფიკაციაზე, უფლებრივ-მატერიალურ მდგომარეობაზე. სახალხო სკოლის მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა კი რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში მეტად მძიმე იყო. ამასთანავე მასწავლებელთა უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა სათანადო ზოგადი მომზადება და პედაგოგიური კვალიფიკაცია.

მასწავლებელთა პირველი პროფესიული კავშირი საქართველოში მხოლოდ თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იწყებს მუშაობას და მოქმედებს 1920 წლამდე „დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის“ სახელწოდებით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრმა გ.ლასხიშვილმა 1918 წლის 24 აგვისტოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარუდგინა მოხსენება სახალხო სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ.

მინისტრი თვლიდა, რომ სკოლები მხოლოდ გარეგნული ცვლილებით არ შეიძლება დაკმაყოფილებულიყვნენ, საჭირო იყო ძირფესვიანი სასკოლო რეფორმის გატარება, სწავლების შინაარსის შეცვლა. სწავლა-განათლების თვისობრივად ახალ საფეხურზე აყვანა. მოხსენებაში მინისტრი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა სახალხო მასწავლებელთა მძიმე მატერიალურ პირობებს: „სრული და ნათელი ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ დღევანდელ პირობებში მასწავლებელთა შრომა მეტისმეტად აუტანელია. ოცდახუთი ანუ ოცდაათი ყოველკვირეული გაკვეთილი, რომელიც შეადგენს სასტიკ და საჭირო ნორმას მასწავლებლისათვის, შეუძლებელია იტვირთოს ერთმა ადამიანმა. სახალხო სკოლის მასწავლებელი წარმოუდგენელ შევიწროებულ მატერიალურ მდგომარეობაშია. თუ სახელმწიფომ სწრაფი ზომები არ მიიღო, სახალხო განათლების საქმე დიდ საფრთხეშია: მასწავლებელი ვერ შეასრულებს

თავის კულტურულ როლს სოფლად და ქალაქად და თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ ემსახურება, მას და მის ოჯახს ფიზიკური განადგურება მოელის და სახელმწიფოს მოვალეობაა, შეუნარჩუნოს მას ადამიანური ძალები“ [63, გვ. 7–8]. განათლების მინისტრი ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს პირველ რიგში მასწავლებელთა ხელფასების მომატებაში ხედავდა:

„დღეს სახალხო სკოლის მასწავლებელს 210 მანეთი აქვს თვეში: აქედან 120 მან. მისი ძირითადი ჯამაგირია, 90 მან. კი სიძვირის გამო დამატება. 210 მან. ყოვლად შეუძლებელია მასწავლებლის და მისი ოჯახის უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ის წარმოუდგენელი სიძვირე, რომელიც ახლა ჩვენშია, შეუძლებელ ქმნის მასწავლებლის ცხოვრებას. მასწავლებლის წინაშე ამგვარი ალტერნატივაა დღეს – ან უნდა დარჩეს სკოლაში და შიმშილით მოკვდეს, ანდა უნდა დაანებოს სკოლას თავი და სხვა პროფესიაში მოძებნოს ხსნა. ამისათვის, თუკი გვინდა სახალხო სკოლის მასწავლებელი შევინარჩუნოთ, დაუყოვნებლივ ჯამაგირი უნდა მოვუმატოთ. უმაღლესი დაწყებითი სკოლების მასწავლებლები დღეს ღებულობენ თვეში 325 მანეთს, მაშასადამე, სახალხო პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელს უნდა მოემატოს თვეში 115 მანეთი – განსხვავება 325 მან. და 210 მან. ამჟამად ტფილისის გუბერნიაში 790 მასწავლებელია, ქუთაისის – 1736, ხოლო სოხუმის – 200“.

გ. ლასხიშვილი მთავრობას სთხოვდა, რომ 1918 წლის პირველი სექტემბრიდან 1919 წლის პირველ იანვრამდე საჭირო იქნებოდა ზედმეტი ხარჯების დასაფარავად შემდეგი რაოდენობისთანხის გამოყოფა: „1.ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების 790 მასწავლებლისათვის-90.850მან.;2. ქუთაისის გუბერნიის 1736 მასწავლებლისათვის-199. 640 მან.;3. სოხუმის ოლქის 200 მასწავლებლისათვის-23. 000 მანეთი, სულ: 1 253 960 მანეთი“ [63, გვ. 8].

1918 წ. მასწავლებელთა კადრების მომზადების გზაზე პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა და თბილისში გაიხსნა ორსაფეხურიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი. მისი პირველი საფეხური სამწლიანი იყო, სადაც უმაღლეს დაწყებითი ან საშუალო სკოლის ოთხი კლასის კურსდამთავრებულები მიიღებოდნენ, მეორე საფეხური ორწლიანი იყო, სადაც მსმენელი სპეციალურ პედაგოგიურ განათლებასა და უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდებას ღებულობდა. მეორე საფეხურზე სასწავლებლად საშუალო სკოლის ან საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებულნი მიიღებოდნენ. 1918 წლის ზაფხულში მიღებული კანონით სამასწავლებლო სემინარია გაერთიანდა და მათ ბაზაზე შეიქმნა თბილისის საოსტატო ინსტიტუტი. გორის, სოხუმის და ხონის სამასწავლებლო სემინარიები კი სახელმწიფო სკოლებად გამოცხადდა.თბილისში შეიქმნა, ასევე, თამარ მეფის სახელობის ქალთა

საოსტატო სემინარია, რომელიც სექტემბრიდან სახელმწიფოს ხელში გადავიდა. მასაც მასწავლებელთა კადრები უნდა მოემზადებინა [64, გვ.11].

1918 წლიდანვე დაიწყო მასწავლებელთა მოკლევადიანი საზაფხულო კურსების ჩამოყალიბებაც, რომელსაც გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა კადრების პრობლემის გადაჭრაში. დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო ფართოდ იყენებდა მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებს, როგორც ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკისა და ახალი სკოლისათვის ბრძოლის საშუალებას. ასეთ კურსებზე მასწავლებლობა უმეტეს შემთხვევაში ერთსულოვნად აყენებდა და იცავდა პროგრესულ პედაგოგიურ იდეებსა და შეხედულებებს.

1919 წელს განათლების სისტემაში, როგორც წინა პარაგრაფებში აღვნიშნეთ, რეორგანიზაცია გრძელდებოდა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ განათლების მინისტრის ამხანაგმა ა. მდივანმა და სამინისტროს კანცელარიის მდივანმა ვ. ბერიძემ გამოაქვეყნეს ვრცელი სტატია „პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ“, რომელშიც ისინი სხვა ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე საფუძვლიანად ასაბუთებდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების აუცილებლობასა და სარგებლიანობას“ [72, გვ. 10].

მთავრობის დეკრეტით მალე თბილისის საოსტატო ინსტიტუტი მართლაც გაუქმდა და მის ნაცვლად უნივერსიტეტთან პედაგოგიური ინსტიტუტი დაარსდა. გამოქვეყნდა მისი დებულებაც. ამ ინსტიტუტში სწავლება ორსაფეხურიანი იყო – 2–2 წელი თითო საფეხური. პირველი საფეხური ამზადებდა უმაღლესი დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს. ორივე საფეხურის კურსგავლილი კი საშუალო სკოლის მასწავლებელი ხდებოდა.

მთავრობასთან შეთანხმებით განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა მასწავლებლების მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსების ფართო ქსელის ჩამოყალიბება. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა პირველი კურსები საქართველოში ქუთაისში მოეწყო, ხოლო 1919 წლიდან კი თბილისსა და ქუთაისში. უკვე სისტემატურად ეწყობოდა ორკვირიანი კურსები“, იქმნებოდა მოძრავი კურსებიც. ორთვიანი საზაფხულო კურსები 350 კაცისათვის შეიქმნა თბილისსა და ქუთაისში, თვე–ნახევრიანი – სენაკში და ა. შ.

მასწავლებელთა კურსების საშუალებით მომზადებას შეეხო ცნობილი პედაგოგი ვ. ხუროძე სტატიაში „საყოველთაო სწავლა განათლების გარშემო“. მართალია, ავტორი ემხრობოდა საყოველთაო სწავლა–განათლების განხორციელების იდეას, მაგრამ იწუნებდა ორ–სამ თვეში მომზადებული მასწავლებლების კომპეტენციას. იგი

გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ ეს მასწავლებლები დაენიშნათ ისეთ სკოლებში, სადაც გამოცდილი და დაოსტატებული მასწავლებლები იყვნენ, რათა ახალგაზრდებს შეეძლებოდათ მათგან რაიმეს შეძენა. სკოლის მეთვალყურეს პირდაპირ უნდა დავალებოდა ეს საქმე. ვ. ხუროძე, ასევე, აუცილებლად თვლიდა პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსებას, რომლებიც თავის თავზე აიღებდნენ სკოლების ხშირ შემოწმებას დახმარების მიზნით. სამინისტროს უნდა დაეწყო პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემა, დაეარსებინა სპეციალური ჟურნალი, ხოლო ლ. ბოცვაძის ჟურნალ „განათლებიდან“ ამოეკრიბა ცალკეული სტატიები და გამოეცა იგი ცალკე წიგნად. ვ. ხუროძის დასკვნით, „მთავრობა თუ მარტო ამ კურსებს დაეყრდნო და სხვა რაიმეც არ იღონა, განათლების საქმე კიდევ დიდხანს იქნება ჩვენში შეფერხებული“ [24, გვ. 13].

1920 წლის 8 იანვარს თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დეპუტატების პირველი ყრილობა. მასში მონაწილეობა მიიღეს ყველა ტიპისა და საფეხურის მასწავლებელთა წარმომადგენლებმა. განათლების მინისტრმა მოუწოდა პედაგოგებს მთავრობასთან თანამშრომლობისათვის. ყრილობაზე მიიღეს მასწავლებელთა კავშირის დროებითი წესდება, განიხილეს ასევე განათლების მართვა-გამგეობის, მასწავლებელთა კადრების მომზადების, საბავშვო მწერლობისა და საბავშვო ლიტერატურის სასკოლო პროგრამებში შეტანის საკითხები [104, გვ. 52–79].

1920 წლის 26 ივნისს რესპუბლიკის სკოლების საორგანიზაციო კომისიამ თავისი ოთხი თვის მუშაობის ანგარიში შეადგინა. კომისიამ მოასწრო საერთო განათლების სკოლების ძირითადი დებულებების შემუშავება, რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო საგანმანათლებლო სისტემა. კომისიის აზრით, უნდა შემოღებულიყო რვაწლიანი, ყველასათვის სავალდებულო და უფასო სწავლა-განათლება. პირველ კლასში მხოლოდ 6 წლის ბავშვებს შეეძლოთ შესვლა. სკოლას ერთნაირი ყურადღება უნდა მიექცია, როგორც ჰუმანიტარული, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერების სწავლებისათვის. აღზრდასა და განათლებას საფუძვლად უნდა დადებოდა შრომა. საშუალო სკოლები იქნებოდა ორგვარი – საერთო განათლებისა და პროფესიონალური. საშუალო სკოლის კურსი ოთხწლიანი იყო, ხოლო პროფესიონალური სკოლები კი–სხვადასხვა ტიპის. პედაგოგიური სკოლა ამზადებდა მასწავლებლებს პირველადი სასკოლისათვის. უმაღლესი პედაგოგიური სკოლა კი მასწავლებლებს – საშუალო სკოლისათვის. პირველი კურსი იყო ხუთწლიანი. ამასთანავე პირველი სამი წელიწადი საერთო განათლების მომზადებაზე მიდიოდა, უკანასკნელი ორი წელიწადი კი მეთოდურ-პედაგოგიურ მომზადებაზე. საშუალო სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად განზრახული ჰქონდათ სპეციალური

ინსტიტუტის დაარსება. იგი უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის ფაკულტეტის შესატყვისი. ინსტიტუტში მიიღებდნენ სპეციალურ განათლებას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ან ის სტუდენტები, რომლებიც უკანასკნელ კურსზე იყვნენ.

კომისიამ დაამუშავა მეცადინეობის გეგმა და გაანაწილაგაკვეთილები. პირველი კლასის დამახასიათებელ თვისებად დადგინდასაბავშვო ბაღთან შეერთება. ეს მოვლენა დროებითად იქნა მიჩნეული, რადგან ჯერჯერობით შეუძლებლად მიაჩნდათ საბავშვო ბაღების სისტემის შემუშავება.

განათლების სამინისტრომ, კადრების დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და 1920 წელს გამოაცხადა, თუ ვინმეს ჰქონდა რომელიმე უნივერსიტეტის 8 სემესტრი დამთავრებული, უფლება ეძლეოდა მასში ჩაებარებინა სახელმწიფო გამოცდები თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველებისა და ისტორიულ–ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე, ხოლო იმათ, ვისაც გავლილი არ ჰქონდათ 8 სემესტრი, პირადად უნდა მიემართა კომისიისათვის (თავმჯდომარე ი. ჯავახიშვილი, მდივანი გ. ნათაძე) რომელიც პერსონალურად გადაწყვეტდა გამოცდებზე მათი დაშვების საკითხს. კადრების მომზადებასა და დეფიციტის აღმოფხვრაში საგრძნობი წვლილი შეიტანა თბილისის უნივერსიტეტთან 1919 წელს დაარსებულმა მასწავლებელთა ორწლიანმა კურსებმაც, სადაც პირველად 20 მსმენელი მიიღეს. კურსები დაწყებითი სკოლების მასწავლებლებს ამზადებდა. უნივერსიტეტთანვე ამოქმედდა ოთხწლიანი კურსებიც (დირექტორი დ. უზნაძე), რომელიც საშუალო სკოლების მასწავლებლებს ამზადებდა.

მასწავლებელთა მომზადების გზების სრულყოფის ძიება გრძელდებოდა. 1921 წლის იანვარში გამართულ მასწავლებელთა მე-2 ყრილობაზე დაბალ სკოლათა მასწავლებლების მომზადების შესახებ პ. ჭანიშვილი საგანგებო მოხსენებითაც გამოვიდა. მომხსენებლის აზრით, ამ მასწავლებელთა დატვირთვა უნდა განსაზღვრულიყო 16–18 საათით კვირაში. სასურველი იქნებოდა დანერგილიყო მასწავლებელთა მომზადების ასეთი წესი: პიროვნება პედაგოგიური კურსების გავლის შემდეგ ჩააბარებდა გამოცდას და ერთი წლით დაინიშნებოდა პრაქტიკანტად. 1 წლის შემდეგ იგი კვლავ მოისმენდა კურსებს და ჩააბარებდა რა გამოცდებს ლოგიკაში, ფსიქოლოგიაში და პედაგოგიკაში, დაინიშნებოდა მასწავლებლის კანდიდატად წლით. ამ ერთი წლის გავლის შემდეგ, კანდიდატი კვლავ მოისმენდა კურსებს და შემდეგ ჩააბარებდა გამოცდებს პედისტორიაში, დიდაქტიკაში, მეთოდოლოგიაში, ქართულში, არითმეტიკაში, ბუნებისმეტყველებაში და დაინიშნებოდა მასწავლებლად. ხოლო ამის შემდეგ, თუ ეს პიროვნება დაიცავდა დისერტაციას, მას მიეცემოდა ნასწავლი პედაგოგის წოდება და უფლება ექნებოდა ემუშავა ლექტორად ან ინსპექტორად“ [116, 4–5].

§ 5. რელიგიის სწავლების საკითხისათვის 1918–1921 წლების

საქართველოში

საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 12 ნოემბერს გადაწყვიტა ყველა სასწავლებლის, მათ შორის სასულიერო სასწავლებლის იზოლაცია ეკლესიისაგან და ისინი განათლების სამინისტროს დაუქვემდებარა. აღნიშნული გახდა წინაპირობა იმისა, რომ პარლამენტს 22 ნოემბერს მიეღო კანონი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებაზე საქართველოს ყველა ტიპის სასწავლებელში. კანონი ძალაში 26 ნოემბრიდან შევიდა და სახელმწიფო ბეჭდვით ორგანოში – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ N 106–ში დაიბეჭდა:

- „ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძოუფლებიან სკოლაში გაუქმდეს საღვთო სჯულის სწავლება და მისი მასწავლებლის თანამდებობა;
- ხსენებულ სკოლებში დაიხუროს კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებლის ჯამაგირისათვის;
- შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია 1918 წლის 5 ივლისის კანონით;
- იმ მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ შვილებს თავიანთი ხარჯით ასწავლონ საღვთო სჯული, დაეთმოს სკოლის შენობა იმ საათებში, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საგნების სწავლებას“.

კანონპროექტს ხელს აწერდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე და რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე – ნ. ჟორდანიას.

დაახლოებით კანონპროექტის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის ამხანაგმა მდივანმა მინისტრთა საბჭოს უპატაკა, რომ „თბილისის სემინარია თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა გადავიდა განათლების სამინისტროს უწყებაში და გადაკეთდა ერთ საშუალო სასწავლებლად – გიმნაზიად, რომელსაც ეწოდა „ტფილისის ვაჟთა მე–8 გიმნაზია“. ასეთი გადაწყვეტილებებით ეკლესია არა თუ იზოლირებული აღმოჩნდა ეროვნული განათლებისაგან, არამედ მან ფაქტობრივად დაკარგა სასწავლებელი, რომელსაც ქრისტიანობის გამტარებელ–დამცველნი უნდა აღეზარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით უკიდურესად მძიმე მორალურ–ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა სასულიერო კრებული. ასეთი პროექტით დემოკრატიულმა ხელისუფლებამ „განთავისუფლა ეკლესია განათლების მძიმე ტვირთისაგან“, სინამდვილეში კი თავად დაიხსნა თავი ეკლესიის დაფინანსების ზედმეტი ვალდებულებისაგან, ჩამოაცილა ის სკოლას, ე. ი. ეროვნული განათლება–პროპაგანდის საქმიანობას, რაც საქართველოს ისტორიული ტრადიცია იყო. საღვთო სჯულის აკრძალვის პროექტმა უდიდესი ზარალი მოუტანა ქართულ ეკლესიას: გაუქმდა ასობით საღვთო სჯულის პედაგოგთა თანამდებობა და ისინი უსახსროდ დატოვა; დაიხურა სახელმწიფო კრედიტები, რომელიც პედაგოგთა ხელფასებისათვის იყო გახსნილი. მთავრობამ თავისი ქმედების შემსუბუქებისა და ეკლესიისაგან მწვავე დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, შტატგარეშე დარჩენილ სასულიერო პედაგოგებს დაუნიშნა ერთჯერადი ფულადი ჯილდო [22, 124].

მიუხედავად ზემოაღნიშნული კანონ–პროექტის ამოქმედებისა, საქართველოში ჯერ კიდევ არსებულ სასულიერო სასწავლებლებში სამღვდელოების დიდი ძალისხმევით, ინერციით მიმდინარეობდა საღვთო სჯულის სწავლების პროცესი, მაგალითად, ქალთა და ვაჟთა ეპარქიალურ სასწავლებლებში სხვა დისციპლინებთან შედარებით მცირე საათებით, მაგრამ მაინც ისწავლებოდა საღვთო სჯული (16 საათი), ეს მაშინ, როდესაც რუსულ ენასა და ლიტერატურას ყველა სხვა დისციპლინასთან შედარებით ყველაზე მეტი საათი(48) ჰქონდა გამოყოფილი.

ქართველმა სამღვდელოებამ ხმამაღლა გამოხატა თავისი პროტესტი საქართველოს ხელისუფლების ასეთი პოლიტიკისადმი – „საღვთო სჯულის სწავლების აკრძალვის, ან მისი მინიმუმამდე შეზღუდვის ღონისძიება არსებულ პირობებში არ შეიძლება ჩაითვალოს თვით სახელმწიფო ღონისძიებად, ის უფრო კერძო პარტიულობის ნაყოფია... საკათალიკოსო საბჭო უმორჩილესად გთხოვთ და თავის მოვალეობად მიიჩნევს მომავალი თაობების წინაშე არ იქნეს ცხოვრებაში გატარებული ეს ღონისძიება“ – მიმართავდა განათლების მინისტრს საქართველოს საკათალიკოსო 1918 წლის 17 ივლისის N 2354–ის ბრძანებულებით და მას ხელს აწერდა საბჭოს წევრი პროტორეი კალ. ციცნაძე.

ნიშანდობლივია, რომ ქართველი სამღვდელოების ასეთ შეხედულებას ნაწილობრივ საერო სასწავლებლების პედაგოგებიც იზიარებდნენ. მათი აზრით, რადგან სარწმუნოებრივი აღზრდა საოჯახო საქმე იყო, აუცილებელ პირობად მიაჩნდათ საღვთო სჯულის სწავლების დატოვება დაწყებითი სკოლების პირველ კლასებში. ეს საქმე კი დამსახურებულ და ნდობით აღჭურვილ სასულიეროპირს, პედაგოგს უნდა შეესრულებინა. მასწავლებელთა ერთი ნაწილი მხარს უჭერდა საღვთო სჯულის

სწავლების არა სრულიად ამოღებას სასწავლო პროგრამებიდან, არამედ მისი დატვირთვის მინიმუმამდე შემცირებას (კვირაში ერთი საათი).

საღვთო სჯულის აკრძალვის კანონპროექტის ცხოვრებაში დანერგვის წინააღმდეგ მიმართულმა კამპანიამ განსაკუთრებულად აქტიური სახე მიიღო საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც გარე და შინა პოლიტიკური ზეწოლის გამო, ქართულ კულტურულ ელემენტს უკიდურესად უჭირდა. აფხაზეთის ეპარქიაში უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა საღვთო სჯულის სწავლებას საეკლესიო-სამრევლო და სახელმწიფო სკოლებში. ქართველი სასულიერო პედაგოგები ღვთისმეტყველების მეშვეობით აღსაზრდელებში ქართულ ქრისტიანობას, მის ისტორიასა და მნიშვნელობას თესდნენ, ხოლო ამ პროცესით საქართველოს ხსენებულ რეგიონში ქართულ ცნობიერებას, მის კულტურას ამკვიდრებდნენ. ამ მეტად რთულ პროცესს სერიოზული ბარიერები გააჩნდა: განსხვავებული აღმსარებლობისა და ეროვნების მოსახლეობისაგან, შემორჩენილი რუსული შოვინისტური აზროვნების სამღვდელოებისაგან, სექტანტური დაჯგუფებებისაგან, რასაც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკა ემატებოდა. ამ უკანასკნელის ანტისაეკლესიო, ანტიეროვნულმა ღონისძიებებმა, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამიჯვნის პროექტმა, საღვთო სჯულის სწავლების აკრძალვამ, ფრთები შეუკვეცა ეროვნული ეკლესიის საქმიანობას – „... ჩვენმა სოციალურმა მთავრობამ გამოუცხადა სამშობლო ეკლესიას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი... ამ თავის საომარი ხერხებით მთავრობამ პირდაპირ სამირკველში ჩასცა ეკლესიას წერაქვი ...“ – იტყობინებოდა ანჩისხატის დეკანოზი ნიკ. ნათიძე ეპისკოპოს ლეონიდე-სადმი გაგზავნილ 1919 წლის 5 მარტის წერილში.

მთავრობის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქრისტიანი მრევლი. ისინი რესპუბლიკის მთავრობისაგან ითხოვდნენ საღვთო სჯულის სწავლების აღდგენას ყველა სახის სასწავლებელში და აღნიშნავდნენ ამ საქმის დიდ ეროვნულ-ისტორიულ მნიშვნელობას. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სისტემატიური სახე მიეცა ეკლესიის მრევლის საერთო კრებების მოწყობას, სადაც მრევლი – მოსწავლეთა მშობლები ითხოვდნენ ხელისუფლებისაგან საღვთო სჯულის, როგორც სავალდებულო დისციპლინის დატოვებას სასწავლებლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ხელისუფლების ორგანოებში, ისე მრევლშიც საღვთო სჯულის სწავლებაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. მრევლის ერთი ნაწილი ამ დისციპლინას სავალდებულოდ მოიაზრებდა, ხოლო მეორენი კი არასავალდებულო საგნად, თუმცა, ერთიცა და მეორეც მის სასწავლებელში დატოვებას უჭერდა მხარს. მაგალითად, 1918 წლის დეკემბერში, ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში ჩატარდა მოსწავლეთა მშობლების საზოგადო

კრება, სადაც მიიღეს დადგენილება, რომ საღვთო სჯულის სწავლება ყოფილიყო არა სავალდებულო, არამედ ნებაყოფილობითი, რომ ეს დისციპლინა ესწავლებინათ შეკვეცილი პროგრამით და განსაზღვრულ საათებში. მშობელთა კრებამ მოითხოვა განათლების სამინისტროსაგან, რომ საღვთო სჯულის დისციპლინის სწავლების კურსი ერთწლიანი ყოფილიყო, ხოლო მისი გაგრძელების მსურველთათვის საგანგებო ჯგუფი შექმნილიყო სასწავლებელში. რაც შეეხება სასულიერო პედაგოგებს, მშობლების მოთხოვნით, ჯამაგირი უნდა მისცემოდათ არა სახელმწიფო ხაზინიდან, როგორც სხვა საგნის მასწავლებლებს ეძლეოდათ და, რასაც სამღვდელოება ითხოვდა, არამედ მშობელთა მიერ შემოტანილი თანხებიდან. კრებამ დაადგინა, რომ საღვთო სჯულის მასწავლებლებს ესარგებლათ ყველა იმ უფლებით, რითიც სარგებლობდნენ სხვა საგნის პედაგოგები და არ განეცადათ შვიწროება სახელმწიფო სტრუქტურებისგან.

საქართველოს ჯანსაღად მოაზროვნე მრევლს (აღსაზრდელთა მშობლებს) ღრმად სწამდათ, რომ სასწავლებლებში ქრისტიანული თეორიის სწავლება ისტორიულ-ზოგადსაკაცობრიო მორალური ფაქტორით იყო განპირობებული და ახალგაზრდა თაობისათვის მხოლოდ ვიწრო, განყენებული ცოდნა, რომელსაც არ ახლავს ზნე-ჩვეულებათა, გრძნობა-მოვალეობათა, ეროვნულ ხასიათთა შესწავლა, ვერ ჩამოაყალიბებდა ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკისათვის მაღალი იდეალებით აღჭურვილ მოქალაქეს, პირიქით, ის ქვეყანას მისცემდა არასასურველ, მაგნე, ანტიეროვნულ ელემენტს. ამ სულისკვეთებითა და რწმენით გაჯერებული მოსახლეობა, საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობას, ქართველ სამღვდელოებას და სრულიად საქართველოს მორწმუნე მრევლს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ამ მეტად დროულ გადაწყვეტილებაში საქართველოს ეკლესია ფართოდ აბამდა საქმეში ქართველ ინტელიგენციას, კულტურის მოღვაწეთ, მოწინავე საზოგადოების სხვადასხვა ფენას.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის რელიგიური პოლიტიკისადმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოკიდებულების შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს განხილული მკვლევარ ევგენია (მანანა) ლილუაშვილს ნაშრომში „ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918–1921 წლებში“,

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, პირველი ქართული უნივერსიტეტის წინამძღოლმა ი. ჯავახიშვილმა კარგად უწყოდა, რომ მომავალი თაობის ზნეობრივ აღზრდას სწორედ სასულიერო მართლმადიდებლური სარწმუნოება წარმართავდა. იგი ვრცლად საუბრობდა იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომელებიც უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ეკისრა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. „რელიგიის სწავლებას უმაღლეს სასწავლებელში პრაქტიკული ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, აქ მღვდელ-მსახურებისათვის კი არ უნდა ამზადებდნენ, არამედ მხოლოდ მეცნიერული

თვალსაზრისით უნდა ხელმძღვანელობდნენ. მის მიზანს საქრისტიანო დოგმატიკის, საეკლესიო სამართლისა და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა უნდა წარმოადგენდეს. იმ უმაღლეს სასწავლებელს, სადაც ამ საგნებს მკვლევარი არ ჰყავს, სრულ უმაღლეს სასწავლებლად ვერ ჩავთვლით“ – წერდა ივანე ჯავახიშვილი.

„უნივერსიტეტის მესვეურები სიფრთხილით ეკიდებოდნენ სარწმუნოებრივ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს და მათი გადაჭრისას ყოველთვის ამოდიოდნენ ეროვნული პოზიციებიდან. ეროვნული განათლებისა და ქრისტიანული მოძღვრების სწავლების დაშვება-გამართლებისათვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მოქმედების ნაირსახოვან ფორმებს მიმართავდა. მაგალითად, დამფუძნებელი კრების სხდომაზე სახალხო განათლების კომისიის წევრმა გრიგოლ ნათაძემ შემოიტანა წინადადება საღვთო სჯულის მაგიერ პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო რელიგიათა ისტორია და ეთიკა“ [95, გვ. 98].

თუ თვალს გადავავლებთ 1918–1921 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მოღვაწეობას, რომლის დეკანიც კ. კეკელიძე იყო, დავრწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი შრომა მიუძღვის მას ქართული ეკლესიის ისტორიის, ზოგადად სარწმუნოებრივ მეცნიერებათა, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის შესწავლის საქმეში.

როგორც მკვლევარი ქეთევან პავლიაშვილი აღნიშნავს:, საქართველოს რესპუბლიკის ანტისაეკლესიო პოლიტიკის შედეგად, დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნული ეკლესია გარიყული აღმოჩნდა. რამაც ნებისთ თუ უნებლიეთ ხელი შეუწყო მის შემდგომ ხელისუფლებას განეხორციელებინა ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა მთელ საბჭოთა იმპერიაში. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა თავისი სარწმუნოებრივი პოლიტიკით უნებლიე ნიადაგის შემქმნელი აღმოჩნდა იმ ვერაგული რეფორმებისა, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა ეკლესიის საბოლოო განადგურებისათვის“ [100, გვ. 274].

თავი III

პედაგოგიკური იდეები 1918-1921 წლების საქართველოში

§ 1. ზოგადპედაგოგიკური შეხედულებანი

1918-1921 წლებში ქართული ეროვნული პედაგოგიკა აღმავალი გზით ვითარდებოდა. მთავრობა ცდილობდა ცხოვრებაში გაეტარებინა განათლების ფართო დემოკრატიზაციის საწყისი პრინციპები. მისი მიზანი იყო დაემუშავებინა პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ზოგადთეორიული საფუძვლები, სასკოლო და სკოლისგარეშე აღზრდა-განათლებისა და სწავლების, საზღვარგარეთული, რუსული და განსაკუთრებით ქართული ეროვნული პედაგოგიკის ისეთი საკითხები, როგორც იყო: აღზრდის როლი პიროვნების ფორმირების პროცესში; აღზრდის არსი, მისი მიზანი და ამოცანები; გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა; მშობლიური ენა, როგორც სწავლა-აღზრდის საძირკველი; სკოლა, როგორც ცენტრალური სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება; სწავლების არსი და მისი ამოცანები; სწავლების დიდაქტიკური პრინციპები; სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები; მასწავლებელი, მისი როლი და დანიშნულება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში.

დემოკრატიული საქართველოს პედაგოგიკურ მოძღვრებას ასულდგმულედა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პედაგოგიკური მეცნიერების წარმომადგენელთა შეხედულებები, კერძოდ, ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური იდეები. სწორედ ამითაა განპირობებული პედაგოგიკური კონცეფციის მეცნიერული შინაარსი, რაც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებითაა წარმოდგენილი. გ. თავზიშვილის, დ. ლორთქიფანიძის, უ. ობოლაძის, ს. სიგუას, ვ. ზამბახიძის, ვ. ქაჯაიას, ო. ქინქლაძის, ვ. ჭანტურიას, დ. გურგენიძეს და სხვათა ნაშრომებში გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა პედაგოგიკის, როგორც სწავლა-აღზრდის მეცნიერების რაობა და მისი საგანი; პედაგოგიკის თეორიული საფუძვლები; პედაგოგიკის კვლევის მეთოდები; პედაგოგიკის კავშირი სხვა მეცნიერებებთან და პედაგოგიკის მნიშვნელობა.

ჩვენ მიერ საკვლევპერიოდში ზოგადპედაგოგიკური იდეები წარმოდგენილია ისეთი კარდინალური საკითხების დასმითა და გაშუქებით, როგორებიცაა: აღზრდის არსი; აღზრდის როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში; ბავშვის განვითარების თავისებურებანი; აღზრდის მიზანი და ამოცანები, მისი შემადგენელი

ნაწილები – გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა; სახალხო განათლების სისტემა; ოჯახური აღზრდა და სხვა.

აღზრდის არსი, მიზნები და ამოცანები. აღზრდის მიზანი პედაგოგიკური მეცნიერებისათვის ყოველთვის თანმხლები პრობლემა იყო, რადგან იგი საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა. აღზრდის მიზანი იყო და ყოველთვის დარჩება არა მხოლოდ სოციალური შეკვეთა, არამედ მისი სწორი გადაწყვეტით პიროვნების ინტერესების გათვალისწინება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესი მთლიანად არის დაკავშირებული გარკვეულ მიზანთან და ყოველთვის გულისხმობს მიზნის მიღწევის იდეალურ დონეს, რომელიც ამავე დროს არის შეფასების საშუალებაც.

1918-1921 წლების ქრთულ პედაგოგიკურ აზროვნებაში (დ. უზნაძე, ლ. ბოცვაძე, ივ. როსტომაშვილი, მ. ზანდუკელი, ნ. სირბილაძე, გრ. საქარისქედელი) აღზრდა წარმოდგენილია, როგორც ბავშვზე გეგმიანი და მიზანმიმართული ზემოქმედება. ახალი თაობის გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური ძალების სასურველი მიმართულებით წარმართვა და მისი სრულყოფილი განვითარება ახალი სკოლის ერთ–ერთ უმთავრეს ამოცანად იქცა. აქედან გამომდინარე ქართველი პედაგოგები აკეთებდნენ ასეთ დასკვნას: აუცილებელია, აღზრდის მიზანი მარტო მეხსიერებისა და ცოდნის ფარგლებში კი არ დარჩეს მომწყვდეული, არამედ იგი ადამიანის მთლიანი ბუნებისაკენ იყოს მიმართული. გარემო სინამდვილე, უწინარეს ყოვლისა, გავლენას ახდენს ინდივიდის არა რომელიმე ნაწილობრივ მხარეზე, არა რომელიმე მის ფუნქციაზე, არამედ მასზე, როგორც მთლიანზე, ინდივიდზე, როგორც მოთხოვნილების სუბიექტზე. აღზრდას არასდროს არ უნდა ჰქონდეს დასახული მიზნად ცალმხრივობა. იგი უნდა ილტვოდეს ადამიანის მთლიანი (ყოველმხრივი) სრულყოფისაკენ. აღზრდამ უნდა უზრუნველყოს, როგორც სულის, ასევე სხეულის განვითარება.

აღზრდის არსის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დროს გავრცელებული თავისუფალი აღზრდის თეორიისადმი მკვლევართა დამოკიდებულების გარკვევას.

თავისუფალი აღზრდის საკთხისათვის. მე–19 და მე–20 საუკუნეების მიჯნაზე ავტორიტარული აღზრდა იქცა მწვავე და თითქმის საყოველთაო პრაქტიკად. ამიტომაც წამოაყენეს ამ ტიპის სკოლის გარდაქმნის მოთხოვნა პრინციპით–„სკოლა ცხოვრებისათვის და ცხოვრების მეშვეობით“ (დეკროლი), „აქტიური სკოლა“ (პეტერსონი), „საუკუნის ღირსეული ბავშვის სკოლა“ (ელენ კეი). ისინი მოითხოვდნენ ისეთი სკოლისა და ისეთი აღზრდის სისტემის შექმნას, რომლის ცენტრში იქნებოდა ბავშვი, მისი მოთხოვნილებები და შესაძლებლობანი. ამ ახალმა პედაგოგიკურმა

კონცეფციებმა მიიღეს საერთო სახელწოდება-„რეფორმატორული პედაგოგიკა“ ანუ „ახალი აღზრდა“.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გახდა „თავისუფალი აღზრდის თეორია (მისი მთავარი არსი იყო ბავშვიდან გამოსვლა). ამავე პერიოდში წინა პლანზე წამოვიდა ექსპერიმენტული პედაგოგიკა, რომელიც იძლეოდა შესაძლებლობას განესაზღვრათ, თუ როგორი აღზრდა უნდა მიეღო მოზარდს. ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ ფეხი მოიკიდა საქართველოშიც. მისი ფუძემდებელი გახლდათ დიმიტრი უზნაძე.

დიმიტრი უზნაძის შემდეგ თავისუფალი აღზრდის თეორიას განასაკუთრებით იცავდა ლ. ბოცვაძე, ი. როსტომაშვილი, ს. დანელია, ნ. სირბილაძე, ი. ნარიძე. ისინი ჟურნალ „განათლებაში“ სისტემატურად აქვეყნებდნენ სტატიებს თავისუფალი აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით.

თავისუფალი აღზრდის თეორიის არსის უკიდურესი გამოვლინება მდგომარეობს სწავლა-აღზრდის პროცესში ბავშვის ინდივიდუალობისათვის სრული თავისუფლების მინიჭებაში, ყოველგვარი შეზღუდვების მოხსნის გზით ბავშვის პიროვნულ შესაძლებლობათა განვითარების აღიარებაში. აქედან ეს თეორია საბოლოოდ მიდის სწავლა-აღზრდის პროცესის წარმართვის, სუბიექტური ხელმძღვანელობის უარყოფამდე. ამით იგი ფაქტობრივად უარყოფს აღზრდის ორგანიზებულ, კანონზომიერ და მიზანმიმართულ ხასიათს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ამ უკიდურესობამდე თავისუფალი აღზრდის თეორია მივიდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებული ბავშვის ბუნების დამონების, მისდამი იძულებითი მკაცრი ზომების გამოყენების, ფორმალიზმისა და უაზრო ზეპირობის წინააღმდეგ ბრძოლისა და დაგმობის გზით. ამ ბრძოლაში მდგომარეობს სწორედ მისი პროგრესული ხასიათი.

თავისუფალი აღზრდის თეორიისადმი მხარდაჭერა ძირითადად ბავშვის თავისუფალი პიროვნების აღზრდის პრინციპის დაცვისა და „ბავშვის სულის შემხუთველი“ სკოლის შეცვლის პოზიციებიდან ხდება, ხოლო თავისუფალი აღზრდის თეორიისათვის დამახასიათებელი უკიდურესობები არ გვხვდება. უარყოფილია თავისუფალი აღზრდის თეორიის გამოვლინების ყველა უკიდურესი ფორმა. ეს აშკარად მჟღავნდება თავისუფალი აღზრდის თეორიის განხილვისადმი სპეციალურად მიმღვნილი საკმაოდ ვრცელი წერილებიდან.

ჟურნალ „განათლებაში“ ხაზგასმითაა აღნიშნული აღზრდის რთული ბუნება, რომ იგი არაა ერთგვაროვანი, არამედ აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მიმდინარე

პროცესია; აღზრდა აუცილებლობით გულისხმობს აღზრდელსა და აღსაზრდელს. რომელიმე მათგანის გამორიცხვით წყდება აღზრდის პროცესი.

ლუარსაბ ბოცვაძე ამ თეორიის პრაქტიკულად განხორციელებას თვლიდა დიდმნიშვნელოვან მოვლენად და მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართველები არ ეხმაურებიან ამ საქმეს. აღზრდის ძველი სისტემის ძირითადი პრინციპი, ლ. ბოცვაძის აზრით, არის მოსწავლის მორჩილება ავტორიტეტისადმი. მას მიაჩნია, რომ ავტორიტეტის პრინციპი ყურადღებას არ აქცევს ბავშვის ნებას, ის ისე ეპყრობა ბავშვს, როგორც უსულო საგანს, უმორჩილებს ბავშვს აღზრდელის წუთიერ გულისთქმას, გარეგან მიზეზებს ან მის პირად წადილს.

ლუარსაბ ბოცვაძე, გამომდინარე „თავისუფალი აღზრდის“ თეორიიდან, აღზრდელის ავტორიტეტისადმი მორჩილების პრინციპს უპირისპირებს ბავშვის ყოველმხრივ თავისუფალ, ინდივიდუალურ განვითარებას.

ის თავისუფალი აღზრდისპრინციპების მთავარ არსად მიიჩნევს ბავშვის ბუნების, მისი ზოგადკაცობრიული და ინდივიდუალური თავისებურებების პატივისცემას. „ბავშვმა თავისი ბუნების თანახმად უნდა ისწავლოს ისეთი საგნები, რომლებიც არ არის მოსაწყენი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის გრძნობათა ორგანოებისა და კუნთების, თვითმოქმედებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას. ბავშვს უნდა აღუძრათ მოთხოვნილება იმისათვის, რომ ყველაფერი საკუთარი თვალთ დაინახოს, არ დაკმაყოფილდეს სხვისი ცდით, მოძებნოს პასუხი ყოველ საკითხზე დამოუკიდებლად“ [13, გვ. 52].

თავისუფალი აღზრდის თეორიის პროგრესული მხარეების მკაფიოდ გაშუქებასა და მხარდაჭერასთან ერთად საკმაო ადგილი უჭირავს მისი წინააღმდეგობრივი და უტოპიური ხასიათის კრიტიკას. ამ თეორიის უკიდურესი ფორმების დაგმობის გზით შენარჩუნებულია აღზრდის, როგორც მიზანმიმართული და ორგანიზებული პროცესის გაგება და მასში აღზრდელისათვის წამყვანი როლის მიკუთვნება. ამით ჟურნალმა „განათლებამ“ ხელი შეუწყო პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, საფუძვლების განმტკიცებას.

სამოქალაქო აღზრდა და მოსწავლეთა თვითმმართველობა. ჩვენ მიერ არჩეულ საკვლევ პერიოდში მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოქვეყნდა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე სამოქალაქო აღზრდისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის შესახებ. მათში გამოსჭვივის საერთო აზრი, რომ მომავლის სკოლის მიზანი უნდა იყოს მოქალაქეობრივად განწყობილი ადამიანის ხასიათის აღზრდა. სკოლამ უნდა განახორციელოს ბევრი პრაქტიკული ქმედება იმისათვის, რომ მან დღენიადაგ აღძრას ბავშვებში თვითმოქმედება, ინიციატივა, შეუპოვრობა. არსებითია არა შეხედულებათა

წრის შეთვისება, არამედ ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრეობა. ეს მიზანი კი შეიძლება განხორციელდეს სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაში.

პრესის ფურცლებზე გამოთქმული მოსაზრებებიდან ირკვევა, რომ საკვლევი პერიოდის ქართული პედაგოგიკური აზროვნების წარმომადგენლებს სკოლა მიჩნიათ პატარა სახელმწიფოდ(დ. უზნაძე, ლ. ბოცვაძე, ი. ნაცვლიშვილი) და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი. დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოაზრდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს. იგი განავითარებს ბავშვებში მთლიანის ინტერესების მნიშვნელობისა და საერთო საქმისათვის პიროვნების შეზღუდვის აუცილებლობის.

ამრიგად, მთელ რიგ საქმეებში (ექსკურსია, კლასი, დისციპლინა და ა.შ.) სკოლებში თვითმართველობის შემოღება მიაჩნდათ მოქალაქეობრივი გრძნობების აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებად.

სწორედ დღევანდელი, 21-ე საუკუნის სკოლის მიზანს აღწერდა 100 წლის წინანდელი ქართული პრესა. დემოკრატიის, განათლებისა და სკოლის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის ურთიერთკავშირის შესახებ სამეცნიერო დისკუსია საუკუნეზე მეტი ხნისაა. როგორც თეორიის, ისე პრაქტიკული გამოცდილების დონეზე, დემოკრატიული სკოლის უპირატესობა ცხადია. აღნიშნულ უპირატესობას დღეს უფრო თვალსაჩინოს ხდის დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების იდეის ფართოდ გავრცელება მსოფლიოში. ჯანსაღი დემოკრატია ვითარდება მხოლოდ სამოქალაქო, თვითმმართველ საზოგადოებებში და ეს ტენდენცია გლობალურია, სკოლა იყო და რჩება უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელიც საზოგადოებასთან ერთად ვითარდება.

მასწავლებლის პროფესიული თავისებურებანი. მასწავლებლობა განსაკუთრებული პროფესიაა, რომელიც მოწოდებულია საზოგადოებას გაუწიოს მნიშვნელოვანი და საჭირო სამსახური. იგი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი პიროვნებაა და ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და შრომითი განვითარების რთულ პროცესებს.

ახალი ქართული პედაგოგიური სკოლის ფუძემდებლები დიმიტრი უზნაძე და ლუარსაბ ბოცვაძე სწავლა - აღზრდის პროცესის შემოქმედებითად წარმართვის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მასწავლებლის პროფესიულთავისებურებებსა და ღირსებებს.

მათი შეხედულებით მოსწავლეებში სწავლის ინტერესის გამოწვევა მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობის წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს. ცხადია, ინტერესის აღძვრის გარეშე, რომელიც სწავლებაში მნიშვნელოვან როლს

ასრულებს, ცოდნის შეძენის პროცესი იძულებით ხასიათს მიიღებდა, რაც საგრძნობლად შეამცირებდა მოსწავლეთა მომზადების დონეს. სწავლაში, როგორც ფსიქოლოგიურად სრულად განსაზღვრულ ქცევის ფორმაში, ნებელობა და ინტერესი ერთმანეთის ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენენ. „სწავლა არა მარტო მიზნის მნიშვნელობის შეგნებაში პოულობს ენერჯის წყაროს, არამედ ამავე დროს შინაგან მისწრაფებაში, შინაგან მიდრეკილებაში, ინტერესში, რომლის გარეშე ყოველგვარი სწავლა იძულებითი შრომის ხასიათს მიიღებდა“ [180, გვ. 302].

ამრიგად, ქართველ პედაგოგთა შეხედულებით მასწავლებელმა ისე უნდა უხელმძღვანელოს აღსაზრდელს, რომ მისი პირადი ინიციატივა დაიჩრდილოს, ხოლო მოწაფისამ კი წინ წამოიწიოს. ცოდნის ამ წესით შეძენა ხელს უწყობს უზნაძის განმარტებით მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების განვითარებას. აქ უნდა გამოიჩინოს მასწავლებელმა თავისი შემოქმედებითი უნარი და ხელოვნება. მან ისე უნდა წარმართოს სწავლება, რომ მოწაფის აქტივობას სრული გასაქანი მიეცეს. გარდა ამისა, მოწაფის გულისა და შემეცნების გაღება, მისი სიყვარულისა და ნდობის დამსახურება, მის პიროვნებაში ჩაწვდომა, სულიერი მღელვარების წვდომა და ინდივიდუალური მიდგომა დიმიტრი უზნაძის აზრით არის შემოქმედებითი აქტივობა მასწავლებლის პირადი უნარით განსაზღვრული.

დედაენა როგორც სწავლა-აღზრდის საფუძველი. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშიდა მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული პედაგოგიური და ფსიქოლოგიური საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენლები სწავლობდნენ რა რუსეთის, ამერიკისა და ევროპული ქვეყნების უახლოეს მიმდინარეობებს სახალხო განათლების დარგში, ისინი პედაგოგიური დისკუსიების გამართვის, საჯარო ლექციების მოწყობის, პედაგოგიკურ იდეათა პროპაგანდის, თეორიულ-პედაგოგიური და პრაქტიკული მუშაობის გაშლის გზით მასების და სახალხო განათლების მუშაკთა ყურადღებას ამახვილებდნენ მშობლიურ ენაზე სწავლა-აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით.

გაეროვნულების საწყისებზე მყოფი ქართული პედაგოგიური სკოლის წარმომადგენლები აშკარად მოითხოვენ საქართველოში არსებულ ქართულ კოლეგებში დედაენაზე სწავლებას, ხოლო არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების სავალდებულოდ შემოღებას. მათ მშობლიური ენა აღზრდის საფუძველად მიაჩნდათ. მშობლიურ ენაზე აღზრდის ეროვნულ-პოლიტიკური და პედაგოგიკური პრინციპის სრულყოფილად გატარების გარეშე შეუძლებელი იყო „ახალი ტიპის“ ქართველის აღზრდა.

მშობლიური ენისათვის ასეთი პრიორიტეტის მინიჭება სავსებით კანონზომიერებად მიგვაჩნია, გამომდინარე იმ დროს საქართველოში არსებული

საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონცეფციიდან, რომელიც რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლასა და მშობლიური ენის უფლებების დაცვას ემყარებოდა. იმ დროის საქართველოში ახალ პედაგოგიკურ სისტემის ფუძემდებლებს, ღრმად ესმოდათ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ენის მნიშვნელობა, მისი სოციალური და პედაგოგიური ბუნება, დედაენა, როგორც სწავლა-აღზრდის საფუძველი, ეროვნული სკოლის საძირკველი და ზნეობრივი განვითარების წყარო. დედაენა, როგორც სასწავლო საგანი და სხვა.

სკოლის მიზანი და პრინციპები. მეოცე საუკუნის დასაწყისში ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლა თავისი შინაგანი წყობით, სწავლა-აღზრდის სისტემით მანკიერ პედაგოგიკურ საფუძველზე იყო აგებული, მოწყვეტილი იყო ცხოვრებას, ეროვნულ ნიადაგს, დიდად იყო ჩამორჩენილი მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების, განვითარების, სწავლებისა და აღზრდის დონეს. ძველი სკოლა დასწავლის სკოლა იყო, ის აიძულებდა ადამიანებს შეეთვისებინათ მრავალი გამოუსადეგარი, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალ თაობას თავს უტენიდა და ერთ ყალიბში გამოყვანილ მოხელეებად აქცევდა.

ძველი სკოლის უვარგისობა, სახალხო განათლების სისტემის რეფორმის აუცილებლობა, სასწავლო დაწესებულებაში სწავლებისა და აღზრდის გარდაქმნის საჭიროება საყოველთაოდ იქნა აღიარებული. ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ძველი სკოლის შინაგან წყობაში პროგრესული ნაკადის შეჭრა, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ საფრთხეს, სიძნელეს და თავგამოდებით იბრძოდა, რათა სწავლა-აღზრდის მთელი საქმე სკოლებში ჭეშმარიტ პედაგოგიურ საფუძველზე აეგო და ქვეყნისათვის აღეზარდა ღირსეული ახალი თაობა.

1918-1921 წლებში ქართული პედაგოგიკური აზროვნების წარმომადგენლებს **სკოლის მთავარ მიზნად მიაჩნდათახალი ტიპის ქართველის აღზრდა.** ამ თვალსაზრისით ისინი იზარებდნენ დ.უზნაძის შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. „ახალი ტიპის“ ქართველი უნდა ყოფილიყო მტკიცე ნებისყოფის, აქტიური, მებრძოლი, ჰარმონიული, განათლებული, მომზადებული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ისეთი სრულყოფილი ადამიანი, რომელიც იქნებოდა ბურჟი ეროვნებისა.

არსებულ პედაგოგიურ სისტემას საფუძვლად უდევს „ახალი ტიპის“ ქართველის აღზრდის თეორია, რამაცდემოკრატიულ მთავრობას მისცა საშუალება შეექმნა მეცნიერულად და პედაგოგიურად გამართული სკოლა, სადაც ჩამოაყალიბდებოდა სრულიად ახალი აღზრდის მეცნიერული სისტემა. მაგრამ ისტორიული კატაკლიზმების გამო ამ სისტემის განხორციელებას ბედი არ ეწერა.

მემკვიდრეობის, გარემოსა და აღზრდის როლი პიროვნების განვითარებაში. პიროვნების ფორმირების პროცესი გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით მიმდინარეობს. საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ ადამიანის პიროვნებად ფორმირებას, ჩვენი აზრით, პედაგოგიკის პრობლემური საკითხია. ზოგადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც მიმდინარეობს პიროვნების ფორმირება, შეიძლება იყოს აღზრდა და გარემო, რომელშიც მოზარდს უხდება ყოფნა და ის გენეტიკური, მემკვიდრეობითი თავისებურებანი, რომლებიც ახალშობილს დაბადებიდანვე დაჰყვება.

მემკვიდრეობის და გარემოს და აღზრდის როლის შესახებ 1918-1921 წლების ქართულ პედაგოგიკაში, ჩვენ მიერ მოკვლეული მასალებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდი პოლემიკა არ გამართულა. მაგრამ ზოგადად გამოსჭვივის აზრი: ერთნი ემხრობიან გარემოს როლს აღზრდაში, მეორენი—მემკვიდრეობის როლს, ხოლო მესამენი სამივე ფაქტორს აღიარებენ პიროვნების ფორმირებაში.

ასეთ ფონზე სრულიად განსაკუთრებული სახით გამოიკვეთა განვითარების შინაგანი (მემკვიდრეობითი) და გარეგანი (გარემო) ფაქტორების კონციდენციის თეორია, რომლის ავტორიცაა დიდი ქართველი მეცნიერი **დიმიტრი უზნაძე**. ეს თეორია, რომელიც სრულიად კონკრეტული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოვლენის ახსნას ისახავს მიზნად, ცხადია, ემყარება მისივე ავტორის მიერ შექმნილ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას, რომელიც განწყობის ფსიქოლოგიის სახელითაა ცნობილი, თუმცა განწყობის თეორიასთან კონციდენციის თეორიის მიმართების საკითხი ავტორს, გასაგები მიზეზების გამო, საგანგებოდ არ განუხილავს, ამის გამო კონციდენციის თეორიის ადგილი **დ. უზნაძის** ზოგადფსიქოლოგიური თეორიის კონსტრუქციაში ჯერ ისევ ბოლომდე დაზუსტებული არაა. განვითარების შესახებ არსებული თეორიების ძირითად ნაკლად **დ. უზნაძე** იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ ყოველი მათგანი ინდივიდისა და გარემოს პრინციპული განცალკევებულობის იდეიდან ამოდის. მიჩნეულია, რომ განვითარების შინაგანი (ინდივიდუალურ-მემკვიდრული) და გარეგანი(გარემოებით-სიტუაციური)დეტერმინანტების დაკავშირება ხდება შემთხვევით, რის პირობასაც ქცევა წარმოადგენს. ამ რიგის თეორიების მიხედვით, ქცევაში, ანუ ინდივიდის მიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში, ცდისა და შეცდომის გზით, ინდივიდი შემთხვევით ხვდება გარემოს ისეთ ფაქტორებს, რომლებთან ურთიერთობაშიც იკმაყოფილებს თავისმოთხოვნილებას და ვითარდება ამ ფაქტორების შესაბამისად. ე.ი. ქცევის ადამიანური ფორმების განვითარება მხოლოდ შემთხვევითი ემპირიული გამოცდილების შედეგია. ასეთ ფსიქოლოგიურ პოზიციას უზნაძე ემპირისტულ პოსტულატს უწოდებს და საკუთარი ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მისი დაძლევა მიაჩნია. მართლაც, თუ აქტივობისა და განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები იმთავითვე განცალკევებულნი

არიან, მაშინ ვერავითარი შემთხვევითობა მათ ვერ გაამთლიანებს. სწორედ ამიტომაც, რომ **ვ. შტერნის** კონვერგენციის თეორიაც, ბიჰევიორისტული თეორიის ყველა ნაირსახეობაც და თანამედროვე ინტერაქციონისტული თეორიებიც, იძულებულნი ხდებიან დაკმაყოფილდნენ აღნიშნულ ფაქტორთა დაკავშირების ფაქტის მხოლოდ კონსტანტაციით, ხოლო მისი ახნის ყოველგვარი მცდელობა დამყარებულია თითიდან გამოწვევილ არგუმენტებზე და ხელოვნურ ხასიათს ატარებს.

სხვა თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით, **დ. უზნაძე** ამოდის იდეიდან, რომ ინდივიდის აქტივობისა და განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები ერთიანი გაუნაწევრებელი მთლიანობის დიფერენციაციით მიღებული კომპონენტებია და ერთმანეთს ბუნებრივად შეესატყვისებიან. პირველადი მთლიანობის იდეა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის გენერალურ ხაზს განსაზღვრავს, რომლის კონკრეტიზაციის ერთ-ერთ სახეს **კოინციდენციის** თეორია წარმოადგენს. ამ თეორიის თანახმად, ინდივიდის შინაგანი, მემკვიდრეობითი მახასიათებლების ჩამოყალიბება გენეტიურად იმთავითვე გარემოს გარკვეულ პირობებთან მიმართებაში ხდება. ამის გამო, ინდივიდის ყოველ მახასიათებელს აუცილებლად შეესაბამება გარემოს ესა თუ ის მოვლენა და საგანი. მაგალითად, რომ არ არსებობდეს პური, არც პურზე მოთხოვნილება გაჩნდებოდა ადამიანის ფილოგენეტიური თუ ონტოგენეტიური განვითარების პროცესში; რომ არ არსებობდეს სინათლე, არც მხედველობის ორგანო განვითარდებოდა და ა.შ. მაშასადამე, შინაგანისა და გარეგანის კავშირი არსებითია და არა შემთხვევითი. „შინაგანის ცნება უკვე შეიცავს თავის შინაარსში იმას, რასაც გარეგანად თვლიან, და პირიქით, გარეგანი იმას, რასაც შინაგანად თვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცნებათა შინაარსის ურთიერთისაგან გამოთიშვა სრულიად მოუხერხებელია, და მაშასადამე, ჩვენს წინაშე შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შექმნილის, ცნებათა კოინციდენციის, ერთიანობის ფაქტი დგას“ [178, გვ.51].

ზემოთგანვითარებული მსჯელობებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ განვითარების ინტერაქციონისტული თეორია, იმ თეორიების მსგავსად, რომელთა ნაკლოვანებების დასადგენად იგი იქნა წამოყენებული, განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებს ერთმანეთისათვის უცხო ბუნების მოვლენებად მიიჩნევს, რის გამოც, მათი გამთლიანების მექანიზმი მასაც აუხსნელი რჩება. განვითარების უზნაძისეული თეორია აღნიშნული სირთულის დაძლევის უზრუნველყოფს იმით, რომ განვითარების ფაქტორებს გენეტიკურად ურთიერთდაკავშირებულ მოვლენებად განიხილავს. მიგვაჩნია, რომ ასეთ მეთოდოლოგიურ პრინციპზე პედაგოგიური მოღვაწეობის დაფუძნება მეტად ნაყოფიერი იქნება განათლების სისტემის სრულყოფილი რეფორმირებისათვის.

დ. უზნაძის აზრით, თუ შინაგანსა და გარეგანს შორის არის ერთიანობა, მაშინ სავსებით ნათელია, რომ შინაგანის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს აღზრდამ, ანუ გარეგანის იმგვარმა ორგანიზაციამ, რომლის საშუალებითაც შეირჩევა შინაგანზე სათანადო გარეგანი ზემოქმედება. შესაბამისად, ეს ზემოქმედება ადამიანის სოციალური წრის მიერ მოდიფიცირებულ გარემოში მიმდინარეობს. ასეთ გარემოს დიმიტრი უზნაძე „ასაკობრივ გარემოს“ უწოდებს. ე.ი. ასაკობრივი გარემო, სოციალურად ორგანიზებული გარემოა და, როგორც ვიცით, აღზრდის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ერთი მხრივ, ბავშვის ძალთა განვითარება მასზე მოქმედ ასაკობრივ გარემოზეა დამოკიდებული, ხოლო, მეორე მხრივ, პირიქით, თვითონ ასაკობრივი გარემოს შინაარსი ბავშვის ძალთა განვითარების დონით განისაზღვრება.

აღზრდის შემადგენელი ნაწილები: გონებრივი აღზრდა. გონებრივი განათლება მიჩნეულია ბავშვის ყველა შესაძლებლობის განვითარების საუკეთესო საშუალებად, მის გარეშე შეუძლებელია აღზრდის მიზნის განხორციელება. მოზარდი თაობის გონებრივ აღზრდაში უპირველეს ამოცანად ცოდნის შეთვისებაა დასახული. გონებრივი განათლება ცოდნის შეძენას გულისხმობს, ის არის ადამიანის მომზადების ძირითადი საზომი. სწორედ აქედან გამომდინარეობს ადამიანის ცოდნით შეიარაღების მნიშვნელობის დასაბუთების მრავალი ცდა.

„მართალია, ამ პერიოდის მკვლევარები უშუალოდ ეყრდნობიან ქართული პედაგოგიკური აზროვნების, კერძოდ, ი. გოგებაშვილის ტრადიციებს, იყენებენ კლასიკურ რუსულ პედაგოგიკას, ამ პერიოდის პედაგოგიურ პრესას და არ აყენებენ ახალ ორიგინალურ მოსაზრებებს, მაგრამ არსებული გამოცდილების ღრმად ათვისება, ცხოვრების ახალი პირობების შესაბამისად გამდიდრება და მისი გავრცელება– პროპაგანდისათვის აქტიურად ზრუნვა უაღრესად დადებით შეფასებას იმსახურებს.“ [201, გვ. 101]. ცოდნის შეძენის მნიშვნელობის დასაბუთებასთან ერთად გარკვეულია მოზარდი თაობის მიერ შესათვისებელი ცოდნის ხასიათიც. მრავალგზისაა დასმული კონკრეტული კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ ცოდნას უნდა იძენდეს ბავშვი და პირდაპირი პასუხია მასზე გაცემული.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლ. ბოცვაძის წერილები, კერძოდ, „მეცნიერება და სახალხო განათლება“, რომელიც ჟურნალ „განათლების“ 1919 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა.

ძირითად დებულება, რომელსაც ბოცვაძე აყენებს და ჟურნალის თითქმის ყველა ავტორი იზიარებს, არის მოზარდი თაობის „ჭეშმარიტად მეცნიერული ცოდნის“

დაუფლების აუცილებლობა. მოზარდი თაობა უნდა იძენდეს ნამდვილ, ბუნების და საზოგადოების განვითარების კანონებზე დამყარებულ ცოდნას, რადგანაც მხოლოდ ასეთი მეცნიერული ცოდნით არის შესაძლებელი ადამიანის მიერ ბუნების ძალების თავის სასარგებლოდ გამოყენება. მხოლოდ მეცნიერულად განათლებულ ხალხს შესწევს უნარი, რომ ცხოვრების სწორი იდეალი დაისახოს და კიდევაც განახორციელოს. მეცნიერული ცოდნით აღჭურვილ ადამიანს შეუძლია გაერკვეს ბუნების მრავალფეროვან მოვლენებში და დაიმორჩილოს იგი, ესმოდეს თავისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და იზრუნოს ცოდნა-განათლების შექმნა-გაღრმავებისათვის. სწორედ ამიტომ მეცნიერული ცოდნა „უმთავრესი ძალაა არსებობისათვის ბრძოლაში. იგი ამავე დროს უძლიერესი იარაღია საკაცობრიო პროგრესისა... მეცნიერებამ შეგვძინა ბუნების ძალებთან ბრძოლა, ამ ძალების დამორჩილება და სასარგებლოდ გამოყენება“[9, გვ.2].

ზნეობრივი აღზრდა.ზნეობრივი აღზრდის სირთულე და მრავალმხრივობა აუცილებლად მოითხოვს ზნეობრივი შეგნების გამომუშავებას, რადგან მხოლოდ შეგნებით და პიროვნული გააზრებით შესაძლებელია პიროვნების ემოციური სფეროსა და ქცევის განხილვა. ზნეობრივი შეგნების მაჩვენებლებია: ზნეობრივი გრძნობა, განცდა და სინდისი. დ. უზნაძე, ლ. ბოცვაძე, ივ. როსტომაშვილი, მ. ზანდუკელი, ს. ხუნდაძე, ა. ჭიჭინაძე, ი. ოცხელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მოსწავლეთა ზნეობრივი სულისკვეთებით აღზრდას. მათი შეხედულებით ცხოვრების შინაარსი ზნეობრივი მოთხოვნილებების გარეშე შეუძლებელია. მოზარდი თაობის ზნეობრივი სრულყოფა და განათლება აღზრდის ერთ-ერთ მიზნად უნდა იქნეს აღიარებული. სკოლის ცხოვრება ისე უნდა გაფართოვდეს, რომ ბავშვებს ჰქონდეთ მეტი საშუალება თავისი ზნეობრივი პრინციპები პრაქტიკაში გადმოიტანონ და განახორციელონ, რაც ზნეობრივი აღზრდის გონივრული ფორმების შემოღებას გულისხმობს სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებაში.

ამ გზით შეთვისებულ ზნეობრივ პრინციპებს მათი აზრით, სისტემატიზაცია და პრაქტიკულ-თეორიული შესწავლა სჭირდება სკოლის უკანასკნელ საფეხურზე. დ. უზნაძე ზნეობრივი ხასიათის განმტკიცება-ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასწავლებლის ზნეობრივ მაგალითს, იგი ხასიათს მაინც თანდაყოლილ თვისებად მიიჩნევს, რომელიც მას ბიოლოგიური წიაღიდან გამოჰყვამ. ამით ვფიქრობთ, რომ უზნაძე არ აკნინებს აღმზრდელისა და აღმზრდელობით ზემოქმედებათა როლს პიროვნების სრულყოფაში.

მასწავლებლის უმთავრესი პრობლემა-ზნეობრივი აღზრდა საჭიროებს იმ ასპექტში გააზრებას, როდესაც დაცული იქნება მეცნიერებათა შორის კავშირი. ამ შემთხვევაში ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიასთან და ამავე დროს გამოიკვეთება კონკრეტული

პედაგოგიური ამოცანა აღზრდისა და სწავლების ერთიანობისა. ზნეობრივი აღზრდა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ერთიან პედაგოგიურ პროცესში, რომლის მიზანია ზნეობრივი პიროვნების ფორმირება–მისი შეგნებით, ზნეობრივი ნებისყოფით, ხასიათითა და საზოგადოებრივად ფასეული ქცევით.

ივანე როსტომაშვილს ზნეობრივი აღზრდის „საკმარის ღონისძიებად არ მიაჩნდა საღვთო სჯულის დოგმატების სწავლება. იგი ახალგაზრდობის მორალურ-ზნეობრივი ფორმირების ხანას ორ პერიოდად ყოფდა: ა). ბავშვი დაბადებიდან 14-15 წლამდე და ბ). 15-16 წლის შემდგომ პერიოდად. მას მიაჩნდა რომ ბავშვის ზნეობრივი ფორმირებისათვის სკოლაში „სოკრატული მეთოდით უნდა ისწავლებოდეს ბავშვებისათვის სპეციალურად შერჩეული, ზნეობრივად გამართული, საუკეთესო შინაარსის მქონე იგავ-არაკები, ხალხური თქმულებები, გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიები და სხვა“ [126, გვ. 242].

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, დ. უზნაძეს, ლ. ბოცვაძეს, ივ. როსტომაშვილს, მ. ზანდუკელს, ს. ხუნდაძს, ა. ჭიჭინაძეს, ი. ოცხელს ახალი სკოლის ამოცანად მიაჩნიათ, რომ სკოლამ ოჯახთან ერთად გადამწყვეტი როლი შეასრულოს მაღალი ზნეობრივი თვისებების, მტკიცე ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფის აღზრდა – განვითარების საქმეში.

ესთეტიკური აღზრდა. ესთეტიკური აღზრდის საშუალებები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიას უძველესი დროიდან აინტერესებდა და მისი ძირითადი სახეები თითქმის ანტიკურ საბერძნეთში იყო ცნობილი.

მეოცე საუკუნის პირველმეოთხედში, კერძოდ, ჩვენს საკვლევ პერიოდში ესთეტიკური აღზრდის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ლ. ბოცვაძეს, ნ. სირბილაძეს, ი. სიხარულიძეს, მ. ზანდუკელს.

ბავშვის ესთეტიკური გრძნობების განვითარება დემოკრატიული პედაგოგიკის მიერ აღზრდის ამოცანად იქნა გამოცხადებული, მაგრამ არ იყო უგულვებელყოფილი „ესთეტიკური გრძნობების მემკვიდრული ბუნებაც“. ბავშვს, ისე როგორც ყველა სხვა გრძნობა, „თავდაპირველად ესთეტიკური გრძნობაც სუსტი და განუვითარებელი აქვს“, აღზრდის შედეგად შეიძლება მხოლოდ მისი სრულყოფილად ჩამოყალიბება. [110, გვ. 62].

ჟურნალში ვრცლადაა წარმოდგენილი ესთეტიკური აღზრდის საშუალებანი. ამის საილუსტრაციოდ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ორიოდ ვრცელი ამონაწერი: „ესთეტიკური აღზრდა მოწაფეებისა სიმშვენიერის გრძნობის განვითარებაშია, ხატვის, გალობა–სიმღერის, კითხვის და გიმნასტიკის ვარჯიშობაში... კარგი გემოვნება

ვითარდება მშვენიერ ნივთთან დაახლოებით. ამიტომ ყველაფერი, რაც ბავშვს გარშემო არტყია, უნდა ხელს უწყობდეს მშვენიერი გემოვნების განვითარებას. მოწაფეებს თვალწინ უნდა ჰქონდეთ ხელოვნების ნაწარმოებნი, უნდა კითხულობდნენ კარგს წიგნებს, უნდა იმღერონ როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც წუნდაუდებელი სიმღერები. უნდა განიდევენოს ყველაფერი მქისე, რაც აღელვებს ესთეტიკურ გრძნობას. ესთეტიკური გრძნობის გასავითარებლად შეიძლება მიმართონ შეემდეგ საშუალებას: მორთონ საკლასო ოთახი და გიმნასტიკური დარბაზი ქანდაკებით, სურათებით, შესაფერი წარწერებით, მცენარეულობით, იხმარონ ფერადი წიგნები და რვეულები, ფერადი ღია წერილების და სურათების კოლექციის შეკრებით, ხატვის, სიმღერა-გალობის და პოეზიის შესწავლით, სკოლის ბიბლიოთეკაც ამის მიხედვით უნდა შეადგინონ. ბუნებისმეტყველების, სამშობლოს ისტორიის, გეოგრაფიის და სხვა საგნების შესწავლაც ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ესთეტიკური გრძნობის განვითარებას. სასკოლო დღესასწაულები და აქტებიც აქ თავის როლს ასრულებენ... ბევრ დროს უთმობს პროგრამა აგრეთვე ფიზიკურ ვარჯიშობებსაც“. შემდეგ განაგრძობს სხვა საშუალებების ჩამოთვლას: 1. „პოეტური ნაწარმოებების საფუძვლიანი შესწავლა – კითხვა და წარმოთქმა გრძნობით და გამომეტყველებით; 2. გალობის შესწავლა; 3. ხატვა-ხაზვა და სუფთა, ლამაზი წერა (კალიგრაფია). პოეტური ნაწარმოების შესწავლა მაშინ განავითარებს ესთეტიკურ გრძნობას, როდესაც ის ისწავლება სამშობლო გასაგებ ენაზე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს საეკლესიო და ხალხური სიმღერების შესწავლას სკოლაში... უფრო ძლიერი იარაღია სამშობლო ენაზე გალობა და სიმღერა, უმეტესად ხალხური, ეროვნული სიმღერები. ბუნებიდან საგნების გადმოხატვა... ხაზვაზეც იგივე ითქმის, რაც წმინდა სუფთა და ლამაზი წერაზე... ბუნებისმეტყველების შესწავლის დროს უნდა მოვაწყოთ ექსკურსიები“ და სხვ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჟურნალში ესთეტიკური აღზრდის როგორც სასკოლო, ისე სკოლისგარეშე ძირითად საშუალებებად წარმოდგენილია: 1. სასკოლო დისციპლინების სწავლება (განსაკუთრებით ხაზგასმულია მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ხატვა-ხაზვის, სიმღერა-გალობის (მუსიკის) და ბუნებისმეტყველების მნიშვნელობა); 2. ყველა საგნის მშობლიურ ენაზე სწავლება; 3. სკოლისა და საკლასო ოთახების ესთეტიკურად მორთვა-გაფორმება; 4. შესაფერისი სასკოლო ინვენტარი; 5. მასწავლებლის პირადი მაგალითი და წამყვანი როლი; 6. ხელოვნების დარგები, განსაკუთრებით კი მუსიკა; 7. ოჯახური გარემო-მოწყობილობა; 8. უფროსებისა და თვით ბავშვების პირადი ჰიგიენის დაცვა და 9. ბუნების მშვენიერებაზე სისტემატური დაკვირვება [111, გვ. 64].

მ.ზანდუკელს აზრით ესთეტიკური აღზრდის მიზანია „შეძლებისდაგვარად შექმნას ადამიანი ბედნიერი და მასთან ერთად არამცთუ ნაყოფიერი, არამედ ცოცხალი და საზოგადოებრივი მიდრეკილებებით. ესთეტიკური აღზრდა არის ადამიანის აღზრდა სილამაზეში და გრაციაში, სიყვარულში, სიმშვენიერისა და მაღალი იდეალებისადმი“ [81, გვ.182]. იგი ესთეტიკური აღზრდის საქმეში აუცილებლად მიიჩნევს ხელოვნების სწავლებას სკოლაში და სამ ძირითად დებულებას აყალიბებს: „1. ხელს უწყობს ბავშვის ემოციონალური ცხოვრების განვითარებას; 2. ხელს უწყობს ბავშვის ყველა მოქმედებაში შემოქმედი ენერჯის განვითარებას; 3. უნდა ხდებოდეს შეთვისება მეთოდოლოგიის და ისტორიის ამა თუ იმ სპეციალობისა, იმ მიზნით, რომ შეგნებულად და აქტიურად მოიხმაროს თანამედროვე მატერიალური კულტურის მასალა. ამ საგნების შესწავლა სკოლაში არის ბავშვის აქტივობის მეთოდი“ [82, გვ. 183].

ფიზიკური აღზრდა. 20–იანი წლების პედაგოგიკურ შეხედულებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიზიკურ აღზრდას. იგი წარმოდგენილია, როგორც ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის აუცილებელი პირობა. ფიზიკური აღზრდის ნორმალურად წარმართვის გარეშე შეუძლებელადაა მიჩნეული ბავშვის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. ამ თვალსაზრისით საინტერესო შეხედულებები გამოთქვას ლ. ბოცვაძემ, ივ. როსტომაშვილმა, ი. ფერაძემ, ე. ვაშაკიძემ, ი. კიკნაძემ და სხვა.

„ გიმნასტიკა და მუსიკა პოეზიითურთ ავითარებენ ორს უმთავრეს მხარეს ადამიანისას–ფიზიკურს და სულიერს, ჰქმნიან ერთს ჰარმონიულს გაწრთვნილ სხეულისას და განათლებულის სულისას“– წერდა ალ. ჭიჭინაძე თავის საყურადღებო ნაშრომში „ რიჟრაჟზე სათქმელი“ [1, გვ. 31–32].

ფიზიკური წრთობის გარეშე არ შეიძლება ნორმალურად მიმდინარეობდეს ბავშვის სულიერი აღზრდა, ფიზიკურად ჩამოუყალიბებელი ადამიანი მოკლებულია თავისი გონებრივი და ზნეობრივი შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას: „ყოველთვის უნდა ვზრუნავდეთ ბავშვის ჯანმრთელობაზე, რადგანაც ჯანმრთელობა ადამიანისათვის უძვირფასეს განმს შეადგენს. ავადმყოფი კაცი თითქმის მთლად მკვდარია. სწეულს არ შეუძლია გამოიყენოს თავისი სულიერი ძალები, რაკი მისი სხეული მოდუნებულია“ [18, გვ.436]. ან კიდევ, ბოცვაძის მიერ გადმოკეთებულ ერთ-ერთ სტატიაში – „ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა“, რომელიც 1917 წლის მე–4–5 ნომრებშია დაბეჭდილი, ხაზგასმულია, რომ „ყველაზე უფრო სწორი შეხედულება და განზრახვა გვაძლევს ჩვენ მხოლოდ საქციელის კარგ თეორიებს, თავისთავად ისინი ჯერ კიდევ არ ქმნიან ნამდვილ ზნეობრივსა და კეთილ ადამიანს, რადგანაც იგი მშვენიერი შეხედულებისა და საუკეთესო განზრახვისაც რომ იყვეს, შეიძლება მხოლოდ ზნეობრივი

ყბედიც გახლდესთ. ასეთი ადამიანი აუარებელია: კეთილ განზრახვაში მათ ნაკლი არ აქვთ, მაგრამ საქმით რისიმე განხორციელება კი არ ძალუძთ. განზრახვათა საქმედ ქცევას ენერგია უნდა, ენერგიის აღმოჩენას კი – ფიზიკური ძალა“.

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას ოჯახური და სასკოლო ფიზიკური აღზრდის ნორმალურად წარმართვისათვის მისი მეცნიერული საფუძვლების ცოდნის აუცილებლობის დასაბუთებას. ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმზრდელთა და მასწავლებელთა მიერ ანატომიისა და ჰიგიენის კანონების ცოდნას. ამას ადასტურებს ილ. ალხაზიშვილის წერილი „ჰიგიენა“ და ევ. ლოსაბერიძის „მოკლე საუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან“ (წერილების მთელი ციკლი). მათში ხაზგასმულია, რომ მშობლებმაც და მასწავლებლებმაც კარგად უნდა იცოდნენ ეს მეცნიერებანი, რათა ბავშვის ფიზიკური აღზრდა თვითნებით არ წარმოებდეს და მას კანონზომიერი, მეცნიერულად გაცნობიერებული ხასიათი ჰქონდეს [112, გვ.323].

ბავშვის ცხოვრებაში თამაშისათვის ყოველმხრივი სარგებლობის მინიჭებით აიხსნება ისიც, რომ ჟურნალ „განათლებაში“ დაბეჭდილია მრავალი ქართული თამაშობის აღწერა და ჩატარების მეთოდიკა; მოცემულია თამაშის ბუნებისა და მისი წესიერად ჩატარების გზით მოსალოდნელი შედეგების გაგების მრავალი ცდა. თამაში მიჩნეულია ისეთ „საქმიანობად“, რომლის პროცესში ბავშვებს ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად ფიზიკური ძალების განვითარებასთან ერთად უყალიბდებათ და უვითარდებათ მიბაძვის, ანალიზისა და სინთეზის, შემოქმედების, თვითმოქმედებისა და ფანტაზიის უნარი.

რედაქციისა და ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში იმ დროს დაგროვილი მდიდარი ტანვარჯიშული ტრადიციის გამოყენებით მათ ვრცლად დაასაბუთეს ტანვარჯიშის („გიმნასტიკის“, როგორც ისინი უწოდებდნენ), როგორც ფიზიკური აღზრდის, მნიშვნელობა.

ფიზიკური აღზრდის საშუალებათა შორის მოძრავი თამაშებისა და ტანვარჯიშის გარდა, ფართო ადგილი ეთმობა ჰიგიენური ფაქტორებისა და ბუნების ძალების მნიშვნელობასა და გამოყენების მეთოდიკას. ივანე როსტომაშვილმა მრავალი სპეციალური წერილი მიუძღვნა მზის, ჰაერისა და წყლის მნიშვნელობას ორგანიზმის გაჯანსაღებისათვის. მათი გამოყენებით დასაბუთებულია სხეულის მოვლის, კვების რეჟიმის, ძილის, საკლასო და საცხოვრებელი ოთახის თუ ტანსაცმლის ხმარების ჰიგიენური პირობების დაცვის აუცილებლობა.

ამრიგად, 1918-1921 წლების ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში ფიზიკურ აღზრდას მოზარდთა ფორმირების უნივერსალურ ფორმად თვლიდნენ და აქვე ყურადღებას აქცევდნენ ხალხურ თამაშებსა და ვარჯიშებს.

შრომითი აღზრდა. ზოგადპედაგოგიკური იდეებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შრომით აღზრდას. შრომითი აღზრდა სავსებით სამართლიანად მიჩნეულია ყოველმხრივი აღზრდის აუცილებელ, შემადგენელ ნაწილად და სწორედ ამ ასპექტშია განხილული.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში შრომითი აღზრდის იდეამ ფართო გავრცელება ჰპოვა საქართველოში. საკმაოდ პოპულარული გახდა გეორგ კერშენშტაინერის (1854-1932), ვ. ლაის (1862-1926), ჯ. დიუი (1859 – 1952) შეხედულებები შრომითი აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით. **შრომითი აღზრდა იქცა განსაკუთრებულ პროგრესულ მოვლენად**, რომელიც ემსახურებოდა სასწავლო-საადმინისტრაციო მუშაობის ჭეშმარიტ პედაგოგიურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეს.

გამლიერდა აზრი წიგნიერი სკოლის „სამუშაო სკოლად“ გარდაქმნის შესახებ, სადაც ხელით მუშაობასთან ერთად, ბავშვის ნიჭის მიხედვით, ფართო ადგილი უნდა დათმობოდა ფიზიკურ და გონებრივ მუშაობას.

გამოცდილების გადაფასებაში, სახვითი შრომითი აღზრდის პრინციპები ვ. ლაის სწავლების სისტემაში გამოისახა ტრიადაში – „აქმა, გადამუშავება, გამოსახვა“, ხოლო დიუისთან შრომითი აღზრდის იდეა პრაგმატიზმ-ინსტრუმენტალიზმის ერთ-ერთ საფუძვლად იქცა.

მათი აზრით, „შრომა თავის თავში უნდა წარმოადგენდეს თავის თავშივე დახშულ სწავლების დარგს“. შრომითმა სწავლებამ ადამიანი უნდა მოამზადოს მხოლოდ ამა თუ იმ შრომითი პროფესიისათვის. მათი შრომის სკოლა მერყეობდა თეორიასა და პრაქტიკას შორის. ისინი გამოდიოდნენ ადამიანების კლასიფიკაციიდან, ყოფდნენ ადამიანებს ნიჭიერებად თეორიასა და პრაქტიკაში.

მათ მთელი ყურადღება გადაჰქონდათ პრაქტიკულ მომზადებასა და საქმიანობაზე, პროფესიონალიზმზე. ამ შეხედულებებმა პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა „პროექტთა სისტემით“ მუშაობის შემოღებაში, სავალდებულო პროგრამისა საკლასო – საგაკვეთილოს სისტემის უარყოფაში, მოსწავლეთა საკუთარი მოქმედების გაფეტიშებაში, მასწავლებლის როლის შემცირებაში.

საქართველოში სწავლებაში შრომითი ელემენტების შეტანის აუცილებლობას იცავდნენ და ასაბუთებდნენ ცნობილი ქართველი პედაგოგები ლ. ბოცვაძე, ი. ფერაძე, ა. ჭიჭინაძე, დ. უზნაძე. ი. როსტომაშვილი, გრ. საქარისქედელი, მ. კაკაბაძე, გ. ჯაკობია, გ. კვიციანი, შ. სიხარულიძე და სხვა.

1918-1921 წლების საქართველოში შრომა გაგებულია, როგორც ადამიანური არსებობისა და მისი განვითარების ძირითადი პირობა. იგი მიჩნეულია ადამიანის ფიზიკური და სულიერი ფორმირების ძირითად წყაროდ. მეტიც, შრომა საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური ძლიერების არსებით საშუალებად და აღიარებული: „საქართველოს კეთილდღეობა მაშინ ეტყობოდა, როცა ყველა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და ბერი განურჩევლად შრომის უღელს ეწეოდა“, და პირიქით, „საქართველოს შავბნელი დრო მაშინ დაუდგა, როცა ჩვენში შრომა პატივახდილი შეიქმნა, როცა გამრავლდა ჩვენში რიცხვი მუქთახორებისა“ [182, გვ. 56].

ლ. ბოცვაძისა და ი. ფერაძის წერილებში ფართოდაა დახასიათებული სასკოლო შრომითი სწავლების საგნის ამოცანები, შინაარსი და მეთოდოლოგია.

ი. ფერაძე ცალ-ცალკე განიხილავს გოგონებისა და ვაჟების შრომით სასწავლო საგნებს, შრომითი საგნების შერჩევაში იგი სამართლიანად ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას სქესობრივ თავისებურებათა გათალისწინების პრინციპს. ქალთათვის იგი მხოლოდ ხელსაქმისა და დიასახლისობის სწავლების საკითხებზე ჩერდება, მის მხურვალე დამცველად გამოდის და საჭიროდ თვლის, რომ „სახალხო სკოლებში შემოიღონ სადიასახლისო საქმეების სწავლებული სწავლება“, რადგანაც მას როგორც პედაგოგიური, ისე დიდი საყოფაცხოვრებო მნიშვნელობა აქვს.

ფერაძე განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება „ხელოსნობისა“ და „გოგონებით პრაქტიკული მეცადინეობის“ საკითხებზე, ყოველმხრივ განიხილავს მათ, როგორც შრომითი აღზრდის ძირითად საშუალებას.

მოზარდი თაობის შრომითი აღზრდის საშუალებებზე ვრცლად მსჯელობს ლ. ბოცვაძე. შრომითი აღზრდის ამოცანის განხორციელების საუკეთესო საშუალება, მისი აზრით, სკოლაში ხელგარჯილობის სწავლებაა. იგი საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს ბავშვის ინტერესები, რომ საკუთარი ცოდნა და საერთოდ შესაძლებლობანი თითონვე გამოიყენოს სასწავლო პრაქტიკაში, თავისი ინიციატივით შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო. „ვერსად ბავშვი ისე ადვილად ვერ იჩენს საკუთარ ინიციატივასა და მხატვრულ შმოქმედებას, როგორც ხელგარჯილობაში“. ხელგარჯილობა აყვარებს, აჩვევს ბავშვს შრომასა და წვრთნის მას“.

ხელგარჯილობის სწავლების შესახებ მსჯელობს ბოცვაძე და ხაზს უსვამს, რომ ხელგარჯილობის სწავლებას ვიწრო პრაქტიკულ-უტილიტარული მიზანი არა აქვს, რადგანაც არაა საჭირო ბავშვის ნაადრევი სპეციალიზაცია და მისი ვიწრო საქმიანობით გატაცება. იგი ხელოსნური სწავლების სასტიკი წინააღმდეგია: „სკოლა ხელგარჯი-

ლობის სწავლებით, –წერს იგი, –ახორციელებს წმინდა აღმზრდელობით, პედაგოგიურს მიზანს, აერთებს სხვადასხვა საგნების ცოდნას (არითმეტიკა, გეომეტრია, ფიზიკა) პრაქტიკულ მუშაობასთან“ [7, გვ. 93]. ხელგარჯილობა, როგორც შრომითი აღზრდის განხორციელების ერთ–ერთი საშუალება, ზრდის ბავშვის ფიზიკურ და სულიერ ძალებს და ხელს უწყობს მისი პიროვნების აღზრდას. ხელგარჯილობა არის „საშუალება, ხერხი გონების, ნებისყოფის და ესთეტიკური გრძნობის აღზრდისა. იგი ხელს უწყობს გონებრივს განვითარებას, აზროვნების სინამდვილეს ძალასა ჰმატებს, ნებასა და ესთეტიკურს გრძნობასა ზრდის, ავითარებს“.

განსაკუთრებით ვრცლად განიხილავს ლ. ბოცვაძე მოზარდი თაობის მიერ შრომითი ჩვევების შექმნისათვის ბაღ–ბოსტნებში ბავშვების მუშაობის, „ბაღოსნობის“ საკითხებს. იგი ამის მხურვალე მომხრეა, მრავალგზის ასაბუთებს კიდევ მას და თავის ცნობილ წერილში – „აღმზრდელობითი მნიშვნელობა სკოლის ბაღებისა“ – შემდეგ ძირითად დებულებას აყენებს: „ყველამ იცის, რომ ბაღოსნობას ფრიად დიდი და საუკეთესო გავლენა მოაქვს ადამიანის ფიზიკურს, გონებრივის და სულიერს მხარეზე. ყველაზედ უფრო აღმზრდელობითი და საღი გავლენა ბაღოსნობას მოზარდ თაობაზე მოაქვს. ამიტომაც განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის მისწრაფება, რომ ყველა სკოლას ჰქონდეს თავისი საკუთარი ბაღი და ბოსტანი“ [5, გვ. 516]. ამ წერილში იგი იძლევა სასკოლო მიწის ნაკვეთზე მოსწავლეების მუშაობის დაწვრილებით მეთოდიკას და უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს.

ლ.ბოცვაძის აზრით, შრომით სწავლებას დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. შრომის სკოლის შექმნა აუცილებელია იმის გამო, რომ ამას მოითხოვს ცხოვრება, თვით ბავშვის ბუნება. გ. კერშენშტაინერის, ვ. ლაისა და ჯ. დიუისგან განსხვავებით, იგი არ უარყოფს სისტემურ სწავლებას. აუცილებლად მიაჩნდა სისტემური ცოდნის შენარჩუნება და, ამავე დროს, ბავშვის აქტივობისათვის ფართო გასაქანის მიცემა. მათგან განსხვავებით, შრომითი აღზრდის მიზანი მისი აზრით, მარტო პროფესიული მომზადება კი არ იყო, არამედ აღსაზრდელის შრომითი ჩვევების, შრომის უნარის გამომუშავება. ერთი სიტყვით,საჭიროდ თვლიდა სწავლების შეერთებს შრომასთან.

ცნობილი ქართველი პედაგოგი ა. ჭიჭინაძე შრომის შეტანას სწავლების პროცესში განიხილავდა, როგორც სწავლების მეთოდს. მისი აზრით, „ყოველი საგნის სწავლება უნდა წარმოებდეს იმგვარად, რომ როგორც უხსნიან მოსწავლეს,ყოველივე ამა თუ იმ სახით, რამდენადაც კი შესაძლებელია, განსახიერებული, ნივთიერად გამოხატული იქნეს მოწაფის შრომით. ამისთვის ფრიად საჭიროა დაარსებული იქნეს სასწავლებელში ხელგარჯილობის კლასი... გამოსახვა ამა თუ იმ ნივთიერის, საგნის ან განხორციელება

რომელიმე წარმოდგენისა აუცილებლად მოითხოვს მოფიქრებას, მოსაზრებას, რაიცა დაუკვირებლად, შეუდარებლად შეუძლებელია. ამ მოფიქრება-მოსაზრების დროს სულიერად ვითარდება მოწაფე. იგი იჩენს ყურადღებას საგნისადმი, ავარჯიშებს მეხსიერებას და სხვადასხვაგვარ გრძნობათა“ [201, გვ. 295].ა. ჭიჭინაძის შეხედულებით, სწავლების შეერთება შრომასთან აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

დიმიტრი უზნაძის მიხედვით, სასკოლო ცოდნის ათვისების პროცესში ახალგაზრდობა სულ უფრო დაშორდა პრაქტიკული ცხოვრების მორევს. სამეურნეო ცხოვრების განვითარების კვალობაზე ოჯახმა დაკარგა ბუნებრივი საწარმოო სფეროს ფუნქცია და მწარმოებლური ფუნქცია, რომელმაც წარმოებებსა და სახელოსნოებში გადაინაცვალა. მოზარდს ავტომატურად ფეხქვეშ გამოეცალა ეს ნიადაგი და იგი მარტო დარჩა სკოლაში თეორიული ცოდნის ამარა. არადა, ცოდნა ხალხს სჭირდება იმისათვის, რომ ადვილად და უმტკივნეულოდ განავითაროს ცხოვრება. უზნაძეს მიაჩნია, რომ ცოდნა და ხასიათის აღზრდა იყოს ერთმანეთთან მუდმივ კავშირში, რადგან ხასიათი ყალიბდება და იჭედება შრომაში, პრაქტიკის პროცესში.

დიმიტრი უზნაძის ამოსავალ პუნქტს შეადგენს ის, რომ ადამიანის გონება, გრძნობა და ნებისყოფა დამოუკიდებლად თავისთავად როდი იზრდებოდა, არამედ გამდიდრება და განვითარება ყოველთვის შრომის მოთხოვნილებათა საფუძველზე ხდებოდა. შრომა აუცილებელი მოთხოვნილება იყო ადამიანისა. ამ საკითხებთან დაკავშირებით იგი ეხება კერძენშტაინერისა და დიუის შეხედულებებს შრომითი სწავლების საკითხებთან დაკავშირებით.

დ. უზნაძის პედაგოგიურ საქმიანობაში შრომისათვის სათანადო ადგილის დათობა სასწავლო-აღზრდებლობითი მუშაობის საერთო სისტემაში მნიშვნელოვან პედაგოგიურ ღონისძიებად იყო მიჩნეული. ის შრომას აღიარებდა სწავლების ეფექტურ მეთოდად და აღზრდის საუკეთესო საშუალებად. მაგრამ მის შემოქმედებაში ჩვენ ვერ მივაკვლიეთ რა სახე უნდა მიეღო შრომით აღზრდას სასკოლო სისტემაში, როგორი უნდა ყოფილიყო მისი შინაარსი, ფორმები და მეთოდები.

დიდ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ავტორთა დებულება იმის შესახებ, რომ შრომითი აღზრდის მიზანი სახელოსნო სწავლებისაგან განსხვავებით კი არ გულისხმობს ადამიანის მომზადებას ამა თუ იმ განსაზღვრული პროფესიისათვის, არამედ ითვალისწინებს შრომითი მონაწილეობით შესძინოს ბავშვებს ის ჩვევები, რომლებიც საჭიროა ყოველი სახის შრომაში მონაწილეობისათვის.

ივანე როსტომაშვილის აზრით, „არსებული სკოლა თუმცა წიგნიერი არის, მაგრამ სიტყვიერია. ჩვენ კი გვწადიან, რომ სწავლა შრომისაც იყოს. როგორც იშრომე და იცხოვრე-არის ცხოვრების ჭეშმარიტი დედააზრი, სწორედ ასევე გვინდა, რომ იშრომე და ისწავლე იქცეს ყოველი სახალხო სკოლის დედააზრად, მის დედაბოძად“ [127, გვ.

246]. ბავშვის გადაღლილობის თავიდან ასაცილებლად მას შესაძლებლად მიაჩნდა სკოლებში შემოეტანათ: ა. სამეურნეო-სატექნიკო საგვები; ბ. საკლასო მეცადინეობის საათების შემცირება; გ. გამოცდების არსებული წესის გაუქმება და მისი სრულად მოსპობა; დ. კლასიდან კლასში მოსწავლეთა გადაყვანა თითოეულ საგანში ბავშვის წარმატების მიხედვით და სხვა“ [128, გვ. 241].

ამრიგად, 1918-1921 წლების ქართული პედაგოგიკური აზრის წარმომადგენლები შრომითი აღზრდისა და სწავლების საკითხების განხილვაში ემყარებიან გ. კერშენშტაინერის, ვ. ლაის. და ჯ. დიუსის იდეებს. მიუხედავად ამისა, მათ მექანიკურად არ გადმოუტანიათ შრომითი სწავლების იდეები ქართულ სკოლაში. პირიქით, კრიტიკულად მიუდგნენ მათ მიერ გამოთქმულ ზოგიერთ შეხედულებას. კერძოდ, მათგან განსხვავებით ისინი აღიარებდნენ ზოგადი განათლების მნიშვნელობას, სისტემატური სწავლების აუცილებლობას, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას.

§ 2. დიდაქტიკური იდეები

დიდაქტიკური საკითხების გაცნობა 1918–1921 წლების პედაგოგიკაში გვარწმუნებს, რომ მისი ამოსავალი წყარო ქართული დიდაქტიკური აზროვნებაა, კერძოდ, იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკური მემკვიდრეობაა. ამ პერიოდის პედაგოგიკა იცავს და ავითარებს ამ მემკვიდრეობას.

დიდაქტიკის ზოგადი საფუძვლებიდან იმდროინდელ პედაგოგიკაში განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა განათლების თეორიის პრობლემა, სწავლების აღმზრდელიობითი ხასიათი და სწავლების პროცესში მოსწავლეთა ბუნებრივი თავისებურებების გათვალისწინების პრინციპი, ასევე, სწავლების დიდაქტიკური პრინციპები, სწავლების შინაარსი და სწავლების მეთოდები.

20-იანი წლების პედაგოგიკურ ლიტერატურაში ძირითადად ერთმანეთის საპირისპირო ორი უკიდურესად ცალმხრივი–ფორმალური და მატერიალური განათლების თეორია ჩამოყალიბდა. ამ ორ თეორიას შორის მეცნიერულ–პედაგოგიკურ ბრძოლას საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა შვეიცარიელმა პედაგოგმა პესტალოციმ, რომელიც თავისი „სწავლების ელემენტარული თეორიით“ ფორმალური განათლების თეორიის ძირითად პრინციპს ქადაგებდა.

ფორმალური განათლების თეორიის მიხედვით, ძირითადი ამოცანაა ბავშვის აზროვნების უნარის განვითარება და არა ფაქტობრივი ცოდნით მისი გონების გამდიდრება. სასკოლო სწავლების პერიოდში შეუძლებელია ბავშვმა შეიძინოს ყველა ის ცოდნა, რომელიც საჭირო იქნება მისთვის ცხოვრებაში. თუკი კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის შექმნა სკოლაში მოუხერხებელია, მაშინ საჭიროა ზრუნვა ელემენტარული განათლების მიცემისა და აზროვნების უნარის იმ ზომით განვითარებისათვის, რომ სკოლიდან გასვლის შემდეგ შეეძლოს ბავშვს ცხოვრებაში მისთვის საჭირო ცოდნის დამოუკიდებლად შეთვისება.

მატერიალური განათლების თეორია, კი პირიქით უგულვებელყოფს ბავშვის შემეცნებითი ძალებისა და, კერძოდ, აზროვნების უნარის განვითარებისათვის ზრუნვის საჭიროებას და სკოლის უმთავრეს ამოცანად ბავშვის გონების რაც შეიძლება ბევრი ფაქტობრივი ცოდნით გამდიდრებას აცხადებს. სასწავლო მასალის შერჩევის ძირითად კრიტერიუმად ეს თეორია ცხოვრებაში ცოდნის გამოსადეგობის პრინციპს აყენებს. აქედან გასაგებია თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული პედაგოგიკის მიერ მატერიალური განათლების თეორიის ძირითადი დებულების გამოყენება.

ფორმალური განათლების თეორიას ეყრდნობა კლასიკური განათლების თეორია, ხოლო მატერიალური განათლების თეორიის საფუძველზე შენდებოდა რეალური განათლების თეორია.

როგორი იყო იმდროინდელ საქართველოში პედაგოგიური განათლების მესვეურთა პოზიცია ამ საკითხში?

1918–1921 წლების განათლებაში ავტორთა ნაწილი ფორმალური განათლების თვალსაზრისზე დგას და კლასიკური განათლების სისტემას უჭერს მხარს, მეორე კი – მატერიალური განათლების თეორიას იზიარებს და რეალური განათლების მომხრეა. ზოგიერთი შუა პოზიციაზე დგას. სურს ამ ორი უკიდურესად ცალმხრივი თეორიის ძირითადი დებულების შეერთებით მონახოს საკითხის გადაწყვეტის ჭეშმარიტი გზა, მაგრამ მაინც აშკარად იგრძნობა რომელიმე თეორიისადმი მისი სიმპათია. ამ სამი თვალსაზრისიდან რეალური განათლებისათვის სწავლების შინაარსის საბუნებისმეტყველო საგნების წინა პლანზე წამოწევის ტენდენციას უჭირავს გაბატონებული ადგილი.

ავტორთა ერთი ნაწილი ცდილობდა შეერიგებინა ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება. ისინი ამ შუა ხაზის გამოძებნაში ხედავდნენ ჭეშმარიტებას.

ი. ნაკაშიძე თავის წერილში – „ბუნებისმეტყველთა და ექიმთა კრებაზე“ – საჭიროდ ცნობს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული საგნების შეთანხმებას, სწავლების პროცესში მათი ხვედრითი წონის ზუსტად განსაზღვრას, რადგან იგი როგორც ცხოვრებაში გამოსადეგი ფაქტობრივი ცოდნის მარაგით გამდიდრების, ისე აზროვნების უნარის განვითარების ამოცანას აყენებს.

ასეთივე მოსაზრებებია გამოთქმული დ. თურდოსპირელის წერილში – „საბავშვო წიგნების გამოფენა კიევში“, მ. კაკაბაძის „ბ–ნ არჯევანიძის სკოლა წალვერის ტყეში“, ლ. ბოცვაძის „საკითხი საშუალო სკოლების შესახებ გერმანიაში“ და სხვა სტატიებში, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ფორმალური და მატერიალური, კლასიკური და რეალური განათლების თეორიებს შორის საშუალო პოზიციის დადგენის ცდას.

ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპი. ეს პრინციპი კლასიკური პედაგოგიკის ისტორიაში ცნობილია ბუნებისშესაბამისობის პრინციპის სახელწოდებით. ბუნებისშესაბამისობის გაგების საკითხში ძირითადად სამი თვალსაზრისი შეიმჩნევა.

რას გულისხმობს, საერთოდ, ბუნებისშესაბამისობის პრინციპი? იგი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ როგორ აიგოს სწავლა–აღზრდის პროცესი: დაექვემდებაროს იგი ბავშვის ან ბუნების განვითარების კანონზომიერებას, თუ ორივეს ერთად?

ზოგიერთი ავტორის თვალსაზრისით, ბუნებისშესაბამისობა არის სწავლა–აღზრდის პროცესის დაქვემდებარება ბავშვის ბუნებისადმი. მეორე ჯგუფი ასეთად გარემოს აცხადებდა, ხოლო მესამე–ბავშვის, ასევე ბუნების კანონებისადმი დაქვემდებარებას ცნობდა. ბავშვის ბუნების, ფსიქიკურ–ფიზიკური განვითარების აღზრდის პროცესში გათვალისწინების აღიარება შედარებით გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის.

როგორაა წარმოდგენილი ბუნებისშესაბამისობის პრინციპი 20–იანი წლების პედაგოგიკაში? პედაგოგიკის მეცნიერების განვითარების დონის შესაბამისად სწორადაა გაგებული ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური განვითარების, მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების აღზრდის პროცესში გათვალისწინების პრინციპი: „პედაგოგიკის ერთ უმთავრეს მიზანს ყოველთვის შეადგენდა სწავლების მეთოდების შეფარდება ბავშვის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებთან“, – წერს მ. მარკოზაშვილი წერილში – „სასკოლო სისტემა მანგეიმში“. ან კიდევ: „სწავლების მეთოდი, მეცადინეობათა ხანგრძლივობა, შინ დასასწავლ გაკვეთილთა რაოდენობა უნდა შეფარდებულ იქნას მოწაფის ასაკსა და გონების ნიჭთან“ [181, გვ. 588]. სწავლების პროცესში ბავშვის ფსიქიკურ თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობის

დასასაბუთებლად ლ. ბოცვაძე იყენებს ცნობილ შედარებას: „ბავშვის გონება და მეხსიერება ისეთი ჭურჭელი არ არის, რომლის ავსებაც ყველაფრით შეიძლებოდეს. პირიქით, ეს ჭურჭელი ძლიერ ჭირვეულია, იშვიათად სტოვებს შიგ იმას, რაც შეუფერებელია, ან იღვრება უთავბოლოდ, ან ძირს დაილექვს, მძალდება და ჭურჭელსაც აშმორებს. ამიტომ დიდი სიფრთხილეს საჭირო, რომ ბავშვს უდროოდ და უწესრიგოდ არა მივაწოდოთ რა, რასაც მისი გონება და ფსიქოლოგია ვერ ურიგდება“ [8, გვ. 67].

ბავშვის ბუნებისადმი სწავლებისა და აღზრდის პროცესის არა დაქვემდებარება, არამედ მისი გათვალისწინებაა მიჩნეული ბუნებისშესაბამისობის პრინციპების ამოსავალ დებულებად.

აღზრდის ეს პრინციპი განსაკუთრებულად მსჯელობს ბავშვის გარემომცველ პირობებზე, იმ გარემოზე, რომელიც მოქმედებს ბავშვზე და გარკვეულ გავლენას ახდენს მისი ამა თუ იმ მიმართულებით ჩამოყალიბებაზე. ამიტომ, შეუძლებელია აღზრდის პროცესი არ ითვალისწინებდეს გარემოს იმ თავისებურებებს, რომელში ყოფნაც უხდება ბავშვს: „ბავშვი ჩნდება ქვეყანაზე, ცხოვრობს, იზრდება თავის ქვეყანაში, თავისიანებში. იმის გარემოა ხალხი, ცნობები, ზნე-ჩვეულებანი და საზოგადოდ მთელი ცხოვრების სახე, აწმყო და მომავალი, ადგილი და ყველა მისი ბუნებრივი სიმდიდრე ... ამასთან ერთად ხდება ბავშვის სულიერი განვითარებაც, ე. ი. თანდაყოლილი ნიჭი ვარჯიშობაშია გარეგან შთაბეჭდილებათა მიღებით და შეგნებით და ამ ვარჯიშობასაც შედეგად მოჰყვება განვითარება“, – წერს ლ. ბოცვაძე „აკაკის პედაგოგიური აზრების მოკლე მიმოხილვაში“.

განსხვავებული შეხედულებების მატარებელია ივანე როსტომაშვილის შრომები. იგი სავსებით იზიარებდა პრაგმატიკების შეხედულებებს და სწავლების მეთოდების საფუძვლად ბავშვთა ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამოსვლისა და ცოდნის გადაცემის პროცესში „ბავშვის ბუნების წინაშე“ ქედმოხრის შესახებ. მისთვის „სრულად დასაშვები იყო ცალკეულ სასწავლო საგანში ერთი და იგივე მოსწავლის სხვადასხვა კლასში სწავლება, რადგანაც მომავალ სკოლებში შემოღებული უნდა ყოფილიყო. ე. წ. „საგნობრივი კლასები“, რაც უზრუნველყოფდა ბავშვთა „ინდივიდუალური სწავლების წესის“ განხორციელებას“ [137, გვ. 240].

ამრიგად, როსტომაშვილი საქართველოში გვევლინება პედაგოგიკური აზროვნების ინდივიდუალისტური მიმართულების ერთ-ერთ წარმომადგენლად.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ქართული პედაგოგიკური აზრის წარმომადგენლები იზიარებდნენ შეხედულებას სწავლების პროცესში ასაკობრივ და

ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების შესახებ. ამის ერთ-ერთ დადასტურებას წარმოადგენს მაშინდელი პედაგოგიკური აზრის დამოკიდებულება ქართულ ენაზე გამოცემულ ახალ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. თითქმის ყველა სახელმძღვანელო წიგნი, რომლებიც 1918-1921 წლებში გამოვიდა, ეფუძნება მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარებისა და ცოდნის დონესთან მისი შესაბამისობის აღიარებას.

დიდაქტიკური პრინციპები. 20-იანი წლების პედაგოგიკაში დიდაქტიკურ პრინციპთაგან წინა პლანზეა წამოწეული: ა) თვალსაჩინოების პრინციპი; ბ) შეგნებულობისა და აქტივობის პრინციპი; გ) სისტემატურობის და თანამიმდევრობის პრინციპი. თითოეული მათგანი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვისათვის.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა **თვალსაჩინოების დიდაქტიკურ** პრინციპს. კერძოდ, „ინტენსიურ თვალსაჩინოებას“, რომელიც დიმიტრი უზნაძემ შემოიტანა ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში და იგი გულისხმობს, რომ სწავლებაში საჭიროა როგორც თვით საგნის, ისე მისი მიმართების თვალსაჩინოება. დიმიტრი უზნაძის მიხედვით, თვალსაჩინოების ასეთი გაგება ძალზე აფართოებს მის პედაგოგიურ მნიშვნელობას, რადგან იგი ცალკეული საგნის ნათელი წარმოდგენის დადგენასთან ერთად აბსტრაქტული აზროვნებით დადგენილ მიმართებათა გათვალისწინებასაც ახდენს. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ექსკურსიების მოწყობას, განსაკუთრებით კი ბუნების შემსწავლელ ექსკურსიებს. სკოლაში თვალსაჩინო სწავლების განხორციელებისათვის საჭიროდ იყო მიჩნეული, აგრეთვე, მოსწავლეთა მიერ კოლექციების შეგროვება.

შეგნებულობისა და აქტიურობის დიდაქტიკური პრინციპი. ეს პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია დიდაქტიკაში. მასწავლებელს ევალებოდა, რომ მოსწავლისგან მოეთხოვა სასწავლო მასალის არა უწყესრიგო, დაზეპირებული და ზერელე ცოდნა, არამედ გადაცემული მასალის გაცნობიერება, გააზრება, საგნის შესახებ დასკვნებისა და განზოგადობათა უნარ-ჩვევების შექმნა. ამ პრინციპის განხორციელებისათვის მიჩნეული იყო სხვადასხვა სასწავლო ხერხების მარჯვე გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობდა მოსწავლეებში ცოდნის დაუფლებას მოთხოვნილებისა და ინტერესების აღძრვას, სასწავლო პროცესისადმი პრობლემური ხასიათის მინიჭებას. აუცილებელი იყო მოსწავლეები მიეჩვიათ დამოუკიდებლად გააზრებული პასუხის გაცემას. იმას, რომ თვითონაც დესვათ კითხვები. კითხვები იბადება მაშინ, როცა გაკვეთილი გაგებულია და გააზრებული, მაგრამ მოსწავლეებს სურთ უფრო ღრმად სრულად გაიაზრონ მისი ცალკეული დეტალები.

სისტემატურობისა და თანმიმდევრობის დიდაქტიკური პრინციპი. სწავლებაში სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის უზრუნველყოფა მოითხოვს მოსწავლეთა მიერ ასათვისებელი მასალის ლოგიკისა და სისტემის ღრმა გააზრებას, რაც ჩადებულია ასათვისებელ ცოდნაში. უფრო ზუსტად, იგი ნიშნავს ისეთი ლოგიკური კავშირის განხორციელებას, რომელიც უნდა არსებობდეს არა ცალკეულ თემათა, არამედ მათ საკითხთა შორისაც. ცხადია, ამ წესით უნდა ითვისებდნენ მოსწავლეებიც მასალას. ყოველივე ამასთან ერთად აუცილებელია ცოდნის შინაგანი ლოგიკური ბუნების დაცვა. სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი სწორედ ცოდნის შეგნებულად შეთვისების აუცილებელი პირობაა. სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია ცოდნის შეგნებულად შეთვისება. განათლების სამინისტრო მასწავლებლებისგან მოითხოვდა სწავლების შემდეგი წესების დაცვას: ახლობელიდან – შორეულისაკენ, მარტივიდან – რთულისაკენ, ადვილიდან – ძნელისაკენ, კონკრეტულიდან – აბსტრაქტულისკენ, კერძოდან – ზოგადისაკენ დიდაქტიკური პრინციპების დაცვას. რადგან თანმიმდევრული სწავლება აადვილებს სასწავლო მასალის კავშირის გაცნობიერებას, ათვისებული ინფორმაციის ლოგიკურ მოწესრიგებას, ანუ დასისტემებას მოწაფის ცნობიერებაში.

აღმზრდელობითი სწავლება. ძველი სკოლის მთავარ ნაკლად მიჩნეული იყო სწავლების მოწყვეტა აღზრდისაგან. სწავლებისა და აღზრდის ამგვარი გათიშვის წინააღმდეგ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ივ. როსტომაშვილმა. იგი სწავლა-აღზრდის ერთიანობის პრინციპს იცავდა. მისი შეხედულებით ყოველი გაკვეთილი აღმზრდელობითი ხასიათის მატარებელი უნდა იყოს, ისევე როგორც ყოველი აღმზრდელობითი მოქმედება სწავლების ელემენტებს უნდა შეიცავდეს. მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ: „სწავლა და აღზრდა ორი განუყოფელი საგანია. ყოველი მასწავლებელი იმავე დროს აღმზრდელიც არის, ყოველი გაკვეთილი ასეთის მასწავლებლისა იმავე დროს სააღმზრდელო მიზნებსაც ემსახურება“ [127, გვ. 246].

სწავლების შინაარსი. სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ზოგადად სწავლების შინაარსს, რასაც თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღზრდის მიზნის განხორციელებისათვის.

სასწავლო გეგმის აგების პრინციპები თავმოყრილია ლ. ბოცვაძის ვრცელ წერილში – „სახალხო სკოლის პროგრამის ზოგადი ახსნა-განმარტება“. 1919 წელს დაწერილ ზემოდასახელებულ წერილში იგი ხაზს უსვამს გეგმის აგების შემდეგ ძირითად პრინციპებს: 1. საჭიროა გავითვალისწინოთ სახალხო სკოლის საერთო მიზანი და ის ძირითადი პრინციპები, რომელზედაც უნდა ემყარებოდეს ხალხის განათლების საქმე ჩვენში“; 2. „ცხოვრებას ხშირად ახალ-ახალი პირობები მოაქვს, სასკოლო პროგრამაც ამ პირობებს უნდა შეეგუოს და ამის მიხედვით უნდა იცვლებოდეს კიდეც“;

3. „ხელი უნდა შეუწყოს მოწაფის პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას... როცა სწავლებას მიზნად მოწაფის ყოველმხრივი განვითარება აქვს დასახული და იგი მოწაფის თვითმოქმედებისა და თვალსაჩინოების პრინციპს ემყარება, რასაკვირველია, სასწავლო საგნების სხვანაირი დანაწილებაა საჭირო, ვიდრე დღემდე იყო“; 4. „თუმცა პროგრამა (მის მიერვე შედგენილი გეგმა) დგება ცალკე საგნების მიხედვით, მაგრამ შეუძლებელია, რომ ერთი საგნის ფარგალი განცალკევებული იყოს მეორე საგნისაგან. საზოგადო სწავლების დროს ერთიანობის დარღვევა დიდ ნაკლს შეადგენს სკოლისას“; 5. „სხვადასხვა ცოდნა ერთმანეთს უნდა ავსებდეს და ამუქებდეს ... თითოეული საგანი დაახლოებული უნდა იყოს როგორც ცხოვრებასთან, ისე სხვა საგნებთანაც“ [17, გვ. 34–54]. სახალხო სკოლის (ოთხწლიანის, ექვსწლიანის, რვაწლიანის) გეგმას უნდა ყოველმხრივი აღზრდის უზრუნველყოფა მიზნის შესაბამისად, ზოგადი განათლების მიცემა მოსწავლეებისათვის. მართალია, იგი მოსწავლეებს პრაქტიკული ცხოვრებისათვის უნდა ამზადებდეს, მაგრამ სახალხო სკოლის მოსწავლეები არ არიან სპეციალისტები შრომისა ან თუ იმ დარგში. მოსწავლეები უნდა იძენდნენ მეცნიერულ ცოდნას და ისეთ ჩვევებს, რაც საჭიროა ყოველი ადამიანისათვის, რომელი სპეციალობაც უნდა აირჩიოს მან სკოლის დამთავრების შემდეგ. ზოგადი განათლება ისეთი საიმედო საფუძველია, ურომლისოდ არ იქნება არც კარგი ხელოსანი, არც კარგი ექიმი, არც იურისტი და არც მეცნიერი“ [16, გვ.13]. ამასვე ადასტურებს ალექსი ჭიჭინაძის სიტყვებიც: „ამგვარი აღზრდა არის მიზანი ზოგადი განათლებისა და ამ მიზნისაკენ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი საშუალო სასწავლებლების მოღვაწეობაც.“

სასწავლო პროგრამა. სასწავლო პროგრამა სამართლიანადაა მიჩნეული ისეთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული სკოლის წარმატება.

პროგრამა უშუალოდ უნდა ემსახურებოდეს აღზრდის ზოგად მიზანს; მისი გათვალისწინება აუცილებელ პრინციპადაა მიჩნეული. სხვაგვარად შეუძლებელიც არის, რადგან პროგრამა გეგმის შესაბამისად დგება და ორივეს ზოგადი მიზანიც, ცხადია, საერთოა, რის გამოც მათი აგების პრინციპები რიგ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ასეთია პროგრამის შედგენისას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების პრინციპის გათვალისწინება, რადგან ფსიქიკურ–ფიზიკური თავისებურების საჭიროებისამებრ გაუთვალისწინებლობა იწვევს „მასწავლებლისა და მოსწავლეების შრომის დამძიმებას“. ასაკობრივ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობის შედეგადაა მიჩნეული პროგრამების სასწავლო მასალით ისე გადატვირთვა, რომ შეუძლებელი ხდება მოსწავლეთა მიერ მასალის შეგნებულად შეთვისება.

ია ნარიძე (ილია გოგია) წერილში – „ქართული ენის ბედი“ – ხაზს უსვამს კონცენტრიული წესის დაცვის აუცილებლობას, „რომ მეორე პროგრამა შეადგენდეს პირველის გაგრძელებას, ან მის კონცენტრიულ საფეხურს“.

ავტორები სწორად ასკვნიან: ცალკეული საგნების პროგრამებს შორის აუცილებელია მტკიცე კავშირი, მაგრამ ამავე დროს არ უნდა ირღვეოდეს მათი დამოუკიდებლობა და სპეციფიკურობა. სავსებით მართებულად წერს პროფ. გ. თავზიშვილი, რომ ბოცვაძეს „უარყოფილი აქვს ძველი საგნობრიობა სწავლებაში, როგორც ისეთი მეთოდი, რომელიც სქოლასტიკის ნიადაგზე იყო წარმოშობილი და საგნის იზოლირებულ სწავლებას მოითხოვდა. მას შეგნებული აქვს, რომ ახალი სკოლა და ახალი პროგრამები, რომლებიც მეცნიერული ცოდნის გავრცელებას უნდა ემსახურებოდნენ, ისეთ საგნობრივ მეთოდს მოითხოვს, რომელიც შეასწავლის მოწაფეს სხვადასხვა მეცნიერულ დისციპლინებს მათ თავისებურებათა ნიადაგზე და ამასთანავე დაამყარებს მათ შორის სათანადო ბუნებრივ კავშირს“ [91, გვ. 61].

ჟურნალში ვრცლადაა დახასიათებული სახალხო სკოლის ყველა საგნის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მხარე და წამოყენებულია პროგრამის შედგენისას მისი ზუსტად გათვალისწინების მოთხოვნა. გაშუქებულია მასწავლებლის მოვალეობა და ვალდებულება პროგრამის ზუსტად დაცვასა და განხორციელებაში.

სწავლების მეთოდები. დიდაქტიკაში საყოველთაოდ ცნობილია სწავლების მეთოდების დიდი მნიშვნელობა სასწავლო ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში. სწავლების პროცესი შეუძლებელია მიმდინარეობდეს რაიმე მეთოდის გამოყენების გარეშე, მიუხედავად იმისა, შეგნებული აქვს თუ არა მასწავლებელს იგი. სწორედ ამიტომ არის, რომ სწავლების მეთოდების ისტორია სწავლების ისტორიას ემთხვევა.

20-იანი წლების პედაგოგიკაში ავტორებს სწავლების მეთოდად მიაჩნიათ ის გზები, ხერხები და საშუალებები, რომლებსაც სწავლების პროცესში მასწავლებელი იყენებს დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. სწავლების მეთოდის ასე გაგება სავსებით კანონზომიერია, რადგან მასში ათვისებულია კლასიკური პედაგოგიკური მემკვიდრეობა, რომელშიც სწავლების მეთოდის ცნების ამ თვალსაზრისით გადაწყვეტას საკმაო ხნის ისტორია აქვს.

სწავლების მეთოდთა შესახებ, რომელიც გამოიყენებოდა 1918-1921 წლების ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში, საკმაოდ დაწვრილებით გვქონდა საუბარი წინა პარაგრაფებში, ამიტომ ავლნიშნავთ მხოლოდ, რომიმდროინდელ პედაგოგიკაში წინა პლანზე წამოწეული და მკაფიოდ დასაბუთებულია მეთოდთა შერჩევის სამი ძირითადი

პირობა: ბავშვის ასაკობრივ და ბუნებრივ თავისებურებებთან შესაბამისობა (აქვეა ნაგულისხმები მოსწავლეთა ცოდნის დონე), შემოქმედებითი უნარის განვითარების უზრუნველყოფა და ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის განვითარება. ამავე დროს უარყოფილია სწავლების რომელიმე მეთოდის უნივერსალურ მეთოდად გამოცხადება და მისაღებად არის მიჩნეული მეთოდთა ნაირსახეობა. სწავლების პროცესში მეთოდთა ნაირსახეობის გამოყენების აუცილებლობაზე ხაზგასმა უაღრესად დადებითი ფაქტია, საერთოდ, განსაკუთრებით კი იმ დროისათვის, როცა მეთოდთა უნივერსალიზაციის ტენდენცია საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო.

სწავლების ორგანიზაციის ფორმები. 1918-1921 წლების ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში გაჩნდა ახლებური შეხედულებები სწავლების ორგანიზაციის ფორმის შესახებ, რაზეც გავლენა იქონია დიუის, კერშენშტაინერის, პაკჰერსის და სხვათა იდეებმა. ერთნი იცავდნენ ტრადიციულ გაკვეთილს, ხოლო მეორენი მხარს უჭერდნენ საკლასო-საგაკვეთილო სისტემის გაუქმებას.

მაგალითის სახით შეიძლება აღვნიშნოთ ივ. როსტომაშვილის დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორც პროფ. ტ. სარიშვილი წერს: „ცოდნის აგება ბავშვის პირად გამოცდილებაზე და პრაქტიკაზე, ბავშვის „თვითმოქმედების“ და „აქტივობის“ საბაზით სასკოლო მუშაობის „ცენტრად“ საქმოსნური შრომის იდეალიზაცია და საკლასო-საგაკვეთილო სისტემის უარყოფა,- ასეთია როსტომაშვილის პედაგოგიკურ შეხედულებათა ძირითადი ნიშა“ [128, გვ. 241].

ცოდნის შემოწმება - შეფასება. საქართველოში მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება- შეფასების შესახებ ინფორმაცია, სამწუხაროდ, ძალიან მწირია. მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა დ. უზნაძის დამოკიდებულება სკოლიდან მოსწავლეთა ნიშნებით შეფასების განდევნის თაობაზე. ის თვლიდა, რომ ნიშანი უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, რადგან ამ ტიპის შეფასება მოსწავლეებში იწვევდა მთელ რიგ ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ დარღვევებს, რაც მოზარდის ფსიქოსოციალური ადაპტაციის ხელისშემშლელ ფაქტორებად ითვლება. დ. უზნაძის სკოლაში მასწავლებლები ნიშნების ნაცვლად თავის რვეულებში ინიშნავდნენ მოსწავლეთა წარმატებებისა და წარუმატებლობების შესახებ ინფორმაციას. მათი გაანალიზების საფუძველზე აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს აძლევდნენ რჩევებს პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

როგორც ჩვენ მიერ მოკვლეული და შესწავლილი მასალებიდან ჩანს, უზნაძის მიერ ჩამოყალიბებული თეორია უნიშნო სწავლების შესახებ 1918-1921 წლების საქართველოს სკოლებში არ განხორციელებულა. მით უმეტეს, რომ იგი 1920 წელს საქართველოში

სასკოლო რეფორმის კომისიის თავმჯდომარე იყო, მაგრამ სკოლებში უნიშნოდ სწავლების საკითხი მას აქაც არ წამოუჭრია.

1918-1921 წლების საქართველოში მოსწავლეთა წარმატების შეფასების საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ საარქივო მასალებში და იმდროინდელ ქართულ პრესაში ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ. როგორც ზოგადად იკვეთება, მოსწავლეები ფასდებოდნენ მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნებით. მათი ყველა მიმდინარე ნიშნის საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე გამოჰყავდათ მეოთხედის ქულა. შერჩევით საგნებში ტარდებოდა გამოცდები. გამოცდის ნიშანი გავლენას ახდენდა მოსწავლის წლიურ ნიშანზე.

სავარაუდოდ ძალაში რჩებოდა შეფასების ციფრობრივი სისტემაც. 1, 2, 3, 4, 5. ცდილობდნენ გაეუქმებინათ ე. წ. „ედინიცის“, როგორც ბავშვის ღირსების დამამცირებელი და დაეტოვებინათ ოთხი ნიშანი 2, 3, 4, 5. მათგან დამაკმაყოფილებელ ნიშნად უნდა ჩათვლილიყო „3“, „4“, „5“, არადადამაკმაყოფილებლად კი – „2“.

დღევანდელი ეროვნული სასწავლო გეგმით, (2016 წლის რედაქცია), მოსწავლის შეფასების სისტემაში შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები ასეა წარმოდგენილი: 1. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლები სხარისხისმართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.

2. სასკოლო საათობრივ ბადეში უნდა აღინიშნოს როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის მე-12 მუხლით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურება (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

3. მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმით (ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.).

4. მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

სკოლაში გამოიყენება ორიტიპის შეფასება: **განმსაზღვრელი და განმავითარებელი.**

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. **განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.**

განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი,

რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

ჩვენ მიერ ქუთაისის სკოლებში მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების მეთოდებია შემაჯამებელი საკონტროლო დავალება—46%, ზეპირი გამოკითხვა—22%, წერიტი საშინაო დავალება—8%, გამოკითხულ მასწავლებელთა მეოთხედი—24% იყენებს შეფასების ისეთ მეთოდს, როგორცაა ტესტირება, ხოლო მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევის შეფასების ტიპებიდან საკუთარ პრაქტიკაში განმავითარებელ შეფასებას ანიჭებს უპირატესობას გამიკითხულთა დიდი რაოდენობა—62%, განმსაზღვრელ შეფასებას—38% [93].

მასწავლებელთა პოზიტიური დამოკიდებულება განმავითარებელი შეფასებისადმი სწორი და მისაღები მიდგომაა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. განმავითარებელი შეფასების სისტემას აქვს აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და განმავითარებელი ფუნქცია, განმსაზღვრელს კი მხოლოდ – დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დააკვირდეს მოსწავლის განვითარების პროცესს და მისი შესაძლებლობების ზუსტი სურათი შექმნას.

„შეფასების და ნიშნების წერის ყოვლისშემძლეობის მიზეზი მარტივია – მოსწავლე და მისი მშობელი ორიენტირებულია არა იმაზე, თუ რას და როგორ ასწავლიან, არამედ იმაზე, თუ რაში და როგორ აფასებენ. ასეთ ვიწრო პრაქტიკულ პრაგმატიზმში ვერავის დაადანაშაულებთ, ყველგან ასეა, ამიტომ გამოსავალი ერთია – შეფასებისა და ნიშნების წერის რეფორმა“[93].

მასწავლებელთა არც თუ მცირე ნაწილი (31%) თვლის, რომ დღევანდელ სკოლას სჭირდება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მიზნებისა და პრინციპების ძირეული ცვლილება, სწორად შერჩეული და დამუშავებული შეფასების სისტემა და რომ შეფასების მეთოდები, კომპონენტები უნდა შემუშავდეს არა მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად.

როგორც ვხედავთ, მოსწავლეთა შეფასების სისტემას პრობლემები ჰქონდა უწინ და აქვს ახლაც. ფაქტობრივად, ძველ სისტემას ცვლილებები არ განუცდია, თუ არ ჩავთვლით შეფასების 5 ბალიანი სკალიდან 10 ბალიან სკალაზე გადასვლას. ზოგადად სკოლას სჭირდება სწორად შერჩეული, მოზარდის ფსიქოსოციალური ადაპტაციის ხელშემწყობი, მის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული შეფასების სისტემა. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები უნდა შემუშავდეს არამხოლოდ სასწავლო

გეგმის მოთხოვნათა მიხედვით, არამედ მოსწავლეთა პიროვნული, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

ზოგადი დასკვნები

ჩვენ ხელთ არსებული საარქივო, სამუზეუმო, სამეცნიერო და პრესის მასალების შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე ჩატარებული კვლევების შედეგად დავადგინეთ:

1. 1901–1917 წლებში ქართველი ხალხის ეროვნულ–დემოკრატიული თავისუფლებისათვის ბრძოლის ფონზე მთელი სიმძაფრით გამოიკვეთა მთავარი–ზრუნვა მეცნიერულ–პედაგოგიკურ პრინციპებზე დაფუძნებული ეროვნული სკოლის შექმნა–ჩამოყალიბებისათვის.
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918– 1921), ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან ერთად, ქართულმა ენამ თავისი ძველი და ბუნებრივი მდგომარეობა–სახელმწიფო ენის სტატუსი დაიბრუნა. სწავლა კვლავ მშობლიურ – ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.
3. გაეროვნულების საწყისებზე მყოფი ქართული პედაგოგიური სკოლის წარმომადგენლები პრინციპულად მოითხოვენ საქართველოში არსებულ ქართულ სკოლებში დედაენაზე სწავლებას, ხოლო არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების სავალდებულოდ შემოღებას.
4. 1918-1921 წლებში ქართული პედაგოგიკური აზროვნების წარმომადგენლებს სკოლის მთავარ მიზნად მიაჩნდათახალი ტიპის ქართველის აღზრდა. ამ თვალსაზრისით ისინი იზარებდნენ დ.უზნაძის შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. „ახალი ტიპის“ ქართველი უნდა ყოფილიყო მტკიცე ნებისყოფის, აქტიური, მებრძოლი, ჰარმონიული, განათლებული, მომზადებული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ისეთი სრულყოფილი ადამიანი, რომელიც იქნებოდა „ბურჯი ეროვნებისა“. მაგრამ ისტორიული კატაკლიზმების გამო ამ სისტემის განხორციელებას ბედი არ ეწერა.
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მიმართ გამოცხადებული იყო, როგორც „ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება“, რადგან იმ დროს, დოგმად ქცეული დებულების მიხედვით, დროებითი მთავრობა არ ზრუნავდა ეროვნული უმცირესობების ახალგაზრდობის აღზრდა - განათლების საკითხის მოსაგვარებლად. ჩვენ მიერ შესწავლილი მასალებიდან კი ირკვევა, რომ მთავრობამ ბევრი მნიშვნელოვანი დაგაწყვეტილება მიიღო ეროვნულ უმცირესობათა სასარგებლოდ და მათთვის რამდენიმე ახალი სასწავლებელიც გახსნა.

6. რეალობაა, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სპროცესმა ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა განათლების ხარისხის ამაღლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. სწავლების ინტერნაციონალიზაციის პრინციპი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი გამოძახილია 1918–1921 წლების დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკისა.
7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი ზრუნვის საგანს ბავშვთა და მოზარდთა სწავლა-აღზრდის განხორციელება წარმოადგენდა, მისი წარმატებით გადაჭრა კი დამოკიდებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ორგანიზაციული, სტრუქტურული და სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ახლებურად, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ევროპულად მოწყობაზე.
8. დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ ეტაპზე, 1918–1921 წლებში, უკვე ბევრი რამ შეიცვალა. ძირითადად დამთავრდა სკოლების გაეროვნულება, გაუქმდა საღვთო სჯულის სწავლება. შედგა ახალი პროგრამები. შემოღებულ იქნა ხატვა, ხელგარჯილობა, ტანვარჯიში, შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ახალი სისტემა, დაინერგა მასწავლებელთა სამუშაოზე მიღების წესები.
9. მაშინდელი ქართული მეცნიერული და პედაგოგიური აზროვნების ელიტამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სკოლებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოების შექმნის, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებისა და ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმის პროგრესულ საფუძველზე მოწყობისათვის. შეიძლება ითქვას, რომ 1918–1921 წლების ქართული სკოლის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო სახელმძღვანელოები.
10. სასწავლო პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა მოსწავლის ფიზიკური და სულიერი წრთობის საკითხებს. პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, აქტიურად ერთვებოდა სასწავლო პროცესში, იკვლევდა მოსწავლის ასაკობრივ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს და საჭირო რეკომენდაციებს აძლევდა სკოლას აღზრდის სირთულეების დასაძლევად. სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დიდაქტიკურ პრინციპებს: თვალსაჩინოება(ინტენსიური), შეგნებულობა და აქტიურობა, სიტემატურობა და თანმიმდევრობა, ცხოვრებასთან სწავლების კავშირი.
11. 1918-1921 წლების ქართული პედაგოგიკური აზრის წარმომადგენლები შრომითი აღზრდისა და სწავლების საკითხების განხილვაში ემყარებიან გ. კერშენშტაინერის, ვ. ლაის. და ჯ. დიუის იდეებს. მიუხედავად ამისა, მათ მექანიკურად არ გადმოუტანიათ შრომითი სწავლების იდეები ქართულ სკოლაში. პირიქით, კრიტიკულად მიუდგნენ მათ მიერ გამოთქმულ ზოგიერთ შეხედულებას. კერძოდ, მათგან განსხვავებით ისინი აღიარებდნენ ზოგადი

განათლების მნიშვნელობას, სისტემატური სწავლების აუცილებლობას, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას.

12. იმდროინდელი პედაგოგიკაში წინა პლანზე წამოწეული და მკაფიოდ დასაბუთებულია მეთოდთა შერჩევის სამი ძირითადი პირობა: ბავშვის ასაკობრივ და ბუნებრივ თავისებურებებთან შესაბამისობა, შემოქმედებითი უნარის განვითარების უზრუნველყოფა და ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის განვითარება. ამავე დროს უარყოფილია სწავლების რომელიმე მეთოდის უნივერსალურ მეთოდად გამოცხადება.
13. 1918-1921 წლების ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში გაჩნდა ახლებური შეხედულებები **სწავლების ორგანიზაციის ფორმის შესახებ**, რაზეც გავლენა იქონია დიუის, კერშენშტაინერის, პაკჰერსის და სხვათა იდეებმა. ერთნი იცავდნენ ტრადიციულ გაკვეთილს, ხოლო მეორენი მხარს უჭერდნენ საკლასო-საგაკვეთილო სისტემის გაუქმებას.
14. მოკვლეულია დემოკრატიული მთავრობის მიერ სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და ამ დაწესებულებებში სწავლა-აღზრდის მოწყობის პრინციპები, **ფრებელის პრინციპებზე** დაფუძნებული სწავლა-აღზრდის პროცესის მიმდინარეობა და გაკეთებულია დასკვნა, რომ საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოებასთან ერთად, საქართველოში ჩასახვას იწყებს **ეროვნული სკოლამდელი აღზრდის თეორია**.
15. ზოგადპედაგოგიკური იდეები წარმოდგენილია ისეთი კარდინალური საკითხების დასმითა და გაშუქებით, როგორცაა აღზრდის არსი, აღზრდის როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში, ბავშვის განვითარების თავისებურებანი, აღზრდის მიზანი და ამოცანები, მისი შემადგენელი ნაწილები, ოჯახური აღზრდა და სხვა.
16. 1918-1921 წლების საქართველოში მოსწავლეთა წარმატების შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ზოგადად იკვეთება, მოსწავლეები ფასდებოდნენ მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნებით. მათი ყველა მიმდინარე ნიშნის საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე გამოჰყავდათ მეოთხედის ქულა. შერჩევით საგნებში ტარდებოდა გამოცდები. გამოცდის ნიშანი გავლენას ახდენდა მოსწავლის წლიურ ნიშანზე. უნიშნო სწავლებამ ფეხი ვერ მოიკიდა. მოსწავლეთა შეფასების დღევანდელი სისტემა ცვლილებას მოითხოვს.
17. მართალია, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ სამი წელი (1918-1921) იარსება, მაგრამ მრავალი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური წინააღმდეგობისა, მაინც შეძლო მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმების გატარება და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ახვლედიანი მ., სოხაძე ნ., ალექსი ჭიჭინაძე, ქუთაისი, 2005.
2. ახვლედიანი მ., ბასილაძე ი., სოხაძე ნ., ნარკვევი განათლების ისტორიიდან ქუთაისში XIX საუკუნის და XX საუკუნის 20-იან წლებში, ქუთაისი, 2007.
3. ამონაშვილი შ., მოსწავლეთა შეფასების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქცია, ექსპერიმენტულ-პედაგოგიური გამოკვლევა, პედაგოგიკა, მოსკოვი, 1984.
4. ბარნოვი ვ., ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, რვეული პირველი, 1919, გვ. 29.
5. ბასილაძე ი., ფსიქოლოგიზმი პედაგოგიკაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის შრომები, ქუთაისი, 2007.
6. ბერულავა ნ., დიმიტრი უზნაძე, თბილისი, 1967 .
7. ბიბილეიშვილი ი., პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ბათუმი, 2011.
8. ბოცვაძე ლ., (კახაბერი), აღმზრდელობითი მნიშვნელობა სკოლის ბაღებისა, ჟურნ. „განათლება“, 1911, N 9.
9. ბოცვაძე ლ., სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება, ჟურნ. „განათლება“, 1918, N 2.
10. ბოცვაძე ლ., მეცნიერება და სახალხო განათლება, ჟურნ. „განათლება“, 1919, N 1.
11. ბოცვაძე ლ., სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება, ჟურნ. „განათლება“, 1917, N 1.
12. ბოცვაძე, სახალხო სკოლის პროგრამის ზოგადი ახსნა-განმარტება, ჟურნ. „განათლება“, 1919, N 1.
13. ბოცვაძე, ჰაერის მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის, ჟურნ. „განათლება“, 1913, N 6.
14. გაბუნია ლ., ქუთაისი დიდი საგანმანათლებლო ცენტრი“, 2006.

15. გაგუა ვლ., სახალო განათლება რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბილისი, 1974.
16. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 234.
17. გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. N 124.
18. გაზეთი „ერთობა“ 1918, N 152.
19. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 152.
20. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, იქვე, 1920, N 180.
21. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, იქვე, 1920, N 82.
22. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 157.
23. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 236.
24. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 113.
25. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 13.
26. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, N 80.
27. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, N 84.
28. გაზეთი „საქართველო“, 1918, N 133 .
29. გაზეთი „საქართველო“, 1918, N 149.
30. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 28.
31. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 109.
32. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, N 144 .
33. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1920, N 59.
34. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 10.
35. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 14.
36. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 15.
37. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 2.
38. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 2.
39. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 21.
40. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 24.
41. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 41.
42. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 103.
43. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 108.
44. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 12.
45. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 157.
46. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 181.
47. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. N 58.
48. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, N 54.

49. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, N 38.
50. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, N 78.
51. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 10.
52. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. N 263.
53. გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1918, N 14.
54. გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1918, N 52.
55. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 166.
56. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N49, გვ.11.
57. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 2.
58. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1920, N 136.
59. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 155.
60. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, N 13.
61. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. N 113.
62. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. N 229.
63. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. N 65.
64. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 162.
65. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, N 162.
66. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, N 78.
67. გაზეთი „ჩვენი მეგობარი“, 1916, N 6.
68. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 22, 1918.
69. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 86, 1919.
70. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N 157, 1919.
71. გაზეთი „სახალხო გაზეთი“, N 24, 1913.
72. გელენიძე ნ., „სერგი დანელია – ფილოსოფოსი და პედაგოგი“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პედაგოგიური ფაკულტეტი, V საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის, შრომები, ქუთაისი, 2014.
73. გენძეხაძე ი., ქუთაისის ვლ. მიაკოვსკის სახელობის პირველი საშუალო სკოლა, თბილისი, 1987.
74. გობრონიძე ა., პედაგოგიკა, ბათუმი, 2000.
75. გორგაძე ს., ჩვენი მწერლობა, ტ. 1, 1907.
76. გორგაძე ს., ჩვენი მწერლობა, ქუთაისი, 1919.
77. გურგენიძე დ., საქართველოს საბჭოთა პედაგოგიკური აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1981.

78. გურგენიძე დ., პედაგოგიური კადრების მომზადება ოციანი წლების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება, №7, 1976.
79. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016, მოქმედი რედაქცია.
80. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2016 წელი, მოქმედი რედაქცია.
81. ზამბახიძე ლ., ნიკო ნოკოლაძის პედაგოგიური იდეები, თბ. 1957.
82. ზანდუკელი მიხ., ესთეტიკური აღზრდა მთლიან შრომით სკოლაში, თბილისი, 1922.
83. თავდგირიძე ლ., დ.უზნაძე და საუნივერსიტეტო განათლება, ფსიქოლოგიური გამოკვლევები, ბათუმი, 2006.
84. თავზიშვილი გ., ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიური იდეები, ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1934, N 11–12.
85. კერმენშტაინერი ფრიდრიხ კრეს ფონ „ჩემი მისია კავკასიაში“, თარგმნა და კომენტარები დაურთო პროფესორმა ნ. მუშკუდიანმა, გამომცემლობა „მოწამეთა“, ქუთაისი, 2002.
86. კიკნაძე გ., ობოლაძე უშ., კიზირია ბ., სკოლა და სახალხო განათლება 1921-1961 წწ., თბილისი, 1962.
87. კრებული 1978: სახალხო განათლების საკითხებზე დადგენილებათა კრებული, პირველი გამოშვება 1918 წელი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1978.
88. ლილუაშვილი ე., ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918–1921 წლებში, თბილისი, 2006.
89. მალრაძე მ., განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, ქუთაისი, 2008.
90. მოდებაძე ნ., „ევროპული განათლების გავლენა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების შექმნის პერიოდებში (1918-1921 და 1991-2009 წწ.“), საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, № 2 (34), გვ. 244 .
91. მჭედლიძე გ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები, 1993.
92. ნიკოლეიშვილი ა., „განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბილისი, 2000.
93. ნიშნიანიძე ო., მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოთა პირველი ქართველი ავტორები – დიმიტრი უზნაძე, „ხანძთა“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი, № 4(9), ქუთაისი–თბილისი 2011.

94. ობოლაძე უ., სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში(1921-1931), თბილისი, 1956.
95. პავლიაშვილიქ., საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია 1917–1921 წლებში, 2000წ.
96. პავლიაშვილი ლ., „კერძო სასწავლებლები საქართველოში“ 1918–1921 წლებში,თბილისი, 2005.
97. პირველ დაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები, თბილისი, 1919.
98. ჟურნალი „განათლება“, 1908, N 7–8.
99. ჟურნალი „ განათლება”, 1908, N 1.
100. ჟურნალი „განათლება“, 1918, N 1.
101. ჟურნალი „განათლება“ 1920, N 1.
102. ჟურნალი „განათლება“, 1908, N 2.
103. ჟურნალი „განათლება“, 1914, N 6.
104. ჟურნალი „განათლება“, 1915, N 4.
105. ჟურნალი „განათლება“, 1916 წ. N 2.
106. ჟურნალი „განათლება“, 1918 წლის, N 12.
107. ჟურნალი „განათლება“, 1918, N 2.
108. ჟურნალი „განათლება“, 1918, N 4.
109. ჟურნალი „განათლება“, 1919, N 2.
110. ჟურნალი „განათლება“, 1920, N 4–5.
111. ჟურნალი „განათლება, 1916. N 9.
112. ჟურნალი „განათლება“ 1919 , N 1.
113. ჟურნალი „განათლება“, 1920 წ., № 20.
114. ჟურნალი „განათლება“, 1920, N 8.
115. ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება, №7. 1976.
116. როსტომაშვილი ი., სკოლა სეირნობისა, ანუ საბავშვო ექსკურსიატი, „ივერია“, 1901, N 167.
117. როსტომაშვილი ი. სკოლა სეირნობისა, ანუ საბავშვო ექსკურსიატი, „ივერია“, 1901, N 168.
118. სარიშვილი ტ., „ სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში“, თბილისი, 1956.
119. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918–1921), თბ. 1990.
120. სიგუა ს., „სახალხო განათლება რევოლუციამდელ საქართველოში“თბ. 1969.
121. სსცსა, ფ. 1935, საქ. 32, აღწ. 1, ფურც. 4–5.

122. სცსა, ფ. 1935, საქ. 454, აღწ. 1, ფურც. 5–7.
123. სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 37, ფ. 30.
124. სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქმე 37, ფ. 33.
125. სცსა, ფ. 1935, საქმე 54, ფ. 26–29, იხილეთ ცხრილი N 1.
126. სცსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 1165, ფ.14.
127. სცსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 1166 ფ.2,3,4.
128. სცსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 1167 ფ.7.
129. სცსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 1167 ფ.6.
130. სცსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 659 ფ.12.
131. სცსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 659, ფ.13.
132. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1 საქ. 1144, ფურც. 4.
133. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 1077. , ფ.19.
134. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 1077. ფ. 18.
135. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 1077. ფ. 20.
136. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 1146.ფ. 5.
137. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 1147, ფ. 12.
138. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 1147, ფ. 13.
139. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 437. ფ. 12.
140. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 58, ფ. 6–7.
141. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 59. ფ.102.
142. სცსა, ფონდი 1935, აღწ.1, საქმე 798, ფ. 9.
143. სცსა, ფონდი1935, აღწ.1, საქმე 1147, ფ.13.
144. სცსა, ფონდი1935, აღწ.1, საქმე 346, ფ.18, 19.
145. სცსა, ფონდი1935, აღწ.1, საქმე 459, ფ.14.
146. უზნაძე დ., „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“, 1912.
147. უზნაძე დ., „ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი , 1947.
148. ფერაძე ი., „მოწაფეთა განკაფულობა“, ჟურნალი „განათლება“, 1911, N 10.
149. ქსა, ფ.82, საქმე 50, ფ. 21–22.
150. ქსა, ფონდი 105, საქმე 31, ფ. 4.
151. ქსა, ფონდი 15, საქმე 175, ფ. 55.
152. ქსა, ფონდი 15, საქმე 175, ფ. 58.
153. ქსა, ფონდი 6, საქმე 128, ფ. 6.
154. ქსა, ფონდი 9, საქმე 1595, ფ. 2.
155. ქსა, ფონდი N 81, საქმე 165, ფ. 19.
156. ქსა, ფონდი 19, საქმე 155, ფურც. 18.

157. ქსსა, ფონდი 19, საქმე 155, ფურც. 9.
158. ქსსა, ფონდი 19, საქმე 137, ფურც. 2–3.
159. ქსსა, ფონდი 15, საქმე 175, ფ. 64.
160. ქსსა, ფონდი 19, საქმე 137, ფ. 9.
161. ქსსა, ფონდი 15, საქმე 171, ფურც. 98.
162. ქსსა, საქ. 899, ფურც. 2–4.
163. ქსსა, ფ. 121, საქ. 68, ფ. 8–10.
164. ქსსა, ფ. 121, საქ. 827, ფურც. 1.
165. ქსსა, ფ. 852, ფ. 1–3.
166. ქსსა, ფონდი 471, ანაწ. 1, საქმე 7.
167. ხუნდაძე ტრ., ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბილისი, 1981.
168. ხუნდაძე ტრ., ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1976 .
169. ჭიჭინაზე ა., ხელგარჯილობის შესახებ, ჟურნალი „განათლება“, 1915, №10.
170. ჭიჭინაძე ა., „რიჭრაჭზე სათქმელი“, ჟურნალი „განათლება“, 1915 წ. N 4.
171. ჭკუასელი ივ., ჟურნალი „განათლება“ და მისი ადგილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში, 1981.
172. ჭუმბურიძე დ., „განათლება 1918-1921 წლებში“, თბილისი, 2000.

დანართები

დანართი №1

საგანმანათლებლო საჭიროებები დამასწავლებელთა მოლოდინები მიმდინარე სასკოლო რეფორმის მიმართ

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ფონზე, დიდ მნიშვნელობას იძენს საგანმანათლებლო რეფორმა, რომელიც 1991 წლიდან იღებს სათავეს და დღემდე რამდენიმე ეტაპად ჩატარდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ სავსებით შედეგიანად, ალბათ, იგი შეიძლება შევაფასოთ, როგორც მხოლოდ გამოსვლა საბჭოთა საგანმანათლებლო იდეოლოგიური სივრციდან. დღეს ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შემუშავება, რომელიც ტრადიციულ ეროვნულ ნიადაგზე იქნება დაფუძნებული და ამავე დროს მსოფლიო საგანმანათლებლო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ამიტომაც ჩავრთეთ ნაშრომში თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სკოლებში საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მიმდინარე რეფორმის მოლოდინების კვლევა, რომელიც შეეხო ქუთაისის საჯარო სკოლებში განხორციელებული რეფორმის შედეგებსა და 2017 წლიდან დაგეგმილი რეფორმის შესახებ მასწავლებელთა მოლოდინებს.

ცვლილებები განათლების სფეროში სისტემატურ ხასიათს ატარებს დღესაც. გრძელდება განათლების სისტემის რეფორმირების პროცესი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2016 წლის სექტემბერში ახალი 2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის პრეზენტაცია გამართა. ეროვნული სასწავლო გეგმა, როგორც საბაზისო დოკუმენტი განსაზღვრავს, თუ რა, როდის, და როგორ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში. დოკუმენტი პერიოდულ განახლებას მოითხოვს, ვინაიდან მასში უნდა აისახოს როგორც მოსწავლეებისა და პედაგოგების საჭიროებები, ისე საერთაშორისო პრაქტიკა, განათლების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციები. განათლების რეფორმების დაწყებიდან დღემდე უკვე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა შემუშავდა, მისი დანერგვა დაწყებითი საფეხურით (I-VI კლასები) დაიწყება და მოქმედების ვადა 2017 -2023 წლებით განისაზღვრება.

2017 წელს სამინისტრო განათლების რეფორმას რამდენიმე მიმართულებით გეგმავს: სასწავლო პროცესის გამარტივება, მოსწავლეზე მორგებული სწავლების მეთოდი, სკოლებში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება, სპორტული და სახელოვნებო წრეების გააქტიურება, მასწავლებლების პროფესიული განვითარების ახალი სქემის დახვეწა, ელექტრონული სწავლების დანერგვა-განვითარება, სტუდენტებისთვის დასაქმებასა და ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული

უმაღლესი განათლება, პროფესიული კოლეჯების დაფინანსება, სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესთან, ახალგაზრდა მეცნიერ-გამომგონებელთა მოტივირება – ეს იმ მიმართულებების მოკლე ჩამონათვალია, რომლის ხელშეწყობასა და განვითარებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს.

წინამდებარე კვლევის ანგარიში მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას განათლების მიმდინარე რეფორმის საკითხებზე სასკოლო სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, აქცენტს აკეთებს არსებულ საჭიროებებზე, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მიმდინარე ეტაპზე განათლების სფეროს ეფექტიანი დაგეგმვისა და წარმატებული რეფორმის განხორციელების მიზნით.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმმართველი მასწავლებელია, იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არის სერტიფიცირებული, შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. მასწავლებელს უდიდესი საზოგადოებრივი როლი აკისრია. მან უნდა უზრუნველყოს ღირსეული ახალი თაობის აღზრდა, რომელიც განაპირობებს საზოგადოების კულტურის დონის განვითარებასა და შეუფერხებელ აღმასვლას. პედაგოგმა უნდა უზრუნველყოს ბავშვი ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებად აქციოს. მისი პროფესიონალიზმი გაზომვადია შედეგების მიხედვით.

ამიტომ გადავწყვიტეთ რეფორმის საკითხებზე გამოკითხვის ობიექტად საჯარო სკოლის მასწავლებლები აგვერჩია, კერძოდ, გაგვერკვია, როგორი მოლოდინი აქვთ მასწავლებლებს 2017–2023 წლებისათვის დაგეგმილ განათლების რეფორმისაგან, კვლევის შედეგები გაგვეცნო ქალაქის რესურსცენტრის ხელმძღვანელობისათვის განათლების სამინისტროს სარეფორმო კომისიისათვის წინადადებების წარსადგენად.

გამოკითხვა ჩატარდა 2016 წლის ოქტომბერ–ნოემბერში. კვლევამ მოიცვა ქუთაისის 14 საჯარო სკოლის 165 მასწავლებელი. სკოლები შეირჩა იმ პრინციპით, რომ ყურადღების გარეშე არ დარჩენილიყო სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებები, დიდი და ნაკლები გამოცდილების მქონე, დიდი და მცირეკონტინგენტიანი სკოლები. მასწავლებელთა გამოკითხვის მიზანი იყო, ერთი მხრივ, მიმდინარე სასკოლო რეფორმის შედეგების შეფასება, მეორე მხრივ, სასკოლო განათლების სისტემის მთავარი რგოლის - მასწავლებლების დამოკიდებულების შესწავლა განათლების არსებული სისტემის, მიმდინარე სასკოლო რეფორმის მიმართ, მათი კონკრეტული მოსაზრებები და წინადადებები.

კვლევის მიზნებიდან და საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, შეირჩა გამოკითხვის მეთოდი. მისი კითხვარი (სადისკუსიო გეგმა) ღია და დახურული კითხვებისაგან შედგებოდა, რადგან, შესაძლოა, ამ ფორმატს მოულოდნელი და წინასწარ გაუთვლელი პასუხებიც მოეტანა.

გამოკითხულთა 98% ქალია, მხოლოდ 3% – ია კაცი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სკოლებში მამაკაცი პედაგოგების დიდ დეფიციტსა და მათი საჭიროების მნიშვნელობას. 26–30 წლის გამოკითხულთა რაოდენობა 8%-ია; 31–40 წლისა–26%; 41–50 წლის რესპოდენტები 34%, 51–60 წლის 18%; 61 და ზევით–10%. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასაკის მატებასთან ერთად იმატებს შეფასებითი მომენტისადმი თავშეკავებულობა, მოზომილობა და ნაკლებკრიტიკულობა (გამოირჩევა 61 და მეტი ასაკის რესპოდენტთა პასუხები). ამ კატეგორიის მასწავლებელთა სკოლაში მუშაობის სტაჟი 31 და ზევით წელია. მიუხედავად სკოლაში მუშაობის დიდი გამოცდილებისა, ისინი ღია კითხვებზე პასუხების გაცემისაგან თავს იკავებენ და რეფორმისადმი ერთგვარ რეზისტენტულობას (ცნობიერად თუ არაცნობიერად წინააღმდეგობის გაწევა) ამჟღავნებენ. მათ მიაჩნიათ, რომ განათლების სისტემაში ყველაფერი კარგად არის.

საპირისპიროდ, როგორც რესპოდენტები, განსაკუთრებით აქტიურები არიან 31–40 და 41 –50 წლის მასწავლებლები, შესაბამისად, 11–20 და 21–30 წლის მუშაობის სტაჟით.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა შევაჩეროთ სწორედ მასწავლებლის თვითეფექტურ ქცევაზე სკოლის რეფორმის განხორციელების კონტექსტში. სწორედ მასწავლებელია ის გამაშუალებელი რგოლი, რომელმაც მოსწავლეებამდე უშუალოდ უნდა მიიტანოს სწავლების ახალი მეთოდები და ხორცი შეასხას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. თვითეფექტურობა არის ადამიანის ცნობიერი წარმოდგენა კონკრეტულ სიტუაციაში წარმატებით მოქმედების უნარის შესახებ.

მასწავლებლის მიერ რეფორმის გაცნობიერებულობა, თვითშეფასება, კომპეტენტურობა (ე.წ. მასწავლებლის თვითეფექტური ქცევა) წარმართოს რეფორმით გათვალისწინებული სასწავლო ქცევები, მისი მატერიალურ-სოციალური მდგომარეობა არაპირდაპირად აისახება მის შესაძლებლობაზე, გამოიყენოს სწავლების ეფექტური მეთოდები.

ადამიანს შეიძლება გააჩნდეს მოქმედებისათვის საჭირო ჩვევები და თვითეფექტურობის საკმარისი დონე, მაგრამ არ ჰქონდეს მისი შესრულების სურვილი ან მატერიალური რესურსები. მართლაც, სწორედ მასწავლებლის მოტივაციის ამაღლება შეიძლება იყოს რეფორმის წარმატების წინაპირობა. მასწავლებლის მოტივაციაზე ზემოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა მისი მატერიალური წახალისება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი სოციალური სტატუსის გაზრდა.

კითხვაზე, „**ფლობთ თუ არა ინფორმაციას განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ?**“ სავსებით ფლობს ინფორმაციას 47%; ნაწილობრივ – 38%; არ ფლობს – 10%. კითხვაზე „**რა არის აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის უქონლობის ან**

ნაკლებინფორმაციულობის მიზეზი? 48% აღნიშნავს, რომ დროულად არ მიეწოდება ინფორმაცია; არ მიეწოდება ინფორმაცია 23 %-ს; ნაკლებად არის დაინტერესებული ინფორმაციით 4%; 25%-ს პირადად უჭირს ინფორმაციის მოპოვება ინტერნეტში.

შედეგები გვიჩვენებს, რომ ინფორმაცია ადგილებზე არასრულყოფილია, განსაკუთრებით, მიმდინარე მოვლენების შესახებ, ეს კი გაუგებრობას იწვევს. არაეფექტურია საინფორმაციო მასალების მიწოდება სკოლებისათვის, რადგან ხშირ შემთხვევაში მასზე ხელი არ მიუწვდება ყველა მასწავლებელს, ბევრი მათგანი კი ვერ ფლობს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს (ზედა ასაკობრივი ჯგუფი – 50 წლის ზევით), რომ თავად მოიპოვოს ინფორმაცია. მასწავლებელთა დაბალი ჩართულობა სასკოლო განათლების სისტემის მიმდინარე რეფორმებში, შეიძლება ითქვას, მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზითაა გამოწვეული: ძველი მენტალიტეტი, კვალიფიციური კადრების სიმცირე, უმეტეს სკოლებში მართვის ავტორიტარული სტილი, მასწავლებელთა დაბალი ხელფასები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე, სახელმძღვანელოებისა და, საერთოდ, მეთოდური მასალების უკმარისობა და ასე შემდეგ.

კითხვაზე „როგორ შეაფასებდით დღევანდელ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს?

შეთავაზებულ პასუხს – კარგად არის დაგეგმილი და ორგანიზებული – ეთანხმება 52%; უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება – 32%; უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება – 12%; არ ეთანხმება – 4%.

პროგრამა და სახელმძღვანელოები აცდენილია რეალურ საგანმანათლებლო მიზნებს – ეთანხმება 10%; უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება – 17%; უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება – 38%; არ ეთანხმება – 35%.

საგნობრივი სტანდარტები და პროგრამები ნაკლებადეკვატური და გადატვირთულია – ეთანხმება – 20%; უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება – 20%; უფრო არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება – 36%; არ ეთანხმება – 24%. (იხ. დიაგრამა N1)

აქვე მოვიხმობთ სასკოლო სახელმძღვანელოებზე, საგნობრის სტანდარტებსა და პროგრამებზე გამოთქმულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს: „მათემატიკის და ფიზიკის სტანდარტი პარალელური უნდა იყოს. მათემატიკის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის ტრანსფერის საშუალება ამ ე ს გ – ით შეუძლებელია“. (მე-14 სკოლა)

„სწავლების შინაარსი, სასწავლო გეგმები და პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკს და მასში მოცემული დავალებები უნდა იყოს სხვადასხვა შესაძლებლობის მოწაფეებზე გათვლილი, სახელმძღვანელო უნდა იყოს

მოსწავლისათვის დამხმარე, მასწავლებლისთვის გზამკვლევი და საშუალებას იძლეოდა პროგრამის სრულყოფილად დასაძლევად“. (21-ე სკოლა)

„ინგლისურ ენაში სახელმძღვანელო სტანდარტები საწყის საფეხურს შეესაბამება, მაგრამ ზედა საფეხურზე მე-9, მე-10 კლასების სახელმძღვანელო Inspiracion-I იმდენად იოლია, რომ იწვევს მოსწავლის დემოტივაციას, ამიტომ პედაგოგი იძულებულია, თავისი ინიციატივით დაიხმაროს სხვა სახელმძღვანელო; (28-ე, 41-ე სკოლები)“


გამიკითხულ მასწავლებელთა 78% თავის საგანში სახელმძღვანელოს მასწავლებელთა საერთო გადაწყვეტილებით ირჩევს, სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით – 22 %.

სახელმძღვანელოს არჩევაში თავისუფლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წინ გადადგმული ნაბიჯია წინა წლებთან შედარებით, როცა სკოლის დირექცია ზემდგომის დავალებით თვითონ ირჩევდა კონკრეტულ სახელმძღვანელოს სხვადასხვა საგანში და სავალდებულოდ სთავაზობდა მასწავლებლებს.

პედაგოგები, ძირითადად, იწონებენ არსებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, თუმცა, მიიჩნევენ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები კიდევ საჭიროებს მეთოდურ დახვეწას, სიიოლისა და კონკრეტულობის თვალსაზრისით, პედაგოგები დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მეთოდური დამხმარე მასალების ნაკლებობასაც უჩივიან. პედაგოგთა ის ნაწილი, რომელიც, ე. წ. მასწავლებლის წიგნს იყენებს, კმაყოფილია არსებული მეთოდური სახელმძღვანელოთი, აცხადებს, რომ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გაკვეთილების ჩატარებაში.


სახელმძღვანელოს ძლიერ მხარედ, ძირითადად, სახელდება, თუ მასში არის სავარჯიშოები, ამოცანები, კროსვორდები, პრაქტიკული სამუშაოები – 36%; შემდეგ ადგილზეა მასალის სიიოლე და კონკრეტულობა – 26%; სახელმძღვანელოს მეთოდური გამართულობა – 20%; სახელმძღვანელოს დიზაინი და ილუსტრირებულობა – 18% (იხ. დიაგრამა N1).

სასწავლო სახელმძღვანელოს ძლიერი მხარეების გამოვლინება



სახელმძღვანელოს გარდა, ყველაზე გამოყენებადი საგანმანათლებლო რესურსი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები, არის ვიზუალური თვალსაჩინოება. ამ რესურსს მასწავლებელთა 36% იყენებს, უფრო ნაკლებად იყენებენ საგნობრივ თვალსაჩინოებას - 18%; დამატებით ლიტერატურას - 14%; და სხვადასხვა სახის აქტივობას - 22 % (იხ. დიაგრამა N2).

**სახელმძღვანელოს გარდა ყველაზე გამოყენებადი
საგანმანათლებლო რესურსი**



გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კომპიუტერსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში სისტემატურად იყენებს 9%; დროდადრო – 28% ; იშვიათად – 36%; არ იყენებს – 27%.

ჩვენი კვლევის შედეგი და ექსპერტების დაკვირვებები ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების თვალსაზრისით ერთგვარი განზოგადების საშუალებას გვაძლევს:

ისტ-ის მოხმარება დღეს სკოლებში ნაწილობრივ ხდება და შეზღუდულია სასკოლო პრაქტიკაში. უმეტესწილად, საგაკვეთილო პრაქტიკა დიდად არ არის შეცვლილი იმის ფონზე, რომ პედაგოგების გარკვეულმა ნაწილმა, პროფესიული თვალსაზრისით, აიმაღლა კომპეტენცია. ბევრი მასწავლებელი წარმატებით ვერ იყენებს ტექნოლოგიებს გაკვეთილზე, თუ არ ჩავთვლით სამოდელო ღია გაკვეთილებს, როცა მასწავლებელი სპეციალურად ემზადება დამხმარე ვიზუალური თვალსაჩინოების წარმოსაჩენად. ისტ-ის გამოყენება მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა სასწავლო საგნით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში, იგი ხელს უწყობს თვით ისტ-თან დაკავშირებული კომპეტენციების, შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას. ეს კი მნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებელი

ციფრული წიგნიერების შესაძენად. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ციფრული, ისევე, როგორც რაოდენობრივი წიგნიერება, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წიგნიერება ტრადიციული გაგებით.

ამონარიდები კითხვარებიდან: „კომპიუტერში მასალების მოძიება და ელექტრონული რესურსების დამზადება დიდ დროს მოითხოვს, მასწავლებელი კი სამუშაო დროის დიდ ნაწილს ქალაქდომანიას უთმობს, უსარგებლო და არაფრისმომცემი, ბიუროკრატიული დავალებების შესრულებას.“; სკოლაში მეტი საშუალება უნდა იყოს მოსწავლესთან ერთად კომპიუტერთან მუშაობისა გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს, სქემების, დიაგრამების, კლიპების, პრეზენტაციების მოსამზადებლად.“; „ხშირად კომპიუტერულ ლაბორატორიაში გაკვეთილის ჩატარება ვერ ხერხდება, სკოლის მატერიალური ბაზა იმის საშუალებას არ იძლევა, რომ მასწავლებელმა კლასში კომპიუტერი და პროექტორი შეიტანოს, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის.“; „ინფორმაციული ტექნოლოგიები უნდა იყოს დამხმარე საშუალება და არა თვითმიზანი, არ მიმაჩნია გამართლებულად ყველა გაკვეთილზე ისტ-ის გამოყენება, ეს უფრო შემაჯამებელი გაკვეთილესთვისაა“.

მასწავლებლების უმრავლესობას არა აქვს გავლილი შემდგომი პროფესიული გადამზადება (72%).

კითხვაზე, „რა მიგაჩნიათ პედაგოგიური კადრების პროფესიული გადამზადების ყველაზე ეფექტიან საშუალებად?“ პასუხები პროცენტულად ასე გადანაწილდა: საგნობრივი ტრენინგები და სემინარები – 33%; პედაგოგიური უნარჩვევების ასამაღლებელი ტრენინგები – 6%; მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების გრძელვადიანი კურსები – 30%, პროფესიული პრაქტიკის წილის გაზრდა თეორიულ კურსთან მიმართებით – 27%, პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა სასწავლო-მეთოდური მასალების გაცნობა – 4%.

როგორც ვხედავთ, მასწავლებელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა პროფესიული მომზადების ეფექტურ საშუალებად არ მიიჩნევს მოქმედ საგნობრივ და პედაგოგიური უნარების ასამაღლებელ ტრენინგებსა და სემინარებს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გრძელვადიანი კურსებისა და პროფესიული პრაქტიკის წილის გაზრდის მომხრეა გამოკითხულთა 57 %. პედაგოგები გამოთქვამენ კონკრეტულ შენიშვნებსა და წინადადებებს დღეს მოქმედი პროფესიული განვითარების სქემის მიმართ:

„შემოთავაზებული ახალი სქემა წინანდელზე დახვეწილია, მაგრამ ვფიქრობ, მისი შემდგომი დახვეწა კიდევ უფრო მოქნილს გახდიდა მასწავლებლის მუშაობას. ამდენი კითხვარის გაცნობა, მისი პასუხები მასწავლებელს დიდ დროს ართმევს. მეტი საშუალება უნდა ჰქონდეს მას თავისი პროფესიისათვის საჭირო უახლესი ლიტერატურისა და ტექნოლოგიების გასაცნობად“.

„იმ მასწავლებლებს, რომელთაც აქვთ მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კრედიტქულების დაგროვებისას არ უნდა ხვდებოდეს ამდენი ბარიერი. ვგულისხმობ იმას, რომ აქტივობები იმდენად დაბალი კრედიტების მომცემია, მასწავლებელს არც დროს უტოვებს და არც ხალისს.

„გასაუმჯობესებელია პროფესიული განვითარების სქემა, რადგან მასწავლებელი არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ საკუთარი კრედიტების დაგროვებაზე, მოსწავლე მეორე რიგზე გადადის ამ დროს”.

„მისაღებია კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით“;

„მომხრე ვარ პედაგოგთა გადამზადების კურსების, თუნდაც, ხანგრძლივის, ბოლოს სათანადო გასაუბრებით ან გამოცდით. რამდენიმე საათიანი ტრენინგი უშედეგოა, თან ტრენინგები დაბალკვალიფიციურები არიან, ჩვენთვის საჭირო კითხვებზე პასუხებს ვერ გვცემენ“;

„მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნდა ჩაუტარდეთ გრძელვადიანი კურსები, ჩაუტარდეთ გამოცდა და მიეცეთ კვალიფიკაცია, სერტიფიკატი;

„ვეფიქრობ, მოქმედი სქემა საჭიროებს დახვეწას და მოდიფიცირებას. საჭიროა, თავიდან იქნას აცილებული მთელი რიგი რუტინული სამუშაოები, რომლებსაც ფორმალური სახე აქვს, მაგალითად, თვითშეფასების კითხვარის შევსება, რომელსაც მასწავლებელთა უმრავლესობა გაუაზრებლად, ფორმალურად აკეთებს ან სულაც აკოპირებს კოლეგებისაგან. ჩემი აზრით, მასწავლებელი ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს არა კრედიტების დაგროვებაზე, არამედ სწავლების ხარისხის ამაღლებაზე;

„კარგი იქნება, თუ უზრუნველყოფენ მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მივლინებებს იმ ქვეყნებში, სადაც განათლების სისტემა წარმატებულია;

კვლევის მიხედვით, **მოსწავლეთა შეფასებისას ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების მეთოდებია** შემაჯამებელი საკონტროლო დავალება—46%, ზეპირი გამოკითხვა – 22%, წერიტი საშინაო დავალება – 8%, გამოკითხულ მასწავლებელთა მეოთხედი – 24% იყენებს შეფასების ისეთ მეთოდს, როგორცაა ტესტირება, ხოლო **მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევის შეფასების ტიპებიდან საკუთარ პრაქტიკაში განმავითარებელ შეფასებას ანიჭებს უპირატესობას** გამოკითხულთა დიდი რაოდენობა – 62%, განმსაზღვრელ შეფასებას – 38%.

მასწავლებელთა პოზიტიური დამოკიდებულება განმავითარებელი შეფასებისადმი სწორი და მისაღები მიდგომაა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. განმავითარებელი შეფასების სისტემას აქვს აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და განმავითარებელი ფუნქცია, განმსაზღვრელს კი – მხოლოდ დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დააკვირდეს მოსწავლის განვითარების პროცესს და მისი შესაძლებლობების ზუსტი სურათი შექმნას.

მასწავლებელთა არც თუ მცირე ნაწილი (31%) თვლის, რომ დღევანდელ სკოლას სჭირდება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მიზნებისა და პრინციპების ძირეული ცვლილება, სწორად შერჩეული და დამუშავებული შეფასების სისტემა და რომ შეფასების მეთოდები, კომპონენტები უნდა შემუშავდეს არა მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით. აუცილებელია, კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის 20-მდე შემცირება, სწორედ ამ მიზნით უნდა იხარჯებოდეს ბიუჯეტი და არა უაზრო ტრენინგებისთვის;

გამოკითხულთა 51% მიიჩნევს, რომ დღევანდელ საჯარო სკოლაში შესაძლებელია მოსწავლემ მიიღოს სრულფასოვანი განათლება, სრულიად შესაძლებელია – თვლის 23%, არ არის დარწმუნებული – 16% და ასეთს შეუძლებლად მიიჩნევს 10%.

კითხვაზე – „დღევანდელი სკოლის წარმატება, თუ კი ასეთი რეალურია, სკოლისა და მასწავლებელთა ძალისხმევა უფროა, თუ განათლების სისტემის დამსახურება?“ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (63%) თვლის, რომ სკოლის ხელმძღვანელობისა და მასწავლებელთა ძალისხმევა უფროა, 25% – ის აზრით – ორივეს ერთად.

„კონკრეტულად, ჩემი სკოლის წარმატებულობას მნიშვნელოვნად განაპირობებს სკოლის ადმინისტრაციის სწორი მენეჯმენტი, პედაგოგთა შრომისმოყვარეობა და თავდადება, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტები, აქტივობები და ღონისძიებები.“

მასწავლებელთა მოლოდინები ამ ეტაპზე მიმდინარე სასკოლო რეფორმის წარმატებულობის შესახებ ძირითადად ოპტიმისტურია. შესაძლებელია – თვლის 29%, სრულიად შესაძლებელია – 19%, არ ვარ დარწმუნებული – 29 %, შეუძლებელია – 13%.

საინტერესოა, კონკრეტულად რა შედეგებს მოელიან მასწავლებლები სასკოლო რეფორმისგან:

გაუმჯობესდება სწავლების შინაარსი, სასწავლო გეგმები და პროგრამები: შესაძლებელია – 61%, არ არის დარწმუნებული – 28%; შეუძლებელია – 11%.

შეიქმნება ეროვნულ სასწავლო გეგმების სტანდარტებთან შესაბამისი სასკოლო სახელმძღვანელოები: შესაძლებელია – 58%; არ არის დარწმუნებული – 32%; შეუძლებელია – 10%.

განხორციელდება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მიზნებისა და პრინციპების ძირეული ცვლილება: შესაძლებელია – 23%; არ არის დარწმუნებული – 47%; შეუძლებელია – 30%.

დაიხვეწება მასწავლებელთა პროფესიული განათლების სისტემა: შესაძლებელია – 57%; არ ვარ დარწმუნებული – 36%; შეუძლებელია – 7%.


გაუმჯობესდება სასწავლო გარემო, სკოლის კლიმატი და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა: შესაძლებელია – 56%; არ ვარ დარწმუნებული – 30%; შეუძლებელია – 14%.

გაიზრდება მასწავლებელთა ხელფასი: შესაძლებელია – 38%; არ ვარ დარწმუნებული – 42%; შეუძლებელია – 22%.

როგორც შედეგებიდან ჩანს, რეფორმისადმი პოზიტიურადაა განწყობილი და სიკეთეებს ელოდება გამოკითხულ მასწავლებელთა 68%, ხოლო მის განხორციელებას სკეპტიკურად აფასებს 32%.

მასწავლებელთა მოლოდინები სკოლის რეფორმის მიმართ

დიაგრამა N 3



მასწავლებელთა შეფასებები და მოლოდინები:

„რეფორმის ფარგლებში, პირველ რიგში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო გარემოს კეთილმოწყობას. ზოგიერთი სკოლის მოძველებული შენობა საჭიროებს განახლებას, ფასადის კეთილმოწყობას, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას. ნათელი საკლასო ოთახები და მოწესრიგებული გარემო მოსწავლესაც და მასწავლებელსაც უღვივებს მოტივაციას, რაც ნამდვილად არის წარმატების გარანტი“

„რეფორმის წარმატება შესაძლებელია, რადგან ის არის ორიენტირებული მოსწავლეთა განვითარებაზე (მრავალმხრივ განვითარებაზე), ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტეგრაციას რეალურ სამყაროში; მოსწავლე შეიყვარებს სკოლას, სასწავლო პროცესი მისთვის გახდება უფრო საინტერესო, ხალისიანი და მრავალფეროვანი;

„მოლოდინები საკმაოდ კარგი მაქვს. ყველა აქ ჩამოთვლილი კომპონენტი გაუმჯობესდება და უკეთესობისკენ შეიცვლება, მაგრამ, ამას გარდა, კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი და, სამწუხაროდ, განათლების სისტემაში შედეგები გვიან გამოჩნდება ხოლმე;

„იმედია, სარეფორმო კომისია გაითვალისწინებს სკოლის საჭიროებებს ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი, თუნდაც, სასწავლო გარემო – საჭიროა მეტი საგანმანათლებლო რესურსი, ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, სკოლას მანდატურზე მეტად ფსიქოლოგი და სოციოლოგი სჭირდება, რომ მოგვეხმარონ მოსწავლეთა საჭიროებების კვლევაში, აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვაში.“

„თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო გაკვეთილები მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობის შესახებ, რათა მათ კარგად გაითავისონ არა მარტო თავისი უფლებები, არამედ მოვალეობებიც და გარშემომყოფთა ინტერესებიც.“

„რეფორმის წარმატებაში ნაკლებად ვარ დარწმუნებული, რადგან მასწავლებლების საჭიროებები და შესაძლებლობები არ არის გათვალისწინებული მოქმედ სქემაში, ასევე, ე ს გ – ის მიხედვით, დასახული მიზნების მიღწევა შეუძლებელია არსებული სასკოლო საათობრივი ბადის გათვალისწინებით. სასურველია, მოხდეს ბადის მოდიფიცირება/განახლება ისე, რომ მოსწავლეს არ მოუწიოს 7 გაკვეთილი, რომელიც არაპროდუქტიულია.“

„ვეფიქრობ, სწავლებისა და, პირველ რიგში, დისციპლინის მნიშვნელოვნად მოაგვარებს კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება, სასურველია, ეს რაოდენობა იყოს, მაქსიმუმ 25. ამ შემთხვევაში მასწავლებლისთვის ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნება კლასთან ურთიერთობა, მანდატურის როლი უმნიშვნელოა და ძირითადი პასუხისმგებლობა მაინც მასწავლებელზე მოდის. მანდატურს აქვს მეთვალთვალისა დასეირის მაყურებლის ფუნქცია.

„აუცილებელია კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის 20–მდე შემცირება, სწორედ ამ მიზნით უნდა იხარჯებოდეს ბიუჯეტი და არა უაზრო ტრენინგებისთვის.“

„შეფასების და ნიშნების წერის ყოვლისშემძლების მიზეზი მარტივია – მოსწავლე და მისი მშობელი ორიენტირებულია არა იმაზე, თუ რას და როგორ ასწავლიან, არამედ იმაზე, თუ რაში და როგორ აფასებენ. ასეთ ვიწრო პრაქტიკულ პრაგმატიზმში ვერავის ვერ დაადასაშაულებთ, ყველგან ასეა, ამიტომ გამოსავალი ერთია – შეფასებისა და ნიშნების წერის რეფორმა.

ძირითადი დასკვნები

მიღებული პასუხების ანალიზისას რეფორმისადმი საერთო დადებითი განწყობის ფონზე გამოკვეთილად იკითხება ნეგატიური კონტექსტები და განათლების პოლიტიკის განხორციელების პროცესისადმი ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა თანხმდება, რომ განათლების რეფორმა სისხლხორცეულად გარდაუვალია და დიდი იმედები გამოსჭვივის მასწავლებელთა მოლოდინებში. ისევ დავიმოწმებ ერთ–ერთ მასწავლებელს: „რეფორმის წარმატება შესაძლებელია, რადგან ის არის ორიენტირებული მოსწავლეთა განვითარებაზე (მრავალმხრივ განვითარებაზე), რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტეგრაციას რეალურ სამყაროში; მოსწავლე შეიყვარებს სკოლას, სასწავლო პროცესი მისთვის გახდება უფრო საინტერესო, ხალისიანი და მრავალფეროვანი.“

რესპოდენტთა პასუხების შეჯამებისას მნიშვნელოვანია გამოვყოთ ძირითადი ხედვები და ტენდენციები, რომლებიც საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებისა და რეფორმის მიმდინარეობის მიმართულებით მნიშვნელოვან ასპექტებს ცხადყოფს.

რეფორმისადმი ერთგვარ რეზისტენტულობას (ცნობიერად თუ არაცნობიერად წინააღმდეგობის გაწევა) ამჟღავნებენ იმ კატეგორიის მასწავლებლები, რომელთა სკოლაში მუშაობის სტაჟი 31 და ზევით წელია, და მიუხედავად სკოლაში მუშაობის დიდი გამოცდილებისა, ისინი ღია კითხვებზე პასუხების გაცემისაგან თავს

იკავებენ და სასკოლო პრობლემებისადმი შედარებით ინდიფერენტულად არიან განწყობილნი.

მაღალი სოციალური სტატუსითა და თვითშეფასებით გამოირჩევიან ახალგაზრდა მასწავლებლები (30–45 წლის 15–25 წლის სამუშაო გამოცდილებით), რომლებიც არიან აქტიურნი, გამომუშავებული აქვთ შინაგანი თვითგანმტკიცების სტანდარტები და არიან როგორც თვითკრიტიკულნი, ასევე, გარეშე ფაქტორებისადმი მომთხოვნი და შეურიგებელნი. (იხ. კითხვარის პასუხები)

ინფორმაციის მიწოდება ადგილებზე არასრულყოფილი და დაგვიანებულია, განსაკუთრებით, განათლებაში მიმდინარე მოვლენებისა და სიახლეების შესახებ. ეს კი გაუგებრობას იწვევს. არაეფექტურია საინფორმაციო მასალების მიწოდება სკოლებისათვის, რადგან ხშირ შემთხვევაში მასზე ხელი არ მიუწვდება ყველა მასწავლებელს, ბევრი მათგანი კი ვერ ფლობს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

მასწავლებელთა დამოკიდებულება სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი, სასწავლო პროგრამებისა და საგნობრივი სტანდარტებისადმი ძირითადად დადებითია, მაგრამ გამოთქმულია შენიშვნები მათი მეთოდური სრულყოფის, გამარტივების, დახვეწისა და მოსწავლეთა ასაკობრივ საჭიროებებთან მეტად დაახლოების თვალსაზრისით.

ისტ-ის მოხმარება დღეს სკოლებში არადაამკმაყოფილებელია და შეზღუდულია სასკოლო პრაქტიკაში. უმეტესწილად საგაკვეთილო პრაქტიკა დიდად არ არის შეცვლილი იმის ფონზე, რომ პედაგოგების გარკვეულმა ნაწილმა, პროფესიული თვალსაზრისით, აიმაღლა კომპეტენცია. ბევრი მასწავლებელი წარმატებით ვერ იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს გაკვეთილზე.

მასწავლებელთა არც თუ მცირე ნაწილი (31%) თვლის, რომ რომ დღევანდელ სკოლას სჭირდება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მიზნებისა და პრინციპების ძირეული ცვლილება, სწორად შერჩეული და დამუშავებული შეფასების სისტემა და რომ შეფასების მეთოდები, კომპონენტები უნდა შემუშავდეს არა მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სკოლების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა გაუმართავია, სასკოლო გარემო, (რომელიც პირველადი სოციალური გარემოა, სადაც მოსწავლე ამყარებს ურთიერთობებს თანატოლებთან, მასწავლებლებთან და ყალიბდება პიროვნებად), ნაკლებპოზიტიურია და ვერ უწყობს ხელს დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რის გამოც ქვეითდება სასწავლო მოტივაცია და სასკოლო წარმატებები ძნელი მისაღწევია.

მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების მიზნით განხორციელებული ტრენინგ-პროგრამები და სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგები აჩვენებს, რომ უეფექტოა რამდენიმეკრედიტიანი გადამზადების პროგრამები, რომლებიც ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დაკმაყოფილებას.

კვლევით დგინდება, რომ სასწავლო პროცესის გამართულობა და წარმატებული ხასიათი დაკავშირებულია არა იმდენად სისტემის ფუნქციონალურ გამართულობასთან, რამდენადაც პროფესიული კადრის – განათლების მუშაკების ძალისხმევასა და თავდადებასთან.

რეკომენდაციები

- კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების მიზნით განხორციელებული რამდენიმეკრედიტიანი გადამზადების ტრენინგები, სემინარები, და თუნდაც საგნობრივი სასერტიფიკაციო გამოცდები უეფექტოა, ისინი ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დაკმაყოფილებას. სასურველია, სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაზაზე მასწავლებელთა საგნობრივი და პროფესიული უნარ-ჩვევების ასამაღლებელი პროფესიული დახელოვნების სპეციალური ცენტრების ფორმირება, რომელიც მოქმედი სასერტიფიკაციო გამოცდების ალტერნატიული იქნება.
- კვლევაზე დაყრდნობით მივიჩნევთ, რომ უნდა მოხდეს ცოდნის აღრიცხვა-შემოწმების მექანიზმის სრულყოფა, დამუშავდეს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების ახალი სისტემა, რომლის მიხედვით განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებსა და აქტივობებს სწავლების პროცესში ექნება გაცილებით დიდი აღზრდებლობითი და მასტიმულირებელი დანიშნულება, ვიდრე ნიშნით შეფასებას.
- მნიშვნელოვანია, ეფექტური გახდეს საინფორმაციო მასალების დროული და ოპერატიული მიწოდება სკოლებისათვის, რათა მათზე ხელი მიუწვდებოდეს ყველა მასწავლებელს, დაინტერესებულ მშობელსა და მოსწავლეს.
- აღზრდებლობითი მომენტის გაძლიერებისა და სწავლა-სწავლების ამაღლების მიზნით, აუცილებელია მშობლების აქტიური ჩართვა სკოლის ცხოვრებაში სხვადასხვა ფორმით. იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ნაყოფიერად ითანამშრომლონ მშობლებთან, ისწავლონ მათი სასკოლო ცხოვრებით

დაინტერესებისა და მოზიდვის მეთოდები, უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა მიიღონ ამ კუთხით სერიოზული განათლება და აიმაღლონ კვალიფიკაცია.

- რეფორმის ფარგლებში, პირველ რიგში, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო გარემოს კეთილმოწყობას. ზოგიერთი სკოლის მოძველებული შენობა საჭიროებს განახლებას, ფასადის კეთილმოწყობას, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას. ნათელი საკლასო ოთახები და მოწესრიგებული გარემო მოსწავლესაც და მასწავლებელსაც უღვივებს მოტივაციას, რაც ნამდვილად არის წარმატების გარანტი.
- კვლევიდან გამომდინარე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოქმედი სქემა საჭიროებს დახვეწას და მოდიფიცირებას. საჭიროა, თავიდან იქნას აცილებული მთელი რიგი რუტინული სამუშაოები, რომლებსაც ფორმალური სახე აქვს და პედაგოგთა სამუშაო და არასამუშაო დროის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს.

მასწავლებელი ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს არა კრედიტების დაგროვებაზე, არამედ სწავლების ხარისხის ამაღლებაზე;

გამოყენებული ლიტერატურა

1. სკოლის სახელმძღვანელოებისა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის საგანმანათლებლო რესურსების ბაზის შესწავლა, 2009, გამოყენებითი კვლევების კომპანია, ვებ-გვერდი: <http://ganatleba.org/index.php?m=126>
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი – „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე და სასწავლო პროექტებზე“ (საკითხავი მასალა)
3. მარზანო რ.&ფიქერინგი დ. (2009) ეფექტური სწავლება სკოლაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ვებ-გვერდი: <http://tpdc.gov.ge/images/stories/pdf/efeqturiswavlebaskolashi.pdf>
4. სტატიები განათლების საკითხებზე, (2010), მასწავლებელთა პროფესიული განათლების ეროვნული ცენტრი, ვებ-გვერდი: <http://tpdc.gov.ge/images/stories/pdf/sgs.pdf>
5. ჯანაშია ს. განათლების რეფორმის 5 წელი, გაზ. ტაბულა, 2011, თბილისი.

კითხვარი მასწავლებელთათვის

პატივცემულო მასწავლებელო!

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა სასკოლო რეფორმის მიმდინარეობის კვლევაში და გაგვიზიაროთ თქვენი მოლოდინები.

კვლევას ატარებს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტი.

ველით თქვენგან შეფასებებსა და წინადადებებს, რომელთა გათვალისწინებით უკეთ წარიმართება რეფორმის პროცესი და სათანადო ყურადღება მიექცევა იმ საკითხებს, რომლებიც გადელვებთ.

ანკეტა ანონიმურია, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ ანკეტის ბოლოს მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი.

წინასწარ გიხდით მადლობას!

პირადი მონაცემები თქვენ შესახებ:

სქესი: ა) მდედრობითი; ბ) მამრობითი;

ასაკი: ა) 26–30; ბ) 31–40; გ) 41–50; დ) 51–60; ე) 61 და ზევით;

სკოლაში მუშაობის სტაჟი: ა) 1–10 წელი; ბ) 11–20; გ) 21–30; დ) 31 და ზევით;

სკოლის რომელ საფეხურზე ასწავლით? ა) დაწყებით; ბ) საბაზო; გ) საშუალო.

ა) ვასწავლი I-IV კლასებს; ბ) V-VI კლასებს; გ) VII-IX კლასებს; დ) X-XII კლასებს;

1. ფლობთ თუ არა ინფორმაციას განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ?:

ა) სავსებით; ბ) ნაწილობრივ; გ) არ ვფლობ;

2. რა არის აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის უქონლობის ან ნაკლებინფორმაციულობის მიზეზი? ა) დროულად არ მომეწოდება ინფორმაცია; ბ) არ მომეწოდება ინფორმაცია; გ) პირადად ნაკლებად ვარ დაინტერესებული; დ) მიჭირს პირადად ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში. სხვა (ჩაწერეთ) _____

3. როგორ შეაფასებდით დღევანდელ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს?: 1.კარგად არის დაგეგმილი და ორგანიზებული: ა) ვეთანხმები; ბ) უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები; გ) უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები; დ) არ ვეთანხმები;
2. პროგრამა და სახელმძღვანელოები აცდენილია რეალურ საგანმანათლებლო მიზნებს:
- ა) ვეთანხმები; ბ) უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები;
- გ) უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები; დ) არ ვეთანხმები
3. საგნობრივი სტანდარტები და პროგრამები არაადეკვატური და გადატვირთულია:
- ა) ვეთანხმები; ბ) უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები;
- გ) უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები; დ) არ ვეთანხმები
4. რა მიგაჩნიათ პედაგოგიური კადრების პროფესიული მომზადების ყველაზე ეფექტიან საშუალებად?: ა) საგნობრივი ტრენინგები და სემინარები; ბ) პედაგოგიური უნარ-ჩვევების ასამაღლებელი ტრენინგები; გ) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების გრძელვადიანი კურსები; დ) მასწავლებლის თვითგანვითარება; ე) პროფესიული პრაქტიკის წილის გაზრდა თეორიულ კურსთან მიმართებით; ვ) პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთებისა და სასწავლო-მეთოდური მასალების გაცნობა.
5. გაქვთ თუ არა გავლილი პროფესიული გადამზადება მოქმედი სქემის მიხედვით? :
- ა) დიახ; ბ) არა
6. თუ თვლით, რომ მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების მოქმედი სქემა გასაუმჯობესებელია და ცვლილებებს საჭიროებს, გთხოვთ, მიუთითოთ, კონკრეტულად რა მიმართულებით _____

7. როგორი წესით ირჩევა თქვენს საგანში სახელმძღვანელო? : ა) მასწავლებელთა საერთო გადაწყვეტილებით; ბ) სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით
8. რას მიიჩნევთ არჩეული სახელმძღვანელოს ძლიერ მხარედ?
 ა) სავარჯიშოები, ამოცანები, კროსვორდები, პრაქტიკული სამუშაოები;
 ბ) სახელმძღვანელოს მეთოდური გამართულობა;
 გ) მასალის სიიოლე და კონკრეტულობა;
 დ) სახელმძღვანელოს დიზაინი და ილუსტრირებულობა
9. სახელმძღვანელოების გარდა, რომელ საგანმანათლებლო რესურს იყენებთ სწავლებაში? ა) ვიზუალურ თვალსაჩინოებას; ბ) საგნობრივ თვალსაჩინოებას;
 გ) დამატებით ლიტერატურას; დ) სხვადასხვა ტიპის აქტივობას
10. იყენებთ თუ არა კომპიუტერსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს სწავლისა და სწავლების პროცესში? : ა) სისტემატურად; ბ) დროდადრო; გ) იშვიათად; დ) არ ვიყენებ
11. რომელ მეთოდს ანიჭებთ უპირატესობას (იყენებთ) მოსწავლეთა შეფასებისას? :
 ა) შემაჯამებელ საკონტროლო დავალებას; ბ) ზეპირ გამოკითხვას; გ) წერით საშინაო გამოკითხვას; დ) ტესტირებას;
12. შეფასების რომელ ტიპს ანიჭებთ უპირატესობას თქვენს პრაქტიკაში?
 ა) განმსაზღვრელს; ბ) განმავითარებელს.
13. თქვენი აზრით, იძლევა თუ არა დღევანდელი საჯარო სკოლა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ მიიღოს სრულფასოვანი განათლება? : ა) სრულიად შესაძლებელია;
 ბ) შესაძლებელია; გ) არ ვარ დარწმუნებული; დ) შეუძლებელია
14. თქვენი აზრით, დღევანდელი სკოლის წარმატება (თუკი ასეთი რეალურია) სკოლის ხელმძღვანელობის და პედაგოგთა ინდივიდუალური ძალისხმევა უფროა, თუ განათლების სისტემის დამსახურება? (პასუხი ჩაწერეთ) _____

15. გავრცელებული აზრის თანახმად, დღეს სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია მთლიანად მანდატურის სამსახურის დატვირთვად იქცა, და მაინც იმატა მოსწავლეთა მიერ ქცევის კოდექსის უხეში დარღვევის შემთხვევებმა. იზიარებთ

თუ არა ამ მოსაზრებას და რა ღონისძიებების დაგეგმვა მიგაჩნიათ აუცილებლად მიმდინარე რეფორმის ფარგლებში?_____

16. თქვენი აზრით, წარმატებული იქნება თუ არა სასკოლო რეფორმა ამ ეტაპზე?

ა) სრულიად შესაძლებელია, რადგან _____

_____ბ) შესაძლებელია, რადგან_____

გ) არ ვარ დარწმუნებული, რადგან_____

_____დ) შეუძლებელია, რადგან_____

17. კონკრეტულად რა შედეგებს მოელით სასკოლო რეფორმიდან (შეგიძლიათ, აღნიშნოთ რამდენიმე)

- გაუმჯობესდება სწავლების შინაარსი, სასწავლო გეგმები და პროგრამები:
ა) შესაძლებელია; ბ) არ არის დარწმუნებული; გ) შეუძლებელია;
- შეიქმნება ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებთან შესაბამისი სასკოლო სახელმძღვანელოები: ა) შესაძლებელია; ბ) არ არის დარწმუნებული; გ) შეუძლებელია;
- დაიხვეწება მასწავლებელთა პროფესიული განათლების სისტემა: ა) შესაძლებელია;
ბ) არ არის დარწმუნებული; გ) შეუძლებელია
- გაუმჯობესდება სასწავლო გარემო: ა) შესაძლებელია; ბ) არ არის დარწმუნებული;
გ) შეუძლებელია
- ამაღლება სკოლის ადმინისტრაციითი ფუნქცია: ა) შესაძლებელია; ბ) არ არის
დარწმუნებული; გ) შეუძლებელია

- გაიზრდება მასწავლებელთა ხელფასი: ა) შესაძლებელია; ბ) არ არის დარწმუნებული;
გ) შეუძლებელია

სხვა(ჩაწერეთ) _____

გმადლობთ პასუხებისათვის!

ჩატარებული კვლევის მასალები

N 14 საჯარო სკოლა

1. კარგი იქნება, თუ უზრუნველყოფენ მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მივლინებებს იმ ქვეყნებში, სადაც განათლების სისტემა წარმატებულია;
2. შემოთავაზებული ახალი სქემა წინანდელზე დახვეწილია, მაგრამ ვფიქრობ, მისი დახვეწა კიდევ უფრო მოქნილს გახდის მასწავლებლის მუშაობას. ამდენი კითხვარის კითხვა, მისი პასუხები პროფესიონალ მასწავლებელს დიდ დროს ართმევს. მეტი საშუალება უნდა ჰქონდეს მას თავისი პროფესიისათვის საჭირო უახლესი ლიტერატურის და ტექნოლოგიების გასაცნობად;
3. სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია მთლიანად მანდატურის სამსახურის დატვირთვა არ არის, მასში პედაგოგები და მშობლები არიან ჩართული, მაგრამ აუცილებლობად მიმაჩნია პედაგოგებისა და მშობლების უფრო აქტიური ჩართვა მოსწავლეთა აღმზრდელობით პროცესში;
4. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო გარემოს კეთილმოწყობას. ზოგიერთი სკოლის მოძველებული შენობა საჭიროებს განახლებას, ფასადის განახლებას, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას, ნათელი საკლასო ოთახები და მოწესრიგებული გარემო მოსწავლესაც და მასწავლებელსაც უღვივებს მოტივაციას, რაც ნამდვილად არის წარმატების გარანტი;
5. სკოლას და პედ-კოლექტივს დაუბრუნდეს სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია!;
6. დროულად უნდა ამოქმედდეს შიდა და გარე დაკვირვება, რათა კარიერული ზრდა მოხდეს (თუ ამ მხრივ სხვა რამ არაა დაგეგმილი);
7. მათემატიკის და ფიზიკის სტანდარტი პარალელური უნდა იყოს. მათემატიკის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის ტრანსფერის საშუალება ამ ე ს გ –ით შეუძლებელია;

8. იმ მასწავლებლებს, რომელთაც აქვთ მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კრედიტქულების დაგროვებისას არ უნდა ხვდებოდეს ამდენი ბარიერი. ვგულისხმობ იმას, რომ აქტივობები იმდენად დაბალი კრედიტების მომცემია, მასწავლებელს არც დროს უტოვებს და არც შესაბამის კრედიტებს იძლევა კონკრეტულად ერთი აქტივობა;
9. მიზეზი, ჩემი აზრით იმაშია, რომ მასწავლებლის უფლებები უფრო შეზღუდულია, მოსწავლეთა უფლებები კი – მეტად გაზრდილი. მგონია, სკოლაში ყველას უფრო მეტი მუხლი იცავს კანონში, ვიდრე მასწავლებელს;
10. მოსწავლეთა სიმრავლე კლასში – მთავარი პრობლემა, ხარისხიანი სწავლების შემაფერხებელი ფაქტორი;

N 19 საჯარო სკოლა

1. სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია თანაბრად უნდა გადაინაწილოს როგორც პედაგოგებმა, ისე მანდატურის სამსახურმა;
2. „მშობლები საბაზო საფეხურის შემდეგ სკოლასთან აღარ თანამშრომლობენ, მათი ჩართულობა აუცილებლად დიდი დოზით უნდა მოხდეს ყველა საფეხურზე, მანდატურის სამსახური მხოლოდ უნდა აკონტროლებდეს, უნდა იმართებოდეს დისკუსიები მოსწავლის მშობლებისა და პედაგოგების მონაწილეობით სხვადასხვა აღმზრდელობით საკითხზე.
3. აღმზრდელობით პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს მანდატურმაც, თითოეულმა მასწავლებელმაც, – განსაკუთრებით დამრიგებელმა და დირექციამ, მშობლებთან თანამშრომლობით;
4. ჩვენ სკოლაში სკოლის მასწავლებლებისა და მანდატურის სამსახური ფუნქციონირებს თანაბრად;
5. შესაძლებელია, რადგან ეს არის ორიენტირებული მოსწავლეთა განვითარებაზე (მრავალმხრივ განვითარებაზე), ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტეგრაციას რეალურ სამყაროში;
6. სრულიად შესაძლებელია, რადგან რეფორმა გულისხმობს რაიმე ახლის დანერგვას, რაც ყოველთვის მისაღებია;

7. მოსწავლე შეიყვარებს სკოლას, სასწავლო პროცესი მისთვის გახდება უფრო საინტერესო, ხალისიანი და მრავალფეროვანი;
8. მივესალმები, თუ გაიზრდება საგნობრივი ტრენინგებისა და სემინარების მოცულობა პროფესიული განვითარების მიზნით;
9. დღევანდელი სკოლის წარმატება დამოკიდებულია როგორც სახელმძღვანელოების და პედაგოგთა ინდივიდუალურ ძალისხმევაზე, ასევე, განათლების სისტემის სწორ და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიმართულებაზე;

N 21 საჯარო სკოლა

1. გასაუმჯობესებელია პროფესიული განვითარების სქემა, რადგან მასწავლებელი არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ საკუთარი კრედიტების დაგროვებაზე, მოსწავლე მეორე რიგზე გადადის ამ დროს;
2. პროფესიული განვითარების მოქმედი სქემა გაუმჯობესებულია ადრინდელთან შედარებით;
3. მანდატურის სამსახური ვერასოდეს შეასრულებს სააღმზრდელო ფუნქციას;
4. მოლოდინები საკმაოდ კარგი მაქვს. ყველა აქ ჩამოთვლილი კომპონენტი გაუმჯობესდება და უკეთესობისკენ შეიცვლება, მაგრამ, ამას გარდა, კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი და, სამწუხაროდ, განათლების სისტემაში შედეგები გვიან გამოჩნდება ხოლმე;
5. არ ვეთანხმები გავრცელებულ აზრს, მოსწავლეთა აღმზრდელობით საქმიანობაში სკოლის ყველა რგოლი არის ჩართული, მაგრამ მოსწავლეთა მიერ ქცევის კოდექსის უხეში დარღვევის მატებაში (თუ ასეთი არსებობს), საზოგადოებისა და ოჯახის როლიც გასათვალისწინებელია;
6. კრედიტულების დაგროვების პრაქტიკა ჩემთვის სავსებით მისაღებია, ვინაიდან ამ სისტემით ვხელმძღვანელობდი უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში და ეს ამართლებდა დასახულ მიზნებს, თუმცა, რიგ საკითხებში

არსებობს დამატებითი შეკითხვები, რაზეც საჭიროების შემთხვევაში ვიღებთ პასუხებს კომპეტენტური პირებისაგან;

7. აღზრდელობითი ფუნქცია სკოლაში არის დირექციის, დამრიგებლისა და მასწავლებელთა ფუნქცია და მე, როგორც მშობელი, ვთვლი, რომ მოსწავლე სათანადო აღზრდას, უპირველეს ყოვლისა, ოჯახში უნდა ღებულობდეს და მათი უხეში ქცევა ოჯახში არსებული მძიმე პირობებით არის განპირობებული;
8. სწავლების შინაარსი, სასწავლო გეგმები და პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკს და მასში მოცემული დავალებები უნდა იყოს სხვადასხვა შესაძლებლობის მოწაფეებზე გათვლილი, სახელმძღვანელო უნდა იყოს მოსწავლისათვის დამხმარე, მასწავლებლისთვის გზამკვლევი და საშუალებას იძლეოდეს პროგრამის სრულყოფილად დასაძლევად. **სასკოლო გარემო მოწესრიგებული უნდა იყოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად (კლასების კომპიუტერიზაცია, ინტერნეტის მისაწვდომობა), სკოლის აღზრდელობითი ფუნქციის გასაძლიერებლად სასურველია ზემდგომი ორგანოების მეტი პასუხისმგებლობა და ჩართულობა სხვადასხვა ხასიათის პროექტებით;**
9. მიმაჩნია, რომ გასაუმჯობესებელია გარე შეფასების ფორმა, ვიდეო-გაკვეთილების ჩატარება და ამ გზით მასწავლებლების შეფასება, ვფიქრობ, არარეალურია;
10. კონკრეტულად, ჩემი სკოლის წარმატებულობას მნიშვნელოვნად განაპირობებს სკოლის ადმინისტრაციის სწორი მენეჯმენტი, პედაგოგთა შრომისმოყვარეობა და თავდადება, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტები, აქტივობები და ღონისძიებები;
11. N 21 სკოლის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, აღზრდელობითი ფუნქცია გადანაწილებულია სკოლის ყველა რგოლს შორის. ამდენად, დარღვევებიც, მოსწავლეთა მხრიდან, მინიმუმამდეა შემცირებული;
12. მოქმედი სქემა უფრო დახვეწილი და რეალურია, ვიდრე წინა, მასწავლებლებს მეტი შანსი მიეცათ კრედიტების დაგროვებით სტატუსის ამაღლების;

N 23 საჯარო სკოლა

1. შესაცვლელია შემდეგი: 1) „სკოლის საჭიროების კვლევას“-ის მოთხოვნა მეტისმეტია პედაგოგისთვის; 2) კრედიტების დაგროვების წესი: თუ პედაგოგი, მაგალითად, 2016–2017 სასწავლო წელს შეძლებს დააგროვოს დამატებითი 9 კრედიტულა, სასწავლო წლის ბოლოს ჩაეთვლება მხოლოდ 6, ხოლო 3 დამატებითი კრედიტულა იკარგება. უმჯობესია, შემდეგი საფეხურისთვის ინახებოდეს ის;

N 24 საჯარო სკოლა

1. ყურადღება უნდა გამახვილდეს საგნის პრაქტიკულ მხარეებზე;
2. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თანამედროვე მოთხოვნილებების გათვალისწინებით;
3. სქემა გასაუმჯობესებელია ყველა მიმართულებით!
4. ნაწილობრივ, ანუ ორივე მხარის ძალისხმევას, მაგრამ წარმატებული სკოლები ძალიან, ძალიან ცოტაა! (მშობლების დამსახურება უფროა მოსწავლეთა მიღწევები, მეტწილად!);

N 26 საჯარო სკოლა

1. თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო გაკვეთილები მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობის შესახებ, რათა მათ კარგად გაითავისონ არამართო თავისი უფლებები, არამედ მოვალეობებიც და გარშემომყოფთა ინტერესებიც;

N 12 საჯარო სკოლა

1. უნდა გაიზარდოს აქტივობების ჩამონათვალი, რაშიც მასწავლებლებს კრედიტულები ენიჭება;
2. გაიზარდოს კრედიტულების მინიჭების ჩამონათვალი;

3. მანდატურების მხრიდან, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მხოლოდ საადმინისტრაციული საუბრებით ვერ ხერხდება უხეში დარღვევების აცილება. საჭიროა უფრო ეფექტური მეთოდი, ღონისძიებები!;
4. მანდატურები მხოლოდ ნაწილობრივ დახმარებას უწევენ მასწავლებლებს;
5. სკოლაში ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი, თუნდაც, სასწავლო გარემო – საჭიროა მეტი საგანმანათლებლო რესურსი;

N 41 საჯარო სკოლა

1. მომხრე ვარ პედაგოგთა გადამზადების კურსები, თუნდაც, ხანგრძლივის, ბოლოს სათანადო გასაუბრებით ან გამოცდით. რამდენიმე საათიანი ტრენინგი უშედეგოა, თან ტრენინგები დაბალკვალიფიციურები არიან, ჩვენთვის საჭირო კითხვებზე პასუხებს ვერ გვცემენ;
2. მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნდა ჩაუტარდეთ გრძელვადიანი კურსები, ჩაუტარდეთ გამოცდა და მიეცეთ კვალიფიკაცია, სერტიფიკატი;

N 3 სკოლა

1. პროფესიული განვითარება ყველა მოქმედ მასწავლებელს სჭირდება, მაგრამ, ვფიქრობ, დამწყები და დიდი გამოცდილების მქონე მასწავლებლისადმი მიდგომა გამიჯნული უნდა იყოს პროფესიული განვითარების სქემაში. უკვე წლებია, სქემას არ მიეცა საბოლოო სახე. ამ ტიპის სქემა აბსურდულად მიმაჩნია;
2. მანდატურის სამსახური კიდევ უფრო მეტად უნდა ჩაერთოს მოსწავლეთა ქცევის მკონტროლებელ პროცესში. მანდატურების პასიური პოზიცია უნდა გააქტიურდეს და მასწავლებელს უნდა „შეეფაროს“ უმძიმეს საადმინისტრაციულ შრომაში. დაეხმაროს დამრიგებელს საადმინისტრაციულ საქმიანობაში;
3. სერტიფიცირებული მასწავლებლისათვის საკმარისია მხოლოდ საგნობრივი ტრენინგები და სემინარები;
4. მეტი არჩევანის შესაძლებლობა და ადეკვატური შეფასება არ არის საჭირო, სავალდებულო და დამატებითი დიფერენცირება;
5. მეოთხე უცხოური ენის ხარისხიანად სწავლებისათვის საჭიროა საათების რაოდენობის გაზრდა საბაზო საფეხურზე და პროგრამის განტვირთვა, ორგანიზებული ფორმით მიწოდება;
6. ფსიქოლოგიის სამსახური აუცილებელია, მაგრამ არა ფორმალური!;

7. მანდატურის სამსახურის გააქტიურებაა საჭირო, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის სამსახურის ფუნქციონირება;

N 1 საჯარო სკოლა

1. ვფიქრობ, მოქმედი სქემა საჭიროებს დახვეწას და მოდიფიცირებას. საჭიროა, თავიდან იქნას აცილებული მთელი რიგი რუტინული სამუშაოები, რომლებსაც ფორმალური სახე აქვს, მაგალითად, თვითშეფასების კითხვარის შევსება, რომელსაც მასწავლებელთა უმრავლესობა გაუაზრებლად, ფორმალურად აკეთებს ან სულაც აკოპირებს კოლეგებისაგან. ჩემი აზრით, მასწავლებელი ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს არა კრედიტების დაგროვებაზე, არამედ სწავლების ხარისხის ამაღლებაზე;
2. არ ვარ დარწმუნებული, რადგან მასწავლებლების საჭიროებები და შესაძლებლობები არ არის გათვალისწინებული მოქმედ სქემაში, ასევე, ე ს გ –ის მიხედვით, დასახული მიზნების მიღწევა შეუძლებელია არსებული სასკოლო საათობრივი ბადის გათვალისწინებით. სასურველია, მოხდეს ბადის მოდიფიცირება/განახლება ისე, რომ მოსწავლეს არ მოუწიოს 7 გაკვეთილი, რომელიც არაპროდუქტიულია. არც ერთ საგანში მე-7 გაკვეთილი ფორმალურად ტარდება (მაგ. მუსიკა IX კლასში), და პირიქით ...
3. ვფიქრობ,სწავლებისა და, პირველ რიგში, დისციპლინის მნიშვნელოვნად მოაგვარებს კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება, სასურველია, ეს რაოდენობა იყოს, მაქსიმუმ 25. ამ შემთხვევაში მასწავლებლისთვის ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნება კლასთან ურთიერთობა, მანდატურის როლი უმნიშვნელოა, და ძირითადი პასუხისმგებლობა მაინც მასწავლებელზე მოდის. მანდატურს აქვს მეთვალთვალისა და მოსეირის ფუნქცია;
4. ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებამ პრაქტიკულად უარყოფითი სახე მიიღო. 1 გაკვეთილზე ორი საგნისათვის დროის სიმცირის გამო, მისი განაწილება არ ხერხდება, ამიტომ ორივე ზარალდება. ვფიქრობთ, ენის საათი ცალკე უნდა დაემატოს და კვირეული დატვირთვა გახდეს 6 საათი.
5. ვფიქრობთ, სკოლაში ძირითადად პრაქტიკული გრამატიკა უნდა ისწავლებოდეს. მცირე დოზით, მხოლოდ ძალიან მნიშვნელოვანი თეორია კი –მცირე დოზით. უნდა გაძლიერდეს მართლწერის სავარჯიშოები და ენობრივი მაგალითების შესრულება.
6. ვფიქრობ,სწავლებისა და, პირველ რიგში, დისციპლინის მნიშვნელოვნად მოაგვარებს კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება, სასურველია, ეს

რაოდენობა იყოს, მაქსიმუმ 25. ამ შემთხვევაში მასწავლებლისთვის ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნება კლასთან ურთიერთობა.

N 12 სკოლა

1. 2. რეფორმა უნდა გატარდეს არა მარტო გრანტების მოსაპოვებლად, არამედ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;
2. უნდა ჩაითვალოს იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომლებშიც მასწავლებელს კრედიტულა ენიჭება (კლასის ხელმძღვანელობა, სსსმ მოსწავლესთან მუშაობა, გასვლითი გაკვეთილი–ექსკურსიები).
3. 16. არ ვარ დარწმუნებული, რადგან რეფორმა ტარდება რეფორმისთვის და არა მოსწავლე–მასწავლებლისთვის;
4. აუცილებელია კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის 20–მდე შემცირება, სწორედ ამ მიზნით უნდა იხარჯებოდეს ბიუჯეტი და არა უაზრო ტრენინგებისთვის;
5. 6. მასწავლებელი არ უნდა იყოს შეზღუდული აქტივობების არჩევაში, უნდა გააკეთოს ის, რაც მას მოსწონს და შედეგიანია სწავლების ხარისხის ასამაღლებლად;

N 10 სკოლა

1. ფუნქციაუნდაგადანაწილდეს: მანდატურს+მასწავლებელი+მშობელი. მშობლის როლი ძალიან დაქვეითდა აღზრდაში, შვილების ამბავს აღარ კითხულობენ, სკოლაშიც აღარ დადიან. მშობელთა ჩართულობა სწავლების პროცესში რეფორმამ უნდა გაითვალისწინოს;
2. სახელმძღვანელოების გადახედვა. უცხო ენაში სახელმძღვანელო საწყის საფეხურს შეესაბამება, მაგრამ ზედა საფეხურზე მე–9, მე–10 კლასები იმდენად იოლია, რომ იწვევს მოსწავლის დემოტივაციას, ამიტომ პედაგოგი იძულებულია, თავისი ინიციატივით დაიხმაროს სხვა სახელმძღვანელო;
3. შეფასების და ნიშნების წერის ასეთი ყოვლისშემძლეობის მიზეზი მარტივია – მოსწავლე და მისი მშობელი ორიენტირებულია არა იმაზე, თუ რას და როგორ ასწავლიან, არამედ იმაზე, თუ რაში და როგორ აფასებენ. ასეთ ვიწრო პრაქტიკულ პრაგმატიზმში ვერავის ვერ დაადანაშაულებთ, ყველგან ასეა, ამიტომ გამოსავალი ერთია – შეფასებისა და ნიშნების წერის რეფორმა.

დანართი N 2

დაწყებითი საფეხური (I-VI კლასები)

საგნობრივი ცოდნისა და სასწავლო უნარების აუცილებელი მინიმუმი

დაწყებითი სწავლება მოიცავს ექვსწლიან ციკლს. სკოლის ეს პერიოდი მოითხოვს სწავლების ამოცანების წარმოდგენას ინტეგრირებული, კოორდინირებული სახით. ამდენად, ამ შემთხვევაში წამყვანი პრინციპია საგნის (ენისა და ლიტერატურის) შინაარსობრივი ერთიანობა.

დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება:

- სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გადმოცემა;
- წაკითხული წინადადებებისა და ტექსტის კონსტრუირება;
- სხვადასხვა სახის ტექსტების შეგნებულად და გააზრებულად კითხვა;
- ტექსტებში მოცემული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყოფა და სათანადო ინტერპრეტაციით წარმოდგენა;
- მისთვის ნაცნობ თემებზე სხვადასხვა ხასიათის ტექსტების გამართულად წერა;
- გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის პრაქტიკულად აუცილებელი მინიმუმის შეგნებულად გამოყენება.

ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება:

- სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციაში ადეკვატურად რეაგირება;
- კამათის, დისკუსიისა და მსჯელობის სტრატეგიების გამოყენება;
- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების კორექცია და დახვეწა კომუნიკაციის ეტიკეტური ნორმების მიხედვით;
- კითხვის ძირითადი სტრატეგიების დაუფლება;
- სხვადასხვა ხასიათის, მიზნისა და დანიშნულების წერილობითი ტექსტების შეთხზვა.

მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

- სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის ტექსტების მოსმენა, წაკითხვა და საკუთარი ემოციებისა და აზრის გამოხატვა;

- მოსმენილი ან წაკითხული მხატვრული ნაწარმოების დაკავშირება პირად გამოცდილებასთან;
- ტექსტის ეპიზოდების ერთმანეთთან დაკავშირება და მთავარი თემის განსაზღვრა;
- გმირის საქციელის შეფასება;
- მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი ფუნქციის ახსნა;
- მხატვრული ტექსტების შექმნა;
- საკუთარი ინტერესების მიხედვით საკითხავი ლიტერატურის შერჩევა.

მშობლიური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზემსახურება თვითგამოხატვისათვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სწავლების ყველა ძირითადი - ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერისმიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით სკოლაში ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსსსხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს.ტექსტებისნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობამაც მოსწავლე უნდა მოამზადოს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული,შემეცნებითი და ყოფითი ტექსტების შექმნის, აღქმისა და ინტერპრეტაციისუნარ-ჩვევებს. მათ უნდა ისწავლონ ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა, ტექსტებში მოცემული საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათი ანალიზი და შეძლონ დამოკიდებულებების (პოზიციისა და შეფასებების) თავისუფლად გამოხატვა.

უფროსი განყოფილება

1. თავისუფალი, შეგნებული კითხვა და წაკითხულის გადმოცემა ლიტერატურული ენით;
2. ზეპირად ცოდნა, საჭირო განმარტების შემდეგ, საუკეთესო ლექსებისა და იგავ-არაკებისა სახელმძღვანელო წიგნიდან;
3. თავისუფლად აღწერა წიგნებისა და სურათებისა, აგრეთვე გადმოცემა საკუთარ შთაბეჭდილებათა – ნახულისა და გაგონილისა;
4. წერითი სავარჯიშოები: საგნებისა და სურათების აღწერა, წაკითხულის შინაარსის გადმოცემა წერით, საკუთარ შთაბეჭდილებათა მოკლედ გადმოცემა, აგრეთვე, ნახულ-გაგონილისა და შემთხვევებისა საკუთარის ცხოვრებიდან;
5. ამავე განყოფილებაში მასწავლებელმა მოწაფეებს უნდა გადასცეს ცოცხალის საუბარით პირველდაწყებითი ცნობანი გეოგრაფიიდან საზოგადოდ და სამშობლო ქვეყნის

აღწერიდან კერძოდ, დაახლოვებით შემდეგის გეგმით: საკლასო ოთახის მოწყობილობა და მისი გეგმა, მთელი სასწავლებლისა და მისი კარმიდამოს გეგმა და მოკლე აღწერა და გეგმა იმ ქალაქისა ან დაბისა, სადაც სასწავლებელია: მახლობელი მთა და მთის ნაწილები, მახლობელი მდინარე და მდინარის ნაწილები, ქვეყნის კუთხეები: საქართველოს ის კუთხე, სადაც სკოლა იმყოფება; საქართველო და მისი მთავარი ნაწილები, მთები და მდინარეები, აგრეთვე ქალაქები და შესანიშნავი ადგილები: საზოგადო ცნობანი კავკასიაზე (საჭიროა მოწაფეებს რუკაც გააცნონ).

საბაზო საფეხური (VII-IX კლასები)

საბაზო სწავლება მოიცავს სამწლიან ციკლს. საბაზო საფეხურზე ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა დაწყებით საფეხურზე. სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლე ავლენს მიდრეკილებას ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზროვნებისადმი. აქედან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება:

- სხვადასხვა სახის ტექსტების მოსმენა და აღქმა;
- ტექსტის ნაწილების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება და ამ ლოგიკური კავშირების ამსახველი სინტაქსურ-სტილისტური ხერხების სათანადოდ გამოყენება;
- სხვადასხვა სახის (როგორც ლიტერატურული, ისე სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური, საქმიანი და სხვ.), სტილისა და ჟანრის ტექსტების თავისუფლად გაგება, მათი ენობრივი ანალიზი და სინთეზი;
- ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება;
- სხვადასხვა სირთულისა და სხვადასხვა სახის (ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური, საქმიანი და სხვ.) ტექსტების გამართულად წერა განსხვავებულ თემებზე; გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის ცოდნა და ამ ცოდნის შეგნებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად.

ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება:

- საკუთარი კომუნიკაციური ქცევის ადეკვატურად შეფასება და სათანადოდ წარმართვა;
- იმ უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების დაუფლება, რომლებიც მიღებულია მოცემულ კულტურულ გარემოში კამათის, დისკუსიის, დებატებისა და საკუთარი აზრის გამოთქმისას;
- ტექსტის წასაკითხად, დასამუშავებლად და გასაანალიზებლად აუცილებელი კითხვის სტრატეგიების დაუფლება;
- სხვადასხვა ხასიათის ზეპირი და წერილობითი ტექსტების საკომუნიკაციო მიზნის ამოცნობა და ამ კუთხით ტექსტის ეფექტურობის შეფასება;
- საკომუნიკაციო მიზნის გათვალისწინებით, ფუნქციური სტილის მართებულად შერჩევა წერის დროს; საკუთარი ნაწერის რედაქტირება და კორექტირება.

მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

- მხატვრულ ტექსტში გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი ეფექტურობის შეფასება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული მოვლენებისა და პრობლემების დაკავშირება სუბიექტურ გამოცდილებასთან;
- სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებში გამოკვეთილი პრობლემატიკის ერთმანეთთან დაკავშირება, შედარება და შეპირისპირება;
- ნაწარმოებში არსებული პრობლემური საკითხების მრავალმხრივი და არასტერეოტიპული ინტერპრეტაცია;
- სოციოკულტურული კონტექსტის გავლენის აღქმა-გააზრება ლიტერატურულ ნაწარმოებებში;
- ლიტერატურის მნიშვნელობის გააზრება ადამიანის შემეცნებითი, შემოქმედებითი და ეთიკური განვითარებისათვის;
- შეთხზვა წერილობითი ტექსტებისა, რომლებშიც მჟღავნდება მოსწავლის ლიტერატურული გემოვნება, შემეცნებითი ინტერესები, შემოქმედებითი უნარები.

საშუალო საფეხური (X-XII კლასები)

საშუალო საფეხური საქართველოში სწავლების სამწლიან ციკლს ითვალისწინებს (X-XII კლასები). საშუალო საფეხური სავალდებულო არ არის და, ფაქტობრივად, მოსწავლის უმაღლესი სკოლისთვის მომზადებას ემსახურება. სწავლების ამ ეტაპის დასრულების შემდეგ მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია დაეუფლოს ნებისმიერ პროფესიას, სრულფასოვანი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება:

- სხვადასხვა სახის ზეპირი ტექსტების ანალიზი ტონალობის, ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურისა და ეფექტურობის თვალსაზრისით;
- ადეკვატურად, გამართულად და დამარწმუნებლად მეტყველება;
- წაკითხული ტექსტის კონსტრუირება (ენობრივი ანალიზი და სინთეზი);
- ტექსტების სახეების ამოცნობა და განმარტება მათს სტრუქტურულ-გრამატიკულ თუ სტილისტურ თავისებურებებზე დაყრდნობით;
- ტექსტებში მოცემული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყოფა და მათი სათანადო ინტერპრეტაციით წარმოდგენა;
- სხვადასხვა ტიპისა და სტილის ტექსტების გამართულად წერა; გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის წესების მართებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად.

ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება:

- იმ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალურ გარემოში პიროვნების ადეკვატურ თვითგამოხატვას; საუბრის, დისკუსიის, დებატების, სხვადასხვა თემაზე კამათის წარმართვას;
- სხვადასხვა სახის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შეფასება მათი საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით;
- წაკითხულის გადამოწმება და შეფასება სანდოობის, აქტუალურობის, პოპულარობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით;
- კონკრეტული საკითხის შესასწავლად ინფორმაციის მოძიება, კრიტიკულად გადამოწმება და მონაცემთა ბანკის შედგენა;
- სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის ნებისმიერი ტიპის წერილობითი ტექსტის შეთხზვა.

მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

- არგუმენტირებული მსჯელობა სხვადასხვა ჟანრის მხატვრულ ტექსტებში გამოვლენილი მსოფლმხედველობრივი საკითხებისა და ლიტერატურული თავისებურებების შესახებ;
- ლიტერატურულ ნაწარმოებზე სუბიექტური მოსაზრების ჩამოყალიბება და წარმოჩენა;

- ლიტერატურულ ნაწარმოებებში მხატვრული აზროვნების ფორმების იდენტიფიცირება, შედარება, შეპირისპირება, დაკავშირება და ანალიზი;
- სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურულ ტექსტებში ასახულ კულტურულ ფასეულობათა გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ტექსტის შექმნის პროცესში ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილების რეალიზება;
- წერილობით ტექსტებში საკუთარი პოზიციისა და ღირებულებითი დამოკიდებულებების სხვადასხვა ლიტერატურული ფორმით წარმოჩენა;
- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის აღქმა-გააზრება.

დანართი N 3

სახალხო სკოლების პროგრამა ყველა საგანში 1919–1920 სასწავლო წლისათვის

პროგრამა ქართულ ენასა და სიტყვიერებაში
(სცსსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 1162 ფ. 3,4,7)

პირველი კლასი

კლასში მოსწავლეები სწავლობენ რჩეულ მხატვრულ ტექსტს :

ა. მოთხრობები: (საკითხავ–საამბობი მასალა)

1. ვაჟა–ფშაველასი: „მოგონება“ და „სათაგური“
2. ეკატერინე გაბაშვილისა: „ნანას დედოფალა“, „თინიას ლეკური“, „თამროს შეხვედრა“
3. ნ. ლომოურისა: „ყოველი მხრიდან“
4. შიო არაგვისპირელისა: „მოგონება“
5. სოფრომ მგალობლიშვილისა: „ყაყიტას ქურდი“
6. თ. რაზიკაშვილისა: „ფითრი“
7. დუტუ მეგრელისა: „ქინაქინი“
8. აკაკი წერეთლისა: „გოგია მეჩონგურე“
9. ი. ევდოშვილისა: „კაკანათი“, „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“ და „ზამთარი“.
10. სულხან–საბა ორბელიანის რჩეული არაკები: „ზარმაცი მცურავი“, „ქორი და იხვი“, „მეხილე და მწყემსი“, „მოხერხებული ვირი“, „გლაზაკი და ერთი ქილა ერბო“.
11. ხალხური ზღაპრები: „მეფე და ხელოსანი“, „ორი ქურდი“, „ნაცარქექია“.

ბ. საზეპიროები (ლექსები):

1. რაფიელ ერისთავისა: „ზამთარი“, „აღდგომა“, „სურათი“, „თინას მამითადი“, „ტეტის მოთქმა“, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“.
2. აკაკი წერეთლისა: „დათვის წვეულება“, „ჭინჭრაქა“, „გოგია მეჩონგურიდან“ დისა და დედის სიმღერა.
3. შიო მღვიმელისა „ობოლი“.

მეორე კლასი

ა. საკითხავ–საამბოები მასალა:

1. ეკატერინე გაბაშვილისა: „მაგდანას ლურჯა“.
2. აკაკი წერეთლისა: „ჩემი თავგადასავალი“, „ალექსი“ (პოემა–ზღაპარი), „ნაცარქექია“ (პოემა–ზღაპარი), „ორი ქართველი“ (პოემა), „ნათელა“ (პოემა).
3. ილია ჭავჭავაძისა: „კაკო ყაჩაღი“.
4. ე. ნინოშვილისა „განკარგულება“, „პალიასტომის ტბა“ და „მანადირე“.
5. შიო არაგვისპირელისა: „რა ზიზღით მიცქერის“.
6. ი. ევდოშვილისა: „გენაცვალოს პაპა“, „უბედური ქორბუდა“
7. ვაჟა–ფშაველასი: „დათვი“, „კურდღელი“, „მთის წყარო“
8. საბა ორბელიანის რჩეული არაკები: „აქლემი და ვირი“, „ორნი ძმანი“, „ორმოში ჩაგდებული მეფე“ და „სამნი ძმანი“.
9. ხალხური ზღაპრები: „წიქარა“, „მარგალიტის ცრემლი“, „მზის ქალი“, აგრეთვე, აღნიაშვილის კრებულიდან: „ღვთისა ვარ“, „გულამზარა და სალამზარა“.
10. ს. მგალობლიშვილისა: „წყერაობა“.
11. ნ. ლომოურის: „ქაჯანა“

გ. საზეპიროები:

1. რაფ. ერისთავისა: „ბერუას ჩივილი“, „ტეტის მოთქმა“, „სესიას ფიქრები“, „სამშობლო ხევსურისა“.
2. აკაკი წერეთლისა: „ნათელას სიმღერა“, „სიმღერა მკის დროს“, „იმერული ნანინა“, „განთიადი“, „ღამურა“, „ჭირვეული თამადა“.
3. ილია ჭავჭავაძისა: ადგილები „კაკო ყაჩაღიდან“
4. ი. ევდოშვილისა: „შემოდგომა“, „ზამთარი“, „გაზაფხული“, „ზაფხული“.
5. დავით გურამიშვილისა: „ლეკთაგან დატყვევება“

გ. ქუჩიშვილისა: „ეგნატეს ხსოვნას“.

მესამე კლასი

1. ქართული ენის გრამატიკა (ელემენტარული კურსი): ხმები და ასოები, უმთავრესი სახმო კანონები; სიტყვის დანაწილება: ფუძე (თავსართი, ძირი, ჩასართი) და დაბოლოება. სამეტყველო ნაწილები: არსებითი სახელები და მათი ბრუნვება; ზედსართავი, მისი ბრუნვება, ხარისხები და არსებითთან შეთანხმება; რიცხვითი და ნაცვალსახელი, მათი გვარები, ბრუნვება და არსებითთან შეთანხმება; საზოგადო წარმოდგენა ზმნაზე, მის გვარებზე, დროებზე და კილოებზე (დაწვრილებით მეოთხე კლასში): თანდებული, კავშირი.

საკითხავ-საამბობი მასალა:

1. ი. ევდოშვილისა: „ორი ობოლი“, „სისხლი აიღო“.
2. ე. ნინოშვილისა: „სიმონა“, „გოგია უიშვილი“.
3. ვაჟა-ფშაველასი: „მოხუცის ნათქვამი“ (პოემა). „ხმელი წიფელი“.
4. ილია ჭავჭავაძისა: „სახრჩობელაზედ“, „დიმიტრი თავდადებული“, „სახლკარი“.
5. აკაკის: „ბაგრატ დიდი“.
6. შ. არაგვისპირელისა: „მიწა“.
7. დ. კლდიაშვილისა: „შერისხვა“, „სოლომონ მორბელაძე“.
8. დ. მეგრელისა: „დამორებულნი“.
9. ა. ყაზბეგისა: „ბერდია“.
10. ლალიონისა: „ბეჟუკას ხვედრი“ და „ფირალი დავლაძე“.
11. მ. ლომოურისა „ალი“.
12. ს. ს. ორბელიანისა: „ვირი და ვეფხვი“, „კაცი და გველი“.
13. ხალხური ზღაპარი „ამირანი“.
14. ია ეკალაძისა: „სატუსალოში“.

III. საზეპიროები:

1. აკაკისა: „მთაწმინდა“, „ზღვაო აღელდი, აღელდი“.
2. ი. ჭავჭავაძისა: „ელეგია“, „ქართლის დედას“, „გუთნის დედა“.
3. ი. ევდოშვილისა: „სძინავს სოფელსა“, „ორი ობოლი“.
4. ვახტანგ ორბელიანისა: „გელათი“ („არის ადგილი“).
5. რაფ. ერისთავისა: „საქართველო და ირაკლი“ („ასპინძის ომიდან“).
6. ვაჟა-ფშაველასი: „ობოლი“, „კლდე და მდინარე“.
7. ვ. რუხაძისა: „მწუხარე დედა“.
8. გ. ქუჩიშვილისა: „ნიავეს“, „სიმღერა“, (საზღვარი მივეც ღუმელს).
9. გ. ტაბიძისა: „მუხა“ და „მოგონება“.

მეოთხე კლასი

1. ქართული ენის გრამატიკა (ელემენტარული კურსი): ხმები და ასოები, უმთავრესი სახმო კანონები; სიტყვის დანაწილება: ფუძე (თავსართი, ძირი, ჩასართი) და დაბოლოება. სამეტყველო ნაწილები: არსებითი სახელები და მათი ბრუნება; ზედსართავი, მისი ბრუნება, ხარისხები და არსებითთან შეთანხმება; რიცხვითი და ნაცვალსახელი, მათი გვარები, ბრუნება და არსებითთან შეთანხმება; საზოგადო წარმოდგენა ზმნაზე, მის გვარებზე, დროებზე და კოლოებზე (დაწვრილებით მეოთხე კლასში): თანდებული, კავშირი.

2. საკითხავ-საამბობი მასალა:

1. ი. ევდოშვილისა: „ორი ობოლი“, „სისხლი აიღო“.
2. ი. ნინოშვილისა: „სიმონა“, „გოგია უიშვილი“.
3. ვაჟა-ფშაველასი: „მოხუცის ნათქვამი“ (პოემა), „ხმელი წიფელა“.
4. ილია ჭავჭავაძისა: „სახრჩობელაზედ“, „დიმიტრი თავდადებული“, „სახლკარი“
5. აკაკის „ბაგრატ დიდი“.
6. შ. არაგვისპირელისა „მიწა“.
7. დ. კლდიაშვილისა: „შერისხვა“, „სოლომან მორბელაძე“.
8. დ. მეგრელისა: „დაშორებულნი“.
9. ა. ყაზბეგისა: „ბერდია“.
10. ლალიონისა: „ბეჟუკას ხვედრი“ და „ფირალი დავლაძე“
11. მ. ლომოურისა: „ალი“.
12. ს. ს. ორბელიანისა: „ვირი და ვეფხვი“, „კაცი და გველი“
13. ხალხური ზღაპარი „ამირანი“.
14. ია ეკალაძისა: „სატუსალოში“.

III. საზეპიროები:

1. აკაკისა: „მთაწმინდა“, „ზღვაო, აღელდი, აღელდი“.
2. ი. ჭავჭავაძისა: „ელეგია“, „ქართლის დედას“, „გუთნის დედა“.
3. ი. ევდოშვილისა „სძინავს სოფელსა“, „ორი ობოლი“.
4. ვახტანგ ორბელიანისა: „გელათი“ („არის ადგილი ...“).
5. რაფ. ერისთავისა: „საქართველო და ირაკლი“ („ასპინძის ომიდან“).
6. ვაჟა-ფშაველასი: „ობოლი“, „კლდე და მდინარე“.
7. ვ. რუხაძისა: „მწუხარე დედა“.
8. ვ. ქუჩიშვილისა: „ნიავეს“, „სიმღერა“, (საზღვარი მივეც დუმილს)
9. გ. ტაბიძისა: „მუხა“ და „მოგონება“.

მეხუთე კლასი

1. ნ. ბარათაშვილის: „ბედი ქართლისა“.
2. აკაკი წერეთლის: თხზულებანი, სადაც იხატება მგოსნის პიროვნება, მშობელი ერის წარსული, აწმყო და მომავალი.
3. ილია ჭავჭავაძისა: „მგზავრის წერილები“, „დედა და შვილი“, „კაკო ყაჩაღი“, (არსენას ლექსთან შედარებით): „გლახის ნაამბობი“, „კაცია–ადამიანი?!“.
4. ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა:
 1. ეკ. გაბაშვილისა;
 2. ს. მაგლობლიშვილისა;
 3. ნ. ლომოურისა;
 4. შ. არაგვისპირელისა;
 5. შ. მღვიმელისა;
 6. ევდოშვილისა;
 7. ი. ეკალაძისა;

წინა კლასებში შესწავლილ მასალისა და აგრეთვე, ახალის დამატების მიხედვით.

მეექვსე კლასი

1. ა) ალ. ჭავჭავაძის რჩეული ნაწერები: ძირითადი მოტივი მისი პოეზიისა, პესიმიზმი და მისი გამომწვევი მიზეზი (შესაფერი ლექსები): „ჩალღევა“, როგორც ნაღვლიანობის გამაქარწყლებელი საშუალება (ლოთებო, ნეტავი ჩვენა), „მე იგივე ვარ მარად და მარად“, „გოგჩა“ და სხვ.
2. ნ. ბარათაშვილის – ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიქრნი მტკვრის პირად“, „ჩემს ვარსკლავს“, „სული ობოლი“, „ვპოვე ტაძარი“, „მერანი“ და სხვ.
3. ვახტანგ ორბელიანის: „პოეტს“, „ორი შენობა“, „ორი სიზმარი“, „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, „ხმა სამშობლო ქვეყნისა“, „იმედი“ და სხვ. ვახტანგის ცხოვრება და მისი პოეზიის საზოგადო დახასიათება.
 - ბ) 1. ხალხური სიტყვიერება და მისი მთავარი დარგები: უძველესი ლოცვა–საგალობელნი, საგმირო, საოჯახო, სატრფიალო და საისტორიო ლექსები, ანდაზები, გამოცანები და ზღაპარ–არაკებში.
 - (2) ქართული მწერლობის დასაბამი და მისი ხასიათი:
 - ა) ცხოვრება და მარტვილობანი;
 - 1) იაკობ ხუცესის „წამებაი წმიდისა შუშანიკისი“.
 - 2) იოანე საბანისძის „ქებაი წმ. მოწამისა ჰაბოისი“.
 - ბ) ცხოვრება და მოქალაქობანი:
 1. გიორგი მერჩულის: „ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელისა“

2. ბასილ ზარზმელის: „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“
3. მოკლე მიმოხილვა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა და ევრემ მცირის მოღვაწეობისა.

მეშვიდე კლასი

- ა) 1. გ. ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა: კომედიები: „გაყრა“, „დავა“ და „ძუნწი“
3. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“
4. ლავრენტი არდაზიანი და მისი „სოლომონ მეჯღანუაშვილი“.
5. ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, „ოთარაანთ ქვრივი“; ილიას ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა.

ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა:

6. გ. წერეთლისა.
7. ე. ნინოშვილისა.
8. დ. კლდიაშვილისა.

ბ) ფილოსოფიური ნაწარმოებნი: იოანე პეტრიწონელი, ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი: ნეოპლატონიზმი და მისი მნიშვნელობა ქართული მწერლობისა და საზოგადოდ კულტურისათვის.

1. ძველი ქართული საერო მწერლობა და მისი ხასიათი: ა) მოსე ხონელი და მისი „ამირანდარეჯანიანი“; ბ) იოანე შავთელი და მისი „აბდულმესია“; გ) ჩახრუხაძე და მისი „თამარიანი“; დ) „ვისრამიანი“.

მერვე კლასი

ა) 1. აკაკი წერეთლის ცხოვრება და სამწერლო მოღვაწეობა.

1. ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და მისი პოეზია.
2. რ. ერისთავის სალიტერატურო მოღვაწეობა.
3. ალ. ყაზბეგი, მისი ცხოვრება და სამწერლო მოღვაწეობა.
- ბ) 1. თეიმურაზ I და მისი ნაწარმოებნი.
1. არჩილ მეფე და მისი „არჩილიანი“
2. სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე-სიცრუისა“ და რამდენიმე არაკი „ქილილა და დამანა“-დან.
3. დავით გურამიშვილი და მისი ნაწერები: 1) ისტორიული ლექსები; 2) ავტობიოგრაფიული ლექსები; 3) დიდაქტიკური ლექსები და 4) სასულიერო ოდეები.

4. ბესარიონ გაბაშვილი და მისი რჩეული ნაწერები: 1) სატრფიალო ლექსები; 2) ოდები.
5. ქართული საისტორიო მწერლობა.

გ) „ვეფხისტყაოსანი“ (სცსსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 1162 ფ.3,4,11,12)

IV განყოფილება (მეოთხე წელიწადი)

ქართული ენა

კითხვა უფრო ვრცელი სიტყვა კაზმულ ნაწარმოებისა დაწვრილებით გარჩევით. კითხვა ქრესტომატიაში ნაწყვეტებისა საუკეთესო მწერალთა თხზულებებიდან; ზეპირად ცოდნა შესანიშნავის ლექსებისა და იგავ-არაკებისა საჭირო ახსნა-განმარტებით. გამომეტყველებით კითხვა შესწავლილ მასალებისა. კითხვა და შესწავლა ისეთის მასალებისა, რომელიც უჩვენებს ადამიანს სიკეთისა და ბედნიერების გზას და გვიხატავს ადამიანის ცხოვრებაში კაცობრიული სულის უმაღლეს მოთხოვნილებას: სიკეთეს და სამართლიანობას, როგორც ბედნიერების ფუძეს პირადასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცოცხლად დასურათება ლიტერატურულ-მხატვრულ ადგილებისა წაკითხულ მასალებში. ვარჯიშობა გარეშე წიგნების კითხვაში. კოლექტიური და ჯგუფობრივი კითხვა; დალაგებით გადმოცემა წაკითხულ მასალების შინაარსისა. წაკითხულ მხატვრულ ნაწარმოებისა და სამეცნიერო შინაარსის მასალების გეგმის შედგენა და მომქმედ პირთა მოკლე დახასიათება. საქართველოს გამოჩენილ ძველ და ახალ მწერალთა მოკლე ბიოგრაფიები და მოკლე ცნობები უცხო ქვეყნების შესანიშნავ პირთა შესახებ. ადამიანისა და მოქალაქის უფლება და მოვალეობანი თავისუფალ სახელმწიფოში.

წერიტი სავარჯიშოები: წერით გადმოცემა ნასწავლ მოთხრობათა მოკლე შინაარსისა; წერიტი პასუხი მიცემულის გეგმაზე. პატარ-პატარა აწერილობა შინაურის ცხოვრებისა, ბუნებისა, წელიწადის დროთა; შინ წაკითხულის მოკლე შინაარსის წერა; დღიურების წერა. ბუნების მეტყველებიდან ცოცხალ საუბრების მოკლე შინაარსის წერა; ექსკურსიების აწერილობა; პატარ-პატარა მოთხრობების შედგენა სურათებისა და ანდაზების მიხედვით. თხზულებანი ადვილ თემებზე. ავტობიოგრაფია. საქმიანი წერილების შედგენა, ილუსტრაციები, ჟურნალის გამოცემა მოწაფეების ნაწარმოებით და სურათებით.

საგრამატიკო ვარჯიშობა: რთული სიტყვები, მათი წარმოშობა, მნიშვნელობა და სხვაობა, ზედსართავი სახელის მნიშვნელობა და მისი არსებით სახელთან ჩაქსოვა. ზმნების მნიშვნელობა და მისი ფორმების შეცვლა. სიტყვების ბრუნვება წინადადებაში. საცვლელი და უცვლელი სიტყვის ნაწილები. გამოცნობა, თუ რომელ სიტყვის ნაწილს

ეკუთვნის ესა თუ ის სიტყვა და რად? წინადადების უმთავრესი ნაწილები. კითხვების დასმა წინადადების მეორე ხარისხოვან ნაწილებისათვის. როტულ წინადადებაში გარჩევა მთავარისა და დამოკიდებულ წინადადებათა. კითხვების დასმა დამოკიდებულ წინადადებისათვის. სასვენი ნიშნები როტულს წინადადებაში.

„ენის ფორმების შინაარსთან დამოკიდებულება, აზრთა სხვა და სხვაობა, შეთვისება და შეერთება ცალკე სიტყვებისა და ფრაზებისა, სხვა და სხვა წესები აზრთა გამოხატვისა. აი, რა შეადგენს საზრუნავ საგანს ენის პრაქტიკულად შესწავლაში. მოწაფემ უნდა იცოდეს, რისთვის არის ჩართული ესა თუ ის სიტყვა წინადადებაში, რასა ხსნის, რომელ სიტყვას ეფარდება ჩამატებული ახალი წინადადება; მოწაფეებმა ისწავლონ ზმნებში დროთა შესაფერად ხმარება, წესიერად ხმარება სიტყვებისა, რომ წინადადების აზრი არ შეიცვალოს; ისწავლონ ერთისა და იმავე აზრის მოკლედ და ვრცლად გამოთქმა. რასაკვირველია, ყველა ეს ცოცხალ მაგალითებზე უნდა წარმოებდეს და არა განყენებულ წესებზე. როგორც დამხმარე საშუალებას, ნურც ადვილ ტერმინებს მოერიდება მასწავლებელი, თუკი იგი ხელს უწყობს მოკლედ ახსნა–განმარტებას” (სცსსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 1166, ფ.11).

ზონის საოსტატო სემინარიის ხელგარჯილობის პროგრამა

(ქსსა,ფონდი 121, საქმე 113, ფ. 3–6)

I განყოფილება

ზონარი და სხვა და სხვა კვანძები; ჭილოფის, ბადეებისა და პატარა პარკების ქსოვა და თოკის გრეხა. გამოთლა ჩხირებიდან ნახევარ აშინისა და დაყოფა: ვერშოკებად; დამზადება სამი შეკვრა ჩხირისა (ათ–ათი თითო შეკვრაში) ქერქიანად 1, 2, 3 ვერშოკის სიგრძისა. დამზადება ასეთისავე სამი კონისა უქერქოდ. ტირიფის ნედლი წკეპლებისგან 5 რგოლის დამზადება, 1 ან 2 ვერშოკის სიგანით და დაჭრა ნახევარ რგოლებად გახმობის შემდეგ.

შენიშვნა: ყველა ამ დამზადებულ ნივთებს გამოიყენებენ არითმეტიკის, ანბანის და სხვა და სხვა გეომეტრიული ფიგურების შესწავლის დროს. ყველა ეს სავარჯიშოები, აგრეთვე, უნდა დაიხატოს ფერადი არანდაშებით.

ვარჯიშობა ქალაღდზე. ქალაღდის სხვა და სხვა ნივთები, როგორ ამზადებენ ქალაღდს, ქალაღდის სხვა და სხვა დანიშნულება, ქალაღდის ფერი. პატარა ხალიჩების ქსოვა, ქალაღდის კოლოფები და ფარნები; მთელი თაბახ–ქალაღდის ორად და ოთხად გადაკეცვა და გამოჭრა; გამოჭრა კონტურებზე სხვა და სხვა საგნებისა (ხილი, მწვანელი, სოკოები, ყვავილები); მაკრატლით ამოჭრა ქალაღდის ან კარდონისაგან შინაურის და სხვა ცხოველების ნიმუშებისა. მეხსიერებით ამოჭრა საშინაო საგნებისა და მათი დახატვა კალმით ან ფერადის ყარანდაშებით. ამოჭრა ფერადის ქალაღდებიდან კვადრატისა, სწორკუთხიანებისა, წრისა, ფოთლებისა, ყვავილებისა და ხილის ნიმუშებისა; შედგენა მათგან სხვა და სხვა არშიებისა და მორთულობისა; დაწებება უკანასკნელისა სქელ ქალაღდზე. ძერწა ბურთის, ნახევარ ბურთის, კუბის, პარალელოპიპედის, ცილინდრის, პირამიდისა და სხვა ამგვარ საგნებისა. ცალკე საგნების ძერწა მეხსიერებით და საკუთარის არჩევით.

II განყოფილება

სხვა და სხვა ნივთები ჩალის, ტირიფის (მანქულის), ლერწამისა და კარდონისა. ჩალის პატარა ხალიჩები და კალათები, სინები, თეფშები, ნაშალაშინევის და წკეპლის კალათები ყვავილებისათვის. კალენდარი კარდონისა, ჩანთა კარდონისა რვეულებისათვის.

გაცნობა სახაზავისა, სამკუთხედისა და ფარგლისა და მათი ხმარება. დახაზვა და ამოჭრა სწორკუთხიანისა ლურჯ ქალაღდისაგან მოღუნვა ღერძის ხაზზე. გაცნობა სწორი ხაზისა და სწორი კუთხეებისა. მათი მოძებნა გარშემო მოწყობილობაში. დახაზვა ყვითელ ქალაღდზე და ამოჭრა განსაზღვრული ზომის სწორკუთხედისა, მისი გადაკეცვა დახრილ ხაზზე, დახრილ ხაზების გაცნობა და ცნება კუთხეებისა, სწორკუთხეზე უდიდესი და ნაკლები კუთხეები. ქართული დროშა, ქალაღდის პარკებისა და კონვერტების გამოჭრა–დამზადება.

დახაზვა და გამოჭრა მწვანე ქალაღდისაგან განსაზღვრული ზომის კვადრატისა; კვადრატი და მისი თვისებანი; განმარტება მწვანე ფერისა (ლურჯი+ყვითელი); კვადრატის ამოჭრა, რომლის გვერდები შეადგენს ოთხ გოჯს, მისი შუაზე და ოთხად გადაკეცვა გვერდების გასწვრივ; დათვლა, რამდენ კვადრატულ გოჯს შეიცავს იმ კვადრატის ზედაპირი; მოკლე ცნობები კვადრატულ ზომებზე და მათი ხმარება; იმავე კვადრატიდან ამოჭრა კუთხის კვადრატებისა და გამოცნობა, რამდენ კვადრატულ გოჯს შეიცავს ამოჭრილი ჯვარი; ამოჭრა იმავე კვადრატიდან ოთხი შუა კვადრატისა და მიღებულ ჩარჩოს ზედაპირის გამოანგარიშება; რვეულების შეკერვა $\frac{1}{4}$ და $\frac{1}{8}$ თაბახის ზომით და კანით, შემოჭრა და ზემოდან იარლიყის დაწებება.

დახაზვა და ამოჭრა 6–8 კუთხედისა, გამოჭრა ფერად ქაღალდებისგან სვეტებისა და ვარსკვლავებისა; სხვადასხვა სამკაულები და ფერადი არშიები.

III განყოფილება

გაცნობა ხეების ჯიშისა, რაც სადურგლოში იხმარება. პატარა პალოები მცენარისათვის, ფოცხის კბილები, კალმის ფორმის სახაზავი, კოჭები ძაფისა და ზონრის დასახვევად, ხის ჩაქუჩი, ჩაქუჩის ტარი, ჩოგანი, სუთი, კლიტის ჩამოსაკიდი, ხის კოვზი, ბზრიალა, ჩილიკა ჯოხი, პატარა ჯოხი, კარაქის სადღვებელი; ტანისამოსის დასაკიდი, ყუთები და სხვ.

გაცნობა მასშტაბისა, კლასის პლანი და მოხაზულობა განსაზღვრული მასშტაბით, მოხაზვა სახლის წინა და უკანა გვერდებისა, მოხაზვა კუბისა და პარალელოპიპედის მხარეებისა; პრაქტიკულად გამოანგარიშება გვერდების ზედაპირისა და მოცულობისა. სურათებისა და კედლის კალენდრების არშიები. კარდონის კოლოფები სახურავით და უსახურაოდ.

IV განყოფილება

ცულისა და თოხის ტარი, ხის ნიჩაბი, ფოცხი, ჯინი ნაგვისა, ან ქვიშის გადასაზიდი. კარდონისა და ხის ჩარჩოები, დასაკიდი შკაფი, პატარა სკამი და მაგიდა, საბაზრო კალათები, თაროები წიგნებისათვის, სხვა და სხვა ყუთები; წიგნების აკინძვა და ყდაში ჩასმა; ეჩვევიან, აგრეთვე, საგნების შეღებვასა და ლაქის წასმას.

შენიშვნა: ეს აღნიშნული გეგმა ხელგარჯილობისა, არ შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც სასტიკად დამყარებული პროგრამა. იგი, ჩვენის აზრით, შეძლებისდაგვარად მმოდრავი უნდა იყოს, რომ მასწავლებელს და მოწაფეებსაც გზა და გზა შეეძლოს შეტანა სხვა და სხვა ფერობისა და ახალი რისმე, რასაც ადგილობრივი ცხოვრება უკარნახებს. ხოლო საერთოდ ხელგარჯილობის გამოყენება სხვა და სხვა საგნების სწავლების დროს აუცილებელი მოთხოვნილებაა აწინდელის პედაგოგიკისა, ურომლისოდ სკოლა მოკლებული იქნება მოწაფის სათანადოდ გონებრივად და ზნეობრივად აღზრდას.

პროგრამა არითმეტიკასა და პრაქტიკულ გეომეტრიაში

ზეპირი და წერითი ანგარიში 1–1000–მდის. ოთხი მოქმედება და ზეპირი ანგარიში 1000–ის ფარგალში. ზოგიერთი მოკლე ხერხი ზეპირ ანგარიშისა 1000–ის

ფარგალში. რიცხვითი მაგალითები და სხვა და სხვა ტიპის ამოცანები ათასის ფარგალში. მარტივი ნაწევრები $\frac{1}{2}$, $\frac{1}{3}$, $\frac{1}{4}$, $\frac{1}{5}$, $\frac{1}{6}$, $\frac{1}{7}$, $\frac{1}{8}$, $\frac{1}{9}$, $\frac{1}{10}$. ოთხი მოქმედება ადვილს ნაწევრებზე და შერეულს რიცხვებზე. მთელში ნაწილის პოვნა და ნაწილებიდან მთლიანის შედგენა. მრიცხველობა და ოთხი მოქმედება 1000000–მდის. შეკრება და გამოკლება რიცხვებისა, გამრავლება და გაყოფა ერთ ნიშნოვან და ორ ნიშნოვან რიცხვებზე. შესაერთებელი რიცხვი და ჯამი. სამცირი,ნამცირი და ნაშთი. სამრავლი,მამრავლი და ნამრავლი. გასაყოფი, გამყოფი და წილადი. თვალსაჩინოდ გაცნობა უსაჭიროეს ზომებისა ზომებისა და საწყაოსი: ზომა სიგრძისა, დროსი, ფულისა, სიმძიმისა, სიგანისა, ქაღალდისა, და საწყაო მარცვლეულობისა. ამოცანები და რიცხვით მაგალითები ოთხს მოქმედებაზე და უმარტივეს , მათი ახსნა–განმარტება. მოწაფეების მიერ ამოცანების შედგენა.

პრაქტიკული გეომეტრია:

შენიშვნა: მოწაფეებმა უნდა გააკეთონ სასწორის ქვები: სხვა და სხვა წონისა, არშინი, საჟენი; სხვა და სხვა საწყობებისა, ზომებისა, და გეომეტრიულ სხეულების ნიმუშები: ხაზვა–ხატვასთან ერთად უნდა იცოდნენ ამოჭრა და ქაღალდზე დაწებება სხვა და სხვა გეომეტრიული ნაკვეთებისა.((სცსსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 659 ფ.12)

ბუნებისმეტყველება

დ ე დ ა მ ი წ ა. ზენიადაგი, ნიადაგი. ზენიადაგის შემადგენელი ნაწილები. ქვიშა, თიხა, შავი მიწა. ქვანახშირი. ნავთი. შავი ქვა (მარგანეცი). სხვა და სხვა ლითონები: რკინა, სპილენძი, ოქრო და ვერცხლი. მინის, აგურის კრამიტისა და თიხის ჭურჭლების კეთება.

წ ყ ა ლ ი: წყალის სამი მდგომარეობა; სითბოსი და სიცივის გავლენა წყალზე. თერმომეტრი. წყალში სხეულების განზავება. თოვლის დადნობა. ორთქლი, ზღვა და ოკეანე. მლაშე წყლები. ზღვიდან მარილისა და ღრუბლის გამოტანა. მარილი ბუნებაში. ბუნების მოვლენანი: ნამი, როვილი, წვიმა, სეტყვა, თოვლი და ცისარტყელა. წყლის მოქმედება ხმელეთზე, ქვების დაშლა, ზენიადაგის შედგენა, თბილი წყლის შედგენილობა. წყალმზადის გამოყოფა წყლიდან კალციუმის საშუალებით; წყალმზადი შემადგენელი ნაწილია ორგანიული ნივთიერებისა. თბილი წყლები, მადნეულის წყლები. ადამიანის მიერ ბუნების ძალების თანდათან დამორჩილება; ახალი აღმოჩენანი და მოგონებანი, როგორც შედეგნი ადამიანის ცდისა და დაკვირვებისა.

მ ც ე ნ ა რ ე ბ ი : ადგილობრივი საპურე და ბოსტნეული მცენარეულობა; არჩევა, შემზადება ზენიადაგისა მცენარის მოსაყვანად. მცენარის ძირი, ღერო და ფოთლები, მათი დანიშნულება, ნაყოფი, თესლი.

ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი : მათი სხეულის აგებულება ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებით – საჭმლის მოპოვება, თავის დაცვა, ერთად ცხოვრება, დედობრივი სიყვარული ცხოველთა შორის, შვილების მოვლა და აღზრდა; ცხოვრების პირობებთან შეგუება. 2–3 კერძო წარმომადგენელი რძით მკვებავეებისა, ფრინველებისა, ქვეწარმავალთა, თევზებისა და მწერებისა.

ჰ ა ე რ ი : ჰაერს ადგილი უჭირავს. ჰაერის შეკუმშვა, მოქნილობა. სიმძიმე და დაწოლა. ჰაერის ტუმბოს მომართულობა. ცივი და თბილი ჰაერი. ჰაერის საჭიროება წვის დროს. ჰაერის მუშაობა ანთებულ ლამპისა და ბუხრის მილში. ჰაერის ნაწილები. მჟავებადი და აზოტი. ჰაერში ფრენა (ჰაეროპლანები).

შენიშვნა: ბუნებისმეტყველების სწავლების დროსაც საკმაო ყურადღება უნდა მიექცეს ხელგარჯილობას, ხატვას, ცდა-დაკვირვებას, სხვა და სხვა საჭირო მასალების დაგროვებას, ადგილობრივი მცენარეთა კოლექციების დამზადებას, თესლის აღმოცენებას სხვა და სხვა პირობებში და უმარტივესი ფიზიკური იარაღების ნიმუშების დამზადებასაც (სცსსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 659, ფ.12).

სამშობლოს შესწავლა და გეოგრაფია

საკლასო ოთახი, სკოლა და სკოლის ეზო. პლანი, მასშტაბი და ქარტა. აწერილობა თავის სოფლისა, მაზრისა და მახლობელ ქალაქისა. მოკლედ, შესწავლა იმ გუბერნიისა, სადაც სკოლა არსებობს. საქართველოს მდინარეები, მთები, ქალაქები. საქართველოს საზღვრების და ნაწილების გაცნობა მოკლედ. ბუნებრივი სიმდიდრე, მცხოვრებლები და მათი მუშაობა, ხელობა. ისტორიული ცნობები იმ სიძველეთა შესახებ, რომელნიც მოიპოვებიან იმ მაზრაში, სადაც სასწავლებელი არსებობს. ექსკურსიები მახლობელ შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად და გასაცნობად.

ქვეყნის მხარეები. ბარი. ზომიერი ჰავის ქვეყნის ვაკე ადგილები, ბუნება, მცენარე, ცხოველები და ადამიანთა ცხოვრება. მთიანი ქვეყანა. ბუნება მთის ძირში, ფერდობზე და მთის მწვერვალზე, მცენარეთა განაწილება. ადამიანის ცხოვრება მთებში. მთიელები. ცეცხლის მფრქვეველი მთები (სანძრები), მიწის ძრვა. დედამიწის მოყვანილობა. დაყოფა დედამიწისა ხმელეთად და კუნძულებად. ქვეყნის ნაწილები.

ცხელი ჰავის ქვეყნები. ცხელი ქვეყნის ბუნება, მცენარე და ცხოველები. ადამიანის ცხოვრება ცხელ ქვეყნებში. უდაბნო. ოაზისი.

ცივი ქვეყნები. ბუნება, მცენარეები და ცხოველები. ადამიანის ცხოვრება ცივ ქვეყნებში. ისტორიული სურათები პირველყოფილ ადამიანის ცხოვრებიდან.

შენიშვნა: სამშობლოს და გეოგრაფიის შესწავლის დროსაც აუცილებლად საჭიროა ხატვა-ხაზვა, ძერწა და სხვა და სხვა გვარი ხელგარჯილობა, ქარტების ხატვა ხაზვასთან ერთად. მოწაფეებმა უნდა შეძერწონ ხმელეთის ფორმა, კუნძული, ნახევარი კუნძული, ზეგანი, პატარა ქარტები, სამაგალითო ლანშაფტი და მისი ქარტა, ქალაქიდან გამოჭრილი თოვლიანი მთები, საყინულე, ჩანჩქერი, ქარტის ამოჭრა სხვადასხვა მასშტაბით. ზომიერი, ცივი და ცხელი ქვეყნების საქონლის სხვადასხვა კოლექციები, საეთნოგრაფიო სათამაშოების კოლექციები, თიხის გლობუსი და სხვა (სცსსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 1167 ფ.6).

ბუნების მეტყველება

ბუნება და ადამიანის შრომა. ხე როგორ საზრდოობს და იზრდება; ძირი, ღერი ანუ ტანი, ფოთოლი, ტოტები, ყლორტი, კოკორი, ქერქი, აფსკა, ცილა, მერქანი, გული და მათი დანიშნულება; თესლი და მისი აღმოცენება. ადგილობრივი კულტურული მცენარეები: ცივი და ცხელი ქვეყნის მცენარეები, რაც წინადა არ უსწავლიათ; საზოგადო მნიშვნელობა მცენარეებისა, დამოკიდებულება მცენარეთა და ცხოველთა შორის; მცენარეთა საზრდოობა ცხოველთა საზრდოობასთან შედარებით. მსგავსება და განსხვავება ცხოველთა და მცენარეთა შორის. უყვავილო მცენარეები: ჩადუნა (გვიმბრა), ხავსი, სოკოები, შვიტა (ხვოშჩ). სიდამპლისა და სნეულების გამჩენი ბაქტერიები და მათთან ბრძოლა.

ადამიანის სხეულის აგებულება

უსაჭირესი ორგანოები და მათი დანიშნულება; კანი, მუსკულები (კუნთები), ჩონჩხი, სისხლი და მისი ტრიალი სხეულში; სისხლის მიმომქცევი ორგანოები და გული; სუნთქვა; ფილტვები; საჭმლის მომნელებელი ორგანოები: ნერწყვის ჯირყვლები, საჭმლის საყლაპავი მილი, კუჭი, ღვიძლი, ნაწლავები, გრძნობის ორგანოები, ნერვები, ტვინი, უმთავრესი ჰიგიენიური პირობები ჯანმრთელობისათვის. ჰიგიენიური საუბარი ჰაერზე და წყალზე.

ს ი თ ბ ო : როგორ გადადის სითბო ერთი საგნიდან მეორეში; როგორ იცვლება საგნები სითბოს გავლენით; როგორ და რით ზომავენ სითბოს.

ს ი ნ ა თ ლ ე : გამჭვირვალე და არა გამჭვირვალე სხეულები; სინათლის გადატეხა; სინათლის ფერებად დაწყოფა. მაგნეტიზმი; ელექტრონობა, ელექტრონობის გამტარებელი და არაგამტარებელი სხეული; მოკლე ცნობები ფიზიკიდან და ქიმიიდან, როგორც დამატება და შევსება წინად ნასწავლისა ჰაერის, წყლისა და დედამიწის შესახებ; ფიზიკური და ქიმიური მოვლენანი, შერევა და ქიმიური შეერთებანი, რთული და მარტივი სხეულები; წვა (ნახშირმჟავა გაზი).

ს ი თ ხ ე : გაერთიანებული ჭურჭლები, სითხის დაწოლა; სხეულის მიერ წყალში წონის დაკარგვა;

ს ი მ ძ ი მ ე – მარტივი მანქანები, ბერკეტი და ჭალი (ბლოკ).

ბ გ ე რ ა – ბგერის გადაცემა ჰაერით, წყლით და მაგარი სხეულით, ბგერის სიმაღლე.

შენიშვნა: თვალსაჩინობა, ცდა, დაკვირვება, თვითმოქმედება, უპირველესი საშუალებაა ბუნების მეტყველების ყოველი დარგის შესასწავლად. მოწაფეები აკეთებენ ადამიანის სხეულის სხვა და სხვა ორგანოების ნიმუშებს არსებული სურათებისა და თვალსაჩინო ხელსაწყო კოლექციების მიხედვით; აგრეთვე, ძერწავენ სხვა და სხვა ცხოველების კბილების ნიმუშებს, აკეთებენ საფიზიკო და საქიმიო სხვა და სხვა იარაღებს და სხვ.

სამშობლოს შესწავლა და გეოგრაფია

დაწვრილებითი შესწავლა თავის სოფლისა, მაზრისა და გუბერნიისა (უსათუოდ ქარტაზე).

აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის საქართველო, მათი უმთავრესი ნაწილების შესწავლა ჰავის, მდებარეობის, ეკონომიურისა და ბუნებრივი სიმდიდრის მხრით; მცხოვრებთა საქმიანობა, მეურნეობა, აღებ-მიცემობა, ვაჭრობა, მრეწველობა; ადგილობრივი შინაური ნაწარმოები. მეზობელ სახელმწიფოების მოკლედ შესწავლა.

გეოგრაფია მათემატიკური და ფიზიკური

ქვეყნის მხარეები და მათი განსაზღვრა. გლობუსი. დედამიწის ტრიალი ღერძის გარშემო. დღე და ღამე. მზე. მთვარე და სხვა ციური სხეულები. წლიური ტრიალი დედამიწისა მზის გარშემო და წელიწადის დრონი. ქვეყნისა და ოკეანეს ნაწილები.

საქართველოს მთები. ჰავა: ხმელი და ნესტიანი. მცენარეთა დამოკიდებულება ჰავაზედ. ზომიერი, ცივი და ცხელი ჰავის ქვეყნები. ხალხი, სარწმუნოება, სახელმწიფო. მოკლე ცნობები ქვეყნის ნაწილებისა და მთავარ სახელმწიფოებისა ქარტაზე ჩვენებით და მთავარი ქალაქების დასახელებით.

შენიშვნა: მოწაფეებს უნდა სცოდნოდათ საქართველოს გეოგრაფიული სრული ქარტის ხაზვა, ამასთან უნდა შეძლებოდათ ქუჩის, ბიბლიოთეკის, სახელოსნოების, სოფელად მუშაობისა და საქონლის ბინის სურათებით, ნიმუშებით, კოლექციებით გამოხატვა და სხვ. (ჟურნ. „განათლება“, 1919 წ. N 1. გვ. 34–45)

პროგრამა საქართველოს ისტორიაში

მოკლედ გამეორება ცნობების პირველყოფილ ადამიანის ცხოვრების შესახებ. მეცნიერების აზრი ქართველთა მოდემის ხალხზე და მათს პირველ სამშობლოზე. ქართველების დასახლება ახლანდელს არემარეზე ძველის ძველ დროს. ქართველების საზოგადოებრივი ცხოვრება, სარწმუნოება და ცხოვრების სახეები ძველად. ალექსანდრე მაკედონელის მიერ საქართველოს დაპყრობა და აზოს გამეფება, ფარნაოზ მეფე. საქართველოს გაქრისტიანება და წმ. ნინო. ბრძოლა ცეცხლის თაყვანისმცემლობისა და ქრისტიანობის შორის. მეფე ვახტანგ გორგასლანის დრო და ქრისტიანობის დამყარება. არაბების გაძლიერება და საქართველოს დაპყრობა მათგან. დავით და კონსტანტინე არგვეთის მთავარნი. დავით კუროპალატისა და ბაგრატ მესამის დრო. ბაგრატ მეოთხის ბრძოლა შინაურ და გარეულ მტრებთან. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. თურქების შემოსევა საქართველოში და გიორგი მეფე. დავით აღმაშენებელი და მისი დრო. მეფე გიორგი მესამე და მისი დრო. თამარ მეფე, მონგოლების შემოსევა და მათ მიერ საქართველოს დაპყრობა. ცოტნე დადიანი. მეფე დიმიტრი თავდადებული. გიორგი ბრწყინვალე. თემურლენგის შემოსევა და ბაგრატ დიდი. ალექსანდრე მეფე. საქართველოს დანაწილება სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ვახტანგ მეექვსე. იმერეთის მეფე სოლომონ დიდი. ერეკლე მეფე და მისი დრო. გიორგი მეცამეტე და საქართველოს რუსეთთან შეერთება. საქართველო XIX საუკუნეში. საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორება და საკუთარი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება.

პროგრამის შენიშვნაში წერია, რომ ისტორიის სწავლების დროს სახალხო სკოლაში უმთავრესი ყურადღება უნდა მიქცეოდა თვითონ ხალხის და არა მხოლოდ კერძო პირების ცხოვრების შესწავლას, რადგან **წვრილმანი ამბები და ქრონოლოგიის ზედმიწევნით ცოდნა ბავშვის მეხსიერებას მძიმე ტვირთად აწვებოდა.** თავდაპირველად მოსწავლისათვის უნდა შეეთავაზებინათ ქრონოლოგიურად დალაგებული ისეთი

ამბები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ერის ცხოვრებაში და დამახასიათებელი იყო ამა თუ იმ ეპოქისათვის. ამასთან, საჭირო იყო განემარტათ, ამა თუ იმ მიზეზს რა შედეგი მოჰყოლია ერის ისტორიაში. ისტორიის სწავლებას დიდად შეუწყობდა ხელს საკითხავად შესაფერი საისტორიო წიგნების მიწოდებაც (სცსსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 1165, ფ.14).

გალობა–სიმღერა

I განყოფილება

ადგილობრივი საბავშვო სიმღერები. ვარჯიშობა სმენისა და ხმის გასავითარებლად. სასიმღერო ლექსები სახელმძღვანელო წიგნიდან, მაგ. „ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზი“, „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, „სიმღერა კალოზე“, „იზარდე, მწვანე ჯეჯილო“, „ყანაო, ქვეყნის სამოთხევე“ და სხვ.

II განყოფილება

ადგილობრივი სახალხო სიმღერები. სიმღერები ორ ხმაზე. სასიმღერო ლექსები სახელმძღვანელო წიგნიდან არჩევით, მაგ. „მახეში გაბმული ჩიტი“, „მოხუცის ნატვრა“, „სწავლობს გიგლა ტიტინა“, „ჩიტის სიმღერა“, „გაშვებული ჩიტი“ და სხვა.

III განყოფილება

საზოგადო ქართული სიმღერები ორსა და სამს ხმაზედ. გაცნობა ნოტების ანბანის.

IV განყოფილება

საზოგადო ქართული სიმღერები, შესწავლა ნოტების ინტერვალებისა, სოლფეჯიო, სიმღერა ორ–სამ ხმაზე, მომღერალთა გუნდის შედგენა.

ხატვა–ხაზვა

I განყოფილება

თავისი აზრით და სურვილით დახატვა (რაც უნახავთ, რაც ესიამოვნებათ და რის გამოხატვაც უფრო კარგად იციან). 2) მარტივი ფორმის საგნების დახატვა გონების თვალთ და მათი ფერები. 3) ბუნებიდან გადაღება მარტივი ფორმის საგნებისა (ბურთი, აგური, მსხალი და სხვ.). 4) მოძრაობა, ხაზების მიმართულება, ორივე ხელით ხატვა. 5) საამხანაგო ხატვა (კოლექტიური) ნახულ–გაგონილისა (საკლასო დაფაზე ერთი ან ორი

ხატავს ნახულს და გაგონილს, დანარჩენები რჩევას აძლევენ, ან უმატებენ ახალს ფიგურებს). 6) საკლასო დაფაზე ხატვა და იქიდან გადახატვა. 7) კლასში ნასწავლის მოთხრობების ან იგავ-არაკების დასურათება ან სურათიდან გადაღება. 8) აჩრდილების (სილუეტების) დახატვა მელნით ან ტუშით, ფართოდ, უკონტუროდ.

II განყოფილება

1) თავისი აზრით რისიმე დახატვა. 2) ბუნებიდან გადაღება. 3) კოლექტიური მუშაობა, ხატვა (ნახულის და გაგონილისა). 4) კლასში ნასწავლის გაკვეთილის დასურათება (რა მომენტიც უნდა, მოწაფე თვით ირჩევს). 5) რებუსები (მათი კითხვა და შედგენა). 6) ბუნების მოვლენათა დასურათება (წვიმა, თოვლი, ცეცხლი), ან პატარა ცნობილი ჟანრები. 7) უსაჭიროესი გეომეტრიული ფიგურები.

III განყოფილება

1) კოლექტიური კომპოზიცია დასურათებისა (საკლასო დაფაზე ერთი ან ორი ერთს სურათს იგონებს, დანარჩენები თავიანთ ადგილიდან მონაწილეობას იღებენ, მერე ხატვენ). 2) ბუნებიდან გადაღება. 3) თავისი აზრით სურათის დახატვა. 4) დასურათება ნასწავლის მოთხრობისა. 5) სოფლის და ქალაქის მუშაობის დასურათება. (კალო, გუთანნი, მკა, რთველი და სხვ.). 6) ასო მთავრული მონოგრამები; ახსნა მათი და შედგენა სხვა და სხვა საგნისაგან. 7) გეომეტრიული ფიგურების გამოყენება. პერსპექტივის კანონები. 8) არშიების შედგენა ჩუქურთმის მაგვარი, კედლის არშია და სხვა (ფოთლების და სხვა საგნისაგან). 9) ბუნების დაკვირვება კლასს გარედ. სხვა და სხვა ფერები. 10) ნიმუშები შეძერწისა. თიხის მომზადება და მუშაობა.

IV განყოფილება

1) ბუნებიდან გადაღება; 2) დაჩითვა და არშიების შედგენა, (კედლისა, ეკლესიისა და სხვა); ნიმუშები ქართული ჩუქურთმისა; 3) შეძერწა ხილისა და ცხოველებისა. 4) პერსპექტივი ხაზოვანი და ჰაეროვანი. 5) ბაასი ხელოვნებაზე, ქართული მხატვრობა და ხუროთ მოძღვრება. ნიმუშები და ნაშთები ქართული ხელოვნებისა. 6) დაკვირვება ბუნებისა და მათი გადაღება (გარეთ). 7) შედარება ადამიანის აგებულობისა და ცხოველებისა; 8) თავისი აზრის და ოცნების დასურათება. 9) შეძერწული საგნების გამოწვა, ქურის აშენება, ჩაწყობა და შეკეთება.

შენიშვნა: ა) სასურველია, რომ შეძერწაც, როგორც ხატვა, პირველი წლიდანვე დააწყებინონ, რადგანაც ეს ძლიერ შველის ბავშვს ფორმის შესწავლაში; ხატვა სჯობიან დიწყონ ფერადი კარანდაშებით, რადგანაც ადვილი სახმარებელია და ნაკლებად დაითხუპნებიან ბავშვები. შეძერწისათვის საჭიროა თითო ბავშვს თითო პრტყელი

ფიცარი ედოს წინ სიგრძით 8 და სიგანით 4 ან 5 გოჯი, რომელზედაც აკეთებენ ქანდაკებას. თიხა მთელი კლასისათვის საერთოდ უნდა აიზილოს და ინახებოდეს სველად კოდში ან კასრის მაგვარ ჭურჭელში და სურვილისამებრ გუნდებად ამოიღებენ.

ბ) ხატვა–ხაზვისათვის ბუნება იძლევა აუარებელს მასალას, მხოლოდ მასწავლებლის საქმეა იმისი კონცენტრიულად დალაგება, მოწაფეებში ხალისის აღძვრა და ტეხნიკის სიადვილე. ამ პროგრამის მიხედვით, ყველა განყოფილებაში თითქოს ერთი და იგივე მოთხოვნილებაა, მაგრამ პროგრამა თანდათან ფართოვდება ახალი ცნობების შექმნით. ტემებიც ხატვისათვის თავიდანვე თითქოს ერთი და იგივეა, მაგრამ სიძნელე შესრულებაში და მოთხოვნილება სხვა და სხვა უნდა იყოს: მასწავლებლის საქმეა, ამ შემთხვევაში, წესიერად სახატავის მასალის მიწოდებით იმდენად გაუადვილოს მოწაფეს მიცემული ტემა, რომ მას ადვილად შეეძლოს მისი შესრულება; ეს კი შესაძლებელია მასალის თან და თანობით მიცემით, ადვილიდან მოძნელოზე გადასვლით და სისტემატიურად სწავლებით, რომლის დროსაც დაცული უნდა იქმნას მოწაფის ხალისი და შემოქმედება მუშაობაში(სცსსა, ფონდი 1935, ანაწ.1, საქმე 1166 ფ.2,3,4.).

დანართი N4

სწავლების ორგანიზაციისა და აღზრდის საკითხებზე საინტერესო მეთოდური წერილი გამოაქვეყნა იპოლიტე ვართაგავამ ჟურნალი „განათლების“ 1919 წლის პირველ ნომერში(გვ.12–29), სადაც იგი ახასიათებს კლასის აღზრდელთა ინსტიტუტს იმდროინდელ საშუალო სკოლაში და საზოგადოებას სთავაზობს არსებული სისტემის გაუმჯობესების წინადადებებს:

I. უნდა მიენიჭოს საშუალო სკოლას სრული ავტონომია, რომელიც გამოიხატება:

ა) გამგეების, დირექტორ–ინსპექტორების, მასწავლებლების არჩევაში, რომელთაც ამტკიცებს სათანადო უწყება.

ბ) მასწავლებელთა კავშირის მიერ მოწონებული და სათანადო დაწესებულებათა მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის ფარგლებში სრული თავისუფლება.

გ) სასწავლებლის შესანახად გადადებულ თანხის ნაწილობრივ გადატან–გადმოტანის, რაოდენობათა შეცვლის და სხვადასხვა სამეურნეო საქმეებში თავისუფალი მოქმედება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რასაკვირველია, ძირითადი მუხლები ხარჯ–აღრიცხვისა უნდა დარჩეს ისე, როგორც ეს იქნება მთავრობისაგან დამტკიცებული.

II. დედაპარლვად სკოლის ცხოვრებისა, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, უნდა დარჩეს სწავლება და აღზრდა, მხოლოდ ძირიანად უნდა შეიცვალოს მათი სისტემა და ხასიათი. ამისათვის საჭიროა:

ა) მთავარი ყურადღება მიექცეს სხვადასხვა საგნებში სწორი და ნამდვილი ცოდნის და ფაქტების სისტემატიურ გადმოცემას.

ბ) ამ გადმოცემულ-შეთვისებულ მასალაზე და ცოდნაზე უნდა დაეყრდნოს ბავშვების გონების განვითარება, ზნეობის გაფაქიზება, სოციალური რწმენის შემუშავება და განმტკიცება, თვითსწავლება უნდა იქცეს გამოცდილ მასწავლებელთა ხელში აღზრდის უმთავრეს და ძირითად საშუალებად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ვინაიდან ეს საკითხი ახალი და რთულია, ამისათვის იგი დეტალურად უნდა იქნეს გაშუქებულ-გამორკვეული მასწავლებელთა კავშირის ხელმძღვანელობით. პედაგოგების მონაწილეობით ჩამოყალიბებული და უმრავლესობის მიერ მოწონებული უახლესი გეგმა უნდა იქნეს წარდგენილი მმართველ დაწესებულებაში დასადასტურებლად.

III. სწავლა-განვითარების და აღზრდის მოსაგვარებლად უნდა დაარსდეს მასწავლებელ-მეთვალყურეთა ინსტიტუტი, რომელსაც დაევალება ამ საქმის წარმოება და ხელმძღვანელობა. მასწავლებელთა შემადგენლობა, საგნების და მათი ხასიათის მიხედვით და პირადი მათი სურვილის თანახმად, დანაწილდება საგნობრივ კომისიებად. ზედმიწევნით უნდა შედგეს შემდეგი კომისიები: სიტყვიერების, ისტორია-გეოგრაფიის, მათემატიკის, ენების, ფილოსოფიური პროპედევტიკის. სასურველია, რომ აღმზრდელობითი მნიშვნელობის თვალსაზრისით, ცენტრალურ და უმთავრეს კომისიებად ჩაითვალოს ჰუმანიტარული საგნების კომისიები, ვინაიდან უპირატესად ამ საგნებში შეიძლება აღმზრდელობითი ელემენტის შეტანა.

კომისიებს უნდა დაევალოთ: ა) წელიწადში ერთხელ ან ორჯერ საგნობრივი პროგრამების შედგენა და წლის განმავლობაში, გარემოებათა მიხედვით მათი შეცვლა-შეცხება-გამოკლება.

ბ) მათი უმთავრესი მოვალეობა იქნება ის, რომ ხელი შეუწყონ მეცნიერების გადაცემა-შეთვისების დროს აღმზრდელობითი ელემენტის შეტანასა და ამის წყალობით შეგირდების განვითარებას, მათი მსოფლმხედველობის, მოქალაქეობრივი და მორალური პრინციპების ჩამოყალიბებას და სხვა.

საშუალებები ზედმიწევნით შემდეგი უნდა იყოს:

ა) საგნების, შეგირდების ასაკის, მათი განვითარების, ცხოვრებისა და დროის მიხედვით საკითხავი წიგნების სიების შედგენა;

ბ) წაკითხული წიგნების შინაარსის, დედააზრისა და განცდის წერილობით გადმოცემა;

გ) მათი წაკითხვა, შენიშვნებისა და შესწორების შეტანა მასწავლებლის მიერ;

დ) კვირაში ერთხელ, მასწავლებელთა და მოწაფეთა ბაასი და თათბირი წაკითხული წიგნების შესახებ, მორალურ–ეთიკურ, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხებზე.

ე) წაკითხულ–განხილულ თხზულებათა ზედმიწევნით აღძრულ საკითხების მოწაფეთა მიერ რეფერატის სახით განხილვა და გარჩევა.

ვ) თვეში ერთხელ შეხვედრა მოსწავლეთა მშობლებთან მათი შვილების დისციპლინისა და ცოდნის დაუფლების წარმატება–წარუმატებლობების გაცნობის მიზნით.

ვ) წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს ან დასაწყისში გამართვა საზეიმო სხდომისა შეგირდებისა და კორპორაციისა, სადაც წაკითხული იქნება ანგარიში სხვადასხვა კომისიების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ“. (ჟურნალი „განათლება“ , 1919 , N1 გვ.24)

დანართი N 5

(სცსსა, ფონდი1935, აღწ.1, საქმე 346, ფ.18, 19.)

ბავშვთა სახლის ხარჯთაღრიცხვა

1. განათება, გათბობა:	თვეში – 4 000 მანეთი	წელიწადში – 48 000 მანეთი
2. ექიმი:	თვეში 1000 მან.	წელიწადში – 12 000 მან.
3. მწე:	თვეში 500 მან.	წელიწადში – 6 000 მან.
4. მზარეული	თვეში – 300 მან.	წელიწადში – 3 600 მან.
5. დარაჯი	თვეში – 300 მან.	წელიწადში – 3 600 მან.

		სულ: 73 200 მან.
--	--	------------------

სადურგლო სახელოსნოს ხელმძღვანელი:	თვეში – 1 000 მან.	წელიწადში – 1 200 მან.
მეწაღეობის სახელოსნოს ხელმძღვანელი:	თვეში – 1000 მან.	წელიწადში – 12 000 მან.
ბოსტნის ხელმძღვანელი:	თვეში – 1 000 მან.	წელიწადში – 12 000 მან.
მუსიკისა და სიმღერის ხელმძღვანელი:	თვეში – 1 000 მან.	წელიწადში – 12 000 მან.
ხატვისა და ძეგლის ხელმძღვანელი:	თვეში – 1 000 მან.	წელიწადში – 12 000 მან.
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:	თვეში – 1 000 მან.	წელიწადში – 12 000 მან.
ექსკურსიებისა და ტანვარჯიშის წრის ხელმძღვანელი:	თვეში – 1 000 მან.	წელიწადში – 12 000 მან.
		სულ: 84 000 მან.

საბავშვო ბაღი 50 ბავშვზე 4 – დან 7 – წლამდე
 ხელმძღვანელები: თვეში: 1 820 (თითოეული)
 ძიძა ოთახის ხარჯის გარეშე: 400 მან. წელიწადში: 43 680 მან.

 სულ 48 480 მან.

ბავშვთა კვება საბავშვო ბაღი 4–დან – 7 წლამდე

50 ბავშვის კვება დილიდან სადილამდე, რომლებიც ლებულობენ ჩაის და ცხელ საუზმეს, განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. პური $\frac{1}{2}$ 50X30 – 750 8 მან. – 6000
2. ბურღულეული 20 50X30 312 – 20 მან. 10 დღე – 6250
3. კარტოფილი 32 50X30 – 48 000 – 500 4 მან. 10 დღის 2 000 – 670 მან.
4. ზეთი 3 დღეში 30X90 4 ლარი – 3 600
5. შაქარი 4 50X30 – 6 000 – 62 $\frac{1}{2}$ – 1 500
6. ჩაი – 4 – 160 მან. – 640 მან.
7. ხორცი II ხარისხის 50X30 – 300 ფუტ. – 10 ლ. 10 დღე – 3 000 მან.
8. 30 დღე 50 ბავშვზე – 15 493 მან.
9. გათვლილია 10 ღუმელზე და მადუღარა 30 მან. დღეში. თვეში – 900 მან.
10. კანცელარია – კალმები, ქაღალდი და ა. შ. თვეში: 500 მან. წელიწადში: 6 000 მან.
11. მასალა ხატვისათვის და ძერწვისათვის, ქაღალდი, ნახშირი, ფანქრები და საღებავი: თვეში – 1 000 მან. წელიწადში – 12 000 მან.
12. სხვადასხვა ხარჯი 8 820

სულ: 32 620

სულ ხარჯთაღრიცხვით: 424 416 მან.